

8 semmels

17

1955

# ოსმანს

საქართველოს საბჭოთა მფინვანის კავშირის  
აზრის გაცემის დღე  
ალგანახი

17



სახელმწიფო გამოცემლობა -  
ბათუმი  
1955

## მაია წყნეთერი

პერიოდული კომედია 4 მოქმედებად, 8 სურათად

მოკმდნი პირი.

მაია — შემდეგ მათე-ბიჭად წოდებული, 19-20 წლის შესახედაობისა.  
გელა — მაიას მამა.

ერეკლე მეორე — 50 წლის შესახედაობისა.

ანდუყაფარი — სოფლის მებატონე, 21 წლისა.

ზალიკა — მოურავი.

მიხო — ამის მხლებელი.

მანუჩარი

გუგუნა

შერმაღინი

ქარიყლაპია

სარკინეთელი ტყვეები, შემდეგ მათე-ბიჭის რაზმი.

ქერიმ-ალი — ტყვის ვაჭარი.

გემალ ვერძაძე — ქერიმ-ალის მხლებელი, შემდეგ მათე-ბიჭის რაზმელი.

ქაიხოსრო დილმელი

ამილახვარი

გუპაზი

ბარათა

ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმული თავადები.

სახლოუჩუცესი, სპასალარი, ირანის ელჩი, ტყვე ქალები, გოგო-ბიჭები,  
მხედრები, ოსმალები.

მათვ-მოიას ჭირიმე,  
იყავ ფალავან-გვირია,  
უზნეო ბატონებია  
სიკვდიმლე ღიღი ჭირია.  
(ხალხური)

## მოძმედება პირველი

### სურათი პირველი

თავად ანდუყაფარის სასახლის ჩუქურთმიან ფართო აივანს ქვის კიბე უერთდება. კიბეს-თან საქანელაა გამართული. იგი ჰაერში დაკიდულ სავარქელს ჰგავს.  
კიბეზე ზალიკა და მიხო ჩამომჯდარან. თავგამეტებით მღერიან:

ესრ მესო,  
ნელლ გაისვესო,  
ხრამში ჩაიგდესო,  
ძალლი ჩაუშვესო,  
ამრათრიესო,  
კარგა გასხლიესო,  
მალლა შემოდვესო,  
ქალაქს წაიღესო,  
კარგა გაყიდესო.

(შემოღის გელა)

გელა. კაი სიმღერის ღრო შეგირჩევიათ.

ზალიკა. ბატონის ბრძანებაა... (მღერიან).

გელა. კაცო, აქედან უმღერით? რას გაიგონებს?

ზალიკა. მას აქეთ, რაც დიდი ბატონის სული ღმერთმა მიიბარა, ყრმა ბატონმა მამის წესები გამოცვალა, ჯერ სადა ხარ, ბევრ ახალ წესს გამოგიცხადებენ!..

გელა. სიმღერა რაღა წესს ემსახურება?

ზალიკა. მოურავს უფლება არა მაქვს ყრმა ბატონის უნებართვოდ დარბაზში ფეხი შევდგა, — იმღერეო, თუ საჭირო ხარ, დაგიძახებო, თუ არა და შეაყოლეო. ჩემს მოსვლას ჩემი სიმღერა ატყობინებს.

გელა. ე, რა საქანელა გაგიმართავთ?

ზალიკა. (საქანელაზე თოკი კარგად გამოსკვნა) საქანელა ქი არა საღლვებელა.

გელა. სასახლის წინ რა უნდა გადლვიბოთ?

მიხო. ყრმა ბატონი.

გელა. ბატონიო?

ზალიკა. მას აქეთ, რაც დიდი ბატონი მიწას მივაბარეთ, ყრმა ბატონმა ჭამას უმატა. ძალიან რომ გაიტენება, კუჭი სტკივა. თუ არ გადლვიბა, — უნდა გავდლვიბოთ.

გელა. განსვენებული ბატონი მგონი სალოცავად გაგვიხდეს.

ზალიკა. გაგდებას მემუქრება. განსვენებულის სიცოცხლეში ისეთი თვალით მიყურებდიო, რომ ერთხელაც არ გიფიქრია, ის მოკვდებოდა და შენი პატრონი მე ვიქნებოდიო.

მისო. ძალლივით სამსახურმა აგრე იცის.

ზალიკა. მაშ რა მექნა, პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავს გაგაძრობინვადი?.. გელა. ამ გახურებული მკის ღროს კაცი კაცი მოაცდენს? რატომ მეძახის ყრმა ბატონი, რა მინდაო?

მისო. შენს ოჯახზე აღრენილია.

გელა. რა ოჯახი მე მაქვს რომ იღრინება.

ზალიკა. მაია აბრაზებს.

გელა. ჩემი მაია? რაც რომ ღიღი ბატონი მიწას მივაბარეთ, მას აქეთ მაიას ბატონის სახლში ფეხი არ დაუდგამს, საიდან გააბრაზებდა?

ზალიკა. ჰელა ეგ არის, სამსახურზე უარს ამბობსო.

მისო. იმღერე!

გელა. რა მემღერება?

მისო. მაშ როგორ გაიგოს, რომ აქა ვართ:

ზალიკა. იმღერე!

გელა. ნუ ხუმრობ, მოურავო.

ზალიკა. კაი ხუმრობაა, დანა რომ დამარტყა სისხლი არ გამომივა. იმღერე-მეთქი!

(მღერიან).

ბრალია შავო ყორანო,  
შენ ჩემი ლეშით ძლებოდე,  
წახვიდე ჭალას, იბანო,  
მაღლა მუხებზე ჭდებოდე;  
აწიოკებდე მთა მაღალს,  
დაბლა ბარს ემუქრებოდე,—  
მემრე მენახოს, ფრთა-შავო,  
თოფის ნიშანზე ღგებოდე:

(შემოღის ან დუ ყაფარი)

ან დუ ყაფარი. (ცამა შეწყვიტა) რაო, როგორაო, „თოფის ნიშანზე ღგებოდე“?! ვინ ღგებოდეს თოფის ნიშანზე?..

ზალიკა. ყორანი, შენი ჭირიმე.

ან დუ ყაფარი. რომელი ყორანი?

ზალიკა. ფრთა-შავი, შენი ჭირიმე.

ან დუ ყაფარი. ვინ არის ფრთა-შავი?

ზალიკა. ყორანი, შენი ჭირიმე.

ან დუ ყაფარი. აბა, კიდევ თქვით. (მიხომ სიტყვით დაიწყო) აგრე არა, სიმღერით.

ზალიკა და მისო. (მღერიან)

მემრე მენახოს, ფრთა-შავო,  
თოფის ნიშანზე ღგებოდე...

ან დუ ყაფა არ ი. განა ვერ მივხვდი, ვინ არის სათოფე ყორანი? — მე!.. კი,  
მე, ვარ!

მიხო. ნუ იყალრებთ, თქვენი მუხლების ჭირიმე.

ან დუ ყაფა არ ი. მაშ ვინ არის ფრთა-შავი, ვისწე ფიქრობთ, „ყორანს“  
რომ მღერით? თქვენ გეუბნებით, თქვე ტურტლიანები!

ზალიკა. რას ბრძანებთ ბატონიშვილი! ამ სიმღერით მივღიოდით პატარა  
კაბის ლაშქარში, მტერზე გამარჯვებულს მაღაროში ბუკით და ნაღარით  
რომ შემოგვეგებნენ. პატარა კახი, იმის მარჯვენას კი ვენაცვალე, მაშინ  
შენი ხნის არც იქნებოდა.

(ან დუ ყაფა არ ი თითქოს დამშვიდდა, საქანელაში ჩაჭდა)

ან დუ ყაფა არ ი. გამაქანეთ (მიხო და ზალიკა დაარწევენ) დამაყენეთ! (შეა-  
ჩერებს) როცა ბატონი ჭამს, სალაშქრო სიმღერა აღარ გაბედოთ! გამაქანეთ!  
მიხო. აგრე გვჭონდა ნაბრძანები, იმღერეთო.

ან დუ ყაფა არ ი. შე ბრიყვო, შენა... თოფი და ყორანი არ ახსენოთ.  
„არალო“ იმღერეთ...

(ზალიკა და მიხო დაარწევენ, თან მღერიან:  
გაღმიდან ბუი იძახის,  
გამოღმიდან შავარდენი,  
შუაზე ხოხობი ჩივის;  
იმათ ხელში ჩავვარდები.

სხვა კილოზე:  
თხას უთხრეს: მგელი მომკვდარა,  
თხამ გაიცია, გაღიქცა,  
ერთი მომკვდარა ბერ-მგელი,  
თხაო, შენ რას გიხარიან?  
გან სამგლეთი დაიქცა?..).

ან დუ ყაფა არ ი. დამაყენეთ!.. „თხა და მგელი“ არ ახსენოთ. „გოგო-ბიჭი“  
იმღერეთ!.. გამაქანეთ!

(ზალიკა და მიხო დაარწევენ, მღერიან:  
ქალო, გაშლილ ვარდს გამსგავსე,  
ედემში მსხმოიარესა,  
ნეტავი შენსა პატრონსა,  
შენს გვერდით მწოლიარესა...)

ან დუ ყაფა არ ი. ო, კარგია...

(ზალიკა და მიხო მღერიან:  
მაღლიდამა გაღმოგხედე,  
დაგინახე ქორივითა,  
ძუძუ-მკერდი დაგინახე,  
თეთრი გვენდა ბროლივითა.)

ან დუ ყაფა არ ი. (ხითხითებს) ჰო, „თეთრი ჰეონდა ბროლივითა“... ჭიგარს  
ხვდება. აგრე არა ჭობს?.. ყორანი რად უნდა ძლებოდეს, როცა ღმერთის  
ბრძანებით ბატონი ძლება.

(ძვალი გადააგდო, თითქოს გაბრაზდა)

მისო. გვაპატიეთ, ბატონიშვილო.

ანდუყაფარი. ბატონიშვილი ვიყავი, როცა მამიჩემის შიშით სულისთქმა გიჭირდათ. ახლა ბატონი მე ვარ. გამაქანეთ!

მისო. იცოცხლე, ბატონო!

ანდუყაფარი. (გელას) შენ რას დამუნჯებულხარ? იქნებ არ მოგწონს, რომ ჩემს ხელთა ხართ?

გელა. რას ბრძანებთ, ბატონო?! ისე მოგემსახურებით, როგორც დიდ ბატონს.

ანდუყაფარი. სტყუი!

გელა. ნუ იყალრებთ, ბატონო.

ანდუყაფარი. განა არ ვიცი?! გუშინ მამიჩემის ორმოცი მქონდა, პარაკლისი გადავუხადე...

გელა. იღიღოს იმისი სახელი.

ანდუყაფარი. მკვდარს დიდება არ ესმის. — დიდება ცოცხლებს!..

გელა. დიდება ცოცხლებს!..

ანდუყაფარი. სტყუი! ხუცესი მკვდრებს ადიდებს, თქვენ იმის უფრო გჩერათ... დამაყენეთ! (ზალიკას) სად არის ამის ქალიშვილი?

ზალიკა. სახლში არ დაგვხვდა, ბატონო.

ანდუყაფარი. თავხელი შინაგამა... მამაჩემის გვამი რომ მიწას მიგაბარეთ, იმ დღიდან ჩემს სასახლეს არ გაჰკარებია. (გელას) შენ ლეკებს მიგყიდი, შენს ქალს სტაბბოლს გაყიდი, წუწყ თსმალოს უყვარს ლამაზი ქალი.

გელა. უბედურია ქალის მამა.

ანდუყაფარი. ბატონთან სამსახური უბედურებაო! მოურავო ათი მათ-რახი მაგას, შენ გეუბნები.

ზალიკა. ბატონო, ტუტუცი ყმაა, ქალის ხათრით აპატიე.

ანდუყაფარი. დღეს საღამოს თუ მაია ჩემთან არ იქნა, იცოდეთ სამოცი მათრახი ამასა (გელას მიუთითებს), ოცდათი შენ (ზალიკას მიუთითა) ათი შენ, ბოჭო. სულ ასი მათრახი...

მისო. ბატონო, მაიას თქვენთან სამსახური არ უნდა, ერთხელ ხელი წაგიტანებია და იმიტომ.

ანდუყაფარი. აი, თურმე! მაშ ჩემს ეზოში მოწეული ნაყოფი ვინ უნდა ჩაკბიჩოს? — ყმამ? არა, იქნებ ყმამ? თქვე ტურტლიანებო, თქვენა, გაუმათრახებლად რომ ჭიჭას ვერ სწავლობთ. მოურავო, ათი მათრახი მაგასა!

(მისო ანიშნა)

მისო. (შეშფოთებული) ბატონო, სიმართლეს ვიღა გეტყვის, თუ მართლის-მთქმელს გაამათრახებ?

ანდუყაფარი. მამიჩემს რად ვერ უბედავდით ამდენ სიმართლეს, რად? მე პატარა გვონივართ?.. მოურავო, დასცხე.

ზალიკა. მიხო, წაწევი.

(შორიდან თოფის ხმა მოისმის)

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. (შექრთება, ზალიკას) მრიცა... იქ რა ამბავია?  
(აიგანზე შეხტება)

ზ ა ლ ი კ ა. (აღგილს გამოიცულის) ცხენებს მიაქროლებენ.

შემოღიან გოგო-ბიჭები, გლეხები, ყუინით და ურიამულით სერჩე შედგებიან,  
შორს იცქირებიან)

ს მ ა. ქურდი ლეკი!

ზ ა ლ ი კ ა. დიახ, ბატონო, ტყვის მტაცებელი, ქურდი!..

მ ი ს ო. ჩვენები მისდევენ.

ზ ა ლ ი კ ა. არიქა, იქნებ დაეწიოს.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. ლეკს ვინ მოსდევს?

ზ ა ლ ი კ ა. ჩვენი ბიჭებია.

ს მ ა. თქვენი ჭირიმე, ბიჭებო...

მ ი ს ო. ბატონო, ქალი!.. ქალი!.. დაწინაურდა! ლმერთს გეფიცებით ჩვენი  
მაიაა.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. (მიხოს) თუ მაიაა, ალარ გაგამათრახებ.

მ ი ს ო. ის არის, ის...

ს მ ე ბ ი. წამოეწია, არიქა...

მ ი ს ო. ბატონო, ხედავთ, თავში თოფი ჰქრა.

ს მ ე ბ ი. შენი გამჩენის ჭირიმე... ლეკს ქუდი გადააძრო... ქუდი კი არა, მთე-  
ლი ცხვარია...

ზ ა ლ ი კ ა. ...ნეტა ერთი ხმალი მაგ გოგოს მისცა, ქუდს თავიანად წააცლიდა.

ს მ ე ბ ი. ლეკი ხევში დაქანდა... ტყეს მიეფარა.

ზ ა ლ ი კ ა. ამას შეხედეთ, ლეკის ქუდს დასწვდა.

ს მ ა. ქალი კი არა, ქახია, ქახი.

გ ე ლ ა. (თავისთვის) ვაი, ჩემს თავს, ერთი ქალი მყავს ისიც ქახი!

ს მ ა. ამან თქვას, ქალი ვარო. შენი ჭირიმე, მაია!

მ ი ს ო. (ანდუყაფარს მიუბრუნდა) მოფრინაეს.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. (მიხოს) წყნარად... (შორს იცქირება) აქ დაუძახეთ, ჩემთან  
მოუხმეთ! (რომელიღაც ბიჭთაგანი გარბის).

ზ ა ლ ი კ ა. ბატონო, სულ მამიშენის ხელობაა, რომ ეს ყმაწვილი ქალი. ცხენს  
აგრე აჯირითებს.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. მამაჩემს სეირი უყვარდა.

ზ ა ლ ი კ ა. სწორედ გცოლნია, თოფის სროლაც რომ ისეთი იცის? გაფრენილ  
ქორს მოარტყამს... ღიღდ ბატონს ხშირად ვეტყოლი ხოლმე, შენს ქალსაც  
ასწავლე აგრერიგად ტაძუზე ჭდომა-მეთქი. არა ქნა, ჩემი ქალი საფრთხი-  
ლოაო. ყმის ქალი: თუ ცხენიდან გადმოვარდება, თეძოამოვარდნილიც  
კარგად ივარგებსო, გლეხის ქალის თეძო, მე შენ გეტყვი და სასახლის  
ქარზე სადარბაზოდ გამოდგებაო, ჭკვიანი იყო დიდი ბატონი.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. (აქამდე რომ შორს იყურებოდა) ხმა ჩაიწყვიტე! რამდენ-  
ჯერ გითხარით, რომ მამაჩემის სეინება მე გულვიძლს მიბრუნებს-მეთქი.

ზ ა ლ ი კ ა. ვაჭებთ და ვადიდებთ იმ ცხონებულს.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. თქვენ აგრე იცით — მკვდრებს აქებთ და იმისი ქებით ცოცხალს მაგინებთ, ღიას, კარგად ვიცი. იმას აქებთ და ჩემზე გულს იოხებთ.

ზ ა ლ ი კ ა. კვიცი გვარზე ხტისო, მამიშენისგან გამიგონია, რაც მამაო, ის შვილიო.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. წმიდა გიორგის ჯვარს ვფიცავ, თუ მამაჩემს კიდევ ახსენებ, საკირეში ჩაგამწყვდევ, ორმოცი დღეა, რაც რომ დავმარხეთ, იქნებ ჯერ არ გაცივებულა, შე ბრიყვო, შენა.

ზ ა ლ ი კ ა. ისე მტერი გაგიცივდეს, ცოცხალს ხომ მიწაში არ ჩადებდი.

ს მ ე ბ ი. მაია!.. ვაშა!..

ს მ ა. გელა, გაიხარე, ქალი შენა გყავს!

გ ე ლ ა. უბედო კაცს უკულმართ დროში ქალი შეეძინებოდა, მა რა იქნებოდა.

ს მ ე ბ ი. მაია!..

(შემოდის მაია, ცალ ხელში თოფი უჭირავს, მეორეში ცხვრის დიდი ქუდი, მის უკან ორი ახალგაზრდა შემოდის)

მ ა ი ა. მეზობლებო, თქვენი მშვიდობა!

ს მ ე ბ ი. შენ გაიხარე, მაია...

მ ა ი ა. ქუდმოგლეჭილი გაიქცა მზვერავი ლეკი.

(მიწაზე ლეკის ქუდი დაგდო)

ზ ა ლ ი კ ა. ცუდია, რომ გაიქცა.

მ ა ი ა აბა რა გვეწნა, მოურავო, ერთი ტყევია მქონდა, არ მისწედა, ლულა ჩავარტყი, ხმალი არ მქონდა, თორემ გაჩვენებდი ლეკის თავს... ბავშვების საფრთხობელად შენს სახელს იმისი თავი აჯობებდა.

(იცნიან)

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. (ახალგაზრდა კაცებს) ბედოვლათებო, ქალმა გაწობათ და მაინც გამოჩნდით?!

I. ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. ბატონო, მაიამ ფეხი ცხენზე აიღა.

II. ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. ერთი ციდა ხანჭლებით რას გავხდებოდით.

ზ ა ლ ი კ ა. გადევნება როგორდა გაბედეთ?

III. ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. (მაიაზე ანიშნებს) ამის ბრალა. (იცნიან).

გ ე ლ ა. რატომ არა გრცხვენია, გოგოვ?

მ ა ი ა. აბა რისა უნდა მრცხვენოდეს, მამა?

გ ე ლ ა. გოგო, ცხენი და თოფი რა ქალის საქმეა.

მ ა ი ა. საქართველოში თოფის სმარება მკვდარმაც კი უნდა იცოდეს; მტერი ყანაშიც კი თავს გვესხმის.

გ ე ლ ა. (უკმაყოფილოდ) ნეტავი შენ არ გამჩენოდი.

მ ა ი ა. რათა, მამა?

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. წუწკი ლეკის მღვვარი ბიჭები კი მყავს, შენ ქალის საქმე აკეთე.

მარა. ყველა ქალი რომ თითო ტყვიას გაისვრიდეს, მტრის სინსილა ჩქარა გაწყდებოდა.

ხმები. შენი სიტყვების ჭირიმე. (ისმის ზარის ხმა):

ანდუყაფარი. (ხალხს) არ გესმით ზარის ხმა? ლოცვის უამია, წადით, ღმერთს მაღლობა გადაუხადეთ, რომ ცოცხლები ხართ, წადით!

(ხალხი მიდის)

(სცენაზე რჩებიან მარა, ანდუყაფარი, ზალიკა, გელა და მიხო)

მარა. (სცენაზე მყოფი) ხალხს სალოცავად რისთვის გზავნიან? რა მოხდა?

ანდუყაფარი. მახლობელ სოფლის თავადმა ორმეტი გოგო-ბიჭი გაყიდა. (მუქარის ტონით) მყიდველი პევრია, ოსმალო, სპარსი და ლეკი ოქროს იძლევა. მე არც ერთი არ გამიყიდია, უსარგებლო ხალხით სოფელი ამიტისია.

მარა. ერეკლეს დროში კაცის გაყიდვა როგორ იქნება?

ანდუყაფარი. ყმა — ბატონისაა, მეფობა — ერეკლესი.

მარა. რაღა მეფეა, მის სამეფოში თუ ხალხს ყიდიან.

ანდუყაფარი. (მუქარით) ღმერთს მაღლობა შესწირე.

მარა. სამეფოს ხომ ყმები იცავენ?

მიხო. ამას დამიხედეთ — დედაქაცი, მარაქაში არ გაერია!?

მარა. (მიხოს) თამარი ხომ დედაქაცი იყო, შე მურდალო!

ზალიკა. გოგოვ, შენ იმასთან რა ხელი გაქვს, იდიდოს იმის სახელი.

მარა. იმის დროში ყმების გაყიდვა არ იცოდნენ...

მიხო. (ინტერესით, ბრაზმორეული) შენ საიდან იცი, ჰა?

მარა. ასე სწერია „ვეფხისტყაოსანში.“

(ანდუყაფარი ექმდე სხვაზე ფიქრობდა, ბოლთას სცემდა)

ზალიკა. შენ რა იცი, ბატონო! იმისი დრო და ჩვენი დრო განა ერთია?! ჩვენმა ბატონებმა ფულის ყალრი იციან, სწავლაც მეტი აქვთ, ვაჭრობაც ასდით. თამარის დროში კაცის გაყიდვას რას მოიფიქრებდნენ.

ანდუყაფარი. (თავმომწონედ) მამაჩემმა იმდენი ფული კი დამიტოვა, რომ ყმით ვაჭრობა არ დამჭირდება.

ზალიკა. (მარაზე მიუთითებს) ამან არ იცის, ბატონო, რომ ფული თუ შემოგელია, შენს ყმებს სულ კიტრის ფასად გაყიდი, (ანდუყაფარმა გაჯავრებული გაღმოხედა). ამან არ იცის და იმიტომ არ ეშინია.

ანდუყაფარი. ვიცი რომ არ ეშინია, მამიჩემის შემდეგ ბატონთან სამსახური დაივიწყა.

გელა. ბატონო შენი მირონის მაღლმა, ჭეელი ქალი ყმაწვილ კაცთან აბა რა სამსახურს შეძლებს.

ანდუყაფარი. ბრიყვო, ბატონის კარზე ქალის საქმეს რა გამოლევს. (გაანჩხლებული) ცოლი მე არა მყავს, ფილენჭ დედაქაცს ჩემს ლოგინს ხომ არ გავაშლევინებ.

გელა. კიდევ იტყვიან, ქალის გაჩენას ნუ დაიტორებო?

მაია. ვაი, რომ ქალი ვარ.

ანდუყაფა არი. ბიჭი რომ ყოფილიყავ, რას იზამდი?

მაია. (სხაპასხუპით) ცალი თვალით გატირებდი, ცალით კიდევ გაცინებდი.

ანდუყაფა არი. რაო?

გელა. (მაიას) ბრიყვა.. (ანდუყაფარს) მიუტევე შენი მუხლების ჭირიმე, სულ მამიშენის ბრალია, იმან გაათამამა ეს ჩემი ქალი.

ანდუყაფა არი. მამაჩემმა ყველანი გაგათავხედთ და მაიც ზურგს უკან აგინებთ, კი, მე ყველაფერი მესმოდა... ისეთ საქმეს წაგვიდებთ, თქვე წუწყებო, რომ მამიჩემის სულს გალოცინებთ — ნეტა ის ცოცხალი გვყოლოდა, ტყავს გაგხდით და იმ ტყავით მუთაქებს შევაკერგინებ. (მაიას) აქ ამოღი, ეგ თოფი მომეცი.

მაია. თოფი მამაჩემისაა.

ანდუყაფა არი. ყმას თოფი რად უნდა... თოფები და ხმლები ბევრი მაქვს, აქ ამოღი-მეთქი!

ზალიკა. (მაიას) არ გაარისხო, ადი, ნუ აყოვნებ.

(მაია აივანზე აღის)

ანდუყაფა არი. (მაიას) დარბაზი დამისუფთავე... (გელას) შენ კი, ბებერო, მოურავს წაეშველე, ე, მაგ ნამგლით ჯერ ბატონის ყანა მომკე. მე კარგად ვიცი წესი და რიგი.

გელა. დიღო ბატონო, შენი მუხლების ჭირიმე, მაიას დიღით გამოგიგზავნი, ცხენზე იჯდა და დაღლილია.

ანდუყაფა არი. მე სტუმრებს ველი.

გელა. ჩემს დედაკაცს გამოგიგზავნი.

ანდუყაფა არი. შენს დედაკაცს რა თავში ვიხლი... (მაიას) იქ შედი, დარბაზი დააკრიალე.

მაია. მამა, ნუ გეშინა, მე მალე მოვალ.

ანდუყაფა არი. (მაიას) იქ შეღი-მეთქი! (მაია ოთახში შეღის) მოურავო!..

ზალიკა. მიბრძანე, შენი ჭირიმე. (ახლოს მიიწევს).

ანდუყაფა არი. (გელაზე ანიშნებს) ე, მაგ ბებერზე თვალი გეჭიროს. უკან დაბრუნება თუ მოინდომოს, ბიჭები გააფრთხილე, შეკარით და ღილამდე საკირეში ამყოფეთ, თუ გამოგექცა, ვაი შენი ბრალი!

ზალიკა. მესმის, ბატონო.

ანდუყაფა არი. თხის ფასად გაგყიდი!

(ანდუყაფა არი ოთახში შეღის)

ზალიკა. მესმის ბატონო... წავიდეთ, გელა.

გელა. მწუხალის უამს მაია მხეცს დავუტოვო, სად წავიდე?

ზალიკა. რას ამბობ კაცო, შენი ქალი ბატონის კარზე აიზარდა, რამ და-გაფრთხო.

გელა. განსვენებულ პერძალლს მრუშობის თავი არა ჰქონდა, ეს ლაწირაკი კი მაშინ პატარა იყო.

მიხო. პატარა იყო და ხელი წაატანა.

ზ ა ლ ი კ ა. მერე, დიდმა ბატონიშვილი ხომ დატუქსა, უმწიფარ გოგოს ხელს ნუ ახლებო.

მ ი ხ ო. მაშინ უმწიფრობით გადარჩა, განა არ ვიცი... ახლა? ახლაც უმწიფარია? ცხრამეტი-ოცის იქნება.

გ ე ლ ა. ვაი, ქალის გაჩენის დღეს!

ზ ა ლ ი კ ა. ახლა რისლა გეშინია, ჩევენი ბატონი თუ დავაკაცდა, არც შენი ქალია ნაკლები, ვერ გაიგონე რა უთხრა: „ცალი თვალით გატირებდი, ცალით კიდევ გაცინებდიო.“

გ ე ლ ა. ქალის კვეხნა აბა რა მოსატანია, ქალი მაინც ქალია.

მ ი ხ ო. განა არ იცი, რომ ქალის სილამაზე ბატონის კერძია.

გ ე ლ ა. (მიხოს) ეშმაკის კერძო, მამა არა ხარ, რომ აგრე ამბობ?

მ ი ხ ო. განა არ ვიცი? ვხუმრობ.

გ ე ლ ა. სინდისზე ხუმრობა ვის ეკადრება?

მ ი ხ ო. თუ მართალს მათქმევინებ, სინდისი და ყმა ორივე პატონის საკუთრებაა, შენ უკეთ იცი, შენს ძვლებს მეტი უნახავს, განგებას ასე დაუწესებია.

გ ე ლ ა. არა, მე სხვა იმედი არ გამაჩნია... (ერთბაშად აენთება) გამიშვით!..

ზ ა ლ ი კ ა. შეჩერდი!.. (გელას შებოჭავენ) თავი ნუ მოგძულებია.

გ ე ლ ა. ამაზე მეტი თავლაფდასხმა რაღა იქნება, მშობელი მამის თვალსაწიერზე... გამიშვით-მეთქი!

(გაძალიანდება)

ზ ა ლ ი კ ა. გაჩუმდი, ყმის გაყიდვით იმუქრება, მეც შემიწყალე.

მ ი ხ ო. მიდი, ფეხი გადადგი. (ძალად უნდა გაიყვანოს).

ზ ა ლ ი კ ა. ნუ გაჯიქდი, ხმა აღარ დასძრა.

მ ი ხ ო. იქნებ არც კი შეცკადროს, უნანებელს სანაწებლად რად იხდი..

გ ე ლ ა. გული სხვას ამბობს, მამის გული!...

(გ ე ლ ა ძალად გაიყვანეს, გადიან)

(მცირე პაუზა)

(ან დუყაფარი ს სასახლიდნ ისმის ხმაური, მინის მტერევა, თითქოს დაიჭექა)

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. მიშველეთ!.. მოურავო მიშველეთ!..

(ან დუყაფარი. პარმალზე უსულოდ დეცემბრი, უცცრად კარი გაიღება, შემოდის მა ია, თმაჩამოშლილი, კაბა გაპხევია, თეთრი პერანგის გულისპირი მოუჩანს. ხელში ხანგალი შერჩენა).

მ ა ი ა. (გაშმაგებული) ვაი, რომ დედაკაცი ვარ!.. (შეშინებული) ვაიმე, თუ მოკვდა!.. (აივანზე დაგდებულ ბატონს წამით დახედა, სწრაფად გასწორდება, მაის თვალები იელვებენ) წყეულიმც იყოს ქალის გაჩენა, პატივის აყრით რომ ემუქრება მუხთალი ბედი!.. წყეულიმც იყოს ქალის კაბა, მისი ლეჩაქი!.. კაბა-ლეჩაქით თავს ვერ დაიცავს ყმა ქალი!.. (ხანგლით ორივე ნაწინავი მოიჭრა, მოჭრილ ნაწინავებს სინანულით დახედა, უმალ

უბეში შეინახა, სინათლე კლებულობს). ჩემო ქვეყანავ!.. პურის ყანებო, მინდვრის ყვავილო, ია და ვარდო ჩემი სოფლისავ. ტებილო მეზობლებო, თქვენთვის არა დამიშვებო რა, ნუ შემიძლებო, ნურც შემაჩვენებთ. (სხვა ტონით, მაგრამ მხედვი) ჩემო მართალო მაშავ, პატიოსნებას მიქადაგებდი, პატიოსნება არა კვდებაო, შენ არ მასწავლე?.. ნამუსსა და პატიოსნებას თუ მსხვერპლად დავჭირდი, ნუ დაინალებ, არ შეეპუო, პატიოსანი შეილის მამა ხარ... (მაღლა აიხედავს) მოვარევ, გუნდ-გუნდა ვარსკვლავებო, სხვა ძმობილი მე არა მყავს, გზა გამინათეთ! (სიბნელეში გაუჩინარდება).

ფ არ დ ა

### ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

ეკლესიის ნანგრევები, მოჩანს საფლავის ქვები. ერთგან ცაცხევის ნორჩი ხე გადაზნექია. ღრუბლიან ცაჲ საესე მოგარე, ხანგამოშვებით გამოანათებს, სინათლეზე კარგად მოჩანს ნანგრევები და საფლავის ქვები. ნანგრევებს გაღმა, უფსკრულში სიბნელე ჩაწოლილა. შორს მყრალად მოჩანს მთები, მათ გადაღმა — ყინულოვანი მწვერვალები. მყუდროებას ჭოტის კივილი აღლებვთ.

ისმის სიძლერა, მომღერალი ცდილობს გამხნევლეს, მაგრამ შიშის გრძნობა შექმარვია. იგი მღერის.

ქართლიდან გამოვეპარე  
ბატონს პატარა ქალიო,  
თან წამოვილე საგზლადა  
შიში და ცრემლის ღვარიო..

(შემოდის მაია, ვაჟურად ჩატული, მოკლე ნაბდით)

მ ა ი ა. (ხმას დაუდაბლებს, გარემოს ზეერავს)... შიში ზა ცრემლის ღვარიო... არაფრისაც არ მეშინია... (გასძახებს) ეჰეე!.. (შორს ექ: „ეჰეე“). ეჰეე!.. (ექ: „ეჰეე“). ჩვენ ორნი ვართ, ჩემო ქვეყანავ... სად ჭანაბაში წავიდე?.. (საფლავებს დახედავს) საფლავები! რა დროს სიკვდილია, ხალხო!.. არა, კარგი გიქნიათ, მოისვენეთ, მოისვენეთ, უკუღმართ დროში ასე ჯობს. რა სიჩუმეა. ეს თოფი, ეს ხანგალი, დამბაჩა და ესეც ხმალი. უჰ, რა მძიმეა. (სმენაგამახვილებული იმ ხეს გაჭედავს, საიდანაც ბუს ხმა ისმის) რაო ბუ?.. წადი, მამაჩემს უთხარი, შენი მაია ცოცხალია და არაფრის არ ეშინია-თქო. აბა, რას მეტყველი, საით წავიდე? ხმას ალარ იღებ. ცივა. (ერთ საფლავს ყურადღება მიაქცია, რომლის ქვა გამოქვაბულს ჰგავს). რა ბელნიერად ძინავთ, იძინეთ, უკუნითი უკუნისამდე. თუ ნებას მომცემთ თვავს შეგაფარებთ. (გამოქვაბულში შესვლას დაპირებს, შორს ლანდებს თვალი მოჰკრა)... რა უნდა იყოს?.. ლანდები?.. აქეთ მოღიან. (სად წავიდეს არ იცის). ჰეი, ღრუბლებო, მოვარეს ცოტა გადაეფარეთ, ჩემს მტრებს დაუმალეთ ჩემი გზა-კვალი.

(ჟელესის ნანგრევებს უკან გაუჩინარდა. ისმის გაწამებულ ადამიანთა ხმა, ისინი შევწესარე ხმით მღერიან: გაფრინდი შავო მერცხალო,  
ჩაჰყევ არაგვის პირსაო,  
რა ომი გაუჭირდება  
შენი დედ-მამის შვილსაო...)

შემოჰყავთ ხელებგაათვილი. სარკინეთელი ტყვე ვაჟები და რამდენიმე ქალი. მათ ოსმალები მოუძღვებიან, მათ შორის ჭემალ ვერძაქ. ყებჩაუციული, გამხდარი ტანის ჭერიმ-ალა ჩეთაურობს).

ქერი მ-ა ღ ა. შაითან გურჯ, ასეთ ღამეში შესვენება ვის გაუგია, დაუჩქარეთ. მან უ ჩ ა. ურჯულო, ძალო, სწორედ შესვენება და შეფარება გვირდება, მთვარიანი ღამეა, ქართველებმა თუ მოგაგნეს, ჩვენს თავს წაგართმევენ და თქვენს ალაპთან გაგაქროლებენ.

ქერი მ-ა ღ ა. გურჯო, მე კარგად ვიყი გურჯისტანის გზები, აბდულა-ბეგთან ლაშქარში ვიყავ, აქ ახლო სოფელი არ არის. გურჯები სოფლიდან არ გადიან, ლეკიანობაა... (იცინის) სულელი გურჯი ლექს იძახის და ოსმალო ტყვეს შოულობს, ლეკიც სულელი, ძალით ტყვის წაყვანა იქნება? გურჯის ბატონს ცოტა ფული მიეცი და გინდა მთელი სოფელი მოგყიდოს. ლეკი ყაჩალია, ოსმალო ფულით ვაჭრობს. ვაჭრობა ალაპის საქმეა. ქერიმ-ალამ რა ქნას? გურჯს ოქრო მისცა, გურჯმა ტყვე მისცა.

შან უ ჩ ა. ურჯულოებო, ქალები შეიბრალეთ, შეასვენეთ, ქანცი გაუწყდათ. ქერი ი მ - ა ღ ა. მანუჩა, შენზე ნაწყენი ვარ, შენმა თითებმა ჩემს დარაჯი თვალი მოთხარა.

(თვალახვეულ ოსმალოზე ანიშნა)

მან უ ჩ ა. ყველანი თვალებდასათხრელი ხართ, ვაი, დედასა...

(მან უ ჩ ა ს ღარაგები მისცვალებიან)

ქერი ი მ - ა ღ ა. (მანუჩას) შენს საქმეს აფუჭებ, რამდენ მეტს შეიგინებ, იმდენი შორის წახევალ.

შერმადინი. ურჯულოებო, ქალს გული მისდის, ჩქარა წყალი!

ქერი ი მ - ა ღ ა. წყალი შეიძლება, ღაალევინეთ! (ორმა დარაჯმა, მათ შორის ჭემალმა ქალს ჭამით წყალი მიაწოდა. ჭემალმა თოფი ტყვესთან დადო, ქერიმ-ალა ჭემალს) ტუტუცო, ტყვესთან თოფის დადება იქნება? (ჭემალს ხმალი შემოჰყარა სიბრტყით) რამდენჯერ გითხარი, თოფს ხელი არ შეუშვა-მეთქი. (ჭემალის თოფი ტყვეს მოულირა. ჭემალს) შევცდი, გიაურო, გურჯისტანში რომ წამოგათრიე.

(ქერი ა ლ ს თოფი დაუბრუნა)

მან უ ჩ ა. (ჭემალს) რა გქვია, გიაურო?

ქერი ა ლ ი. აჭარელი ვარ, ჭემალა მქვია.

ქერი ი მ - ა ღ ა. (ჭემალს) იქით გაეთრიე! ტყვესთან ლაპარაკი ჩემი საქმეა... ქარიყლაპია, პირი დაგილა, გშია?

ქარი ყ ლ ა პ ი ა. იქით გამცილდი, შენი...

გუგუნა. საზისლარო!..

ქერიმ-ალა. რად იგინები ბიჭო, მეორე ღამეა ერთად ვართ, ვეღარ შემეჩვივ?

გუგუნა. მარტოხელა დედა სოფელში დამრჩა, სხვა არავინ მყავს, რომ გეხვეწა ჩემს შვილთან ერთად მეც წამიყვანეო, რად არ შეუსრულე?..

ქერიმ-ალა. ბიჭო, გუგუნა, დედაშენი უკბილო ბებერია, ბებრის ფასი თრევად არა ღირს, შენ არ იცი ვაჭრობის წესი, ბებერი სტამბოლის ბაზარზე არ გადის.

მანუჩა. რას ფიქრობს ის ძალი, ქაიხოსრო დიღმელი, ერეკლე მეფემ თუ გაიგო ეს ბოროტება, ყმების გაყიდვა.

ქერიმ-ალა. გურჯი ბატონები მეფის ბრძანებებს რომ ასრულებდნენ, გურჯისტანი სუნიტების სამარე იქნებოდა. ეჭე, თქვენ უმაწვილები ხართ, არ იცით... გურჯს არც ღმერთი სწამს და არც მეფე...

მანუჩა. ურჯულო, ძალლო, ხმა ჩაიწყვიტე, ბოროტი ენით ნულარ გვწამლავ, თორემ პატარა კახის სახელს ვფიცავ, კბილებით ყელს გამოგლადრავ!

(ქერიმ-ალას კენ გაექანება, დარაჯები გადაუდგებიან, ზოგი ხმლით და ზოგი თოფით)

ქერიმ-ალა. (დარაჯებს) იქით წაიყვანეთ, შუაში ჩასვით... მაგარი ბიჭია, ავაზაა, ავაზა... (მანუჩას) შენი ფასი სტამბოლის ბაზარზე სამასი ოქროა. მანუჩა. გველო!

ქერიმ-ალა. ქერიმ-ალას შეურიგდი, სამას ოქროს ავილებ, ათ ოქროს გაჩუქებ, ალაპის მადლით (ხელებს აღაპყრობს). დიღება ალაპის!..

დარაჯები. დიღება ალაპის!..

ქერიმ-ალა. ჯემალავ, შენ რატომ არ ჰყვირი — „დიღება ალაპის“!

ქერიმ-ალა. დაძახება ვერ მოვასწარი.

მანუჩა. ფუი, თქვენს ალაპის.

ქერიმ-ალა. (გაბრაზდება) ალაპის მადლი გაგიწყრება, ქერიმ-ალა ცხენის კუდზე გამოგაბამს.

დარაჯები. ვიღაც მოდის....

(თოფს მოიმარჯვებს)

ქერიმ-ალა. (გასძახებს) ეჭე, რომელი ხარ?

ქაიხოსრო. (შემოდის) ქერიმ-ალა, ქაიხოსრო ვარ, დიღმელი.

ქერიმ-ალა. გურჯო, რა მოგსელია?!.. ამ სიშორეზე სად მომაგენი?..

ქაიხოსრო. გზები ხომ მე გაჩვენე. ქერიმ-ალა, ფუი შენს კაცობას.

ტყვეები. ქაიხოსრო!..

მანუჩა. ქაიხოსრო, ქვეყნის სამართალს რა პასუხს აძლევ, რომ ქართველი ქართველებს ყიდი.

ტყვეები. ქაიხოსრო!..

ქაიხოსრო. (ტყვეებს) ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ აქ ჩაგაძალლებთ და პმ ნასოფლარში ჩაგამარხავთ ყველას... ქერიმ-ალა, შევარცხვინე შენი კაცობა.

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. გურჯო, რისთვის მაგინებ. ოქრო მოგეცი, სხვა რაღა გინდა? ქ ა ი ხ ო ს რ ო. რა ოქრო მომეცი, შე მურდალო, ათი ოქრო ნაკლები მოგიცია.

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. ათი ოქრო ნაკლები, მე?!

ქ ა ი ხ ო ს რ ო. დიახ, შენ... გაიძვერა ხარ, თურქო, მაშინ ოქროს ღასათვლელად რომ არ მცალოდა, კარგად იცოდი, ქისა გავხსენი და რაღას ვხედავ, — ათი ოქრო ნაკლები მოგიცა... ოჩი ყმა უფულოდ მიგყავს.

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. თითო ტყვეზე თითო ოქრო დაგაკელი. რა ვაჭრობაა, თუ არ ღაუკლებ.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. არა-მეთქი, თავიდან გითხარი. ათი ოქრო ჩამოდი, ჩქარა!

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. ათი ოქროსათვის მთა გადმოიარე?

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ჯანაბის კარამდე მიგყვებოდი, უნამუსო კაცი მე მეგავრება.

მ ა ნ უ ჩ ა. (ქაიხოსროს) ფური, შენც თუ ნამუსზე გეთქმის, ძალლო.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ძალლს ძალლური სიკვდილი...

(დამბაჩა ესროლა)

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. (ქაიხოსროს დამბაჩაზე ხმალი აუკრა, ღამჭაჩა ჰაერში ვა-ვარდა) გურჯო, მანუჩა ჩემია!.. აქ გასროლა როგორ იქნება, ღამბაჩის ხმა სოფელს მისწვდება.

(გამოჩენდება მ ა ი ა)

ქ ა ი ხ ო ს რ ო. (ქერიმ-აღას) ათი ოქრო ჩამოდი, შე წუწკო, შენა...

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. სტამბოლის ბაზრამდე ამათი რჩენა ათი ოქრო არა ღირს?

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ფეხებზეც არა მციდია მაგათი რჩენა! ქერისა და სიმინდის მეტს რას მისცემ, ე, მაგ ძალლებს, რომ ათ ოქროს ანგარიშობ?!

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. მჭლე ბიჭებია, ამათი ხორცის შებმას ათი ოქროც არ ეყოფა.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ვინ არის მჭლე?.. (გასძახებს) მანუჩა!.. სარკინეთელო!..

მ ა ნ უ ჩ ა. რაო, ქაიხოსრო?

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ფეხზე დადექი... (ქერიმ-აღას) ეს არის მჭლე? ხელი რომ შეუხსნა, შენ და შენს მხლებლებს ერთად გაგთოვავს... (მანუჩას) მკლავი აჩვენე, ამ თათარს!

მ ა ნ უ ჩ ა. ხელები შემიხსენი, ქაიხოსრო!

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. ხელის შეხსნა როგორ იქნება, ოთხმა კაცმა ძლივს შეკრა.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ქერიმ-აღა, თუ მშვიდობა გინდა, ათი ოქრო-მეთქი!

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. ათი ოქრო იმაში გამოდი, რომ ამის შებოჭვაზე ჩემმა მხლებელმა თვალი ამბიგდო.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ქერიმ-აღა, ათი ოქრო ოსმალოს წირპლიანი თვალი? — რაებს მიჰქარავ.

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. მთელი ცხოვრება ალაპს ცალი თვალით უცქიროს? გურჯო, რას ამბობ!

ქ ა ი ხ ო ს რ ო. (ცალთვალა დარაჯზე ანიშნა) ეს ბინძური ცალი თვალით მანუც უყურებს, (მანუჩაზე მიუთითა) ამან რა ჰქნას? ქრისტიანმა კაცმა მაპმაღის ქვეყანაში ორივე თვალით ალაპს უცქიროს, ქრისტიანი კაცი-სთვის ეს სასჯელი ათ ოქროდ არა ღირს?

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. შენი ანგარიშით, ათ ოქროს მანუჩას აძლევ?..

ქ ა ი ხ ო ს რ ო. მანუჩას რად მივცემ?! — მისმა ცოდვილმა ბატონშია ქრისტე-  
ლმერთს სანთელი უნდა დავუნთო, სულის გაშენდას ოქრო სჭირდება.

მ ა ნ უ ჩ ა. ქაიხოსრო, საღ გაგონილა ქრისტიანების ქვეყანაში ეკლესია  
ძალისი სულს წმენდდეს?..

ქ ა ი ხ ო ს რ ო. არ გაპატიებ, ყმის ლეკვო!.. (ხმალს იშიშვლებს).

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. შაითან, (დარაჯებს) შეკარით, გიურ თავადი.

(დარაჯები ნაბიჯს გადადგამენ)

ქ ა ი ხ ო ს რ ო. (დარაჯებს) შეჩერდით! მაპმადის ტილებო, თუ ჩაძალლება  
არ მოგნატრებიათ!..

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. ქაიხოსრო, აპა, ხუთი ოქრო.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ათი-მეთქი!

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. ექვსი.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ათი!

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. შვილი.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ათი!

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. აპა, არც შენი სიტყვა, არც ჩემი, — ცხრა ოქრო.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ათი-მეთქი!

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. (დარაჯებს) შეპკარით, ეგ აეაზა. (ქაიხოსროს) შენი ფასი  
სტამბოლის ბაზარზე ასი ოქროა...

ქ ა ი ხ ო ს რ ო. შე წუწკო, ძალლო შენა...

(ქ ე რ ი მ - ა ღ ა ს ხმლით შეებმება, დარაჯები აირევიან, ტყვეები ადგილს  
ინაცვლებენ, დარაჯებმა ალარ იციან ტყვეებს ულარაკონ, თუ ქერიმ-ალას მი-  
ეშველონ)

მ ა ი ა. (ყვირის) ეპეე!.. ბიჭებო, აქედან შემოუარეთ, ზოგმა იქიდან დაჭკა-  
რით!..

(თოფს ისერის, ქ ე რ ი მ - ა ღ ა ს მუხლში ტყვია მოხვდება, სიმწარისაგან მიწაზე  
კოტრიალობს)

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. შაითან გურჯ... (ხმალი გაუვარდება)

(მ ა ი ა გამოჩნდება)

მ ა ი ა. ერეკლე მეფის ბრძანებით, ხელები მაღლა!..

(დამბახა გაისროლა, რომელიდაც დარაჯი ღმულით სიბნელეში შთაინთქა.  
დარაჯები აირევიან, გვეალმა ღრი იხელთა. ყამ-დანით მანუჩას ხელები გაუსწ-  
ნა, დანა მანუჩას მისცა, მანუჩა თავის მხრივ სხვა ტყვეებს ათვისუფლებს)

დ ა რ ა ჯ ი. (ჯემალის მოქმედებას თვალი შეასწრო) ჯემალავ, გიაურო!

(დარაჯს ჯ ე მ ა ლ მ ა მოასწრო, კონდახი ჩარტყა. დარაჯი უფსკრულში ჩაეშვა  
ღრიალით)

მ ა ი ა. ქაიხოსრო დილმელო, ერეკლე მეფის ბრძანებით ხმალი დააგდე! (ქაი-  
ხოსრო შეყოყმანდება). ხმალი, ან გულში ტყვია!

(მ ა ი ა მ დამბახა გაისროლა, ცერალ)

ქაი ხოსრო. აპა, დაუგდე. (ხმალი მაიას ფერხთით დააგდო).

მაია. (ვითომ ვინშეს ეძახის) ეჭეე!..

მანუ ჩა. პატარა კახის ყივილზე აქა ვართ!..

(მანუ ჩამ და სხვა ტყველყოფილებმა დარაჯებს იარაღი აჰყარეს)

მაია. აბა ბიჭებო, დაჭკათ მაგათა, ყველამ იარაღი კარგად აისხით!

მანუ ჩა. იარაღი ასხმულია... (დარაჯებს) აბა, ალაპის ჭინჯებო, აქეთ მოქუნდით-მეთქი! (ჯემალს) შენ, გიაურს რომ გეძახიან. აქ მომეშველე.

(დალაჩრებულ დარაჯებს თავს მოუყრია)

შერიმ-აღა. ვაი, მუხლი, მუხლში ტყვია, მუხლში ცეცხლი...

მანუ ჩა. ცეცხლს გაგინელებ..., აბა ბიჭებო, ეკლესიის უკან, ხრამში გადაუძახეთ.

მაია. შეჩერდით, ვინ მოგცათ ნება?! თათარო, შენი სახელი?

ქერიმ-აღა. ქერიმ-აღა, ვაზირო,

მაია. ვეზირს მოგცემ, მე შენ... (შერმადინს და ქალებს) ამ ურჯულოს მუხლი მობანეთ, კარგად შეუხვიეთ.

(დავალებას ასრულებენ. ქერიმ-აღა გვერდზე გაჰყავთ)

მანუ ჩა. მაჭმაღის ძალლს უუმჯურნალოთ?..

მაია. მაგ ძალლმა, გათენებიდან საღამომდე ფეხით უნდა იჩბინოს... (ქაინ ხოსროს) ქაინხოსრო დიღმელო, დიღო თავადო, ათი ოქრო დაგაკლეს? (მანუ ჩას) ეს წუწყი მაგრად გათოქეთ, მის ცხენს გამოაბით.

(ტყველყოფილები დავალების შესრულებას მოინდომებენ)

ქაი ხოსრო. ხელი არ მახლოთ, მე ბატონი ვარ!..

მაია. შენ ის ბატონი ხარ, საქართველოს რომ ოქროზე ყილი... შენ ამ თათარზე საზიზლარი ხარ, ის მყიდველია, შენ გამყიდველი!

ქაი ხოსრო. საღ არის ერეკლეს რაზმი, თუ შეპყრობაა, მისი დასტური მაჩვენეთ.

მაია. ერეკლეს რაზმი?.. აპა, ერეკლეს რაზმი.

(ტყველყოფილებზე. ანიშნა)

ქაი ხოსრო. დასტური-მეთქი!

მარა. დასტური? — საქართველოს სასიკეთოდ ჩემი დასტურიც საკმარისია!

ქაი ხოსრო. ქერიმ-აღა, მოგვატუსეს!

მაია. ქვეყნის მტერთან კვლავ კავშირს ეძებ? — ძალლის კუდს სამარე გაასწორებს. (მანუ ჩას და სხვებს) ბიჭებო, თოფები დასცხეთ ამ ვერაგს, წამო. აქციეთ და მანამ ბეგვეთ, სანამ ყიშმირივით დარბილდებოდეს.

(განკარგულებას ასრულებენ)

ქაი სოს რო. (მიწაზე დაგორებული) პოი, ქრისტე ღმერთო, ერეკლეს  
ღროში ღიღებულ თავადს ყმები ურტყამენ.

მაია. ღმერთს პატიება სოხოვე, გველაძუა ქაიხოსრო!

ქაი სოს რო. (ტყვედყოფილებს) მეყოფა, როგორც მეტყვით, ისე მო-  
ვიქცევი.

მაია. თუ დარბილდა, აქმარეთ. (ცემა შეწყვიტეს. ქაიხოსროს) ეგ ჩექმა გაი-  
ხადე, ჩეარა... აქ მომე... (ჯარიყლაპიამ ქაიხოსროს ჩექმა გახადა, მაიას  
წინ დაუყარა) შენსას ჩავიცვამ, შენსას კი არა, გლეხის ოფლით მონაგარს  
(ფეხსაცმელს იცვამს). ღიღი ფეხი გქონია, მაგრამ მათბობს.

ქაი სოს რო. მე რა ჩავიცვა?

მაია. ის, რაც შენს ყმებს აცვიათ. (მანუჩას) ქაიხოსრო ცხენს გამოაბით..

ქაი სოს რო. ცხენსო?

მაია. (მანუჩას) თავადს ქუდი მოხადე, შენ დაიხურე... შენი ქუდი თავადს  
დაპხურე... (მანუჩამ ქუდები გაცვალა) ასე, ბიჭებო, გასწორდა ყმა და  
ბატონი. (იცინის. ტყვედყოფილებიც იცინიან) ქაიხოსრო, გზაში ურჩობა  
თუ შეგამჩნიე, ქალის კაბა მაქვს წამოლებული, იმას ჩაგაცმევ, ჯვარზე  
გაგაკრავ.

ქერიმ - ალა. ვაი, მუხლი...

მაია. (მანუჩას) ქერიმ-ალა შენს ცხენს გამოაბი.

მანუ ჩა. ცხენი სადა მყავს, ძმაო.

მაია. (თავისთვის) ძმაოო... ქერიმ-ალას ცხენი შენია, შენი სახელი?

მანუ ჩა. მანუჩა მქვია, სარკინეთელი გახლავარ.

მაია. ძლიერ კარგია, მომწონს შენი სახელი, სარკინეთელო, ჩემს ბრძანებას,  
შეასრულებ ისე, როგორც დავით სოსლანი თამარ დედოფლის...

(მიხედა, რომ ცუდად თქვა)

მანუ ჩა. რატომ დედოფლისა, თქვენ ჩემი მეფე ხართ.

მაია. ღიახ, რა შუაშია დედოფალი. (ტყვედყოფილ ქალებს) დედაკაცებო,  
ცხენზე ჭდომა თუ შეგიძლიათ?

ქალები. შევძლებთ, ძმაო.

მაია. ჰმ, ძმაო... შეჭექით. აბა, ცხენებზე... ურჯულოებს გზაში ურჩობა თუ  
შეამჩნიოთ, არ დაზოგოთ.

ქაი სოს რო. ჩემი ყმის ქუდს მე არ დავიხურავ.

(ქუდი გადაგდო)

მაია. მანუჩა, ქერიმ-ალას ქუდი შენს ბატონს დაპხურე.

ქაი სოს რო. (შეშფოთებული) თათრის ქუდი?

მაია. დაიხურე, ყეენს ჰგავხარ, შენ ხომ ყეენის ძალლი ხარ, ოქროზე მსა-  
ხური ძალლი.

(მანუ ჩა მ ქერიმ-ალას ქუდი ქაიხოსროს დაახურა)

ქერიმ - ალა. ვაზირო, მაკმადიანი კაცი შიშველი თავით — სიკვდილია.

მაი ა. ალაპი გადმოხედავს მისი შვილის უნამუსო თავს, იქნებ გიშველოს... (მანუჩას) სარკინეთელო, წავიდეთ!.. ქაიხოსრო, თუ გაჭიქება შეგამნიე, ქალის კაბა და ჯვარზე ცმა არ აგცდება, კარგად დაიხსომე... ბიჭებო! (ხელი გაიშვირა) ამ მთებს და ველებს სიძლერა ჰშვენის, ტყვედყოფნისას რომ აკვნესებდით, ის იძლერეთ, ისე ლალად, ვით ლალია ჩვენი ქვეყანა.

მანუ ჩ. სად მივდივართ?..

შაი ა. ერეკლე მეფესთან!..

ტყვედყოფი ფი ბ. ი. (აღმაფრენით) ერეკლე მეფესთან!..

(ტყვედყოფილებს ოსმალები და ქაიხოსრო ვაჟყავთ).

### ფარდა

შავთვალა, ტანით ბრგვ გოგობ  
ჩაიცვა ვაჟკაცურადა,  
ოთვ-იარაღი აისხა,  
იქცევა მამაცურადა.  
პატარი ქახსა ეახლა,  
რა კარგი სანახავია...  
ხირიმი შეატრიალა,  
დაბლა დაუკრა თავია...  
„მაის და ერეკლეს შეხვედრა“).  
(ხალხური)

### მომენდება მეორე

#### სურათი მესამე

ერეკლე მეფის სასახლე თბილისში. საღამოა, ქალაქს ჩირალინები ანათებს, მაღალი კი- ბით ამილახვარი ჩამოდის, მას უკან ბარათა მოსდევს.

ბარათა. (შეშფოთებული) რუსთა მეფესთან ელჩებს გზავნის ამილახვარი, რუსეთის ძლიერებას ვერ ჩასწვდომიხარ. თეთრი მეფე იმას მიაღწევს, რაც ერეკლეს სინამდვილედ ვერ უქცევია. სამთავროებს გაუუქმებს, საერისთაოებს მოსპობს, საქართველოს ერთმართველის ხელი წარმართავს, ბატონიუმობას რუსის ხელით მოსპობს ერეკლე... (მღუმარე ამილახვარს წინ დაუდგება) თავაღობის უბედობის ნათლად მხედველმა რად არ ურჩიე მეფის თათბირს, რომ რუსთა მეფესთან კავშირი ნააღრევია. რად დაეთანებე?

ამილახვარი. ბარათავ, მეფის თათბირს ღიმილით თავს ვუქნევდი, რომ ჩემი მღელვარება დამეფარება, ღრმად ჩამემარხა. მას თათბირი უყვარს, მოსმენაც იცის, წაქეზებაც სჩვევია ხშირად, რომ შეუცდომლად მოიქნიოს ბასრი მახვილი.

ბარათა. მღელვარებას რა დააოკებს?..

ამილახვარი. მეფის სიკვდილი.

ბარათა. (მღელვარება გაუნელდა) მეფის?!

- ამილახვარი. თავადო, სიკედილის გაგონებამ ხომ არ შეგაურთო? ბარათა. არა, შიშის ვინ იტყვოდა, ძალა რომ გვქონდეს.
- ამილახვარი. ღიდი ძალა თგვად სიდიდით საშიშარია, ბევრი ასეთი ძალა და შეთქმულება ერეკლემ მოსპო, გააცამტვერა. აქ სამი კაცი საქმარისია. ბარათა. სამი კაცი?
- ამილახვარი. ღიდისა და უძლეველ სპილოს სასიკედილო ჭრილობას თაგვი აყენებს.

(სასახლის კიბეზე გუბაზი გამოჩნდება. დაბლა ჩამოდის)

- გუბაზი. თავადიშვილნო, რად მიატოვეთ მუფის დარბაზი?
- ამილახვარი. მეფე რას ამბობს?
- გუბაზი. მუდმივი ჭარის გაძლიერებას ქადაგებს, ვეღარ გავუძელ... თუ მეფობა ითავა, ჭარიც თვითონ გააძლიეროს. მან მეფოს და მე ყმება ვაძლიო? არა! სადაური ანგარიშია.
- ამილახვარი. ჩუმად, ბახუსი შენთვის საწამლავია.
- გუბაზი. ბახუსი არა, ამილახვარო, მე კახის მეფობა მწამლავს.
- ამილახვარი. (შეშინებული) ყველას დაგვლუპავ.
- გუბაზი. ამ ჩემს ფეხებს...

(ცასონოდ მიეგდება)

- ამილახვარი. თავადო!..
- გუბაზი. (ენერგიულად) მეფე ერეკლე! — მთელი ხალხი ამას იძახის, ვითომ სხვა მეფე საქართველოში არ ყოფილიყოს.
- ამილახვარი. რა გალრიალებს, თავადიშვილო!
- გუბაზი. რუსის ხელში რომ ჩაგვყრის, პირველი შენ იღრიალებ, მაგრამ გვიანდა იქნება!
- ამილახვარი. ვერ მოესწრება!
- გუბაზი. ჩვენს ყმებს მუდმივ ლაშქარში ერეკება. ვისი იმედი გაქვთ? ირანის დაკავშირი ლომი დიდ რუსეთს რაღაც შეჰქედავს... (იყვირება) კი, მოესწრება!
- ამილახვარი. ჩუმად, არ გეკაღრებათ!
- გუბაზი. (გამომწვევად) სომხის ვაჭრებსაც რომ იბარებს, მათთან ჩურჩულებს!
- ბარათა. პაოსი და ქართლისი ძმები იყვნენო. ამ საფუძვლით ვაჭარს მეგობრობს.
- გუბაზი. და მე, წარჩინებულ თავადიშვილს, სიძობაზე უარი მითხრა.
- ამილახვარი. უგვარო ხალხით აავსო სასახლის კარი.
- ბარათა. ხალხი გლეხობააო.
- გუბაზი. (გამომწვევად) თავადიშვილი ვირები ხართო.
- ამილახვარი. მეტისმეტია, ასე არ უთქვამს.
- გუბაზი. თუ დასჭირდება ამასაც იტყვის.

ამილახ ვარი. გუბაზ, ზეღმეტად ლაყბობს...

გუბაზი. საქმე მიბრძანე, მე ჩემი ხმლით არ დავაყოვნებ.

ამილახ ვარი. შენს ხმალს ჩემი განზრახვა სჯობს.

გუბაზი. თქვა!

ამილახ ვარი. (განსაკუთრებული სიფრთხილით) არაქსის გაღმა ყიზილ-ბაშთ სარდალი ჩემს უსტარს ელოდება. ყიზილბაშმა უნდა იცოდეს, ერეკლე რუსთა ხელმწიფესთან სამეგობროდ ელჩებს რომ გზავნის... ელჩების წასვლა რუსთა მხედრობის საქართველოში დასახლებას ისახავს მისნად. ჩრდილოეთიდან ჭიშკრის მორლვევის ირანის მთვლემარე ლომი უსისხლოდ არ დათმობს, თბილის დალაშქრავს, მისი მახვილი ელჩებს მისწვდება, ვიდრე ისინი რუსეთის ტრამალებს გადალახავენ.

გუბაზი. (ენერგიულად) ასეთი უსტარი, ერეკლეს ხმალზე ბასრია. მზადა ვარ, თუნდაც დღესვე მიბრძან.

ამილახ ვარი. შენ ვერ წახვალ, ოდნავი ეჭვიც დამლუბველია.

გუბაზი. მაშ ვინ?

ამილახ ვარი. სანდო კაცის იპოვი, რომლის გზა-კვალს არავინ ზომავს.

გუბაზი. სანდო კაცის პოვნა ძნელი საქმეა.

ამილახ ვარი. ნდობა არ კმარა, ვაჟყაცობაც თან უნდა ახლდეს. უსტარის მიმტანმა სიკვდილი და სიცოცხლე ერთ თოფრაში უნდა შეხვიოს.

გუბაზი. ერეკლეს ვანანებ, რომ სიძობაზე უარი მითხრა.

ამილახ ვარი. სიძობაზე თუ ტანხმობა მოგცა?..

გუბაზი. პირადი შური მახალისებს, განა ვერ ხვდები ამილახვარო?.. (ხელს გაიშვერს) შეხედეთ, დატკბით, მეფის გამარჯვებას ხალხი ზეიმობს. შურისძიების ცეცხლს ეს უფრო მიღვივებს.

ბარათა. გუშინ ბრძოლის ველიდან დაბრუნდა გამარჯვებული, დღეს თათბირი აქვს.

ამილახ ვარი. ძვალს არ ასვენებს.

გუბაზი. (შორს იცქირება) სულ ხელოსნების ბრალია ეს ჩირალდნები.

ამილახ ვარი. ხელოსნა ხალხმა იცის, რა მოუხდება მათ მეფეს, მაგრამ ერეკლემ ის კი არ იცის... თავს რომ მოსჭრიან, იგივე ხალხი სხვა მეფეს ლოცვა-კურთხევით შეეგებდა. ხალხი სასეიროდ მიცლილი პრბოა.

ბარათა. თავაღიშვილნო, იქით გახედეთ, ის რაღა მოდის, ყენობაა?!

გუბაზი. ყენი ჯვარსე გაუქრავთ.

ამილახ ვარი. ყიზილბაშური ქუდები მთელ გუნდსა პხურავს. როგორ, მთელი ქალაქი გაყენდა, თუ რა ამბავია?

გუბაზი. უარესს მოესწრებით...

ბარათა. თავაღიშვილნო, აქ სხვა ამბავია, ოსმალები! – მცველები ახლავთ.

ამილახ ვარი. (გაფაციცებით თვალს ადევნებს) რა უნდა იყოს... მეფესთან მოდიან.

(ისმის მგზავრული მსუბუქ ჰანგზე, მაიას ხმა გამოიჩინა, მლერიან:  
 სანთლის გუთან ავაშენებ,  
 შეგ შევაბამ ულელ დევსა;  
 ზღვაში ცხნავ და ზღვაში ვთესავ,  
 ხმელზე ვინაღირებ თევზსა;  
 ყინულზე კალოს გავლეწავ,  
 მორევში ვინხავ ქერსა,  
 ჭინჭველას გოლორს ავიდებ,  
 კამერებს დავუყრი ბზესა...).

გუბაზი. სედავთ, პირტიტველა ბიჭი მოუძლვება, თავადურად ყელი  
 მოუდერია.

ბარათა. (მორს იცქირება) კარგი ცხენია.

ამილახვარი. (გასძახებს) ჰეი, დარაჯნო!.. სასახლის კარი მაგრად ჩაკე-  
 ტეთ, საეჭვო ხალხი სასახლეს მოედინება (რკინის ჩაქენიანი ორი დარაჯი  
 გამოდის. მოქმედებენ).

გუბაზი. აბა, თუ გესმის რა ბრძანებას აძლევ, საეჭვო და ოხერი ჩვენთ-  
 ვის ყველა სასიკეთოა. ამილახვარო, მშიშარა ხარ!

ამილახვარი. არ გეკადრებათ ეგ სითამამე.

გუბაზი. მეფის სამტროლ შეთქმულს მოკრძალება არ მევალება (სიმღე-  
 რის ხმა ძლიერდება).

გაიას ხმა. ეპეე!.. სასახლის კარი გააღეთ, მოგვყავს მამალი ხოხობი...

ამილახვარი. (განცვითორებული) ჰოი, ამას რას ვხედავ, თვალი მატყუებს  
 თუ ნამდვილია, თავადიშვილი გვარზე გაუკრავთ, გუბაზ!.. ბარათა!..  
 მეორედ მოსვლის უამია.

ბარათა. თვალი გატყუებს (შემოდის სახლთუხუცესი).

ამილახვარი. ყველა წმინდანს ვფიცავ, ქაიხოსროა!..

სახლთუხუცესი. რა აშბავია, სასახლის კარზე ვინ ხმაურობს, ვინ არ-  
 ღვევს წესრიგს?

(გაიას ამალის სიმღერის ხმა ძლიერდება)

ამილახვარი. სახლთუხუცესო, მეორედ მოსვლის უამია სწორედ. თავა-  
 დიშვილი გაუთოკიათ.

სახლთუხუცესი. (გახედავს) ურჯულოც გათოყილია. (გასძახებს) ჰეი,  
 დარაჯნო, ფართოდ გააღეთ სასახლის კარი!

(შემოდის გაიას)

გაიას. (მხიარულ გუნებაზე) ეპეე, მოგვყავს მამალი ხოხობი!..

(თოკი: ექაჩება, რომელზეც ქაიხოსროა გამობმული, ქაიხოსროს გაშლილი შელა-  
 ვები მსხვილი თოკით სარზე აქვს მიყრული, ქალის კაბა აცვა, მას უკან მოჰყე-  
 ბა ქერიმ-ალა. ძლიერ კოჭლობს, მას უკან გათოყილი სმალები და ბოლოს  
 ტკედყოფილები).

ქაისოსრო: ვაი, შერცხვენავ... დედაქაცის კაბაში...

(დაბმული მხეცივით ილრინება)

ამილა ა ხ ვ ა რ ი. ქაიხოსრო, თავადო, ამას რას მოვესწარ, ამ ყაჩაღებში როგორ გაეგი?

მ ა ი ა. (ამილახვარს) თავადო, სასახლის კარზე ყაჩაღები რამდენი იცი?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ხმა, შე თავხედო ბიჭო...

მ ა ი ა. ჰმ, ბიჭო...

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მაშ, თავადი არ იქნები ამის ჩამდენი.

მ ა ი ა. ცხადია, არა... გთხოვთ ერეკლე მეფეს წარუდგინოთ ჩემი დასტა — ჩემი რაზმი..

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მეფეს თქვენთვის არა სცალიან.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. ამილახვარო, სახლთუხუცესმა გაარიგოს..

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. (გაშმაგებული) სახლთუხუცესო, თავადიშვილი ქალის კაბაშია!..

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. მომიტევეთ. (მაიას) ჭაბუკო, მეფესთან თქვენ რა გესაქმებათ?

მ ა ი ა. აი, ამ თავადს (ქაიხოსროზე აჩვენებს) განაჩენი გამოუტანოს.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. მეფეს არა სცალია, გუშინ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან, ჩვენ განვსჯით მტყუანს და მართალს.

მ ა ი ა. მართალი და მტყუანი განსჯილი გახლავთ, მეფური სიტყვა ერეკლესია.

ვ უ ბ ა ზ ი. (ამილახვარს) ისე ამბობს, ვითომ ერეკლე ამის ძმაკაცი იყოს.

მ ა ი ა. სხვა ძმაკაცი აბა სადა გეყავს?.. (თავის რაზმს) დიდება მეფეს!..

ტ ყ ვ ე დ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი. მეფეს დიდება!..

მ ა ი ა. (გათოქილ ოსმალებს) თქვენც დაიყვირეთ, იქნებ სული შეგინარჩუნოთ დიდება მეფეს!

ყ ვ ე ლ ა ნ ი. დიდება მეფეს!..

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. (მოთმინებადაკარგული) რა გაღრიალებთ!..

ქ ე რ ი მ - ა ღ ა. ალაპ, ვაი, მუხლი.

მ ა ი ა. კვლავ, კიდევ ერთხელ: ათი ათასი გამარჯვება მეფე ერეკლეს:

ტ ყ ვ ე დ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი. ათი ათასი გამარჯვება მეფე ერეკლეს!..

გ უ ბ ა ზ ი. (ანგარიშმოუცემლად, მაიას მიმართ) რა ლამაზი ბიჭია...

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. თავადიშვილი გამოხსენით, სასლოიუხუცესო, მთელ თავალობას თავს ლაფი გვესხმის...

მ ა ნ უ ჩ ა. (ამილახვარს წინ აღუდგება) სელი არ ახლოთ, თვით მეფემ ბრძანოს.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ხალხის ბრძო სასახლის კარზე რაებსა ბედაეს!..

მ ა ი ა. ბრძო!.. რათა ბრძო?!.. ჩვენ მეფის კანონით შევიპყარით წუწეა ბატონი.

გ უ ბ ა ზ ი. ხალხო, ნუთუ არ გესმით, კანონის ძალით თავადს ქალის კაბახაცვეს, მაცხოვარს ვფიცავ, ე, იმ კანონით ქუდის მაგიერ ქალის საცვალს დაგვახურავენ.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. თავადიშვილნო, სასახლის კარზე წესისამებრ სი-დინჯე გმართებთ.

ბარათ ა. რაღა სიღინჯე, სახლთუხუცესო, მეფის კანონით ბრძოს რისხვა ისმის.

ამილა ხ ვარი. სახლთუხუცესო, ნუღა აყოვნები, უბრძანეთ დარაჯა... გამარჯვებულ მეფეს ეს ბინძურები საზეიმო ხალისს წაუხდენენ... ჰეი, დარაჯნო, შეიძყარით ეს ყაჩაღები.

(დარაჯები გამოჩნდებიან)

სახლთუხუცესი. (მკაცრად, ყვირის) ამილახვარო, როგორ ბედავთ, ამ ბრძანებისათვის მეფის რისხვა თავს დაგატყდება.

ამილა ხ ვარი. მე, მეფეს ვიცავ, მისი ღირსება მცარნახებს.

მაია. (ამილახვარს და მისთანებს) თუ მეფეს იცავთ და ერეკლე ნამდვილად გიყვართ, მის მზეს გაფიცებთ, დაიძახეთ — დიდება მეფეს!..

ტყვედუო ილები. დიდება მეფეს!..

მაია. (ამილახვარს) მეფე გვიყვარსო და მის საღიღებელს კი არ იძახით. მის ღირსებას სპეტაკი გვლით თუ მართლა იცავთ, ჩვენი ქვეყნის ამ გაწამებულ შვილებს შეგვაწიო თქვენი ძახილი... (მკაცრად, მთელი ხმით) დაიძახეთ: — დიდება მეფეს!..

ყველანი. (მათ შორის შეთქმული თავადები, რომლებმაც ერეკლეს თვალი შეასწრეს) დიდება მეფეს!..

(სასახლის ზედა კარიდან გამოდის ერეკლე, სპასალარით და სხვა პირთა თანხლებით, ერეკლე ჭიბუჟი ჩამოინაცელებს)

ერეკლე. რა ამბავია, რად შეყრილხართ, ჩემო შვილებო?..

შაია. ერეკლე მეფეს უმდაბლესი ჩვენი სალამი.

ტყვედუო ფილები. დიდება მეფეს!..

ერეკლე. ოსმალები, ეგ ჯვარცმული ქართველი კაცი, იარაღსმული თვალ-ტანადი კარგი ბიჭები, რას მაუწყებთ?.. სახლთუხუცესო, დაიწყე.

სახლთუხუცესი. ჩვენო მეფევ, დიდებულო, ჯერ ვერაფერი გამირკვევია, ეს წამია სასახლეში რომ შემოვიდნენ.

ამილა ხ ვარი. მომიტევეთ დიდო მეფევ, ჩვენო პატრიონი! ამ ყაჩაღების ბრძომ თავადიშვილი ქაიხოსრო დიღმელი გათოკა, დედაკაცის კაბით მთელი ქვეყანა შემოატარა.

ერეკლე. კარგად არ მესმის, რისთვის? ვინ ითავა, ან ეს ოსმალები ვინ მორექა?

შაია. (თავდახრილი, მოწიწებით წარდგება მეფის წინაშე) დიდო მეფეო, მე მოვრეკე ურჯულოები, თავადიც ჩემი ტყვე არის და სასჯელად ქალის კაბა მევე ჩავაცი, მოვექეც ისე, როგორც საქართველოს მეფე, პატარა კახი, მოექცეოდა თავის ხალხის მტერს, თქვენი სახელით. ჩავიდინე ეს სითამაშე.

ერეკლე. რად მოექეც აგრე სასტიკად?

შაია. ამ ვერაგმა, ქაიხოსრო დიღმელმა, ერეკლე მეფის კანონდასტური ურჯულო ვაჭრის სასაცილო გახადა, თქვენი სამეფოს შვილებს — სა-

ქართველოს ლაშქარს რომ შეაღგენს, გროშებზე ყიდდა. მაშინ მოვუს-წარ, როცა ტყვის ვაჭართან ოქროს გულისათვის ცეცხლსა აფრქვევ-და, ქისას აესებდა.

(მეფისათვის შესამჩნევ ადგილზე ქისა დაღო)

აქედან შორს, ეკლესიის ნაგრევებში, ურჯულოებს, მეფევ შენი სახელით ხმალ-ხანგალი დავაყრევინ, მოლალატე თავადი და ოსმალო შენს ფერ-ხთით დავყარე, ტყვედყოფილებიც აქ მოვრევე... შენს მსჯავრს მოველა. ერეკლე. ქაიხოსრო დიღმელო, მართალს ამბობს ეს ბიჭი? („ბიჭის“ გაგო-ნებაზე მაია ერევლეს ახედავს).

ქაიხოსრო. (თავჩაღუნული, უტიფრად) დიდო მეფეო, მე ჩემი საკუთრე-ბა მივყიდე თათარს, მეფისათვის არა წამირთმევია.

ერეკლე. მეფის დარბაზმა ყმით ვაჭრობა განაჩენით რომ აგირძალათ?

გუბაზი. (ამილახვარს) გესმის?.. მეფე უმებს გვართმევს!

ქაიხოსრო. (დუმილის შემდეგ) გვინ შევიტყვე ეგ განაჩენი.

ერეკლე. ქართვლის ლაშქარი ბრძოლის ველზე იმ გასაჟირში რომ სისხლსა ღვრიდა, შენ საქართველოს შეილებსა ყიდდი.

ქაიხოსრო. ყმა ჩემია.

ერეკლე. სახლთუხუცესო, ეკლესიაშ შეაჩენოს წუწყი თავადი, ამ განს-გის შემდეგ მუდმივი ლაშქრის ახორში ამუშავებ ერთი თვის ვადით, სალაშქრო ცხენებს დაასუფთავებს, წესისამებრ კარგად მოუვლის.

სახლთუხუცესი. მესმის მეფევ. (სასახლის დარაჯებს) თავადი გა-მოხსენით.

მაია. (დარაჯებს გადაუდგება) მომიტევეთ... თვით მეფემ ბრძანოს.

ერეკლე. მეფე არ ბრძანებს, სამლენელოებს ასე წარუდგეს ერთი მათ-განი, ვინც დააგდო საქართველო უძლურების გზას.. გაიყვანეთ!.. (სახლთ-უხუცესი სასახლის დარაჯებს მიუთითებს, ქაიხოსრო გაჰყავთ) ტყვე ისმალები გაიყვანეთ, თადარიგს მიეც (ოსმალები გაჰყავთ).

მაია. მეფეო, დიდებულო, აი, ეს... (ჯემალზე მოუთითა) ოსმალოს ქული რომ ჰერუავს, ურჯულოების შეპყრობაში დამეხმარა ხმლითა და თო-ფით, ის ქართველია უკუღმართ დროში გათათრებული.

(ჯემალი სხვებს გამოეყო)

ერეკლე. სადაური ხარ?

ჯემალი. (დაიჩოქებს) აქარელი ვარ, დიდო მეფევ. თურქის მოსვლის ნიშ-ნად ჩემს სოფელს ვაიო ჰევია. სამი ძმისაგან ორი აწამეს და მესამემ — მამაჩემმა, მიიღო მაპმადის რჯული. აბა რა ექნათ, მაპმადის რჯულს ვინც არ მიიღებს, ფაშა მიწას ართმევს, შორს ერეკლება ეგვიპტის მიღმა.

ერეკლე. (სახე მოელრუბლება...) ჰოი, სამხრეთო, წინაპართა ხმლის სი-სუსტევ... (ჯემალთან მივიდა, წამოაყენა) რა გვარისა ხა?

ჯემალი. ვერძაძე ვარ, ჯემალა მევია.

ერეკლე. სახლთუხუცესო, ტყვე ისმალები დილეგს ჩაჰყარე, დილეგის კლიტე ამ ქართველს ჩაბარდეს.... (ჯემალს მოუბრუნდება) შენს ქართვე-

ლობას ბევრჯერ გამოვცდი, (კემალი მეფეს მოქრძალებით თავს დაუქრავს)... მეფის დარბაზის განაჩენით ტყვედყოფილების თავისუფლება მიბრძანებია. ამიტომ თქვენი ბატონი სამშობლო არის!

ტყვედყოფილების მეფე!..

ერეკლე. თქვენს კერას დაუბრუნდებით!..

მანუჩა. (სხვებს გამოეყო) მეფევი, იღიდოს შენი სახელი! შინ დედაკაცები დაბრუნდებან, ვისაც მკლავში ძალა აქვს და მტრის ბოლმა ახრჩობს, თქვენს ლაშქარში გვამსახურეთ.

ერეკლე. (მაიას) შენ რალას იტყვი?

მაია. ჩემო მეფეო, ეგ ბიჭები ჩემი რაზმია, არწივის ფრთებს გამოისხამენ მუდმივ ლაშქარში.

ერეკლე. (გაელიმება) სულ დამავიწყდა (მაიას) ბიჭო, შენი სახელი?

მაია. (თავისითვის) ბიჭოო, რა გუბასუხო..

ერეკლე. შენ გეკითხები, შენი სახელი?

მაია. ჩემო მეფევ... მათე-ბიჭი ვარ.

ერეკლე. მათე-ბიჭი... (კილო გამოიცვალა) ბიჭი კი არა, კაცი შენა ყოფილხარ და ქუდი შენა გხურებია... მათე-ბიჭო, აზნაურობა მომიცია.

მაია. დიდო მეფევ, მომიტევეთ კადნიერება, აზნაურობას რა თავში ვიხლი, როცა თავადი უზნეო არის.

ერეკლე. (გაელიმება, უცებ მკაცრი სახე მიიღო, თავადებს გადახედა) ჩემს ამალაში გრიცხავ, შეძლებ კი ამას?

მაია. გმადლობთ მეფეო, ჩემი ხმალი მუდამ გიერთგულებს.

ერეკლე. ახლა ის მითხარ, ერთმა ბიჭმა ეს ყველა საქმე როგორ გაბედე?

მაია. მამულის სიყვარული დიდ მთას ბარად აქცევს, საშიშ მტრებს — კურდლების ჯოგად.

ერეკლე. სახლთუხუცესო, მათე-ბიჭს ვერცხლის რასტით აკაზმული ლურჯა ცხენი და მსუბუქი ხმალი, ჩემგან, საჩუქრად მიბრძანებია (სახლთუხუცესი მეფეს თავს დაუკრავს).

ტყვედყოფილების მეფე!.. (მაია მოწიწებით თავს დახრის).

ერეკლე. სახლთუხუცესო, აი, ეს ქისა, ჩვენი შვილების საფასურად, დიღმელ თავადს რომ მიუღია, მათე-ბიჭს დაუბრუნე... მათე-ბიჭო, ამ ოქროთი შენი რაზმი — ტყვედყოფილები გამოაწყე, ისე მოკაზმე, როგორც მათე-ბიჭს ეკადრებოდეს.

მაია. გმადლობთ, მეფეო, ისე მოკაზმავ, რომ მეგონი ზარბაზანიც კი ვიგდო ხელთ.

ერეკლე. თუ მასახელებთ, ერთ ზარბაზანს მე თავად მოგცემთ.

ტყვედყოფილები. აშენდი მეფევ!

ერეკლე. ომის ლმერთს სძინავს, მშვიდობა ზეიშობს!.. სახლთუხუცესო, ნადიმი მიბრძანებია!.. მათე-ბიჭო, შენც მეწვიე.

მაია. (მოწიწებით) გმადლობთ, მეფეო (ერეკლე და ამალა გადის, სახლთუხუცესმა ქისა აიღო, მაიას გადასცა, გადის).

ტყვედყოფილები. (აღტაცებული) მათე-ბიჭო, შენ გენაცვალე...

მაია. (ტყვედყოფილ ქალებს), აბა, შინ წაღით, ჩქარა.

ტყვე დყოფილი ქალი. არც ჩვენ გვინდა შინ დაბრუნება.

მაია. ამას უყურეთ, დედაკაცი რაებსა ჰბედავს! მეფის ლაშქარში ხომ არ ჩაგწერთ... წაღით, სოფელს შეატყობინეთ: ბიჭები გამოხსნილია, კახის ლაშქარში ირიცხებიან... ჩქარა გათხოვდით მეფეს ვაჟკაცები გამოუზარდეთ.

ქალები. მადლობა მათეს!.. შენ გაიხარე!.. ბეღნიერია, ვისაც შეირთავ.

მაია. (ქალებს) ნუ გაჭირეთ, გათხოვდით-მეტეი! (სასახლის დარაჯთაგამრიგეს) ეს ბიჭები მოასვენე... ქალები გამიმგზავრე (ქალები და ბიჭები ჯგუფ-ჯგუფად გამრიგეს მიძყვებიან).

შანული. მათე, მალე დაბრუნდი.

მაია. ვერა ხელავ, მეფე მპატიუებს, ქალები უჩემოდ არსად გაუშვა, თითო ოქროს დავურიგებ, უნდა გათხოვდნენ.

შანული. ბიჭი კი არა, ანგელოზია...

(მანუჩარ ტყვედყოფილებს გაჰყვა, მაია მაღალი კიბით ადის, ეზოში ამილახვარი, ბარათა და გუბაზი შეაჩნია)

მაია. (თავადებს, ცრუ მოწიწებით) წამობრძანდით, მეფე მშვიდობას ზეომობს... თავადიშვილნო, ცხვირები რად ჩამოგიშვიათ?.. (გადის).

გუბაზი. ეპე, ამილახვარის ცხვირსაც რომ მიწვდა...

ამილახვარი. (გაცეცხლებული) ყაჩალია, ყველა წმიდანს ვფიცავ, ყაჩალი!.. თავადიშვილი ახორში ცხენს ასუფთავებს, აქ გლეხუჭა მეფურ ნადიმზე მეფემ გვერდით მოისვა. პოი, შერცხვენავ, რას მოესწიარ ამილახვარო! (გუბაზის, სხვა კილოზე) შენ ის გამიგე ვისი ლეკვია ეს არამზადა, ჩემს ცხვირს რომ მისწვდა (დარბაზისკენ მიღიან).

## ფარდა

ჭავერი მჭირს აგეაცებისა,  
ცეცხლი მწვავეს ერთიორადა.  
(„მაია წყნეოთელი“, ხალხური).

## მოძრავება მესამე

### სურათი მეოთხე

ერეკლე მეფის სასახლე თბილისში. წინა სურათის განლაგება. სცენაზეა მანუჩარ, შერმაღლი, გვერდი და ქარიყლაპია. ჩატული არიან როგორც მეფის ამაღას ეკადრება. ფარიკაობენ, ვარიშობენ.

შანული. (ქარიყლაპიას ეფარიკავება) ე, რა დონდლო ხარ, უფრო მარდად, ქვემოდან დამიხვდი, ზემოდან, გვერდიდან...

(შემოღის მაია, სადა გამოწყბილი, ყურთმავიანი ჩოხა აცვია).

მაია. (მოფარიყავეთ) აგრე, კარგია... შეჩერდით!.. ერთი ერთთან რა საქმეა, ორი ერთთან! მანუჩარ, შერმაღლი, მოღით...

(მაიაშ სმალი იშიშულა, მანუჩარ და შერმაღლი ეფარიკავება)

არ ვარგა... ხმლის მოქნევას სილამაზე თან უნდა ახლდეს, ვაჟკაცი ხმალ-დახმალ შებმული უნდა როგოვდეს. (მანუჩას) რად იცინ, ბიჭო? ასეა! დაიწყეთ, სამი ერთად მოდით.

მან უ ჩ. ა. სამი ბევრია.

მაი. რას ამბობ, მანუჩა? — ყიზილბაში და ოსმალო ათჯერ მეტია, მო-დით. (გუგუნა მოემატება, სამი ეფარიყავება).

(ამილახვარი და ბარათა გამოჩნდებია)

მაილახვარი. (ბარათას) ხედავთ, ტყვედყოფილები მეფემ თავადიშვი-ლების რიგზე გამოაწყო, მეფის კარზე ვარჯიშობენ, სულ აირია აქაუ-რობა, ვინ ყმა და ვინ ბატონი, მოდი და გაარჩიე.

ბარათა. გუბაზი სად ბრძანდება?

ამილახვარი. უსტარი ჭერაც არ გაუგზავნია, სანდო კაცს არჩევს.

მაი. ქარიყლაპია, მოდი შემენაცვლე (მაია გამოეთიშა, ქარიყლაპია იბრ-ძვის სამის წინააღმდეგ).

მან უ ჩ. ა. (ქარიყლაპიას) ბუმბულივით გაგაფრენთ, ბიჭო...

მაი. ბიჭებო, ჰქაოთ მაგასა, ვრომე ყიზილბაშია.

(ერეკლე. გამოჩნდება, მის უკან ჭაბასალარი დგას, ფარიკაობას თვალს იდევნებს)

შერმადინი. (ქარიყლაპიას) იჳ, შე აყლაყუდა!

გუგუნა. არა, ვითომ ოსმალოა.

მან უ ჩ. ა. ვითომ ქაიხოსროა, დავცხოთ მაგასა (გაცხარებული იბრძვიან, ქარიყლაპია თავგამოდებით თავს იცავს, თან უკან იხევს).

მაი. (გუგუნას) ფარი მიაშველე, ბიჭო...

გუგუნა. ამასთან ფარი რად მინდა, თავს ჩეირით წავაცლი. (ქარიყლაპიას კუთხეში მიაშველევენ).

მაი. (ერეკლე შეამჩნია, მოფარიყავეებს) რაღა ბრძოლაა, თუ მეფეს ვერ ამჩნევთ (უმალ შეხერდებიან, მოწიწებით ჩამწკრივდებიან; ქარიყლაპია სხვა მხარეს დგას).

ერეკლე. (ახლოს მიდის) შეტევა მომწონს, მაგრამ ქართვლის ლაშქარში სამი ერთს არასდროს უტევს, გვყავს კი ამდენი მეომარი?.. (გუგუნას ხმალი ჩამოართვა) ერთი სამს უტევს!.. (მეფემ ხმალი ქარიყლაპიას ხმალს შემოჰკრა, ანიშნებს — მეფარიყავეო) და ის ერთი კამეჩივით უნდა გაჯიქდეს, აი, თვისება ჩვენი მეომრისა (მეფე ქარიყლაპიას ეფარიყავება, გაკვირვებული ქარიყლაპია უკან იხევს, ხმალი ხელიდან გაუცარდა, კი-ბეზე ჩაჯდა)... ბიჭო, უკან რად იხევ, მათე-ბიჭის რაზმში ხარ, არ გე-კადრება.

ქარიყლაპი. (ადგება, მოწიწებით) მეფევ, ბატონო, ხმალი მოკლეა.

ერეკლე. შენი სახელი?

ქარიყლაპი. ქარიყლაპიას მეძახიან, დიღო მეფევ.

ერეკლე. (გაელიმება) აი, ნათლია შენა გყოლია... შენი ხმალი და ჩემი ერთი ზომისა არის.... ბიჭო, ქარიყლაპია, ხმალსა არ უშლის სიმოკლე,

- ფუქი წინ წადგი, მისწვდება! (სმალი პაერში სტყორპნა — გუგუნას დაუბრუნა. მეფე განცალკევდა სპასალარითური).  
 მაია. (თავისებურად) ჩემი, აქედან მოუსვით. (ბიჭები გადიან).  
 ერეკლე. ამილახვარო, ჩემო ბარათავ, ხედავთ ზოგი თავადი რა ბიჭებს ყიდა, არწივებია... (ბიჭებს თვალი გააყოლა).  
 ამილახვარი. დიახ, მეფეო, მარდი ბიჭები არიან.  
 ერეკლე. (სპასალარს) ჩემი ლევანი თუ დაბრუნდა?  
 სპასალარი. არა, მეფეო, მუღმივი ლაშქრის მოწყობაზე დიდათა ზრუნავს.  
 ერეკლე. უნდა იზრუნოს, ყოველი დღე ბეჭვის ხიდია.  
 სპასალარი. დიახ, მეფეო, ლაშქრის რიცხვი კვალად მცირეა.  
 მაია. დიახ, მცირეა, და ამგვარი ზრუნვით არც ეშველება... (მეფე და სპასალარი მაიას აქ ყოფნას არ ელოდნენ) ჩემი მეფევ, ბატონები ყმებს გიმალავენ, მუღმივ ლაშქარში არ უშევებენ. პირზე კოდი პური აკერიათ, ერეკლეს რომ კაცი მივცე, კოდს ვინ მომცემსო, ისე ამბობენ, ვითომ ეს ქვეყანა ერეკლეს თავისთვის უნდოდეს. ჯარი რომ მთ მამულს იცავს, ამას ვერ ხვდებიან, მეფევ...  
 ერეკლე. ყმებს მიმალავენ? ვინ?  
 მაია. ბეჭრით თავადი. აი, პირველი ეს, ამილახვარი. ესეც ბარათა, ამას რომ ჰქითხო, ორასი მეომარი ჰყავს, ჰეშმარიტად ხუთასსა ჭარბობს.  
 ამილახვარი. (საქციელზამხდარი) მეფევ, ჩევნო პატრონო, მომიტევეთ. ტყუის ეს თავებდი ბიჭი... ხუთასი კი არა შვიდასი მეომარი მყავს. ბარათამ იცის, ჩემს მამულში გუბაზი იყო. მე შვიდასი კაცის საჭურველი გავაძეა, ჟემოწმება ადვილი არის.  
 მაია. ლევან ბატონიშვილისთვის გითქვამს ორასი მყავსო.  
 ამილახვარი. ორასი ხეიბარი მყავს-მეთქი, უშვერად ლაყბობ.  
 მაია. მე ჩემი რაზმით შუა ქართლი შემოვიარე, ხალხი რას დაგიმარცვას ყველა გავიგეთ, კახეთშიც რომ გახლდით, მეფევ...  
 ერეკლე. (ლიმილით) რა სოფლები შემოიარეთ?  
 მაია. (სხაპასხუპით) ჩხიფი, გომარეთი, ურწიფანი, ნახილური, ჭულაანი, მარაბდა, ტორტიზაში გახლდით, ატენი ვნახეთ, ბოტისი, შუბათი და ხოვლე გზად გამოვიარეთ.  
 ერეკლე. (სხევებს) დამტოვეთ (სპასალარი, ამილახვარი და ბარათა გადიან).  
 მაია. ნუ გამირისხლები, მეფევ, და არც ოქვენი სიძე ანდრონიკაშვილია ამ საქმეში პატიოსანი, მეომრებს მალავს... მე, ლევან ბატონიშვილის დავალებით შემოვიარე.  
 ერეკლე. (კიბეზე ჩამოჭდება, მხნელ) ო, ჩემი მათე, რომ იცოდე რა ძნელია ბატონყმობის დროს ქვეყნის შენახვა.  
 მაია. (მთელი არსებით) მეფევ, გლეხს რომ ბაზონის მათრახისაგან დაიფარავდე, რარიგად გიერთგულებს, — პოზერ მეტად ეყვარებოდი.  
 ერეკლე. ქართველი კაცი დასაბამირან რკინას სჭიროა, რვალს აკეთებდა, ხურო იყო მისი ხელობა, იცოდა წიგნი, საყდრის შენება, გზის გაყვანა, ერის ტყივილს ჭკუაგონებით უსალბორებდა... აღმოსავლეთში კაცომო-ყვარებას ჰქადაგებდნენ საჭართველოს ფილოსოფოსნი, ელინთა ქვეყ-

ნის ნათელ გონებას ცხოვრების ეშები და საიდუმლო ოქროს საწმისზე კოლხიდაში ეგულევებოდა... ეს იყო მველად, უხსოვარ დროში. ჩვენს ქვეყანას უტეხი ნების ქალწულობა ჰუვენოდა მაშინ...

უამთა მსვლელობამ ცხოვრების ჩარხი სულ სხვაგვარად დაატრიალა, — ფერდშელეწილი ჩვენი ქვეყანა მაჲმადის კუპრის კვეანეში შეაცურა, ბნელეთის კლდეებს ეხეთქება მისი ხომალდი... (აღგება) ნუ შეშინდები, ჩემო ბიჭო, ამირანის ცეცხლის ნაკვერჩხალი მაინცა ბუუტაცს, ვის ჩაუქრია, რომ აწ ჩააქროს... ჩვენს ეულ აფრას ჩვენ დავითარავთ, მათე-ბიჭო, ხომ დავითარავთ?

მაია. (მუხლებზე დაეცემა, აღტაცებული და მოხიბლული) ჰო, დავითარავთ. ერეკლე. დავითარავთ, სისხლით და ცრემლით.

მაია. (აღგება) ცრემლით, რათა?

ერეკლე. ბიჭო, სისხლს ცრემლი ახლავს. ჩვენი კაცის უგუნურებას ქვეყნის პატრონი მახვილით იზღავს, და იმ სისხლიან მახვილს შენი მეღვეცრემლითა სწმენდს... სხვა ვზა არ არის, სანამ ეს რკინა არ გამცვეთია (ხმალზე ანიშნა) და გული მიძეგერს. ამგვარი ბორგვით ჩემს ხალხს. მშვიდობას დავუსადგურებ. არც რომის პაპი და არც მაჲმადი, სამშვიდობო ნავსაყუდელი, ჩემო ბიჭო, ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი არის!

მაია. მით უმეტეს, ჩემო მეფევ, მათრახისაგან ყმა დაიფარე, ათკეცი სიყვარული ძალას შეგმატებს.

ერეკლე. თავადს ყმა წავართვა? — მგელს რომ ლუკმა წავართვა იგივე არის. მაშინ გარე მომხდურ მტერს გააფთრებული თავადობა წამოუძღვება. ამდენი ძალა შენს ერეკლეს არა აქვს, ბიჭო!

მაია. დიდ მეფეს, გეძახიან, პატარა მეფეებად თავები მოაქვთ...

ერეკლე მრავალმეტყველად შეხედავს მაიას.

ვიცი, ჩემი განსვენებული ბატონი ასე ამბობდა: ყმა — ბატონისაა, მეფის — ერეკლესიო. გამოდის სხვა: ხალხი წუწკ ბატონს. მეფეს რა? — მარტო გვირგვინი?!

ერეკლე. მათე-ბიჭო. აქ ჩამოჯექი... (მაია მეფის წინ კიბის ქვედა საფეხურზე დაჭდება) შენ რომ მეფე იყო, პირველად რას მოიმოქმედებდი?

მაია. (ამგვარი კითხვით გაოცებული) მეფე...

ერეკლე. ჰო, მეფე...

მაია. (გათამამებული) პირველად? თავგასულ ბატონებს დილეგში ჩავყრიდი, ისე კი არა, წუწკი ქაიხოსრო, ახორში რომ გყავს. ცხენის მოვლა აბა რა სასჯელია!?

ერეკლე. (ლიმილით) კიდევ, კიდევ, მათე-ბიჭო?

მაია. კიდევ, ვინც ლაშქრის შედგენაში ხელს შემიშლიდა, თავებს დავაყრევინებდი, ასე ძირში...

ერეკლე. შენს მეფეს როგორ მომექუეოდი?

მაია. (დიდი სიყვარულით) სპასალარად. დაგნიშნავდი, მხარგრძელობას კარგად გასწევდი.

ერეკლე. მათე-ბიჭო, ერეკლეს ბრძოლა მოგწონს, მეფობა არა?..

მაია. არ ვიცი, ასეა და რა ვქნა... თავადებს ეპუები, შეფევ; ამილახვარზე რომ გითხარი, ყმებს გიმალავს-მეთქი, რატომ არ დასაჭე? (ერეკლე დუშს)... ასეა.

ერეკლე. (მაიასთან ახლოს მიეა, მიია მუხლებზე წამოღება) ამ ყბეღო-ბისათვის ურჯულოთ მეფე თავს წაგაღლებინებდა... „ასე, ძირში“ (სადარ-ბაზო კიბეზე აღის)... „ასეა და რა ვქნა.“ (გაეღიმება).

მაია. ვიცი, განა არ ვიცი.

ერეკლე. ეჰე ჩემო მათე! აბა რას გერჩი, ვინ იცის, შორს მომავალში რო-გორ იქნება... იქნებ ისე აჯობოს, როგორც შენ ამბობ. ისე თუ იქნა... ჩვენ არ ვიქნებით...

#### (ერეკლე გადის)

მაია. (ერეკლეს თვალი გააყილა) რა კარგი ხარ, ერეკლე, პატარა კაცის სიტყვას რომ ჰყუობ... ეჰე, ჩემს სოფელში რამდენი ბრძენი კაცია, იმათი სიტყვები მათრახის ტყლაშუნში იკარგება.

ზუგდა გვიდეს, რალაცას ფეხი წაჟრა ბიჟურად, მეორე მხრიდან გუბაზი შე-მოლის. მწუხრის ეამია

გუბაზი. (საიღუმლო ხმით) შენ, ჰეი, ბიჭო!..

მაია. (ბრაზიანი თვალებით მოხედავს) თავადო, შენი რა ხელშამოსაკრავი ბიჭი ვარ, სახელი მქინა!

გუბაზი. ვიცი რა სახელისაც ბრძანდები, ყველაფერი კარგად შევიტყე, შეფეს ატყუებ, უნამუსო...

მაია. როგორ?

გუბაზი. ატყუებ-მეთქი!.. მათე-ბიჭს გეძახის, შენ ქალი ხარ, — მაია.

შაია. მიპჰარავ. ხმალში გიწვევ, იქ გაიგებ ვინ ქალი და ვინ მათე-ბიჭი, ხმალში!..

გუბაზი. (დაუყვავებს) ნუ ფიცხობ. ერეკლე აღაშიანში მეორას ხედავს, განურჩევლად, ქალია იგი თუ მამაკაცი... იმით მაინც მიხვდი, რომ სამ-ხედრო საქმით დაბრმავებულმა შენს სიტურფეში ქალის სინარნარე ვერ შეამჩნია.

მაია. ყბეღო თავადო, როგორა ბეღავ პატარა კახის აუგად ხსენებას?!

გუბაზი. ქალს ვერ ამჩნევს-მეთქი, ხმალზე შეზრდილი მეფე.

მაია. ჩვენს ღროში ერეკლეს უთქვაშს შოთას სიტყვები — „ლეკვი ლომისა სწორია“.

გუბაზი. გამოტყდი?..

შაია. თავადო გუბაზ, თუ თავი გიყვარს შეწყვიტე, თორემ თავს წაგ-დებინებ.

გუბაზი. ჭერ ის შეგრჩეს, მკვლელო.

შაია. გუბაზ!.. (ხმალზე ხელი გაიკლო)

გუბაზი. მაია წყნეთელო! შენი ხმლით დაკოდილი თავადის სული მესა-მე თვეა ღმერთმა მიიღო.

მაია. ეშმაქსაც წაულია, თუ საღმე წუწები ბატონი მოკვდა.

გუბაზი. შენი ხმლით-მეთქი!

მაია. (სიკერპე გაუნელდა) მე ის დავკოდე მხოლოდ.

გუბაზი. დაკოდილს სისხლი მოეწამლა, ვერა მუტრნალმა ვეღარ უშველა. მაია. ღმერთმა შეუნდოს შეცოდება.

გუბაზი. (შემპარავი კილოთი) მეფის განჩინებით შენ კოცონს ელოდე.

მაია. რა არის კოცონი?

გუბაზი. ცეცხლზე დაწვა. ასეთია მეფის კანონი.

მაია. თავადო, იმ სოფლისა სხვა არა შეგიტყვიათ?

გუბაზი. სამსჯავრო სხვას არას გამოიკითხავს!

მაია. მაინც რა იცი?

გუბაზი. თვითონვე ხვდები; მკვლელის მამას მათრახის ქვეშ სული აღმოხდა.

მაია. მამა!.. (ჩაემხობა, ქვითინებს).

გუბაზი. ჩუმალ.

მაია. ოჭ, ღმერთო, უბედური მამაჩემი! რა დააშავა?!

გუბაზი. მკვლელის გაჩენისათვის. ბევრი ინანეს, რომ მამის მეტი სხვა არავინ დაგრჩა, ყველას გაწყვეტდნენ.

მაია. (სიმხნე დაიბრუნა) კარგია, ძლიერ კარგია, თავადიშვილი რომ მომიკლავს, ძლიერ კარგია.

გუბაზი. თავადი ყმის ხელით! შემსუბუქებად კოცონს ელოდე.

მაია. მაშ რაღას უცდით, მოახსენე მეფე ერეკლეს. (ადგილი შეინაცვლა) ან შენ კი რატომ, მე თვით ვეტყვი ღიღებულ მეფეს, რომ პატიოსნებას საქართველოში ხმლებით იცავენ დედაკაცები!..

გუბაზი. (წინ აღუდგება) შეჩერდი! გაგიუებულხარ! ამ სიტყვებით სჯულ-მდებელს რას გადაუხვალ, — ყმა დედაკაცმა ბატონი მოკლა.

მაია. (თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო) კიდევ ვინ იცის ეს ამბავი?

გუბაზი. არავინ.

მაია. მეგობარი ხარ?

გუბაზი. ეგ შენზეა დამოკიდებული.

მაია. რას მირჩევ?

გუბაზი. გაძცევას.

მაია. სად?

გუბაზი. სადაც მე გეტყვი.

მაია. (სინანულით) მზად ვარ.

გუბაზი. (სიფრთხილით) იბრაიმ-ხანი გაგიგრნია?

მაია. საქართველოს მტერი?

გუბაზი. იბრაიმ-ხანს თუ ერეკლე ტყვედ ჩაიგდებს, კი არ მოკლავს, ტყვე-ებზე გაცვლის, შენ კოცონზე დაგწვავს, ხომ, გაერა?

მაია. მერე?

გუბაზი. ქვეანისათვის შენ უფრო საშიში ყოფილხარ, ვიდრე იბრაიმ-ხანია, მეთანხმები?

მაია. აბა რა გითხრა, სიტყვების წყობით აგრე გამოდის.

გუბაზი. მართლმსაჯულება ასეთი არის, ნულა აყოვნებ, იბრაიმ-ხანთან გაფრინდი, არაქსის გაღმა მისი ლაშქარი ბანაკად დადგა.

მაია. მიმიღებს?

გუბაზი. ჩემი უსტარი მიუტანე... (გარემოს თვალი მოავლო) აპა (უსტარი მისცა).

მაია. უსტარი... რატომ ირჩებით ჩემს სასიკეთოდ?

გუბაზი. ქვეყანა ჰერ ისე არ წამხდარა, რომ კეთილ საქმეს ხალხი ჰკვი- რობდეს... უბეში ლრმად ჩაიდე.

მაია. უბეში არა, აქა სჯობია (სხვაგან ინახავს).

გუბაზი. უფრო ლრმად, მსტოვარმა არ შეგამჩნიოს, ერეკლეს ისინი ყო- ველ ჯვარედინზე ჰყავს.

მაია. შიგ რა წერია აგრე საფრთხილო?

გუბაზი. იბრაიმ-ხანი მიხვდება მხოლოდ.

მაია. სიტყვით რა დავუმატო?

გუბაზი. ერეკლე მეფეს ანწუხელებმა მეგობრობა შესთავაზეს, ჩრდილო- ეთიდან მეგობრობით კედელს ამაგრებს, რუსთა ხელმწიფეს ელჩები გაუგზავნა-თქმ.

მაია. რუსეთს გაგზავნილ ელჩებს იბრაიმ-ხანი რას მოუხერხებს?

გუბაზი. მან უკეთ იცის, ჩქარა, გაფრინდი! ნულა აყოვნებ!..

მაია. მაგრამ ეს უსტარი მრავალ მამულიშვილს, პატიოსან თავადს და ყმას სიკვდილს რომ უმზადებს?..

გუბაზი. სულელო დედაკაცო, სიკვდილს ვანშორდი, თავს უშველე!

მაია. მე ერთი თავადი მოვკალი, რომ პატიოსნება დამეცვა ჩემი, ამისათ- ვის მთლად საქართველოს მტრად გავუხდე?

გუბაზი. რაებსა რომავ? ერეკლეს ხელში ჩვენ სიცოცხლე არ გვიწერია.

მაია. გუბაზი, მთლად საქართველოს ურჯულოზე ყიდი?!.. არა, თავადო, მა- თებიჭი სამშობლოს არასოდეს არ უღალატებს!.. მეფე მიხვდება, იგი გამიგებს. (გასძახებს) მეფე ერეკლე!.. მეფე ერეკლე!.. (სასახლისაკენ უნდა გაიქცეს).

გუბაზი. შეჩერდი, გიუო... (ხმალს იშიშვლებს).

მაია.. გზა!.. (ხმალი იშიშვლა, ხმლებით იბრძვიან).

გუბაზი. კუუას მოუხმე.

მაია. გზა!..

(სასახლის კიბეზე იბრძვიან, მაია ბრძოლით გზას იყაფავს, მალლა მიიწევს. გუ- ბაზი გადაელობება, მაიამ აჯობა, გუბაზი მოქლა. მაია ხმალს დაგდებს, შეშინე- ბული)

...ჩემი რა ბრალია, ფარიკაობა ცუდად სცოლნია. (გამხნევდება) ეს უსტა- რი ბევრ შენისთანას ბოლოს მოულებს...,

(დარბაზიდან სპასალარი გამოდის, ხმალი გამშვლა, მაიას გადაელობა, გზა არ მისცა. ისმის ხმაური. ხმები: გუბაზი მოკლეს!.. თავადიშვილი... შემოღიან: მილახვარი, ბარათა, სასახლის დარაჯები. და სხვა სასახლეში მყოფი პირები).

ბარათა. გუბაზი მოკლეს!..

ამილახვარი. სასახლეში ყაჩაღებია, ყაჩაღები!.. აპა, მკვლელი.. და ისიც ვიცი თუ რატომ მოკლა...

(მარა დაბლა ჩამოდის, მას დარაჯები შემოერტყმიან. შემოდიან ერეკლე და სახლთუხუცესი)

ხმები. მათე-ბიჭმა თავადი მოკლა!..

ერეკლე. სასახლის კარზე მკვლელობა?!.. ვინ მოკლაო, გამაგებინეთ!..

(ჩოჩქოლი შეწყდება)

ბარათა. მათე-ბიჭმა გუბაზი მოკლა, დიდო მეფევ, ჩვენო მფარველო.

(გვამს დასტირის)

ერეკლე. როგორ თუ მოკლა, რისთვის მოკალი, ბიჭი, თავადი?

ამია. შენი და ქვეყნის ლალატისათვის!

ამილახვარი. ტყუის!..

მაია. (უსტარი გამოაჩინა)... ამ უსტარით არაქსის. გაღმა მისტუმრებდა თქვენი თავადი. (სპასალარმა უსტარი მეფეს მიაწოდა).

ერეკლე. (უსტარს დახედა)... სასახლის კარზე შეთქმულებაა, ოსტატურად შედგენილია, ხელსაც არ აწერს... (სპასალარს). გუები შეკარით, საგუშაგო გააძლიერეთ. (მაიას) ბიჭი, როდის გაუხდი გუბაზს მეგობრად?

მაია. სანამ მოვკლავდი, წინა წუთებში.

ამილახვარი. მეფევ, თავადს ამასთან სამეგობრო რა ექნებოდა, გუბაზმა თავად თვალი შეასწრო იმ ბიჭს, როცა უსტარს საგულდაფულოდ ლრმად ინახავდა, გუბაზი დაეჭივდა და ამას უთხრა: წამიკითხე, დამმორჩილდიო, — ამ ყაჩაღმა გაქცევა სცადა, თქვენი ერთგული თავადი წინ გადაუდგა, მსხვერპლი შეიქმნა.

ბარათა. დიახ, ასეა, როცა ამ ყაჩაღს ებრძოდა, საბრალომ ჩვენ მოგვაძეს: — გაშუშია, მომეშველეთო!..

ამილახვარი. ის წამი იყო უნდა მივშველებოდით, ამ ყაჩაღმა დრო იხელთა და ხმალი შიგ გულში აძგერა თქვენს ერთგულ გუბაზს.

(ერეკლემ მზერა სპასალარზე შეაჩერა)

სპასალარი. მეფევ, ბატონო, სტყუის ეს ბიჭი. ჩემმა ყურებმა გაიგონეს, ამ ბიჭმა თავადის გვამს რომ მიაძახა: ეს უსტარი ბევრ შენისთანას ბოლოს მოულებსო.

ერეკლე. მათე-ბიჭი ჩასვით დილეგში.

(ერეკლე გადის, მაიას იარაღს აშერიან, დარაჯებს გაჰყავთ)

## სურათი მეზოორე

დოლეგი. გისოსში სინათლე შემოდის, ტახტზე მთა წევს.

მაია. (თავის თავს ესაუბრება) მართალი კაცი იღუპება, მერე რა კაცი... არა გიშავს რა წყნეთელო, წუწყი ბატონის ყმად დაღუპვას ასე გიჯობდეს — სინდისის ყმა დაიღუპო, თუ სიკვდილია, ბარემ პატარა კახმა ბრძანს. კაი სიკვდილი არა სჭობია უხეირო სიცოცხლეს?.. (ღილინებს) არა, დიდი ახირებული კი ყოფილხარ... (აღგება, მოუთმენლად) რატომ მოკალი თავადიო, ერეკლე ეგ შეკითხვა არ გეკათრება. მოვკალი! — გლალატობდა და მოკალი... „რატომ მოკალი, რატომ?..“ რომ არ მომეკლა, თვითონ მომკლავდა... (დაწოლა იფიქრა, კვლავ წამოვარდება) რატომ არ დავკოდე?.. დაკორილი განა არ გეტყოდა რომ ქალი ვარ, იმასაც ხომ გეტყოდა, ჩემი ხელით რომ ზეცას ჩემი ბატონის სული მიუღია... არა, თუ ქვეყნის მოლალარე მოვკალი, შე დალოცკილო, რაღას მეკითხები და რაღა დილეგში მამწყალევ. მე შენკენ ვარ, შენ ეშმაკისკენ... სანამდე ვიყო აქ?.. (თვალი იარაქს გააყოლო) თაჯვი!.. ამისი მეშინია ყველაზე მეტად... (წვება) ეჰე, რა საყვარელი დავკარგე.

(გისოსში ჭე მალი შემოიხედავს)

ჯე მალი. ვინ დაკარგე, მათე?

მაია. (ჯემალს ცერად გახედა) მეფე ერეკლე.

ჯე მალი.: ჯო, მეფეს რა მოუვიდა?

მაია. შეცდა, მართალი კაცი დილეგში ჰყავს.

ჯე მალი. ერთხელ ბრძენიც შეცდაო, არ გაგიგონია?

მაია. ბრძენი ერთხელ ცდება ჯემალავ, მაგრამ მართალი კაციც რომ ერთხელ იბადება... მეფე მის შეცდომას გაიგებს, მაგრამ... მეორედ რომ შეცდა.

ჯე მალი. რა ჰქნა, ჯო?

მაია. შენ ჩემი დილეგის კლიტე ჩაგაბარეს, ესეც შეცდომაა, შენ ჩემს რაზმში ხარ.

ჯე მალი. მეც ვუღალატო?

მაია. (ზე წამოიჭრება) მეც ვუღალატო?!.. სხვამ ვინ უღალატა? ჯემალავ, ვაითუ გგონია მოლალატე ვარ? არ იფიქრო!.. არც ჩემი გაპარება არ იფიქრო! გახსოვს მეფემ რომ გითხრა: შენს ქართველობას ბევრჯერ გამოცდიო. მეფე აჭარაზე ფიქრში დამეს ათენებს, იგი სამართლიანია.

ჯე მალი. სამართლიანი თუა რატომ დაგსაჯა?

მაია. განგებამ ასე იხება.

ჯე მალი. (უკმაყოფილოდ) განგებამ... განგების ნებიც ერთხელ აღაშ ორმოცი დღე ბნელში მამყოფა, — თქვენი მარხვა, გიაურო, ორმოცდლიანია და ასე ორმოცი დღე ეგლეო, მერე საღ ვეგლე, მკითხე, ჯო...

მაია. საღ?

ჯემალი. ჭურში.

მაია. ჭურში?

ჯემალი. პო, ბაბუაჩემის დაყრუებულ ჭურში. გიაურს მაპმაღის დაგმობილი ღვინის ჭური მოუხდებათ. ფაფას ჭინჭილათ მაძლევდა, კო, გიაურს ჭინჭილა უყავარსო. ისე გამიჭირდა ჭურში ჯდომა, ისე, რომ მის გამკეთებელს, ბაბუაჩემს ღდინში ვდიე. ქერიმ-ალას სისხლი გაშრეს.

მაია. ქერიმ-ალამ იცის რომ დილეგში ვარ?

ჯემალი. არ ვუთხარი, გაიხარებდა... შენ რომ დაგამწყვდიეს, იმ დღეს ქერიმ-ალას მაგრად ვცემე. ოვინოში შეზელილ ფაფას ვაძლევდი. ჭურში ჩავდიე.

მაია. მუხლი მოურჩა?

ჯემალი. დაფილენჯდა.

მაია. აქ შემოაგდე, ერთი მეც ვცემო.

ჯემალი. შენ რატომ შეწუხდე, კო, ერთს კიდე ვცემ... ისე ვცემ, ხმას გაგაგონებ... უსმინე (წასვლა დააპირა, კვლავ გისოსში შემოიხდავს; განცვილებული) მათე, კო, მეფე!.. მეფე!..

მაია. (გაცვირვებით) თვითონ ერეკლე?!. (გასწორდება) ტახტს მიალაგებს.

(შემრადის ერეკლე)

ერეკლე. (მუხლებზე დაჩოქილმა ჯემალმა დილეგის კარი მოხურა, მიიმალა. ერეკლე მაიას შეათვალიერებს, ტახტზე ჩამოჭდება. მაია თვალს არ აცილებს, სცენაზე ერეკლე და მაია). მათე-ბიჭო, მინდა რომ შენ ბრალი არ გვენდეს და მართალი იყო, თუ რითომე შეგიძლია მართალი იყო, უთხარ შენს მეფეს. (უკმაყოფილოდ) ჩემმა მსაჯულებმა მათეს სიკვდილი გადაუწყვიტეს.

მაია. მაშ რაღა დარჩა?!

ერეკლე. მეფის დასტურს ელოდებიან.

მაია. აბა რა გითხრა, ჩემო მეფეე, მართალი უარ და ეგ არის.

ერეკლე. დაამტკიცე რომ მართალი ხარ.

მაია. მართალი ხალხი რომ სიმართლის მტკიცებას მოჰყვეს, ქვეყანას ხალხის ყაყანი წილეკავდა.

ერეკლე. (მკაცრად) დილეგში მჯდომმა სიმართლე უნდა ამტკიცოს.

მაია. (არ შეებუა) მეფემ ბრძანა, დილეგში ჩასვითო, იმავე მეფემ დაამტკიცოს, რომ/ მტკიცუანი ჩასვა.

ერეკლე. (თითქოს მუდარით) მომეშველე, ბიჭო, ერთად ვამტკიცოთ.

მაია. (უნებლიერ) მეფეე, ზიუინა გახსოვს?

ერეკლე. ბიუინა?

მაია. დიახ, თქვენი შვლის ნუკრი, ბავშვობისას ფშავში რომ დაგიჭერიათ?..

ერეკლე. (სახეზე ნათელი მოეფინება) როგორ არ მახსოვს, ჩემი ბიუინა.

მაია. (სხაპასხუპით):

ჩიოდა ამას ბიუინა,  
როს ხდომა ჰქონდა სულისა,  
სად მყავს აწ ჩემი ბატონი,  
ჩემი ამგები სულისა?  
უმისოდ მოქალეს დიაცთა,  
არ მყვანდა მტკენი გულისა...

სასახლის დიაცებმა, მეფევ, რისთვის მოქლეს შენი საყვარელი ბიუინა? ერეკლე. ჩემი შვლის ნუკრი სასახლეში ბევრს დახტოდა, სასახლის მსახურთ აწუხებდა. (სინანულბო) ამიტომ მოქლეს ჩემი ბიუინა.

მაია. (მდგომარეობას შეიცვლის) ჩემი მეფევ, ბიუინასაებრ მეც ბევრს დავხტოდი თქვენს სასახლეში, ბიუინამ სასახლის დიაცნი შეაწუხა, მე მეფის და ქვეყნის მოღალატე თავადები გავამწარე და პირველ მათგანს დღე დავუმოკლე, აი, მიზეზი სასიკვდილო განაჩენისა, მათ მოსთხოვეთ მტკიცე საბუთი.

ერეკლე. შენმა ჭკვიანმა პასუხებმა გამიმტკიცეს ჩემი ეჭვები... არც ერთი მსარე ტოლს არ უდებს მეორე მსარეს.

მაია. თვალთმაქცებით ავსებულა სასახლის კარი... მომიტევეთ ეგ სითამამე (მოწიწებით თავს დახრის).

ერეკლე. (თითქოს თავისოთვის) ქვეყანა იმდენად გაირყვნა, რომ რაც უფრო ახლოს ხარ ჩემს სულთან და გულთან, მით უფრო უცხო მგონისარ, საგანგებოდ გაწვრთნილი ვინმე.

მაია. ჩემს სულშიც თუ სიბინძურის გუბესა ჰქედავთ, დედამიწა საშინლად აყროლებულა.

ერეკლე. თუ გისწავლია?

მაია. ეკლესიაში ბერის ფსალმუნებს ვისმენდი, სოფლის თავადების უგუნურებას ვხედავდი. ერთხელ შევესწარ ბატონის ულელში ყმის დედაკაცს რომ სული აღმოხდა.

ერეკლე. შიშის გრძნობა როგორის დაკარგე?

მაია. როცა შევიტყე, მამაჩემს, თავადის ბრძანებით, მათრახის ქვეშ სული აღმოხდა.

ერეკლე. რისთვის დასაჯეს ასე სასტიკად?

მაია. ნამუსიანმა გლეხმა ქალი აღზარდა უმწიყვლოდ, მართლად და ამის გამო წუწუმა თავადმა ველარ შეძლო პირუტყვული ჟინი მოეკლა.

ერეკლე. შენი და?.. (მცირე პაუზა).

მაია. ჰა... მას ისე უყვარს საქართველო, როგორც მის მეფეს, პატარა კახი მისი მარადეამს სალოცავია.

ერეკლე. მათე-ბიჭო, კმარა, შეწყვიტე! მტერთან შებმის წინ არ მინდა ვიფიქრო, რომ შენი მეფე უგვანო ხალხის დასაცავად ილვწის, სისხლსა ღვრის.

(შემოდის სახლთუხუცესი, ხელში მეფის ქუდი და წამოსასხმი უჭირავს)

სახლთუხუცესი. მეფევ, ბატონო, აქ ბრძანებულხარ... ლაშქარი მზად არის, სპასალარები საღროშოებს უდგანან თავად.

(ერეკლე აღგება, მუხლებზე მდგომ მაის შეცერის, მისკენ გასაშენევბლად გაშვერილი ხელი მკუცი მოძრაობით მოიქნია, უსიტყვოდ გადის, სახლთუხუცესი მიჰყვება).

მ ა ი ა. (მარტოდ დარჩენილი) არა მეფეო, ზნედაცუმულ ბატონებს ხალხად როდი მიიჩნევთ, ხალხი დიდია, იმისი ძალით შენ საქართველოს დიდებას იცავ (შორიდან მოისმის ლაშქრის სადიდებელი პანგები).

კვლავ ლაშქრობა, ომი.. ჰორ, ღმერთო დიდებულო, შენ დაიცავ ერეკლეს ჯარი... ერეკლე ომში და მე აქ ვეგდო?!.. (ყვირის) ეჭეე.. დარაჯნო, კარი გამიღეთ!

(გისოსში ჯე მალი გამოჩნდება)

ჯე მალი. მათე, რა მოგდის?..

მ ა ი ა. ომია, მტერი მოვგადგა, დაპკრეს ბუქსა, და ნალარას, ჩვენი ლაშქარი შეკაზმული დამხვდურად მიდის.

ჯე მ ა ლ ი. წავლენ და მოვლენ, ნუ გეშინია...

მ ა ი ა. ერეკლესთან მხარდამხარ ბრძოლა მწყურია. გამიღეთ კარი, ერეკლეს-თან ლაშქარში მინდა.

ჯე მ ა ლ ი. მათე, ერეკლემ შენი დასჭა ბრძანა, შენ მასთან მიძვრები? ნუ შეიშალე, ჯო!

მ ა ი ა. ჯემალავ, შე ნათაორალო, ერეკლე დღეს საქართველოა.

ჯე მ ა ლ ი. შენ ხომ მითხარი: მეფეს არ უღალატოო, რაღას მერჩი?

მ ა ი ა. სად არიან ჩვენი ბიჭები?.. ჩემი რაზმი!..

ჯე მ ა ლ ი. ლაშქარში, სასახლე სულ გაიწმინდა... ჩუმად... კვლავ ვრბაც მოდის (მიიმალება).

მ ა ი ა. რა ვქნა, ჯემალამ გამაპაროს?.. მეფის ნდობა წაუხდება, მასაც დასჭიან.

ჯე მ ა ლ ი. (შემოდის) მათე, ხუცესი მოვიდა, ქალაგება უნდა წაგიკითხოს, დღეს ხომ წითელი პარასკევია.

მ ა ი ა. არა, ჯემალავ, დღეს უკანასკნელი პარასკევია, ზიარებას მოხოვენ, ცოდვაშენდობილს მისტუმრებს მეფე.

ჯე მ ა ლ ი. (შეშფოთებული) რას ამბობ, ჯო, შენმა საყვარელმა მეფემ ასე გაგწირა? — ქრისტიანი მეფე ხონტექარივით ხომ არ ირჩება?.. ვაი, მათე... (ტირის).

მ ა ი ა. (მკაცრად) ჯემალავ, ვაჟკაცის ტირილი როგორ იქნება?

ჯე მ ა ლ ი. როგორ არ ვიტირებ, ძმას მირჩევნიხარ, ჩემო მათე, სამართალი არც აქ ყოფილა, მთელი ქვეყანა როგორ დაბნელდა. (მტკიცედ). ჯილი ვკარი შიგ.

(შემოდის მ ა ნ უ ჩ ა, მღედლის მორთულობით. თმა და წვერი გაშვებული აქვს, მას ჯემალი შემოუძლება)

მ ა ნ უ ჩ ა. (ხმა შეცვლილი) შვილო ჩემო, ეყვარებოდე ქვეყანასა შენსა უკუნითი უკუნისამდე, გთარვიდეს ღმერთი. ამინ!

მ ა ი ა. (ნამდვილი მღვდელი პგონია) გმაღლობთ, მამაო.

მანუ ჩა. (ჯემალი) შვილო ჩემო, ქაღაგებისას დარაჭნი დილეგთა, საკანთა და სხვა შემავიწროებელთა სულისა და ხორცისა კაცთა და მოყვასთა მოწამედ არ ესწრებიან. ამინ!

ჯე მალი. (მაის) რაო, ჩემი დასწრება არ შეიძლება?

მანუ ჩა. ცხადია. წესი ზიარებისა, ცოდვის გამხელისა და სხვა მისთანათა მესამე გვამს არ ისწრებს, აგრე ინება უფალმა ქრისტემ, და მშობელმა ღვთისამ წმიდა მარიამმა. ამინ... (ჯემალი გადის) როგორ გრძნობ თავს, შვილო ჩემო?

მაი ა. ძალიან კარგად.

მანუ ჩა. ყოჩაღ, შენს ბიჭობას, გულადო... შვილო ჩემო, უთხარ შენს მას წუხილი შენი სულისა.

მაი ა. (თავისთვის) ლოცვის წესიც კი არ სცოლნია... ერეკლე მეფე რომელ მხარეს წავიდა, მამაო?

მანუ ჩა. ყიზილბაშთ ჭილაგი თავს დაგვესხა... (გისოსში გახედავს) იდილოს ლაშქარი თავისუფლებისა ჩვენი. ამინ!

მაი ა. დღეგრძელი იყოს...

(მანუჩამ ანაფორა გადაწია, ჯაჭვის პერანგი, ხმალი და ხანჭალი გამოუჩნდება, დამბაჩა გამოაძრო).

მანუ ჩა. (გისოსში გაიხედა) ემთხვეო.

მაია დაიხრება, ჭვარის მაგიერ დამბაჩა დასკდა, მღვდელს გაოცებული შეაცემადგა)

მაი ა. მამაო!

მანუ ჩა. ფუი... (დამბაჩა სასწრაფოდ ქამარში ჩაიქრა, აქრული წვერი თავის კორტოსხე მოიქცა) მათე!

მაი ა. მანუჩა?!.

მანუ ჩა. (მთელი არსებით) საჩუინეთელმა სამაგიეროს გადახდა იცის, შენ ტყვეობილან მიხსენი, მათევ, ჭერ მანუჩა მოკვდება, ვიდრე შენ მსხვერპლი გაგხადოს.

მაი ა. მეფე ჩემს სიმართლეს კი გაიგებდა.

მანუ ჩა. ჭერ თავს მოგჭრიდა, შემდეგ სიმართლეს შეიტყობდა, ასე არ გვინდა. ერეკლეს ბრძოლის ველზე დავუმტკიცოთ, რომ მართალი ხარ.

მაი ა. ჩვენი ბიჭები საღ არიან?

მანუ ჩა. გელოდებიან.

მაი ა. წვერი აიკარ, თავს დაიხურე.

მანუ ჩა. (წვერი აიკარ, მიტრა დაისურა) ჯემალი გუშაგობს, რაა საშიში?

მაი ა. ჯემალი მეფეს არ უღალატებს.

მანუ ჩა. განა ჩვენ კი ვღალატობთ?

მაი ა. არა-მეთქი... როგორ მოახერხე, როგორ გამიყვან?

მანუ ჩა. მაჩაბლის თეატრში შევძვერი, — იმ დარბაზში, თეატრის ტანსაცმელი რომ აწყვია, ეს ანაფორა მომეწონა, ყველაზე გრძელი თმა და წვერი იქ შევარჩიე.

მაია. როგორ გამიყვან?

მანუ ჩა. განა ჩემთვის ვიზრუნე, შენთვის ქალის კაბა და თავსახური სა-  
გულდაგულოდ გამოვარჩის.

(კაბა, თავსახური და ქოშები ანაფორიდან გამოიძრო, მაის მიაწოდა)

აპა, ქოშები, ჩქარა, ჩაიცვი.

მაია. მანუჩა, ქალის კაბა რა საკალრისია.

მანუ ჩა. მამაკაცის ტანსაცმელში გიცნობენ.

მაია. კარგად გიფიქრია... (კაბა გაშალა) მონაზვნის კაბა?

მანუ ჩა. ჩქარა, ჩაიცვი.

მაია. მონაზვნები ღილევში რომ არ შედიან? (კაბა მიუგდო).

მანუ ჩა. ეზოს დარაჯებმა საიდან იციან მონაზვნის წესი, ჩქარა, ჩაიცვი.

(კაბა დაუბრუნა).

მაია. იქით შებრუნდი. (ზედა ტანსაცმლის გახდა იფიქრა).

მანუ ჩა. შევბრუნდე კი არა, მეც დაგეხმარები... (მკერდის არეში შეეხო,  
რომ გახდაზე დახმარებოდა).

მაია. (მანუჩას ხელი ჩაშვებინა) შებრუნდი-მეთქი!.. გისოსში ჩცეირე,  
არ შემოგვესწრონ.

მანუ ჩა. ეგეც კი არის... (გისოსში იცეირება, თვალყურს ადევნებს, ვინ-  
მე არ შემოესწროს) კაი მღვდელს ვგევარ, ხომ ვერ მიცანი?..

მაია. კარგი მსახიობი ხარ. (ქალის კაბა თავზე ეფარება, ნახევრადჩაც-  
მული აქვს).

მანუ ჩა. ომი რომ დამთავრდება, მაჩაბელს ვთხოვ...

(შემობრუნდება, მაის ქალურ აღნავობას საეჭვოდ დააკვირდა).

მაია. რას სთხოვ მაჩაბელს?

მანუ ჩა. ...მსახიობთა დასში ჩამრიცხოს.

მაია. აპა (გახდილი ჩოხა მიუგდო. მანუჩამ ჩოხა ანაფორის ჭვეშ დამალა).

მანუ ჩა. შარვალიც გაიხადე.

მაია. რა საჭიროა, ზემოთ ავიკეც... იქით იცეირე:

(მანუ ჩა გისოსში აცეირება).

შანუ ჩა. (მაის თევალს ვერ აცილებს) ქალის კაბაში ნამდვილი ქალია, დე-  
დას ვფიცავ, დედაქაცია...

მაია. (თავისთვის რომ ეწყობა). რაო, რა მითხარი?

მანუ ჩა. არა მითქამს რა (მაის სილამაზით მოხიბლული). წმიდა. გიორ-  
გის ვფიცავ ქალია, ქალი კი არა, ანგელოზი.

მაია. (თავსართავი გაისწორა) აბა, შემხედე, ვგვარ მონაზონს?

მანუ ჩა. (აფორიაქებული) მონაზონს?.. დედოფალი ხარ!..

მაია. ჩუმაღ!..

შანუ ჩა. ბიჭის კაბაშიც რომ მშვენიერი ხარ...

მაია. ბიჭის კაბაში — ბიჭი მშვენიერი იქნება, მაშ. როგორ? წავიდეთ!

მანუ ჩა. წავიდეთ, გინდა აქ დავრჩეთ...

მაია. რაებს მიჰქარავ?!

მანუ ჩა. (აფორიაქებული) ვიხუმრე... აქ კი არა, ცხრა მთას იქით!

მაია. ერეკლესთან!

მანუ ჩა. სადაც კი მეტყვი.

(ჭ. მალი შემოდის)

ჭ. მალი. მამაო, თუ შეიძლება? (მონაზვნის კაბაში მაია დაინახა, გა-ოცდება). დედავ... ამას რას ვხედავ, მათე!

მანუ ჩა. (ჯემალს) შვილო ჩემო, იყო და აღარ არის მათე. ღმერთმა შეა-ჩვენა, ვაკეაცი დედაკაცად გარდაქმნა.

ჭ. მალი. ჯო, აღარ ვიცი ვინ დაიფიცო, ქრისტე ღმერთი თუ მუპამედი, ხუცესო, შენ ჯემალს ატყუებ, დედას ვფიცავ, ოინებს აწყობთ. ხუცესო, ხელები მაღლა!..

(თოფი დაუმიზნა, მაიამ და მანუ ჩამ ხელები ასწიეს)

მაია. ჯემალავ, რომელი ღმერთიც გწამს, ის დაიფიცე, რომ გაჩუმდები.

ჭ. მალი. რომელი ღმერთი? — არც ერთი ღმერთი აღარ მწამს.

მანუ ჩა. შეჩვენებულო... (თოფის ლულაზე ხელი ჩავლეს, თოფი წა-ართვეს).

ჭ. მალი. შეჩვენებული იმით ვარ, რომ ერეკლეს ვლალატობ...

მაია. არა, შენ ერეკლეს არ ლალატობ, ჩვენ და ერეკლეს ერთი საქმე გვაქვს... (მანუჩა) შეკარი!..

მანუ ჩა. (ანაფორის ჯიბიდან თოქს გამოაძრობს) ხელები მომე, შვილო ჩემო.

ჭ. მალი. (გაკვირვებული) მე უნდა შემკრათ?!

 (მაიას) შენს რაზმში ვარ, მათე...

მაია. ვითომ შეგუარით, ვითომ (მანუჩა ეხმარება). ტახტზე დაგაკრავთ; ვითომ შეკრული ხარ.

ჭ. მალი. მათე, თქვენთან წამოვალ, საქმე აღარ მაქვს, ოსმალები მეფის ბრძანებით გამაშვებინეს, აქ რა ვაკეთო.

მაია. ასე სჭობია (ჯემალი ტახტზე დააკრეს). როცა დაჩწმუნდები: ჩვენ გალავნის გარეთ ვართ, — ყვირილი მორთე... გესმის, ჯერ არ იყვირო. ჩემს რაზმში ხარ, საქმეს ავეთებ (მაია გადის).

მანუ ჩა. (ჯემალს სახე აჩვენა) ჩვენ კვლავ შევხვდებით, შვილო ჩემო..

ჭ. მალი. (გაოცებული) ჯო, მანუჩა!..

(მანუ ჩამ მათე-ბიჭის ტანისაცმელი ტახტთან დაჰყარა, გადის. მცირე პაუზა)

ჭ. მალი. (თავისითვის) ჯო, სანამ ვიყო ასე დაბმული, ძალი ხომ არა ვარ? მეც მოვდივარ... მათე, ერეკლესთან მოვდივარ!.. (ხელები გაითავისუფ-ლა) ამფერ წვალების ერთხელ მოვკვდები, ჯო!.. (სინათლე ქრება).

### სურათი მეექვსე

ერეკლე მეფის სასახლე თბილისში.  
სცენაზე არიან ამილახვარი და ბარათა.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ბარათა, როგორ მოახერხე მეფის ლაშქრისგან განრიღება?  
ბ ა რ ა თ ა. ავაღმყოფობა მოვიმიშესუ.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. კარგია... თავადო, ამ საქმეში ქაიხოსრო დიღმელი გამო-  
გვადგება, მკლავის ძალა აქვს, არ ეპუება.

ბ ა რ ა თ ა. აქა, სწორედ აქ მოდის.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ვხედავ... (შემოდის ქაიხოსრო, კაცურად ჩაცმული). თავა-  
დო, სახლთუხუცესს ერთი დღით აღრე გამოვაშვებინე შენი თავი, ესეც  
საქმეა.

ქ ა ი ხ ო ს რ ი. ერთ დღეს სამუდამოდ დაგიმაღლებდი, დიღო თავადო, იმ  
მათების რომ მიჩვენებდეთ დიღეგში გდებულს.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. თავადო, ახლა ყოველი წამი საუკუნეა, მათე რად გინდა?

ქ ა ი ხ ო ს რ ი. ამ ჩემი ხანგლით ჩავაკლავდი, მაინც ხომ სასიკვდილოდ  
გაამზადა მართლმსაჭულებამ, გულს ვიოხებდი.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მეფემ თითონ მოკლას მისი გლეხუჭა. ასე უფრო სასაცი-  
ლოა (შერმალინი გამოჩნდება, მიიმაღება).

ქ ა ი ხ ო ს რ ი. ამილახვარო, სიცილი მე დამავიწყდა, უკვე ერთი თვე არის.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. (მკაცრად) თავადო, დიღ საქმეს ივიწყებთ, მდაბალ შურს  
აქციონისართ.

ქ ა ი ხ ო ს რ ი. (მორჩილად) თქვენს ბრძანებას ვდილი.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. (სიმღერას ყურს მიუგდებს) აი, ხომ გესმით... ერეკლეს  
სასახლეში ყველა ერის კაცი მღერის... ჩვენ გვაწამებს, თორემ ტყვესთან  
კაცია, ურჯულო თათრებს სიტყვა ჩამოართვა, ათვისუფლა, — ვისაც  
რა შეგეძლოთ, პატიოსნად იმუშავეთო.

ბ ა რ ა თ ა. თავადიშვილი ახორში ცხენებსა წმენდდა...

ქ ა ი ხ ო ს რ ი. ოი, ამ შერცხვენას თვით ქრისტე ღმერთსაც არ ვაპატიება.

(ფუგუნა გამოჩნდება, უსმენს, მიიმაღლა)

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ანგარიშის გასწორების უამია, სწორედ.

ქ ა ი ხ ო ს რ ი. ოლონდ გვიბრძანე.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. (განსაკუთრებული სიფრთხილით) პაატა ბატონიშვილი  
მატყობინებს: დიღი ირანის ელჩი ქალაქიდან გაიყვანეთო, ირანის ლომს  
ცნობა არა აქვს, ერეკლეს ლაშქარი თუ რის შემძლეა.

შ ე რ მ ა ღ ი ნ ი. (წამით გამოჩნდა) ელჩი... (მიიმაღლა).

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. რაო, ელჩიო, რომელმა თქვით?

ქ ა ი ხ ო ს რ ი. არა გვითქვამს რა, თქვენ გისმენთ.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ელჩის გადაეციო, რომ ერეკლეს ლაშქარს ექვსი მეზარ-  
ბაზნე ჰყავს, ოცდაოთხმეტი ზარბაზანი მტრის გულსაკლავად გამოა-  
ფინა. ექვსი მეზარბაზნე ექვს ზარბაზანს აამოქმედებს. ირანის ლომი  
ნუ შეშინდება.

ქაისოსრო. მხოლოდ ექვსი?

ამიღაცვარი. მხოლოდ ექვსი, დანარჩენები წინა ოში დაუწყდა, და ასოციაზე ფალკონატი აქვს, ამ იარაღით ირანის ლომთან ბრძოლის შედეგს თვავაღიშვილნო, მგრინ თვითონაც ხედავთ (იცინის).

ბარათა. დიახ, თავადო, ვხედავთ, სიამით ვხედავთ კახის დასასრულს.

ქაისოსრო. (გახარებული) აქამდე სად იყავით, ეს კარგი ცნობა ერეკლეს მტერს რად ვერ მიაწვდინეთ?

ამიღაცვარი. მათე-ყაჩაბალმა რომ გუბაზი მოკლა, უსტარი გაამხილა, კავშირის დამყარება ხიფათს შეგვერიდა. ახლა ომია, ერეკლეს თვალი ბრძოლის ველზე უჭირავს. აქაურობა მე ჩამაბარა, უთვალყურეო.

ქაისოსრო. შენ გაისარე, ამილახვარი.

ამიღაცვარი. ამ ომის შემდეგ ერეკლეს ნაცვლად ბაქარის ძეს გავამეფებთ, ყმა და მამული ჩვენი იქნება.

ქაისოსრო. უფალო, შენ გაღმოგვხედე!

ამიღაცვარი. ფრთხილად იყავით, ომის ბედი თქვენზე ჰქილია... (სიფრთხილით) ლილოს გზა შორეა, ტაბახმელის გზით მოუვლით, ფრთხილად... არ დაგავიწყდეთ: ექვსი მეზარბაზნე ჰყავს, ოცდათოთხმეტი ზარბაზნი უქმადა ჰყრია.

ბარათა. ყველა გვახსოვს, თავადო.

ამიღაცვარი. (ხმადაბლა, მოწონების ჭილოზე) ბაქარის ძეს გაუმარჯოს.

ქაისოსრო. ამინ...

ბარათა. გამარჯვებამდე, ნახვამდის.

ამიღაცვარი. კარებამდე გაგყპებით, გული და აზრი გამარჯვებას მეუბნებიან.

(ყველანი გადიან. შერმადინი და გუგუნა შემოდიან).

შერმადინი. გუგუნა, თუ გაიგონე?

გუგუნა. ყველა ვისმინე, ჩემო შერმადინ, ბუდეს მივაენ, როგორ მოვიქცე? შერმადინი. მანუჩა რომ აგვიანებს?

გუგუნა. ჩვენით წავიდეთ, ტაბახმელის გზით, დაყოვნება არ შეიძლება. შერმადინი. მოიცა, მარტო ძნელია.

გუგუნა. ჩემო შერმადინ, ბიჭო, შევაკვდეთ, ამ ომის ბედი ჩვენზე ჰქილია.

შერმადინი. აჲა, ისინიც... (მანუჩა და მაია შემოდიან, მაიას მონაზენის კაბა შემშვენებული აქვს). მანუჩა!

გუგუნა.. მათე!..

მანუჩა. შვილნო ჩემნო, ღვთის მსახურთ წესისამებრ უნდა მიმართოთ მაია. რამ შეგაშფოთათ, ჩემო შვილებო?

(ხელები გულზე ჭვარედინად დაიწყო)

გუგუნა. (ჩაიჩიქებს) მამაო და ღედაო, ბუდე აღმოვაჩინეთ.

მაია. რომელი ჩიტის ბუდე, ჩემო შვილებო?

შერმადინი. შეთქმული თავადები. ბარათა და ქაიხოსრო დიღმელი ამი-  
ლახვრის ბრძანებით ირანის ელჩთან გაიქცენ, ჩვენი ლაშქრის სუსტი  
მხარე უნდა აცნობონ. მტრის ელჩის გაპარება ნაბრძანები აქვთ.

მანუ ჩ. (აქნთება) ბიჭებო, თქვენი ჭირიმე!..

მაია. (მანუჩას) მშვიდად მამაო, არ გეკალრებათ... (შერმადინს) რომელი  
გზით?

შერმადინი. ლილოს გზა შორეა, ტაბახმელის გზით შოუვლითო, ამი-  
ლახვარმა ასე უბრძანა.

მაია. ახლავ გაფრინდით, ერთი თქვენგანი საელჩოს ჩაუსაფრდება, დანარ-  
ჩენები გზებზე ჩარიგდით, ერთმანეთთან კავშირი გქონდეთ!

მანუ ჩ. ტაბახმელაში ფრთხილად იყავით.

მაია. (ეპიური სიმშვიდით) ჩემო შვილებო, ჩვენი ცხენები სად იქნებიან?

შერმადინი. აბოს ნიშთან, ქარიყლაპია ცხენებით გიცდის.

მაია. ღმერთი იყოს თქვენი შემწე. ჩქარა, გაფრინდით!..

შერმადინი. მივლრინავთ, წმიდა დედაო...

შერმადინი და გუგუნა გადინა. სუვენირ მარა და მანუჩა

მაია. წმიდა მამაო, დამბაჩა და ხმალი ჩემთვის თუ მოამზადე?

მანუ ჩ. ანაფორის ქვეშ ყველა იარალი თითო წყვილი მაქვს.

(უნდა გავიღნენ, ამილახვარი შემოდის)

ამილახვარი. (მანუჩას) იცოცხლე მამაო...

მანუ ჩ. (ხმას დაიდინებს) სიცოცხლე ომში წასულები!..

ამილახვარი. (მიიას დააკურდება, შეჩერდება თავისითვის) მეღის კარზე  
მონაზონი, სულ აირია აქაურობა... სადღარ მინახავს. სად მინახავს... ჰო,  
ღმერთო, შენ დამითარე, მათე-ბიჭა ჰგავს... (გასძახებს) ხუცესო!..  
ხუცესო!.. შენ გეუბნები.

მანუ ჩ. რა გაგიჭირდა, შვილო ჩემო.

ამილახვარი. იგ მონაზონი სადაურია?

მანუ ჩ. ეგ მონაზონი ლვთის მსახურია.

ამილახვარი. (გასძახებს) პეი, დარაჯნო, შეიპყარით, მათე-ბიჭი, მონაზ-  
ვნის კაბაში!..

(სასახლის რჩე მხრიდან თავჩაჩქინი დარაჯგბი გამოყოინ მაიას შუბები  
მიულირეს)

მაია. (ნაზი ხმით) თავადო, ამ თავხედობას წმიდა დები შეაჩვენებენ.

ამილახვარი. (შეშინებული) მათე-ბიჭი ხარ, მათე-ბიჭი, მე კარგად გხედავ.

მაია. (ხელებს აღაპყრობს) ზეციერო, შენ გადმოხირო შენს აუბელურებულ  
ქვეყანას. ქრისტიანები სახეს კარგავენ, ქალი ბიჭად უჩანთ ცოდვილთა  
თვალებს.

ამილახვარი. დამტკიცე რომ თერაკაცი ხარ. (უკან იხევს).

მანუ ჩ. (ამილახვარს) ჰო. იქნებ მართალს ამბობ, მეღის იმედო.

ამილახვარი. (მანუჩას) მათე-ბიჭის!.. ხედავთ როგორ კანკალებს, შიშვა  
მოიცვა, ძრწის.

მ ა რ ა. ვძრწი, შიშმა მომიცვა, რომ ლვთის უმანკო მსახურს ყაჩაღს მამს-გავსებ.

მ ა ნ უ ჩ ა. (ვითომ უკვირს) წმიდაო გიორგი, შენ დამიტარე.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. თვალთმაქობს, შეჰქარით-მეთქი! (დარაჯები წაიწევიან).

მ ა ი ა. (დარაჯებს, დინჭად) შესდექით, ქრისტეს მონებო, თქვენი მეფე ომში იბრძვის, თქვენთვის სისხლსა ლვრის და მის სანაცვლოდ თქვენ, ლვთის წმიდა მსახურს აქიაქებთ, საჯაროდ არცხვენთ... ვინც მეფესთან არა ხართ გადამწყვეტ ომში ღმერთმა დაგსაჭათ, ქალი კაცად გიჩანთ, გამოთაყვანდით.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. შეჰქარით-მეთქი! (დარაჯები მიიწევენ).

მ ა ი ა. ღმერთმა დაგსაჭათ, ჩემო ძმანნო და თქვენთან ერთად მეც ვისჯები ლვთის უანგარო მსახური თქვენი. აქა, დარწმუნდით... (ზურგით დადგება) აქ მობრძანდით, თქვენც თავადო (დარაჯები და ამილახვარი მაიასთან შეჯგუფდებიან ხელების მოძრაობიდან ჩანს მაიამ გულის საკინძე შეისნა)... დარწმუნდით?

დ ა რ ა გ ე ბ ი. ქალი ყოფილა!.. (დარცხვენილი დარაჯები თავიანთ ადგილებს იშერენ).

მ ა ნ უ ჩ ა. (გახარებული, თავისთვის) აკი ვთქვი, ქალი კი არა, ანგელოზია...

მ ა ი ა. ჰოი, ბიწიერნო, რამდენი წყევლა და შეჩვენება მოგელით წმიდა მონაზვნის წაწყმელისათვის, შეჩვენდით, შეჩვენდით, უტიფარი სახის ქრისტიანებო!.. (გადის).

მ ა ნ უ ჩ ა. (დარაჯებს და ამილახვარს) ღმერთმა შეგინდოთ ეგ თავხედობა.

(მ ა ნ უ ჩ ა სასწრაფოდ გადის, დარაჯები ამილახვარს ტოვებენ)

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. (სახტად დარჩება). ჰოი, ღმერთო დიდებულო, რა ღრო დაგვიდგა — მონაზონი ბიჭის დაემსგავსა. (ჯემალი გამოჩნდება). ჰეი, ღილეგის მცველო, საით გარბიხარ?

გ ე მ ა ლ ი. (ამილახვარი ახლა შეამჩნა) ერეკლესთან, ომში მივდივარ!..

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მათე-ყაჩაღი ხომ ღილეგშია?

გ ე მ ა ლ ი. აბა სად იქნება?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ღილეგის კლიტე მომეცი.

გ ე მ ა ლ ი. კლიტე ჩემია.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. (მკაცრად) მომეცი-მეთქი!..

გ ე მ ა ლ ი. ჰა, (გასალები გადაუგდო) კარგად ჩაიჭიბე, იქნებ ამ კლიტის რახუნზე მოგიწიოს წყალის დალევა. (გარბის).

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ეჰე, ხალხო, სასახლის კარი ყაჩალებით აივსო!..

(დარაჯთგამრიგე გამოჩნდება)

დ ა რ ა გ თ გ ა მ რ ი გ ე. რაო, რას ბრძანებთ, დიდო თავადო?!

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. სასახლის კარი ყაჩალებით აივსო-მეთქი!

დ ა რ ა გ თ გ ა მ რ ი გ ე. (უნებურად, სიფრთხილის ნიშნით) ხომ არ გაგიყდით?!

ამილას ვარო. (აფთარივით შემობრუნდება). ამასაც მოვესწარ, ამილახვა-  
რს გიყი პგონიათ... (დარაჯთგამრიგეს) დილეგში შემიძებ, მათე-ბიჭი  
მაგრად დავბეგვოთ.

ფარდა

### მოძმედება მიმოხსე

#### სურათი მეშვიდე

მაღლობი, შორს თბილისის მიდამო მკრთალად მოჩანს. სცენაზეა გუგუნა და შერმაღა-  
ნი. ისინი მღერიან.

შერმადინი. თითს პეჭედი, ხელს კალათა ალაზანმა წამყარაო  
ჩემი ცოდვა იმას პქონდეს, ვინაც შენს თავს გამყარაო...

გუგუნა. თეთრო ქალო, თეთრი კაბა თეთრად შეგიმშვენებია.

ქალალდივით ძუძუები გულზე დაგისვენებია.

შერმადინი. თვალათა გნახე, ქალო, ამომავალი მზე ხარო,  
ნეტავი იმის დედასა, ვისიც ილბალი შენ ხარო...

გუგუნა. თეთრი ქალი ბრინჯს არჩევდა, შავგვრემანი სამარხოსა,  
დამიტიროს თეთრმა ქალმა, შავგვრემანმა დამმარხოსა...

(შემოდის მაია)

მაია. (სიმღერით) ვერცხლის კალოს ნუ შემოხვალ, ფეხი აგიცურდებაო,  
შემოგყვება სიყვარული, გასვლა გაგიჭირდებაო...

რად შეწყვეტებ კარგი შაირი, სიმღერაში ღრო იწურება.

შერმადინი. მათე, ნეტა იცოდე, რა ძალიან გიხდება მონაზვნის კაბა.

გუგუნა. მათე, ქალი რომ ყოფილიყავ, შენს ბატონს ვერ გადაურჩებოდი

(იცინიან)

მაია. ჰქუას მოუხმე, შე ციყვო, შენა...

შერმადინი. გუგუნა მეუბნება: მათე ღმერთს დედაკაცად უფიქრის და  
ბიჭად კი დაბადებულაო.

გუგუნა. ლაშქრის საქმეში დედაკაცი თუ არაფრად ვარგა, მისი კაბა ხომ  
გამოგვადგა?

მაია. დედაკაცი ფრთხილად ახსენე, დედაკაცი არ არის დედაშენი, ამო-  
დენა ჩოყლაყი რომ გაგზარდა.

გუგუნა. (ლიმილით) ჰო, შენც ეგა თქვი.

მაია. ერთს კი სწორს ამბობთ, ქალის კაბით ბრძოლაში ჩაბმა სათაკილოა.

შერმადინი. (სიამაყის გრძნობით მაიას). ქალის კაბაში თუ მათე-ბი-  
ჭია, — რალას იტყვი?

მაია. (შორს გაიხედა, სიტყვა არ გაუგონა) ცისკარმა გამოანათა და  
რა მაინც არა ჩანს.

შერმაღინდებიან, ქარიყლაპია არ შეცდება.

(შემოსის მანუჩა)

მანუჩა. არავინ ჩანს, ბიჭებო, უთვალთვალეთ, თქვენი რიგია. ჩქარა...

(გუგუნა და შეტაღინი გადიან. სცენაზეა მათა და მანუჩა).

მაია. ეს რა მიყავ?..

მანუჩა. რა დაგიშავე, რისთვის მიწყრები?

მაია. ქალის კაბით რომ ნახევარი ქვეყანა შემომატარე, — ჩემი ტანსაცმელი რისთვის დააგდე?

მანუჩა. (აფორიაქებული) მათე, მათე-მეთქი!..

მაია. რა მოვდის, ბიჭო!..

მანუჩა. თავს მოვიყლავ!..

მაია. რატომ, ბიჭო?

მანუჩა. ამილახვარმა გულში ჩაგხედა. ირანის ელჩს რომ გადავურჩე, სულ-ერთია, შენს ხანჯალს გულში დავიცემ.

მაია. რათა ბიჭო, არ იტყვი?..

მანუჩა. ანგელოზი ხარ.

მაია. (ვითომ გულგრილად) ხომ არ გაგიუდი?

მანუჩა. დედაკაცი ხარ..

მაია. (არ მოელოდა) ოჰ!..

მანუჩა. ხატი ხარ, ზეციერი!

მაია. რას მიედები, ბიჭო, უძილობამ ხომ არ დაგსუსხა?

მანუჩა. (მტკიცედ) დედაკაცი ხარ!

მაია. ნულა ჰყვირი მაინც... (გულწრთელად) მანუჩა, მხოლოდ შენ იცი, რომ მათე-ბიჭი საცოდავი დედაკაცია, ნურავის ეტყვი.

მანუჩა. თვით მეფეს ვეტყვი.

მაია. (მყარალ) მანუჩა!..

მანუჩა. აბა, რა ვქნა, მე აღრევე ვთქვი, ბიჭი კი არა, ანგელოზია-მეთქი.

მაია. მაინც რა გინდა?

მანუჩა. შენი სახელი მითხარ, გევედრები.

მაია. ამისათვის იკლავდი თავს? არ გეტყვი.

მანუჩა. ბრძოლის წინ თავს მოვიყლავ.

მაია. ძაან კი ვინალვებ, შენისთანა ბიჭები კი წყდებიან.

მანუჩა. რა დაგიძახო?

მაია. (მყარალ) რა საყითხავია, — მათე! სხვა სახელი შენ არ გჰირდება.

მანუჩა. (მუდარით) ერთხელ ვიტყვი შენს სახელს, მხოლოდ ერთხელ.

მაია. (ოვალები აენთება) მათა შექია.

მანუჩა. მაია!

მაია. ჩუმად!

მანუჩა. რა ვქნა, ვაი, რა ვქნა, რომ ასარ ვხცი.

მაია. რა კხელება გჭირს, აღარ იტყვი?

მანუჩა. მიყვარხარ გოგო!..

მაია. რას ამბობ, ბიჭო!

მანუ ჩა. გინდ მომკალი, მაინც მიყვარხარ!

(შერმადის)

მაია. (მანუჩას) ხმა ალარ დაძრა... რაო, შერმადინ?

შერმადინი. ვიღაც ცხენს მოაგელვებს...

მანუ ჩა. (შორს გაიხედავს) ქარიყლაპია..

გუგუნა. არა, ის არ არის.

მაია. (შორს იცქირებოდა) უცხოა...

მანუ ჩა. წინ მზვერავი თუ გამოგზავნეს.

მაია. ბიჭებო, სადა ხართ?

ყველანი. აქ ვართ (კიდევ ორი ბიჭი შემოემატა, მაის რაზმელები).

მაია. გუგუნა ჩემთან დარჩები, შერმადინ, შენ მარჯვნივ ჩასაფრდი. ბრძოლას ჩვენ ვიწყებთ, ჩემო მანუჩა! (სხვებს) ჩემი დამბაჩის ხმაზე თოფებს გაისვრით, ყიუინს მორთავთ.

ყველანი. გვესმის, მათე.

მაია. კიდევ ერთი, ნიშანში არც ერთი სროლა, მთავარია ცოცხლად ჩაგვბარდნენ. თუ გასჭირდა სამიზნოდ დამბაჩებს შამოინახავთ.

შერმადინი. აგრე იქნება!

მაია. თუნდა ყველანი გავწყდეთ, არც ერთი მათგანი მტრის ბანაში არ უნდა გაძვრეს. ერეკლეს ბრძოლა და გამარჯვება ჩვენზე ჰქილია.

ხმები. აგრე იქნება!..

მაია. ჩუმალ... აღგილებზე ხოხვით, ბუჩქს მიეფარუთ!..

(გადიან. სცენაზე ჩება მაია, მანუ ჩა და გუგუნა)

ამ-ანაფორას ალარ გაიძრობ?

მანუ ჩა. ისინი მლედელს არ მოერიდებიან, არც მონაზონზე შეფიქრდებიან, სიტყვა თუ გავაძი, ერთ-ორს კი მოვაქუჩებ, უსისხლოდ სჭობს... გუგუნა გვერდზე გადექი, ღრმად ჩასაფრდი. კოტრიალი რომ შეიქნება, მერე გამოჩნდი.

გუგუნა. კი კოტრიალია (მიიმალება).

მანუ ჩა. კარგია, მაშ! ქაიხოსროს ულვაშებში ხელის ჩავლება ნახევარი სიცოცხლეა... ბიჭებო, ერთი ფანდური მაინც გვქონდეს, ფანდურით ბრძოლა რიგიანია. ერეკლე მეფეს საიათნოვა ამისათვის უყვარს... (მღერის)

კურდელმა თქვა ჩირგვში ვზივარ,

ვერვინ მოვა ჩემზედაო,

გვიხედე სერჩედაო, ბატონი ზის ცხენზედაო...

გუგუნა. (აჩქარებული) რის ბატონი? ბატონი კი არა — ბიჭებო, ხელავთ, ცხენს ჯემალი მოაჭენებს...

მაია. ჯემალი! (შერმადინი შემოდის).

შერმადინი. მათე, ჯემალი!.. (ერთ წერტილში იცქირებიან).

მანუ ჩა. საიდან სადაო?.. როგორ მოგვაგნო,

მაია. (შორს იცქირება) ჩვენ დაგვეძებს, აქ დაუძახეთ.

მანუ ჩა. ეპეე, ჯემალავ!.. (ჯემალი: ეპეე!..)

გუგუ ნა. აქეთ მაღლა ამოდი (ჯემალი გამოჩნდება).

ჯემალი. სადა ხართ, ჯო!..

მაია. ჯემალ!..

ჯემალი. (ძლიერ დაღლილია, ქოშინებს) ბიჭებო ჩქარა...

მაია. ჯემალავ, აქ ვინ მოგასწავლა?..

ჯემალი. ქარიყლაპიამ. ირანის ელჩი და ერეკლეს მტრები ლილოს გზით  
წავიდნენ. ტაბახმელას გვერდი უქციეს.

მაია. მოვტყუებულვართ.

ჯემალი. ქარიყლაპიამ შემოგითვალათ: ჩქარა, თავს თუარ დაზოგავთ,  
ლილოს გზით უსათუოდ მივასწრებთო.

შერმადინი. ჩემი ყურით გავიგონე ამილახვარმა რომ თქვა: ლილოს გზა  
შორეა, ტაბახმელის გზით მოუვლით.

ჯემალი. თქვეს, მაგრამ შორი გზით შინ მშვიდობით მისვლა არჩიეს. ჯო,  
ქარიყლაპიამ, იჩქარეთო, ცხენები არ დაწიგოთო, მარქაფა ცხენები  
ნორიოს აღმართზე დაგხვდებათ, ბიჭებულება. ჩქარა!..

მაია. გახსოვთ, ერეკლეს რომ ვუთხარი, თქვენი სახელით, ჩვენი ბიჭები არ-  
წივის ფრთხებს გამოისხმენ-მეთქი!..

შერმადინი. გვახსოვს...

მაია. ჰოდა ეგ არის, ჩემო არწივებო, უნდა გავფრინდეთ, მტერს ყიზილ-  
ბაშთ სარდლობის ბანაკამდე უნდა შევდიოთ. სიკვდილი ან გამარჯვება!  
ჩვენთვის სხვა სიტყვა აღარ არსებობს.

ყველანი. ამინ!..

ჯემალი. ჩქარა, ჯო!..

მანუ ჩა. ჯემალავ, ხომ გაგიგონია — კურდლელმა თქვა... (სხვა კილოზე)  
დედას უწტირებ იმ ძაღლიშვილებს...

მაია. ცხენებზე!.. (გადის).

ჯემალი. ჯო, რა თქვა კურდლელმა?.. (გარბიან).

### შერათი შერვე

მაღლობი. ქართველთა ლაშქრის რამდენიმე ზარბაზანი ველს გადაყურებს, წინა. პლატე  
ერეკლეს საღვითო. უკან—ერეკლეს მეომრები, მათი კარვები.

სცენაზეა ერეკლე, სპასალარი და ერთ-ერთი სარდალი, ერეკლე ზის, შორს იცქირება.

საპალარი. სიფრთხილე გვმართებს, მეორე დღეა უმოქმედოდ დგას,  
ბრძოლას არ იწყებს.

სარდალი. არაქსის გაღმიდან შემოჭრილი აგრერიგად რამ გაარინდა,  
მიკვირს, სპასალარო.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. აბა რა გითხრათ, მტრის ფანდები წინასწარ ძნელი ასა-  
სნელია.

ე რ ე კ ლ ე. სპასალარო, ბრძოლა უსისხლოდ მთავრდება ვგონებ. უსისხლო  
ბრძოლა ყველა ბრძოლაზე დიდი მონაგარია.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. ამის მიზეზად რას ჰაფიქრობთ, მეფევ, ბატონო.

ე რ ე კ ლ ე. ზარბაზნებმა დააფრთხო მტერი, ჩვენი ზარბაზნი სჭობია მტრი-  
სას, ისე დაჭვუხა, რომ ყიზილბაშს ბრძოლის წყურცილი გაუნელა, —  
დაილოცოს მისი გამჭედი.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. ჩემო მეფევ, ვშიშობ: მაშველ ჯარს თუ ელოდებიან.

ე რ ე კ ლ ე. ტყურილი შიშია, ჩემი ცნობით მაშველი ჯარი ყიზალბაშს არა  
ჰყავს, მთელი ძალებით შემოჭრილია.

(ისმის ბუქის სმა შემოდის მხედარი)

მ ხ ე დ ა რ ი. დიდო მეფევ, ყიზილბაშთ მხედრობის მარცხენა ფრთამ პირი  
იბრუნა, სახლში მიღიან.

ე რ ე კ ლ ე. ზარბაზნანთ სიმრავლემ შეაშინა ურჯულოთ ხანი, — არ მოელოდა.

(შემოღის სხვა მხედარი პირველი გადის)

მ ხ ე დ ა რ ი. დიდო მეფევ, ყიზილბაშთა მხედრობის მარჯვენა ფრთამ კარვეპი  
აშალა, პირი იბრუნა...

(გადის)

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. (შორს იცქირებოდა) უკან მიდიან.

ე რ ე კ ლ ე. სპასალარო, ბეწვის ხიდზე გავდივართ ყველანი.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. ამას რათ ბრძანებთ, დაღო მეფევ?

ე რ ე კ ლ ე. (სიფრთხილით მიიხედავს, არავინ მისმენდესო). როგორ თუ  
რად, ჩვენი ორმოცი ზარბაზნი გადაჰყურებს ურჯულოთ ლაშქარს, ზარ-  
ბაზნებით მტერს დიდად ვჭარბობთ... (ნაღვლიანად). მაგრამ რა იცის ამა-  
ვე მტერმა, რომ ერეკლეს ექვსი მეზარბაზნე ჰყავს, ზღვა ლაშქართან ხუ-  
თი ათასით ბრძოლა გასჭირდებოდა, მტრის ათას ფალკონატს ჩვენი ას-  
ოცი ფალკონატი რას დააკლებდა.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. დიდო მეფევ, რაღა აკლდა, ასე არ იყო აზატ-ხანთან, ბრწყინ-  
ვალე ბრძოლა თქვენ რომ დაგრჩათ?

ე რ ე კ ლ ე. ის სხვა იყო, ერეკლე მაშინ, სპასალარო, ჭაბუკი იყო, ომს სიჭა-  
ბუკე დიდად შევლის... მაკედონელი სამოცი წლისა რომ ყოფილიყო, ინ-  
დოეთზე გალაშქრებას ვერ გაბედავდა... (მხედ) ე, სპასალარო, ვინ თქვა  
სიბერე, ერეკლე მრავალეამიერ კიდევ იბრძოლებს.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. მეფევ, კარგი სიჭაბუკეს კარგი სიბერე ახლავს.

ე რ ე კ ლ ე. კარგი ის არის — ბრძოლა უსისხლოდ მთავრდება... სპასალარო,  
ფრთები ხომ კარგად შეკრული არის?

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. დიახ, მეფევ, რატომ ფრთხილობთ ფრთებს?

ე რ ე კ ლ ე. საკმარისია ერთი კაციც კი ამ ჩვენს ლაშქარში ქართველთ მოღა-  
ლატე აღმოჩნდეს, მტერი ჩვენებ შემობრუნდება.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. ყველა გამცემს არც დაუჭერებს, ხაფანგს გვიგებსო, ყიზილ-ბაშმა სიფრთხილე იცის.

ე რ ე კ ლ ე. (მკვახედ) თავადიშვილს უჭერებს ყიზილბაში.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. (სხვა ტონით) თავადებზე მეჭიროს თვალი?

ე რ ე კ ლ ე. (სპასალარს მიუხვდა განაწყენებას) სპასალარო, აბა მითხარი, ერთი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, რომ გლეხს გაეცეს, ეღალა-ტოს მისი ქვეყნისთვის.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. არ მახსოვს, მეფევ.

ე რ ე კ ლ ე. რაც არ არის, რას გაიხსენებ... ამას რომ ვიტყვი, ჩემი ერთგული თავადებიც კი წარბსა იქრავენ, არ მოსწონთ ჰეშმარიტი ეგ შედარება.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. (კუაყოფილებით, რომ მოაგონდა) მეფევ, ბატონო, ამასწინან-დელმა ერთმა შემთხვევამ სულ გაასწორა აქამდელი ერთგულება ყველა გლეხისა.

ე რ ე კ ლ ე. რა შემთხვევას ამბობთ?

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. მეფევ, უთვისტომო ვიღაც ნაყმევი მეფის კარს. რომ დაუახ-ლოვეთ, ის ნაყმევი ჯაშუშობით ისეთ მზაკვრობას ამზადებდა, ას თავადს ერთად არ ჩაუდენია... სასახლის კაზზე მკვლელობა რომ ჩაიდინა...

ე რ ე კ ლ ე. (მოიღრუბლება) მისი სახელი მათე-ბიჭია.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. დიახ, მეფევ, მისი სახელის ხსენებაც კი მეზარება.

მ ე თ მ ა რ ი. (შემოღის) ამილახვარი!..

(შემოღის ამილახვარი)

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. (შეშფოთებული) დიღო მეფევ, ჩვენო მფარველო და მოზ-მავევ, ჩვენ ყველანი განსაცდელის წინაშე ვდგევართ.

ე რ ე კ ლ ე. (აღგება) რაო, რა მოხდა?!

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მათე-ბიჭი დილეგიდან გაგვექცა, მოღალატე, ჯაშუში მათე, არაქსის გაღმა რომ გარბოდა, ანლა უთუოდ თავის პატრონს მიაშურებს. დიღ ხიფათს შეგვყრის, მან კარგად იცის, რომ ერეკლეს ლაშქარის ექვსი მეზარბაზნე ჰყავს და ოცდათოთხმეტი ზარბაზანი უქმად უდგას. ეს თუ აცნობა, ყიზილბაშთა აყრილი ჯარი უკანვე წამოიშლება, ზღვა ლაშქარი აგვაოხჩებს, ქალაქს დაანგრევს, სისხლის ნიაღვარს დააყენებს ურჯუ-ლოთ ხანი. დიღო მეფევ, ჩქარა მდევრები, ყველა გზები სასწრაფოდ უნდა შეიკრას.

ე რ ე კ ლ ე. როდის გაგვექცათ?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. გუშინ დასამხრებაზე.

ე რ ე კ ლ ე. დღეს სალამომდე სადღა იყავით?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ჩემი მდევრები დავგზავნე. მათ დაბრუნებას ველოდი გუ-შინ, დღეს დილიდან თქვენთან ვესწრაფვი.

ე რ ე კ ლ ე. მერე?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. არც მდევარი ჩანს, არც ის ყაჩალი ბიჭი.

ე რ ე კ ლ ე. (სპასალარს) მათე-ბიჭის არაზმი ჩემს ლაშქარის თუ ახლავს თანა?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. არა, მეფევ, ის ბიჭებიც მასთან გაიქცნენ... რჯულგამოც-ვლილს, აჭარელს ენდეთ...

ერეკლე. (მქაცრად) ამილახვარო!..

ა მილახვარი. (ორად მოიკეცება) მომიტევეთ, მეფევ, ბატონო, დილეგის კარი იმ აჭარელმა გაუღო ყაჩალს. (კლიტე აჩვენა) ეს გასაღები მესროლა და მომაძასა: ამილახვარო, იმ კლიტის რასუნზე მოგიწევს წყლის დალევა.

ერეკლე. ეს რაღას ნიშნავს, როგორ ახსენი?

ა მილახვარი. მეფის კარის ასაქლებად მოგზავნილი ყაჩალები არიან... მადლობა უფალს, დიდო მეფევ, რომ გადაურჩით... (პირჯვარი გადაისახა, ცბიერად) იმ ყაჩალს, თქვენს დარბაზში შესვლა ნებადართული ჰქონდა.

ერეკლე. ამილახვარო, ის ბიჭი ზოგმა თავადმა ადრევე შეიძულეთ, მაგრამ დღევანდელ ამ ჭეშმარიტებას ვიღა აუვა... სპასალარო, ოთხივ მხრივ გზები შეკარით, მდევარი ჩქარა, მტრის ლაშქრამდე არ მიუშვათ. თუ არ დაგნებდათ, იქვე მოკალით. ცოცხალს მართლმსაჯულების ყველა სიმკაცრე თავს დაატეხეთ, ასეთია მეფის დასტური!

სპასალარი. მეფეო (სპასალარი და სხვა ორი მხედარი, რომლებიც ამილახვარს შემოჰყვნენ, გასვლას დააპირებენ, ამ დროს გაისპის მაის სხა).

მაია. (შორიდან) გამიშვით, მეფესთან გამიშვით, მეფე ერეკლე!.. (ისმის სმაური, ჩოჩქოლი, წინააღმდეგობა, მაის არ უშვებენ).

ერეკლე. რა სმაურია, იქ რას სხადიან?..

(შემოდის მხედარი)

ბ ს ე დ ა რი. დიდო მეფევ, ვიდაც დედაკაცი თქვენთან მოსვლას ესწრაფვის, ამალა ახლავს, მათე-ბიჭი ვარო, ასე იძახის..

ა მილახვარი. (ნირწამხდარი) მათე-ბიჭიო?

ერეკლე. ამილახვარო, მათე-ბიჭი თვითონ მოვიდა... (მხედარს) აქ მოიყვანეთ... (ვიღრე მხედარი გავიღოდეს, მაის შემოვარდება, მონაზვნის კაბა მუხლებამდე აუკეცია, სახელოები დაკაპიტებული იქვს, ჩექმა აცვია, შეიარაღებულია).

ა მილახვარი. ღმერთო, ამას რას ვხედავ, ის მონაზონი?!

მაია. მეფე ერეკლე!..

ერეკლე. ვინა ხარ, დედაკაცო?!

მაია. განა ვერა მცნობ, ჩემო მეფევ, თქვენი მათე ვარ...

ერეკლე. (მქაცრად) ქვეყნის და მეფის მოლალატეო, ასე ამბობენ.

მაია. არა, მეფევ, მოლალატე თქვენს პირისპირ დგას, — ამილახვარი! ნება დამრთეთ დანარჩენებიც აქ მოგიყვანოთ (ამილახვარი დამბაჩას იძრობს, მას მხედრები შეაჩერებენ).

ერეკლე. შემოიყვანეთ! (მხედარი გადის).

მაია. ჩემი რაზმიც თან მოიყვანეთ.

ერეკლე. ყველანი ერთად შემოიყვანეთ!

(შემოდიან ირანის ელჩი, ბარათა, ქაიხოსრო, თავზე ნაბდებამოფარებული, გათოკილები, მათ მის რაზმი მოჰყვება)

განუჩა. გაალახეთ, რა დროს სიმორცხვეა, მიდი!..

ქარიყლაპია. (ქაიხოსროს) ნუ კრუსუნებ!

ჯე მალი. (ელჩის) შენ გელაპარაკები, სულს ამოგაშპობ.

მაია. (თავისიანების) წყნარად, თქვე ქეციანები, მეფეს ვერ ამჩნევთ?

ამალი. დიდება მეფეს!..

მაია. მეფე ერეკლე, აი ამ ბიჭებს (თავის რაზმზე უჩვენა) ეს მცირე ძღვენი თქვენთვის მოურთმევიათ... სამი ვერაგი! მეოთხემ ცოდვილი სული ღმერთს მიაბარა... ნაბდები ჩამოვაფარეთ, რომ ამილახვარს არ შეეტყო ამათი ბედი, თორემ ლახარია და გაიქცეოდა.

(შეპყრობილებს ნაბდები ახადეს).

ერეკლე. რანის ელჩი... კვლავ თავადები... (ქაიხოსროს მიათითა) ეს სომ ყმებსა ყიდღა.

მაია. ყმები რა არის, მთლად საქართველოს ურჯულოდ ყიდღა... გზაზე შევაბყარ, ელჩი მის პატრიონთან მიჰყავდათ... ერეკლეს ლაშქარს ექვსი მეზარბაზნე ჰყავს, უკან მობრუნდით და საქართველო მთლად დაგრჩებათ სამეფო ტახტით, ასე დააბარა ამ ვერაგებს ამილახვარმა, ამიტომ მოვკალი წუწყი გუბაზი, აწ თვით განსაჭეთ.

ერეკლე. ამილახვარო, რალას იტყვი?

ამილახვარი. (უტიფრად) მეფევ, ახლაც გატყუებს ეს მათე-ბიჭი, ბაჟი კი არა—დედაკაცია.

(სიტყვა „დედაკაცი“ მეფემ გინების მნიშვნელობით გაიგო).

მანუჩა. (თავისთვის) ერთი სიმართლე ამილახვარმაც კი სთქვა.

ერეკლე. (მხედრებს) გაიყვანეთ!

ბარათა. მეფევ...

ერეკლე. ჰეი, ბარათა, თუ რამე გეთქმის...

ბარათა. მოწყალეო მეფევ... ამილახვარს მოჰკირთხეთ ჩემი ცოდვები, მან დააქცია ჩემი ოქაზი.

ერეკლე. ელჩი გააცალევეთ. ამილახვარი იმ დილეგს ჩაკეტეთ, მათე-ბიჭი რომ უსამართლოდ ღამეს ათევდა.

(ვატიმრები გაპყავთ)

ჯე მალი. მეფევ, (ამილახვარზე ანიშნა) ამას ღროზე ვუთხარი, მათეს დილევი არ აგცდება-მეთქი. არ დამიჯერა.

ერეკლე. აქარელო, შენი სახელი სულ დამავიწყდა.

ჯე მალი. ჯემალა მევია.

ერეკლე. სპასალარო, ჯემალი მეფის ამალაში ჩარიცხეთ, საზრიანია, ალლო ჰქონია... (სხვებს) სისხლიან ბრძოლას საქართველო გლეხით იგებდა, უსისხლო ბრძოლაც გლეხის ერთგულებით მოგებულია!.. მათეს ბიჭებო, ეს ვაჟაცობა ჩვენს ქვეყანას დიდად სჭიროდა. მწიფობისთვეს თქვენი მეფე რუსის ჯარს ელის, ერთიან ძალით. შეიკრება ჩვენი ქვეყნის გაბზული სუსტი კედელი.

უველანი. დიდება მეფეს!..

ერეკლე. დიდება. თქვენ, ჩემო შვილებო!.. (გასძახებს) დაპკარით ბუქსა და ნაღარის, ააქცეთ ეს ზარბაზნები, საზეიმო სულისკვეთებას ფალკონა-ტების ხმებიც შეუწყვეთ, თავი დახარეთ მათე-ბიჭის ჩაზმის წინაშე... მანუჩა. ჩვენო მეფევ, საქართველოს ლაშქართ სულისდგმავ, ბიჭი ვი არა, — ქალს უუმაღლოთ, უსისხლო ეს გამარჯვება.

ერეკლე. ქალსო? აბა ჩას ამბობ, ჩემო მანუჩა?..

მანუჩა. თქვენ რომ მათე-ბიჭის ეძახით, ჩვენო მეფევ, დედაქაცია, მას მაია ჰქვია (მაია ერეკლეს წინაშე ჩაიმუხლებს).

ერეკლე. (მაიას სახეში ჩაცემერდება) დიდება შენ ღმერთო... (პირჯვარი გადაისახა, ნათელი მოეფინება). ამისთვის უთქვამს სულმნათსა შოთას, ლექვი ლომისა სწორიაო.

მაია. ჩემო მეფევ, საქართველოში ყველა ასეა, ვისაც ჭავრი ჰქლავს ავკაცებისა და ქართველობისათვის ანთებულია.

ერეკლე. (მაიას წამოაყენებს) მეფეს ნუ მეტყვე. მამა მიწოდე. ქალო კი არა... (სხვებს) აბა, ვინ მოსძებნის ამისათვის, სიტყვას?.. შვილო მაია, ამორძალი ხარ?..

მანუჩა. (თავგამეტებით) მეფევ, მაპატიეთ კადნიერება, მაია ჩემი მიზნური არის.

ერეკლე. (ქუდი მოიხადა) ჰოი, ღმერთო დიდებულო, ასეთი შვილების მოიმედე არ გატყდება არასოდეს ჩვენი ქვეყანა!.. ჩემო ლაშქარო, მუხლი მოიყარეთ ქალის წინაშე, ვის მკერდშიაც რკინა წკრიალებს. მუხლი მოიყარეთ საქართველოს დედის წინაშე, თავდადებულ შვილებს რომ გვიზრდის, კვლავაც დაზრდის და ჩვენს ქვეყანას არასოდეს მოაყივნებენ!.. (მაიას შუბლზე ჰქოცნის, მეომართა უკანა რიგებიდან თანდათანობათ ძლიერდება ხმა ლაშქრულისა, მას ზარბაზნების ხმები უერთდება).

ფარდა

## ეს ხალხი შენთან მოვიდა, ღენინ!

წაკითხულია ლენინის ძეგლის გახსნაზე ბათუმში

ეს ხალხი შენთან მოვიდა, ლენინ,  
შენც ხომ ყოველთვის იყავი ხალხთან.  
შენ რომ ნაპერწკლით გახიე ბნელი,  
ის. ნაპერწკალი მნათობი გახდა.

ეს ხალხი შენთან მოვიდა, ლენინ,  
ეს გაზაფხულიც შენს ახლდ თბება,  
ათქვირებული აპრილი ლხენით  
საოუთად უვლის შენს დაბადებას.

მსოფლიო ლოცავს შენს დაბადებას.  
შენზე ხომ მუდამ სიმღერად უღერდა:  
— სიმართლე, ბრძოლა და უკვდავება  
დაიბადაო ლენინთან ერთად.

მილიონები გადიდებს შენა,  
ბელადს, მეგობარს, ბრძენს ყველა ერთა,  
ცეცხლი, იმედი და გადარჩენა  
დაიბადაო ლენინთან ერთად.

შენი სიცოცხლის გზა ტიტანური  
ვიცანით, გვიყვარს შენი მზის დაცვა.  
ეს გაქანება, ეს სიყვარული  
ჩვენ შეგვასწავლა ფოლადის კაცმა.

ის შენთან ერთად იწამა ხალხმა,  
დრო თქვენს ცხოვრებას ვერ დააბერებს.  
ორი სახელი, ორი მზის ტალღა  
დაუვლის ხმელეთს.

“მან შენებური გენით გვზარდა,  
გულებში ჩარგო ნათელი შენი,  
მიტომ პარტიის მხარდამხარ დადგა  
ეს მადლიერი ქვეყნა, ლენინ!

წეც ამ პპრილის ფერები მინდა  
და მილიონი გულების ფეთქვა,  
რომ ვუთხრა ლექსი ამ ქალაქიდან  
დედამიწაზე შენს გადახედვას.

ეს ხალხი შენთან მოვიდა ლენინ,  
შენც ხომ ყოველთვის იყავი ხალხთან:  
დღეს ჩვენი ზეცის მაღალი ბჭენი  
შენ მხრებით უფრო ასწიე მაღლა.

## სტარინი პრაღაში

ის აქ მოვიდა გაზაფხულზე, ორმოცდაოთხში,  
გარუჭულ მხარზე ჩეხს დაადო მამის მარჯვენა,  
გზა გაიარა სიკვდილის და ომების მოშლით,  
ის აქ მოვიდა გაზაფხულის გადასარჩენად.

ის რომ მოვიდა გაზაფხული იგრძნო ამინდმა,  
როგორც მშვიდობა, სიყვარული,  
ის აქ მოვიდა,  
ის აქ მოვიდა ყირიმიდან, ლენინგრადიდან,  
სტალინგრადიდან და მოსკოვიდან.

ის აქ მოვიდა და გრანიტის პიედესტალზე  
მედგრად ასული შომავალის დღეებს გაჰყურებს.  
ბრძენის თვალებო,  
თვითონ ბრძასაც სინათლეს აძლევთ,  
თქვენ მტრის ფოლადი  
ფოლადური მზერით გაღუნეთ.

დღეს მოქანდაკე, მეოცნებე და ჯანმაგარი  
გეტივის:

— ძმაო, აქ როს შეჩერდე და ძეგლს ახედო,  
თქვი, რომ პრაღაში სიხარული არის ამგვარი, —  
ჩვენ ამ გრანიტში  
გაზაფხული გამოვსახეთო.

## ტ ყ ე შ ი

ამ ტყეში ალბათ არავინ არი,  
არც ვინმე მღერის, არც ვინმე დაღის.  
მაგრამ ყველაფერს ატყვია კვალი  
თვითეულ დღისა და წელიწადის.

დაეწურება მზე ლამაზ იფნებს,  
ოქროს ფოთლებად მზე ძირს დაცვივა;  
ტყე შეგაჩერებს და დაგაფიქრებს, —  
ცოცხალია ჩემთან რაც კია.

ყოველი ფესვი, ყოველი ღერო  
გამოიღიძებს, გამოფხიზლდება  
და შეგიძლია აქ დაჩერო,  
რომ ყველაფერი ქვეყნად იზრდება.

აქ მძლავრი ხენი ცის ფარდებს ხევენ,  
სიმაღლის სწრაფვა არის ასეთი,  
მაგრამ გაზრდაში პატარა ხეებს  
არ ეღობება გზაზე არც ერთი.

და იქაც — დაბლა, ბარდებთან ბალას  
სწადია ტანის ატანა ცამდი,  
მასაც აწვალებს მგზნებარე ძალა.  
ყოველი დღისა და წელიწადის.

მასაც მსოფლიოს წიალი ბადებს, —  
სიცოცხლის ტალღა დაუხარჯველი.  
მასაც სურვილად აქვს სიღიაღე  
გაჩენის, ბრძოლის და გამარჯვების.

აქ ხის, ბალახის და წყაროს სიტყვით  
ტყე მეუბნება ისევ და ისევ,  
რომ ყველაფერი მუდმივად ილტვის  
სინათლისაკენ და სიმაღლისკენ.

## დენინის ქუჩა

ჩემი სიყრმის ფართო ქუჩა, ქუჩა დიდი ლენინის  
და მზიანი პერსპექტივა შორით-შორს გაფრენილი.

ის პატარა აივანი, აივანი ზარნიშებით,  
დედის ხელით გაფენილი მოქარგული ბალიშებით.

ის ოთახი უზრუნველი, მხიარული დღეებით,  
თბილ ასფალტზე შექსებულ თავქოჩორა ხეებით.

მიამიტი ბავშვებივით ცერებზე რომ დგებიან,  
იცინიან, ჩურჩულებენ, სახლში იჭვრიტებიან.

იჩურჩულეთ! ჩურჩულს თქვენსას მოაქვს ლალი ფიქრები,  
იჩურჩულეთ უფრო ლალად, როცა ალარ ვიქნები.

იშრიალეთ, ასრიალეთ მწვანე თვალთა ისრები,  
სხვა ბინადრებს მოუქროლეთ ის ცისფერი სიზმრები!

იშრიალეთ, დაამშვენეთ ქუჩა დიდი ლენინის  
და მზიანი პერსპექტივა შორით-შორს გაფრენილი.

## სტადინის ძეგლი ბათუმში

მას აქ დაისში უყვარდა მოსვლა  
და მომავალზე ფიქრი ნებისად,  
მაგრამ არასდროს არ ქონდა მოცლა  
მისებრ მშფოთვარე მეგობრებისგან.

თუ მოვიდოდა, ბრძოლით დაგეშილს  
მოჰკონდა ხალხში სიტყვა მჭექარი  
და მზის შუქივით ენთო ლამეში  
მისი ფიქრები დაუდეგარი.

იგი აქ იდგა, ამ სველ კენჭებზე,  
უცქერდა ამ წლვას, ღრუბელს, თოლიას.  
ეგებ აქ იშვა ის რისხვა მწველი,  
დედამიწა რომ აიყოლია?..

მას აღარ უწევს ამ ბაღში გავლა,  
ლილისფერ ჩრდილში წყნარად დაჭდომა...  
ჩაიგრიალა დაუდეგარმა  
მისმა მქუხარე ახალგაზრდობამ.

მას სიჭარმაგეც ერგო ხმიანი, —  
საყვარელ სახელს ვინ არ მღეროდა?  
ყველა მართალი აღამიანი  
კრძალვით, იმედით მას შესცქეროდა.

მას არ სწვევია სიბერე ნავსი, —  
განა ბერდება სპეტაკი ალი?  
ფიქრებით სავსემ ძალლონით სავსემ  
დასუჭა თვისი არწივის თვალ!

თვალდახუჭულიც იგი ჩვენია, —  
კვლავ გზას გვინათებს მისი გენია.  
კვიპაროსებო, ახელეთ მაღლა,  
საყუთარ ჩრდილში ნეტავ რას ეძებთ?  
აი, დგას იგი და ლეგა ნისლი,  
ვერ ეკარება არწივულ მხრებზე.

ხელავთ? ბრინჯაოდ გადაქცეული,  
ქვეყნის ჭირ-ვარამს კვლავ მხრებით ზიდავს  
და კვლავ იმედით და სიყვარულით  
მასთან მოდიან ყოველი მხრიდან.

## მოუღოღნედი კენჭისყრა

(ნაწყვეტი: რომანიდან „მოუსვენარი აღამიანები“)

...ზედ სადგურთან, ფართო შარაგზის მიღმა, ჩაის პლანტაციები იწყებოდა. ამწვენებულ გორაკებზე ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის ბაღებში ჩაძირულიყვნენ კრამიტით სახურავგაღაღწითლებული ოდა-სახლები. სადგურის მარჯვნივ, მარად მწვანე ხეივანში, ქათქათებდა სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და კოლმეურნეობის გამგეობის კანტორის ახლად შეთეთრებული ორსართულიანი შენობა, ხოლო მარცხნივ, მოკირწყლულ მოედანთან, ჩამწკრივებულიყო სამი თუ ოთხი მაღაზია და ფარდული, სამკითხველო, საკოლმეურნეო კლუბი და საფოსტო განყოფილების ახალი, ყოველმხრივ თუნუქ-შემოჭედილი და სახურავითურთ ცისფრად შეღებილი ხის პატარა სახლი.

კლუბის წინ მაღალ ბოძზე დამაგრებული რალიორგანიზაციულქრიდან მოისმა დროის მაჩვენებელი სიგნალი. მალხაზმა საათზე დაიხედა. სრული რვა იყო.

— ახლა ამ მიმაგრებულ-რწმუნებულობას არ ჭობდა, უშუალო სამსახურში რომ მივდიოდე?! — გაფავრებით ჩაილაპარაკა მან და კანტორის მოაჯირიანი კიბე აირბინა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტი დაკეტილი დაუხვდა. არც ბუქჰანტერიაში იყო ვინმე. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტიდან ხმა-მაღალი ლაპარაკი მოისმოდა. მალხაზი იქით გაემართა.

— ვერასგზით ვერ გავაღიძე, კაცო! — წყრებოდა ვიღაცა. — ამის შემდეგ აღამიანი იგი? თფუ!

მალხაზმა კარი შეაღო. კაბინეტში ორი კაცი იყო: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იასონ მახარაძე და საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი შალვა დარჩია. ორივენი იღგნენ. ასაკით ბაბუა და შვილიშვილი გეგონებოდათ. მაღალი, არწივის ნისკარტივით ცხვირმოკაუჭებული, ჭაღარა წარბებდაბურდული, მელოტი იასონი, რომელსაც თამბაქოს ხშირი წევისაგან თეთრ ულვაშთა ბოლოები შეყვითლებოდა, შვიდ ათეულ წელს იყო მიღწეული, მხარებეჭვანიერი, ახლადულვაშებდაყენებული, მკვირცხლი შალვა კი, დიდი-დიდი, ოცდახუთი წლისა თუ იქნებოდა. მალხაზმა მათ ხელი ჩამოართვა და ჩამოსვლის მიზეზი აუსხნა.

— კარგია, შვილო, თუ დაგვეხმარები, — წყნარად თქვა იასონმა და ყალიონი გააჩაო. — ახლა სწორედ კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე, აკაცი კუჭაიძეზე კლაპარაკობდით. პირდაპირ დაგვაძეცია ამ ორ წელიწადში! ჩევნი კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე იყო. შრომადღეზე ამ ჩვენს რაიონში თითქმის ყველაზე მეტ ფულს და ნატურას ვარიგებდით. ახლა? ახლა. სათქმე-

ლადაც სიჩქვილია! კუჭაიძემ აურ-დაურია ყველაფერი: აღრიცხვა მოუგვა-რებელია, დისციპლინა მოშლილი. მას ფეხებზედაც კიდია ყველაფერი, სვამი და სვამი, მუდამ გალეშილია.

— ახლაც მკვდარივით ძინავს, — საუბარში ჩაერია შალვა. — შოთერთან და საწყობის გამგესთან ერთად გამომთვრალა. ორი საათი ვქაჩე, წყალიც გადავასხი, მარა არაფერი გამოვიდა. საქმე კი ფერხდება: საწყობიდან, იარალების გამოტანა გვინდა, ავტომანქანა მოკრეფილი ჩაის ფოთლის გადა-საზიდად გვჭირდება, მუშახელს ცალკე პლანტაციებში და ცალკე ყანაში განაწილება უნდა. ამ სალამოს საერთო კრება გვაქვს მოწვეული. თავმჯდომარებ მოხსენება უნდა გააკეთოს, ის კი არხეინად ხვრინავს!

მალხაზმა შენიშვნა:

— თუ ლოთობს, პარტიულ კრებაზე გაგეხილათ მისი საკითხი, გაგეწითლებინათ, გაგეფრთხილებინათ.

— რამდენჯერ კაცო?! — გაფიცხდა შალვა. — ორი თუ სამი საყვედური ოქმში ჩავუწერეთ. არაფერი გამოდის!

— არც გამოვა! — დაუდასტურა იასონმა. — უნდა მოვიშოროთ. აი გამო-სავალი!

სულ შვიდი თუ რვა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მალხაზი ნარინჯის ველ-ზე კორესპონდენტად გამოგზავნეს, მაგრამ ყველა მონარდილ სოფელში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მაინც მოასწრო რამდენჯერმე მისვლა და ბევრ მუშაქს კარგად იცნობდა. მოხუც იასონს მათგან ყველა-ზე წინ აყენებდა. ეს იყო პატიოსანი, პირდაპირი კაცი, პარტიის ერთ-ერთი უძველესი, რევოლუციამდელი წევრი, რომელიც სასოფლო საბჭოს აგერ თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე უცვლელად თავმჯდომარეობდა და ხალხში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. რაკი ეს გამოცდა-ლი კაცი დაბეჭითებით ამბობდა, რომ კუჭაიძე „უნდა მოეშორებინათ“, ესე იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან მოეხსნათ, მალხაზს ამ მოთხოვნის სისწორეში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ როგორ შეეცვალათ თავმჯდო-მარე ახლა, გახურებული მუშაობის დროს, ანდა ვინ აერჩიათ მის მაგიერი ამასთან, როგორც იასონისა და შალვას სიტყვებიდან ჩანდა, კუჭაიძე არა აქაური, არამედ გამოგზავნილი იყო, მაშასადამე, ნებიერიძის ხელშეწყობით აღმოჩნდა თავმჯდომარის პოსტზე. ამიტომ წინდახედულება მოითხოვდა მისი შეცვლის საკითხის წინასწარ შეთანხმებას რაიკომის მდივანთან.

„აი, პირველი სიძნელე, რომელსაც ამ სოფელში ჩამოსვლისთანავე შევი-ჩეხე!“ — გაიფიქრა მალხაზმა და მაგიდაზე თითები ნერვიულად აათამაშა.

— აჩქარება რომ არ ვარგა, ეს ჩემზე ნაკლებად არ მოგეხსენებათ, — წუთიერი დუმილის შემდეგ ოჭვა მან, წამოდგა და ხმამალლა დაუმატა: — გა-ვიაროთ ბრიგადებში, ვნახოთ სად რა გვტკივა.

მას სრულებით არ უფიქრია იმაზე, თუ როგორ მიმართულებას შიიღებდა სალამოს კოლმეურნეთა საერთო კრება.

\* \* \*

...ავქსენტი წებიერიძემ თანაშემწე იხმო და დაავალა სიის მიხედვით შეემოწმებინა — ადგილებზე წავიდა თუ არა ცველა მიმაგრებული ამხანაგი. მერე ფოსტის გადათვალიერება დაიწყო. თანაშემწის კაპინეტიდან კი, რომელსაც მოსაცდელ ოთხსაც ეძახდნენ, თითქმის მთელ საათს მოისმოდა ციალა ჩიჩუას შეწუხებული ხმა: „ალო, რომელი ხარ? ესა და ეს კაცი სად არის? კეთილი... ცენტრალური, ანლა შემაერთეთ...“ დაწესებულებას თუ ვერ დაუკავშირდებოდა, მაშინ იმ სასოფლო საბჭოში რეკავდა, სადაც ესა თუ ის მიმაგრებული ამხანაგი უნდა მისულიყო. ამგვარად, მან მთელი რაიონი შემოიარა, ხმა ჩაუსხა, დაიქანცა და ოფლით გაიწუშა. დავალება მაინც აკურატულად შეასრულა და მდივანს მოახსენა — ყველა მიმაგრებული მუშავი რაიონული ცენტრიდან გასულია.

ავქსენტის ესიამოვნა. „ყველანი ფრონტზე წავიდნენ“ — მოაგონდა მას ახალგაზრდულ გაზეთში ათი თუ თხუთმეტი წლის წინათ დაბეჭდილია კლიშეზე გადალებული წარწერა, რომელიც, თურმე, სამოქალაქო ომის დროს რუსეთში კომეკაშირის ერთ-ერთი რაიონის კარებზე იყო გაკრული. „ჩემი ბიჭებიც ფრონტზე წავიდნენ, ჩაის ფრონტზე!“ — გაიფიქრა მან და კაბინეტშა ამაყად გაიარ-გამოიარა. მას აწუხებდა მხოლოდ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა, ოცნებობდა იმაზე, რომ ზემდგომი ორგანოებისათვის ნარინჯის ველის რაიონებიდან ყველაზე აღრე ეპატაკა, „მწვანე ოქროს“ კრეფისა და დამზადების გეგმების შესრულება, ის კი არ აღარდებდა, რომ ხელმძღვანელი მუშავები, რომლებიც მიმაგრებულ-რწმუნებულებად გაგზავნა, თავიანთ სამსახურს თვეობით მოწყვიტა და სწორედ იმ პირდაპირ საქმეს ვერ აკეთებდნენ, რის-თვისაც მათ სახელმწიფო ხელფასს აძლევდა.

სამუშაო დღის სასიამოვნოდ დაწყებამ ავქსენტი გაამხნევა და გაახალისა. მან ყურმილი აიღო და მეუღლეს დაურევა — გადავწყვიტე გაგასეირნოთ და მოემზადეთო. ნახევარი საათის შემდეგ ავქსენტი, მისი მეუღლე ანულინა და ამ უკანასკნელის გერი ლამარა ცისფერი „პობედით“ ჟკვე მიქროდნენ აღმართ-დაღმართ დაკეცილ შარაგზაზე.

მალე მანქანამ ზუზუნით აუხვია ნაძვებით, ფიცვებითა და პალმებით დაბურულ ხეივანში. ოდნავ რომ გაივაკა, ერთ-ერთი დიღი კოლმეურნეობის გამგეობის კანტორა გამოჩნდა. ავქსენტიმ იფიქრა, შემთხვევით ვისარგებლებო, მანქანა მოშორებით შეაჩერებინა, გადმოვიდა და კანტორის კიბეს აპყავა.

— როგორაა კრეფის საქმე? — ჰკითხა მან ნაყვავილევ მოანგარიშეს, რომელიც ერთადერთი ცოცხალი არსება იყო კორტობზე შედგმულ ორსართულიან აგურის შენობაში..

— კარგადაა, ამხანაგო, — მოანგარიშემ თავი მიანება საანგარიშოს ჩხაკუნს. — ყველანი პლანტაციებში არიან. კრეფის გეგმას გადავაჭარბებთ.

— ყოჩალ, ასე უნდა! კიდევ უფრო გააძლიერეთ ტემპი! — უთხრა ავქსენტიმ, დაემშვიდობა და მანქანაში კვლავ შოთრის გვერდით მოიკალათა.

ახლა მანქანა დაღმართში დაეშვა. გზის გარდიგარდმო ტანაყრილი პამბუჭის ჭალა იყო. მარცხენა მხარეს ანკარა წყარო მიჩუხებულია. მანქანამ მკვეთ-

რი მოსახვევი გაირჩინა და ჩაის ბუჩქებით გადაეწვანებულ დაბლობში გაინაცარდა. ეს პლანტაციები იმ კოლმეურნეობას ეკუთვნოდა, სადაც მიმაგრებული იყო რაიალმასკომის თავმჯდომარე ევგენი მითარშვილი. ავქსენტიმ ამ კოლმეურნეობის კანტორასთანაც შეაჩერა მანქანა, მაგრამ ყველა ოთახის კარი დაკეტოლი დაუხვდა და ისევ გზა განაგრძო წინ, მეზობელი რაიონის საზღვრამდე.

შემ დასავლეთისაკენ გადახრილიყო, როცა უკან გამობრუნდნენ.

ევგენი მითარშვილს საიდანლაც გაეგო, რომ პირველი მდივანი აქეთ გამოემგზავრა. მან კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ახალგაზრდა აგრონომს, რომელიც კანტორის მახლობლად ცხოვრობდა, სუფრა ეზოში, ასწლოვანი კაქლის ჩრდილში გააშლევინა, ავქსენტის დაუდარაჯა, მანქანა შეაჩერებინა და ქალებითურთ მიიწვია. ბევრი არ გაუპატიუნიათ. თამაღობა ევგენიმ ითავა. ლვინო ჩაუივებული, სასიამოვნო სასმელი იყო. ავქსენტიმ და ანუელინამ თორქმის ყველა სადლეგრძელო დალიეს.

გვიან დამით, როცა შინ დაბრუნდნენ, ავქსენტი ბარბაცებდა, მისი მეულე კი თავის ტკივილს უჩიოდა.

დაწოლის წინ ანუელინამ ტელეფონი გამორთო.

\* \* \*

...სალამოს, შებინდების შემდეგ, საკოლმეურნეო კლუბში გაიმართა საერთო კრება.

კვერცხივით დამრგვალებულმა აკაკი კუჭაიძემ, რომელსაც ღვინის ხშირი სმისაგან ცხვირი პილპილივით წაწითლებოდა, ჩამოთვალა ჩამორჩენის ლი ბრიგადები და რეოლები, დაასახელა რამდენიმე ზარმაცი კოლმეურნის გვარი და „მოხსენება“ ხუთ წუთში დაამთავრა.

ხალხით სავსე დარბაზში ატყდა ჩოჩქოლი:

— ეს რა მოხსენებაა!

— უბასუხისმგებლობაა!

— ლოთს მეტი არც მოეთხოვება!

კრებას თავმჯდომარეობდა ბრიგადირი კარლო ვაჩეიშვილი, მზით გარუჭული, კუნთებჩასკენილი ახალგაზრდა კაცი. მან ხელი აღმართა და დამსწრეთ ანიშნა დაწყნარდითო. სიჩუმე რომ ჩამოვარდა, პირველი სიტყვა მოხუცმა ქალმა ითხოვა.

— ეს ნებიერიძის დედა! — გადაუჩურჩულა იასონშა მასთან. მჯდომ მალხაზის.

მომცრო ტანის, გამხდარი, ნაოჭებით სახედაღარული, თოვლისფერთმიანი ქალი წამოდგა, გუგებში ლრმად ჩამჯდარი თვალებით თანასოფლელებს გადახედა და ხმაღაბლა დაიწყო:

— დღის წესრიგში ჩვენ ერთი საკითხი გვქონდა, მეზობლებო. ეს იყო თავმჯდომარის მოხსენება სამუშაოების შესრულების მდგომარეობაზე. მაგრამ მოხსენება კერ მოვისმინეთ, რაღაც კუჭაიძემ მის მომზადებას გამორიბა ამჯობინა...

— მართალს ამბობს ოლღა დეიდა! სწორია! — გაისმა დარბაზში.

მოსუცი ქალი განაგრძობდა:

— წინადადება შემომაქვს შევცვალოთ დღის წესრიგი და განვიხილოთ თავმჯდომარის საკითხი.

ამის გაგონებისას მოწონების ტაშმა იქცხა.

ვიღაცამ მთელი ხმით დაიძახა:

— მოვიშოროთ უღირსი თავმჯდომარე!

— მოვხსნათ! — დაემოწმა დარბაზი. მალხაზმა შეატყო, საქმე მწვავდებოდა. პარტიული ორგანიზაციის მდივანს შალვა დარჩიას გადაულაპარაკა, სიტყვა დაიწყე, მე კი ამასობაში ნებიერიძეს დაურეკავ, მდგომარეობას ავუხსნი და რჩევას ვკითხვავო. შალვამ მაშინვე სიტყვის ნება ითხოვა. მალხაზი გარეთ გამოიჭრა, საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში ტელეფონს მიაშურა და რაიკომი გამოიძახა.

— არ პასუხობს! — იყო მოკლე პასუხი.

— პირველი მდივნის ბინაზე დარეკეთ!

— არ პასუხობს! — გამეორდა ყურმილში.

— როგორ შეიძლება არ პასუხობდეს! ან სამსახურში იქნება ან შინ! დარეკეთ! ხანგრძლივად დარეკეთ! — ტელეფონისტ ქალს უხეშად უყვიროდა გამწარებული მალხაზი.

მაგრამ ყვირილით ვერაფერს გახდა. ნებიერიძესთან დალაპარაკება არ მოხერხდა.

კლუბში რომ დაბრუნდა, მალხაზი მიხედა — ახალი თავმჯდომარის კანდიდატურა უკვე დაესახელებინათ.

აკაკი კუჭაიძეს თავი ჩაექინდრა და გაფხორილი ინდაურივით იჯდა. რამდენიმე კოლმეურნე მოუთმენლად მოითხოვდა — ახალ წინადადებას ვუყაროთ კენჭიო. კრების თავმჯდომარე აყოვნებდა.

— მოხსნეს? — მალხაზმა ჩურჩულით ჰქითხა იასონს.

— მოხსნეს. დაელაპარაკე?

— ვერსად აღმოვაჩინე! დალახვროს ღმერთმა, სად დაიკარგებოდა? სხვა დროს მუდამ კაბინეტში იყო ან შინ!

პირველი რიგიდან თინათინი წამოხტა.

— სიჩუმე, ამხანაგებო! — დაიძახა მან. — რაკი კანდიდატურად დასახელებული ამხანაგი ამ კრების თავმჯდომარეა, მის მაგივრად კენჭს მე ვუყრი. მაშ ასე. ვის სურს მოხსნილი კუჭაიძის ზაგივრად კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ამხანაგი კარლო ვაჩეიშვილი ავირჩიოთ? გთხოვთ ხელი ასწიოთ!

უმრავლესობამ ორივე ხელი ასწია.

\* \* \*

— ტელეფონი აჭკრიალდა.

ავჭენტიძი ყურმილი აიღო.

— გისმენთ.

— კაკო თუ იყო შენთან? — მწყრალად ჰქითხა მეუღლემ.

— ვინ კაკო. შე ქალო?

— ვინ და, ჩემი მამილაშვილი, კუჭაიძე პირველად გესმის, თუ?

— არა, არ ყოფილა. რა უნდოდა?

— მართლა რა უნდოდა! შენ ხომ არაფრის მაქნისი ხარ! — ანჩხლობდა ანუელინა. — კაცმა რომ გყითხოს, რაიონში შეს დაუკითხავად ჩიტიც ვერ გაფრინდება, ფაქტიურად კი ყველა თავზე გახტება!

— რა იყო, რა მოხდა ქალო, რამ გადაგრია?

ყურმილიდან სხაპა-სხუპით მოისწა:

— საქმეც მაგაშია, რომ არაფერი გაგიგია! შეტყობინების ღირსად არ ჩაგადეს! ერთადერთ ნათესავზე გთხოვე ხელი მოუმართე-მეთქი და ესეც არ შემისრულე. ანდა როგორ შეასრულებდი, როცა არავინ არაფრად გთვლის, წუხელ უშენოდ მოუხსნიათ თავმჯდომარეობიდან.

— ვინ, ქალო, კუჭაიძე? უჩემდოდ ვერ იზამდენენ ამას! — გაიკვირვა ავქსენტიმ.

— იო, იო, ვერ იზამდენო! — სარკასტულად გადაიხარხარა ანუელინამ. — ვერ იზამდენო! უჩემდო!.. ამ წუთში არ იყო ჩემთან თვითონ ის კაცი?! საერთო კრებაზე მოუხსნიათ. მერე გამგეობის სხლომაზე დაუდგენიათ პასუხისმგებაშიც მისცენ, შენ კი...

ავქსენტიმ ყურმილი დაახეთქა. ჭუდიც არ გახსენებია, ისე სწრაფად ჩაირჩინა კიბე, შესასვლელთან მდგომ მანქანაში ჩაგდა, შოთერს სოფელი დაუსახელა და უბრძანა.

— გასწი!

„პობედა“ თვალის დახამხამებაში დაიძრა.

შეუსვენებლივ წვიმდა.

ერთბაშად მოვარდინილ ნიალვრებს გზა დაეფარა. თვალებანთებული ავტომანქანა წყვდიად სიბნელეში მეორე სვლით მიზუზუნებდა და მღვრიყალს სწრაფმავალი ტანკივით მიაპობდა.

გაოგნებული ავქსენტი მწარე ფიქრებში ჩაძირულიყო. მისი ავტორიტეტი ფეხევეშ გათელილად მიაჩნდა. ყველაფერს მალხაზი აბრალებდა. კუჭაიძე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რომ არ ივარგებდა, ამაში მას ეჭვი არ ეპარებოდა; მრავალდარგოვან კოლმეურნეობას როგორ გაუძლეობოდა ერთერთი ქალაქის სამშენებლო ტრესტიდან ლოთობის გამო გაძევებული სამეურნეო ნაწილის გამგე, რომელსაც აქ ჩამოსვლამდე ჩაი მხოლოდ ჩაიღანში ენახა! უთუოდ შეცდომა დაუშვა, როცა ცოლს ხათრი დაუდო და მის ნათესავს კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ჩეკომენდაცია მისცა, მაგრამ მაინც როგორ გაბედეს მის დაუკითხავად კოლმეურნეობის თავმჯდომარის თვითნებურად შეცვლა?

კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში დაუხვდნენ მალხაზი, იასონი, შალვა დარჩია, ახალარჩეული კარლო ვაჩეიშვილი, თინათინი და მოხუცი დედა. ამ უკანასკნელს შაქარი ეყიდა, გზაში წვიმა მოსწერდა და კანტორაში შეეყუდრებინა. ავქსენტის დანაცვისას ყველანი წამოდგნენ. ოლღა მოსულისაკენ გაიწია, რათა შვილი მკერდში ჩაეკრა და გადაეკოცნა, მაგრამ რაკ

ავქსენტიმ ცივად გაუხედა, მოხუცმა ამოიოხრა, კვლავ ძველ ადგილას ჩამოჯდა და სამყურაში გამონასკვლი შაქარი მუხლებზე დაიღო.

ყველასათვის ნათელი იყო, ამ ღვარსხმაში ავქსენტი რისოვის მოვიდოდა. იასონშა შეუვითლებულ ულვაშთა ძირებზე ხელი გაისვა და უთხრა:

— წუხელ მთელ ღამეს გირედავდით, ამხანაგო ავქსენტი, მაგრამ ვერ დაგირავშირდით. უცბად მოხდა...

— სულ ამ გაზეთჩიკის ბრალი იქნება, — დაიგუგუნა ავქსენტიმ და მალეაზე თვალები შეანათა.

— არა, ჩემს ჭალარას ენდეო, ამხანაგო ავქსენტი, — მკერდზე ხელი მიიღო იასონშა. — მოულოდნელად თვითონ კრებამ გადაწყვიტა.

— კრებას წაყვანა უნდა!

წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ თავი ჩაღუნა. ავქსენტი გამომწვევად, მკერდგამოწეული იდგა. მათ დუმილს მხოლოდ წვიმის შხაპუნი არღვევდა.

— დიდი ხანია არ ჩამოსულხარ ამ შენს სოფელში, შვილო! — ავქსენტის ათროთოლებული. ხმით მიმართა ოლღამ და გამზღვით თითებს წვალება დაუწყო. — თითქოს შორს მყავდე, ხშირად მომენატრები... მაგრამ თუ გადაგიწყვეტია, სამართლიანად მოქცევისათვის ეს პატიოსანი აღამიანები ლანძლო, ჯობდა არც ახლა ჩამოსულიყავი! — წამოდგა და გაბედულად დაუმატა: — კუჭაიდე ჩემი წინადადებით გააშავეს. ხალხმა, მთელმა სოფელმა მოხსნა. შენვის მხარეზე ხარ, შვილო?

ნებიერიძემ ბაგე მოიკვნიტა.

## ერთი, ყუნწმოკვდე წითელი ვარდი

ერთი, ყუნწმოკლე წითელი ვარდი,  
კარგო გოგონავ, შენ რომ მოგვართვი,  
მანდ დამრჩა, — კლუბის გრძელ მაგიდაზე.  
სურა რომ გვედგა წყაროს წყლით სავსე,  
იმ მაგიდაზე.

წყალი შევსვი და დაცუნოსე ვარდი,  
თვალში რატომდაც შენ ჩამივარდი, —  
შენი მორცხვობა, შენი სინაზე.  
ვიცი, ის ვარდი აღარ დაჭუნება,  
ინსტიტუტიდან რომ დაბრუნდები,  
ან მოსკოვიდან როცა ჩამოხვალ,  
მანდვე გაჩნდება კლუბის სცენაზე.

ჩემო ლურჯთვალავ,  
გადმოგვაწვდიან ვარდებს უთვალავს,  
სურა რომ გვედგა წყაროს წყლით სავსე,  
იმ მაგიდაზე;  
ვიწმე პატარაც, ახლა რომ ხარ  
სულ შენოდენა,  
ერთ ცალს, ყუნწმოკლეს,  
საკუთარი ხელით მოწყვეტილს  
ვიცი, მოგართმევს მაგრე ფრთხილად  
და დამორცხვებით.

## მარადიდი

„— სოფელი მარადიდია?  
ჩავყლაპვ, მარა, დიღია!“ —  
უთქვამს დევსა და წასულა.  
„— ციხით განთქმული გონიო  
არ მომიხდება, მგონიო!“ —  
უთქვამს მტერსა და წასულა.

„— ფარა გაშალა ერგება,  
წავართმევ ოქროს ერკემალს,  
ვაი, რომ — ცეცხლად მერგება!“ —  
უთქვაშს დევსა და წასულა...

წასულა, ისე წასულა,  
უკან არც მოუხედავს.  
წელში გასწორდნენ კაცურად  
მტრისგან დახსნილნი მარადის:  
— არ შეგვრჩევია ბეწვიო, —  
სოფლები კოხტად სხედან.  
უნდა სამოყვროდ ვეწვიო,  
ერგეს, გონიოს, მარადიდს...  
მერე გადავალ ქედას.

## ბურბულები

ანთებული ფარებია ხეობაში გაჭრილი,  
თავზე წამოგვფარებია მთების შავი აჩრდილი.  
გზასავალი შეგვიმოკლა ამ რაღიომიმღებმა,  
მიხვეულში, მოხვეულში კაცი აღარ იღლება.  
მანქანიდან უცხო პანგი შორს გადასწვდა ერდობანს,  
ეს რა კარგი რამ ყოფილა, მგზავრი მართლაც ერთობა!

მაგრამ, აბა სარკმელიდან თავი ოდნავ გადაყავ,  
საოცარი ხები მდგარა ამ შარაგზის გადაღმა.  
ბულბულები!  
ნუ იკითხავ რა ლხინი აქვთ ბულბულებს.  
აქ რომ ერთი კვნესას შეწყვეტს,  
სხვა იქ ჩააბულბულებს.

ტყე კი არა, ყველა ტოტი თითო ხელის დადება  
ისე უსტვენს, კაციშვილი ახლად დაიბალება!  
პაწაწინა ჩიტუნებო, რა ძალა გაქვთ ამდენი,  
რომ ცრემლები შეგაწიოთ ნეტარებით ნადენი.

...გამოვთიშეთ, გაგვიხუნეს ეს რაღიომიმღები.  
გაისია,  
ლამეა და  
გზას უსიტყვოდ მივყვებით.

## მასპინძელი

ერთი მოხუცი კოლმეურნე მთაში შოსახლე  
სულ პატიუებდა თმაჭალარა ბარელ მეგობარს.  
— კარგი გეწვევი, თუ ქართული ღვინით მომალხეს,  
ჩემი სტუმრობა  
არ გეგონოს, ძმაო, ხუმრობა.

და მართლაც, მოხუცს მეგობარი ეწვია მთაში.  
მასპინძლის სახლში სიხარულმა გაიზავარდა...  
გინ აჭობებდა მთიელ მოხუცს ჩხავერის სმაში,  
ღვინის ოსტატი თვითონ ცყო სუფრის თამაღა.

ოხუნჯობლენენ და ბაასობლენენ ბერიკაცები,  
ადლეგრძელებლენენ ერთმანეთს და ამ წლის მოსავალს.  
შემდეგ სუფრაზე დატრიალდა გრძელი ყანწები  
ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ხალხის დასალოცავად.

სგამდა მთიელი და დალევა უნდოდა კიდევ.  
სტუმარი მოტყდა, რიურაჟამდე თუმცა აღრეა.  
მას მასპინძელი მიეშველა, ხელზე ხელს ჰყილებს  
და მისი სახე კეთილ ღიმილს გაუბაღრია.

დასაძინებლად წაიყვანა.  
დიასახლისი  
სასურველ სტუმარს მოქათქათე ქვეშაგებს უგებს.  
გახარებული მასპინძელი დამდგარა მის წინ,  
ძილი ნებისო, ეუბნება თან ნიშნსაც უგებს,  
ბარელ მეგობარს მასპინძელი კენწლავს ულმობლად —  
„ჩემი სტუმრობა  
არ გეგონოს, ძმაო, ხუმრობა!“

## სადამი მთაო!

მთას არ აჩნია არც ნახმლევი, არც ნატყვიარი  
და ბუმბერაზი მხრები დინჯად მზისკენ აშვა,  
რა ლამაზია კლდოვანი და მარად ტყიანი,  
მისი მწვერვალი ქედს არ უხრის მეხს და ქარიშხალს.

სალამი მთაო, შენსკენ მოჭქრის ჩემი სიმღერა,  
ჩემი სიმღერა გაზაფხულით გალაღებული.

დე მარად შენზე ილულუნონ ჩაწეს სიმებმა,  
გათენებულხარ, არ მენახო დალამებული!

შენზე სიყვარულს და სიმღერას ვინახავ წმიდად,  
გაზაფხულია, გაზაფხული, აყვაუდი, მთაო!  
შენ რომ შეგფერის, მე ისეთი სიმღერა მინდა,  
სხვებმა განაგრძონ, თუ სათქმელი ვერ დავამთავრო.

\* \* \*

რა დაგიშავე, ლამაზო,  
ახლოს რად არ მეკარები?  
ყყელა კარები დაერაზოთ,  
გავალოთ ტრფობის კარები,  
იებად დაგეფინება  
ჩემი ლექსების პწკარები.

ერთგულად ველარ მიცანი?  
მაშ გული ვისკენ მიმიწევს!  
მენთება გულისფიცარი  
მაგ შენს მაისურ ღიმილზე,  
მძინარი ვარ, თუ მღვიძარი  
მუღამ შენს სახელს ვიფიცებ.

## გზის დასაწყისი

J

ମାତ୍ରାର୍ଗଭାଲୀ ଶ୍ରୀ କୃତ୍ତିବ୍ସ ଶିଖାତ୍ମକ ମିଶ୍ନେରଙ୍ଗା.

თვალი ვეღარ ასწრებდა ვაგონზე მიკრული წარწერის წაკითხვას. გრძელი, მომინანქრებული ფირფიტები ისე მიფრინავდნენ სივრცეში, თითქოს უხილავი ხელით ზედიზედ ჯამსროლილი ისრები ყოფილიყვნენ. არც სახეების გარჩევა შეიძლებოდა. ახლად ამოსულ მზის სხივებზე მხოლოდ მინები ელავდნენ თვალისმომჭრელად.

უკანასკნელმა ვაგონმაც ჩაიხრიგინა და უცებ სიჩქმე ჩამოწვა. შალვამ მიიხედ-მოიხედა. საღვურის პატარა ბაქანი უკვე დაცლილი იყო. უნებურად გული შეეკუმშა. მოეჩვენა, თითქოს თბილისი შორს, მიუღწევლად შორს დასტოვა და ახლა უცხო, უდაბურ მიწაზე იდგა.

მატარებელი თავისი შეუნელებელი ქროლვის უინითა და ხმაურით, გეზავრთა დაუსრულებელი ფუსტუსით, ნაცნობი და უცნობი სახეების მრავალფეროვნებით თითქოს დიდი და ბობოქარი ქალაქის ცოცხალი, მოძრავი ნაწილი იყო. მაგრამ ისიც გაჰქრა თვეალსა და ხელს შუა და შალვა დარჩა მარტო, სრულიად მარტო.

ჩამეტრალი პაპიროსი გადააგდო, ჩემოდანს დაწვდა და ზატო ნაბიჯებით სადგურის წინ გაშლილ პატარა მოედანზე გავიდა. მაგრამ აქ ისეთი სიწყნა- რე აღარ იყო, როგორც ბაქანზე. დიზელთან თავმოყრილი მგზავრები მძლოლს ეკამათებოდნენ.

— ვითომ ძან დიდი ამბავი იქნება?! — კაპასობდა შუახნის, შავებში ჩატული ქალი, — ორცა ჩვენ ვეხვეწებოდით, ფეხი არ მოიცვალა, მეორე მატარებელს უნდა ველიღოო. მთელი ორი საათი გვაყურყუტა და ახლა ორი წუთით არ უნდა ისიდორეს მოუცავოს.

— არაფერია, მოვაცდევინებთ, — დაამძღვა ქალი ფარგასავით ხმელმა, ჩაბალახიანმა კაცმა, შალვას წინ რომ იდგა. — თქვენ ერთი ის კითხეთ, ამდენ ხალხს სად აექნის. ეი, ძმა!.. ტარანა ხომ არა ვართ, ერთმანეთზე რომ გვაწყობ!

— ნუ ხარ, ყარამან, ბუნტისთავი შენ! — უცემ აფეთქდა ბძლოლი და რუმ-ბივით გამობერილ ღიპს ქვემოთ ჩაცურებული სქელი ქამარი ისე ღონივრად ამოსწია ორივე ხელით და მიაქან-მოაქანა, თითქოს მის გაწყვეტას ლამობ-სო. — რავა ფიქრობ, მე არ მეჩქარება თუ? .ცარიელი რომ წავიდე, გეგმას ვინ შემისრულებს, ერთი მიზარი?

— იცის, თცის ყარამან ყალიჩავამ, რა გეგმაზედაც ლაპარაკობ. ზედმეტი მგზავრების წაყვანა გინდა და ისაა, — არ შეიპუა ჩაბალახიან.

— ა, ასეთი ხალხია, ამათ რომ უყურებთ, სულ გაინტრიგანებული არიან, — მიუბრუნდა შალვას მძღოლი, — სად მიბრძანდებით?

— ნოღაში!

— ჩემი მგზავრი ბრძანებულხართ.

მძღოლმა მესამე რიგში ვიღაც პატარა ბიჭი ააყენა და შალვა ყარამანთან ერთად დიდის ვაივავლახით დასვა. შალვა შეაწუხა ბიჭის ასე დაჩაგვრამ, მაგრამ ქალებმა დაამშვიდეს: პატარაა, მაგას ყველგან აღვილად მოვათავ-სებთო.

ბოლოს დიზელი თუხთუხით დაიძრა და შარაგზახე გავიდა. შალვა პირ-ჟილად ხედავდა ამ მიღამოებს. მის თვალწინ ზედიზედ მიქვროდნენ ლამაზ ოდა-სახლებიანი მწვანე ეზოები. მათს გრძელ და დაუსრულებელ ზოლს იქით მოჩანდა სიმინდითა და ჩაით დაფარული ვრცელი ველი, ხოლო უფრო შორს, დილის ნისლში ილანდებოდა კავკასიონის თოვლიანი გრეხილი.

მტვერითა და ოფლის სუნით გაუღენთილი ჰაერი, რომელიც დიზელის დაძრამდე ბუღად იდგა და ადამიანს სულს უხუთავდა, თანდათან გაიწმინდა. შალვამ სიხალვათე და შვება იგრძნო, თანამგზავრები შეათვალიერა.

მოტორის გუგუნსა და საბურავების შიშინში დიზელის ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან მის ყურამდე აწწევდა მგზავრთა ერთმანეთში არეული ხმები.

— არა, კაი მზითევი გაგიწყვია ქალიშვილისათვის, ალვასი-ჩემო, — ეუბნებოდა ერთი კაფანდარა ქალი გასასვლელში ბარჯის მთელ გორაკზე წა-მომჯდარ სქელ დედაკაცს, რომელსაც დიზელის მოძრაობისაგან ღულაუროვები და მსუქანი ტანი უთახთახებდა. — მე თუ მკითხავ, ნიკელის მიჩრევნია... ნოხიც კაი გიყიდია... მაშინა რომ ფეხის ყოფილიყო, კი აჯობებდა...

— ნეტია შენ, ჩემო ედუკი! — მიუგო ალვასიმ ნელი რწევით, — რაც მე ამების შოვნაზე ლოლიალი დამჭირდა, შენს მტერს... ახლო-მახლო ხეირიანს რას იშოვი... ბარემ უკეთესიც ქე მინდოდა, მარა...

— ჰა დედასა, რა დრო დადგა! — თავი წამოყო თეთრწვერა მოხუცმა, რომელიც აქამდე შალვას მთვლემარე ეგონა. — მე რომ ქალი მოვიყვანე, ერთი სელი ხამის ქვეშაგებისა და ჭილოფის მეტი არაფერი მოყოლია... ახლა, ხე-დავთ, ნიკელის კრაოტები და ნოხებიც არ მოსდით თვალში...

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ისიდორე, — როგორც ეტყობოდა განაახლა საუბარი ვიღაცამ, შალვას ზურგს უკან. — ზღვებ პირდაპირ გამანედლა ე ბე-რიკაცი. ასე მგონია ისევ ისე ქველი ლაზარე ვარ, რომ გახსოვარ... ბიჭმა და რძალმა კალთები დამაგლიფეს, კიდევ დარჩიო, მარა გაძლება არ გინდოდა!. მე შენ გეტყვი და ხმის გამცემი მყავდა ვინმე... პერელივზე მეირბენდენ და ის იყო... საღამომდე მთელი დღე რა უნდა მექეთებია... ავდეჭი და მეც აქეთ გამოვყევი...

შალვას ალარ გაუგონია როგორ გაფრენელდა ეს საუბარი, რადგან წინა სკამიდან გადმოხრილი კიტელიანი კაცი ახლა მის მეზობელს გამოელაპარაკა:

— კაცო, ყარამან, მართალია რომ ამბობენ — არჩილს განცხადება დაუ-წერია, კოლექტივში გამგზავნეთ თავმჯდომარედო?

— შენც გაიგე ხომ? — გამოცოცხლდა ყარამანი.—მართალი ყოფილა და აგია.

— გასაკვირი კია, მე და ჩემმა ღმერთმა... კაცი მინისტრის მოადგილე იყო და ტალასიან სოფელში მეიშიწებოდე...

— ა, ა, მაგეთი ლაპარაკი არ გამავინო, თუ გიყვარდე, — გაასავსავა ხელები ყარამანმა, — სოფლის ტალახს რომ ვზილავთ, იმიტომ ვინმეზე ნაკლები ვართ თუ!.. ოვითონ არჩილა სად გეიზარდა, ერთი მითხარი... ცხონებულ მამამისს და მის მოწეულ ჭადს უმაღლოს თორემ, ვნახავდი რა ბიჭიც იქნებოდა... არა, არა, ძან ჭკუაზე ყოფილა, თუ მართალია რასაც ამბობენ... საქმე სოფელია, თუ არა ქალალდზე ხელის მოწერას უველა ქე შეიძლებს...

— არც თლად ასეა საქმე, ყარამან, — შეეკამათა თანამოსაუბრე, — ქალაქის საქმესაც უნდა გამკეთებელი და სოფლის საქმესაც.

— შეაქარი შენს პირს, ეპიფანე!.. გამკეთებელიო!.. კარგად თქვი. ასეთი გამკეთებელი რომ ცოტა ნაკლებად გვყავს სოფელში, ამაზე მტკივა გული, თუ არა, რავა ფიქრობ, ყარამანმა არ იცის ქალაქის ყაღრი?

— პოდა, მაშინ ისიც გეცოლინება, რატომ დაძრა მთავრობამ არჩილისანა ხალხი სოფლისაკენ.

— ვიცი, რავა არ ვიცი. ქეთილი იყოს მათი მობრძანება. თუ მხარში ამოვეიდგებიან, ჩენენ მათთან არა ვართ?! — თქვა ყარამანმა და ახლა მზერა შეზობლებზე გადაიტანა.

შალვამ ცივი სახე მიიღო, რადგან თავიდანვე ჩუმად ყოფნა არჩია. ეს სოფლელები ისეთი ცნობისმოყვარე ხალხია, ფიქრობდა იგი, რომ თუ ლაპარაკში ჩაგითრიის, უველაფერს გადმოგალაგებინებენ. მე კი პირველ კითხვებზევე მიკიბ-მოკიბული პასუხი დამჭირდება. ხომ ვერ გავამხელ, რომ სკოლაში მთელი კვირის დაგვიანებით ვცხადები, რომ უკანასკნელ დღემდე თბილისში დარჩენაზე ვწვალობდი... მით უმეტეს ასეთი საუბრის მოსმენის შემდეგ... არა, არა, თუ ძალიან არ ჩამაცივდა ვინმე, ვიქნები ჩემთვის.

შალვას ყურადღება ისევ ბიჭუნამ მიიპყრო; რომელიც ახლა ბარგის გორაკზე, სქელი ქალის გვერდით მოკალათებულიყო.

იქნებ ჩემი მომავალი მოსწავლეა, გაიფიქრა შალვამ. ცოტა გრძელი ყურები აძლევს სასაცილო შესახედაობას, თორემ ისე რა მალხაზი ბიჭი ჩანს, რა მეტყველი თვალები აქვს.

ვინ უნდა იყოს ის ჭალარა კაცი, კარებთან რომ ზის მიქროსკოპით ხელში. ყველა, მოწიწებით ეპყრობა. ალბათ მასწავლებელია, შეიძლება იმ სკოლის დირექტორიც, სადაც მე მივდივარ. იქნებ ლენინის ორდენიც სოფლის სკოლაში მუშაობით დაიმსახურა. და რაღა აქ წარვუდგე, ყველაფერს ხალხში ხომ ვერ მოვახსენებ. არა, ისევ ჩუმად ყოფნა ჯობს.

მაგრამ როგორ შეიძლება უსიტყვოდ იჯდე, გული ძალუმად არ გიძგერდეს და სისხლი არ გიდულდეს, როცა შენს წინ ასეთი ხორცშესმული სიმშვენიერე ზის?! რა თვალწარი აქვს, რა ყელი, რა ნაკვთები, რა ლიმილი... ასეთ ჭეირანს რუსთაველზედაც იშვიათად შესვდები... ჰო, მაგრამ... ბანტი... მოსწავლე ყოფილა,

არა, არა, ისევ წყნარად ყოფნა ჯობს. თუმცა ამ მეზობელმა პირდაპირ ილაპი წაიღო. ისე წრიალებს, თითქოს ნემსებზე იჯდეს.

აი, რას დამსგავსებია ჩემი სანაქებო კოსტუმი.

— თუ შეიძლება, ცოტა იქით მიიწით, ძია-კაცო, — გადაულაპარაკა ხმა-დაბლა, მაგრამ როცა კოსტუმის კალთას დახედა, თავი ვეღარ შეიკავა: — ბომ სედავთ როგორ გამიოხდა!.. ამას რომ უყურებთ, მარტო შეკერვა ზის ურ-თი კოსტუმის ფასი.

— რა მოხდა ასეთი, ბიძია! ბოლოს და ბოლოს რა მიეცი ამდენი?

შალვამ ანგარიშმიუცემლად უთხრა რაც მისცა და უმალ ენაზე იყბინა.

— არა, მართალს ამბობ, ბიძია, თუ სუმრობ? — თითქოს ამას ელოდაო, კვლავ გამოცოცხლდა ყარამანი. მის ხმაში უკვე აშკარა ირონია გამოსჭვი-ვოდა.

უსიამოვნოდ წამოწყებული, ლაპარაკი რომ არ გახმაურებულიყო, შალ-ვამ გაუგებრობის ერთბაშად გაფანტვა მოიწადინა:

— ნუ გიკვირთ, ბატონო. ერთი ცნობილი მექრავია, გრიშა, და იმის ხე-ლობაა. მეც იმიტომ მოგახსენეთ და მეტი არაფერი.

— მაშ ნამდვილია, ხომ? — კვლავ ჩაეძია მეზობელი და როცა პირვანდე-ლი ჰასუსი ახლა თავის დაქნევით დაუდასტურეს, სახის გამომეტყველება შე-ეცვალა. ეს გამომეტყველება დაუფარავად ამბობდა: გაგიწყრა ღმერთი, ჩემი არა ხარ, თორემ სიგანეს სიგრძედ მოგოქვევდით.

ყარამანმა ზურგი შეიბრუნა, მაგრამ აშკარად ეტყოჭოდა ბორგავდა. ცო-ტია ხნის შემდეგ ისევ იკითხა, ახლა უფრო ხმამაღლა:

— კი, მარა, რა ხელი აქვს იმ დალოცვილს, ან მამაშენს აზოვის ბანკი ხომ არა აქვს გახსნილი, თუ იცი?

— ბატონო, რას ჩამაცივდით, რა გესაქმებათ თქვენ ჩემს კოსტუმთან! — გაცეცხლდა შალვა.

— გესმის, ეპიფანე? — განაგრძო ყარამანმა იმავე ხმით, ყველას გასა-გონად. — ჩვენ თვითონ ვაფუჭებთ ჩვენს ახალგაზრდობას და მეტი არაფერი... სხვის შვილს რა უნდა ვუთხრა, როცა ჩემი ვერ მომიყვანია ჰექუაზე... უნი-ვერსიტეტში რომ შემყავდა, ლუქსის ფეხსაცმელი ვუყიდე ისეთი, მე ცხოვ-რებაში მეყოფოდა... ჰმ, მეყოფოდა და მეტი არა!.. პაპა კაღუელა ყა-ლიჩავადან მოყოლებული ჩემადე იმისი ფასი ქალამანი და ფეხსაცმელი სულ არ ექნება დახეული ჩვენს ფუძეს... ჰოდა, ამას წინათ დედმისის რა მო-წერა არ იკითხავთ?.. (მე რა შვილია გამიბედავდა!)... მთელ თბილისში სულ ჩემსავით სოფლიდან ჩამოსულ ორ ბიჭს ვუნახე ასეთი ფეხსაცმელი და მეტს არავისო. ძველი მოდელის ყოფილა... აბა! მოდი და ასეთ ხალხს ელაპარაკე-

შალვა ჭირის ოფლში გვიწურა. ყველა მას შემოპყურებს. მასწავლებე-ლიც კი ძლივს იკავებს სიცილს... იმ ლამაზი ქალიშვილის უძანქო ღიმილს ახლა ირონის გესლი შერევია... პატარა ბიჭიც თითქოს ნიშნის მოგებით უცქერის — ჩემი აღგილი რომ დაისაუთოვ, რა გეგონაო. არა, მაინც რა ეშ-მაკმა ამოაღებინა ხმა!

— ცოტა ხანში ჩემი ყმაწვილიც მიაგნებს იმ მკერავს და უყარე კაკალი მერე ყარამან ყალიჩავამ! — განაგრძობდა ჩაბალახიანი. ერყობოდა გულს იოხებდა, შვილსაც და მეზობელსაც ანგარიშს ერთად უსწორებდა.

ამან თუ ოცი კილომეტრის მანძილზე ასე იყბედა, გაიფიქრა შეშფოთებულმა შალვამ, უმჯობესია ახლავე უკან გავპრუნდე... მაგრამ არა, ხმა უნდა ჩავაკმენდინო. ბოლოს და ბოლოს პავშვი ხომ არა ვარ...

ღიზელი მოულოდნელად გაჩერდა და აბეზარი მეზობელი რამდენიმე კაცთან ერთად ჩავიდა.

შალვამ ისე ამოისუნთქა, თითქოს ზურგიდან მძიმე ტვირთი მოეცილებინოს.

კარებთან ყარამანმა კიტელიანს გადმოსძახა:

— ეპიფანე, თუ კაცი ხარ, მატრინას გადაეცი, შეიძლება დილამდე ვერ დავპრუნდე და არ შეუინდე-თქვა, ხარს კარგად აქამე-თქვა... ფერმის კრა-მიტის საქმეზე წევიდა-თქვა... არ დაგავიწყდეს.

ღიზელი კვლავ დაიძრა.

## II.

ტკბილ ბურანში მყოფმა ხელი დიღხანს აფათურა, მაგრამ ის, რასაც ეძებდა, ვერ მოიხელთა.

— ვმ! — ჩაეცინა მწარედ, როცა კარგად გამოერკვა. რადიომიმღებს აქ რა უნდა!.. ის იქ არის... თბილისში!..

თვალები დახუჭა... ცხადად წარმოუდგა ოთახი, რომელშიც გაიზარდა და დავაუკაციდა... ცისფრად შეღებილი კედლები, მოკრიალებული პარკეტის იატაჟი... წითელი. ხის საწოლი ღრუბელივით აფუებული ქვეშაგებით, ისეთი-ვე ფერის საწერი მზგიდა და წიგნის კარადა. აი, ცხადად ხედავს მალალი, განიერი ფანჯრიდან ჩამოშვებული სიფრიფანა აბრეშუმის ფარდა ნიავის ყოველ მობერგაზე როგორ ელაციცება სავარძლის ყაყაჩოსფერ ხავერდს... აი, ახლაც ესმის როგორ იღვრება საწოლთან მდგარი „რაღიოტექნიკიდან“ ჩაიკოგსკის საფორტეპიანო კონცერტის ნაცნობი და საყვარელი აკორდები...

აქ კი... თვალები ფართოდ გაახილა და მიიხედ-მოიხედა... მერედა საა-დან მოხვდა აქ?.. მოაგონდა! სკოლის დარაჯმი მოცილა ღამით. დიასახლისის მეტი არავინ დახვედრია. მან გულთბილად მიიღო, რაღაცებიც უთხრა. პო, არ იფიქროთ ოთახი ფულისთვის გამექირავებინოს. საშველი არ მომცეს, ისე-დაც ფართოდ ხარ, სკოლასთან აქლოს ცხოვრობ. და ღამიყოლიერო. ბოდი-შიც მოიხადა, ამაღამ შეიძლება შესაფერისად ვერ დაგიხვდეთო.

მაგრამ ასე კარგად თბილისშიც არ უძინია. დასვენებულ კუნთებში რა-ღაც სასიამოვნო ღიტინს გრძნობს. საათს დახედა — შვიდის ნახევარი იყო.

საბანი გვერდზე მიაგდო, მყვირცხლად წამოხტა, პიუამა ჩაიცვა და ფან-ჯარას ხელი-ჰერა. ღილის გრილი ნიავი ისე შემოიჭრა ოთახში, თითქოს წყლის უხილავი ნაკადი ყოფილიყოს.

ოდის გვერდზე, სწორედ ფანჯრის პირდაპირ, უზარმაზარი ცაცხვი იდგა. მის დაბურულ ტოტებში მზის ოქროსფერი სხივები აბრეშუმის ძაფივით იბ-

ლანდებოდა. ამ ცაცხვისა და ცვარით მოქრიალებული მინდვრის ნაშილის მეტი ფანგრიდან არაფერი ჩანდა. საღლაც ცაცხვის უკან ბიჭი მღეროდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად. ფოთლების გაძლიერებული შრიალი და რაღაც რბილის დროგამოშვებით მიწაზე ტყაპუნით დაცემა მოწმობდა, რომ ბიჭი ლელვზე იყო ასული.

— მურმან, შე სასიკვდილე, ჩამოდი აწი, საჭმელი არ გინდა ჭამო, თუ რავა ფიქრობ! — გაისმა დიასახლისის ნაცნობი ხმა.

შალვას ახლა მოაგონდა, რომ ცხოვრებაში პირველად მართებდა საკუთარი საუზმისათვის თვითონვე ეზრუნა. მაგრამ გაახსენდა, რომ ჩემოდანში დედის ნახელავი ხაჭაპურები და ნამცხვრები ჰქონდა და დამშვიდდა. საწოლის თავზე გადაკიდებულ ქათქათა პირსახოცს ხელი წამოავლო და აივანზე გავიდა.

ის იყო ტანზე ჩაცმას მორჩა და სასწავლო მასალის კიდევ ერთხელ გადათვალიერებას აპირებდა, რომ კარზე დააკავუნეს.

შალვამ გააღო კარი, რომელიც დარბაზში გადიოდა. მის წინ დიასახლისი იდგა. იგი თითქმის გათეთრებული, ჩია ტანის ქალი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ყოჩაღად გამოიყურებოდა. თაფლისფერ თვალებში კეთილი, გულის გამთბობი დედობრივი ლიმილი უქრთოდა.

— დილა მშვიდობისა, შვილო! — მისი ხმა წყნარი და ტკბილი იყო. — როგორ მოისვენეთ?

— იცოცხლეთ, ქალბატონო! — მიუგო შალვამ. — გმადლობთ, კარგად, ძალიან კარგად!

— აბა, მობრძანდით, ცოტა წაისაუზმეთ! — დიასახლისმა ოდნავ შესამნევი მოძრაობით ხელი მაგიდისაკენ გაიშვირა.

— რად წუხდებით, ქალბატონო. მე ყველაფერი მაქვს თან...

— დედა, ღმერთო მომყალი. რას ამბობ, შენი ჭირიმე, — გააწყვეტინა დიასახლისმა. — როგორ გეკაღრება! როგორც შენს სახლში, შვილო, არაფრის მოგერიდოს. — მკლავში მსუბუქად მოჰყიდა ხელი და მაგიდასთან მიიყვანა.

შალვა დაჯდა.

— აბა, შვილო, მიირთვით. ბოდიში, მარტო რომ გასაუზმებთ, მაგრავ ჩვენი ამბავი ხომ მოგეხსენებათ... მთელი სოფელი რომ დაიაროთ, ერთ კაცსაც ვერ ნახავთ, ყველა სამუშაოზეა წასული. ჩემი კაცი აგერ ორი დღეა თვალით არ მინახავს, კოლმეურნეობამ გაგზავნა რაღაც საქმეზე. საყოფი ხალხი აღარ გვყავს, შვილო, სოფელში. ახალგაზრდები იქით ხალისით მიდიან, უკან კი გული მაინცდამაინც არ მოუწევთ, სოფელს აღარ კადრულობენ მერე. ამიტომაც მეტი ჯაფა დააწვა ჩვენისთანა მოხუცებს. მე რომ მე ვარ, მთელი დღე მოსვენება არა მაქვს... მიირთვით, შვილო, მე ახლავე გეახლებით.

შალვას კარგახანს არაფრისათვის არ უხლია ხელი. დიასახლისის ნათელვაზე ფიქრობდა და თან საქმაოდ კარგად მოწყობილ დარბაზს თვალიერებდა.

რადგან დიასახლისს დააგვიანდა, შალვამ მორიდებით დაიწყო ჭამა. მორცხვობა კიდევ ვერ დაეძლია, ასე ეგონა ათასი უხილავი თვალი შე-მოსცეროდა.

ასეთია ქართველი კაცი, ფიქრობდა შალვა, ვითომ მდგმური ვარ, გარეშე, მაგრამ ისე მექცევიან, თითქოს ამ ოჯახის ღვიძლი შეილი ვიყო. თუ სახლის ქირა აიღეს, დიდი, დიდი თვეში ორასი მანეთი გამომართვან. სამაგიეროდ, ალბათ, ათესერ მეტ პატივს მცემენ... თუმცა აქ ანგარიშის საქმე სრულებითაც არ არის. ქართული სტუმართმოყვარეობის ამბავია, რომელსაც ზოგი ბე-დოვლათობად თვლის, ზოგიც უანგარიბად...

ამ ფიქრში, ჭიშერის ჭრიალი შემოესმა. შემდეგ კაცისა და ქალის მოკლე ლაპარაკსა პკიდა ყური. მაგრამ ხმაური მალე მიწყდა.

ის იყო ხაჭაპურს დაწვდა, რომ ფანგარასთან კაცის ლანდმა. გაიელვა და... შალვა ფეხზე წამოიჭრა.

კარებში ყარამანი იდგა.

— ამას ვის ვხედავ! — შესძახა არანაკლებ გაკვირვებულმა ყარამანმა, მა-გიდას მიუახლოვდა და სტუმარს ხელი მაგრად ჩამოართვა. — დაბრძანდით, პატივცემულო... პატივცემულო...

— შალვა! — შეაგება ახალგაზრდამ და დაჭდა.

— ქალი! — მიუბრუნდა ყარამანი ახლა ამ მოულოდნელი შეხვედრით განცვიფრებულ მიუღლეს. — ავადმყოფები კი არა ვართ, რჩე და კვერცხი რა საკადრისია... რაცხა დაგვალევიე ისეთი, ჭამის მაღაზე რომ მოიყვანოს კაცი.

— რა ვიცი, შენს მოსვლას საშველი არ დაადგა და მე...

— ჰო, კარგი. რა დროს ლაპარაკია. მალე ქენი თუ რამეს აპირებ, — მო-უჭრა ყარამანმა და სკამი შალვასთან კიდევ უფრო ახლოს მისწია.

— დედაკაცთან, მართალი გითხჩათ, ვერ გავამხელდი ყველაფერს, — დაიწყო მან. — სალაშე აღრე ბოდიში უნდა მეთქვა, მარა... არა, რავა წარმოვიდენდი ასეთი ახალგაზრდა და ისიც მასწავლებელი, თორემ ყვე-ლაფერს არ მივატოვებდი!.. „ზიმის“ გნახავდი საღმე და ისე მოგიყვანდით შეუწუხებლად. მაგრამ ხომ იცით, გლეხკაცის გოუთლელობის ამბავი.

— არა უშავს, არა უშავს, — დაწყებ დამშვიდება შალვამ, — მე რომ მკითხოთ, დავიძისახურე კიდეც. მაგრად კი შემახურეთ ისე, კაცმა რომ თქვას... ა, როგორ იყო რომ მითხარით?

— ნუ გამახსენებ, თუ გიყვარდე. — ჩაიცინა ყარამანმა. — საზოგადოდ, ჩვენს შორის რომ დარჩეს, ფიცხი კაცის სახელი მაქვს გავარდნილი... ხელათ ჩალასავით აებრიალდები... თუ არა, შენ გგონია გული მაქვს ცუდი? — თან-დათან შენობითზე გადავიდა ყარამანი.

დიასახლისმა არაყი და ხილი შემოიტანა. ყარამანმა ჭიქები ააგსო და ერთი შალვას მიაწოდა. მან შორის დაიჭირა, გაკვეთილზე მივდივარო, მაგრამ რომ არაფერი გაუვიდა, ნახევრამდე გადაპკრა.

გაკვეთილის დაწყებამდე ოცი წუთი იყო დარჩენილი, როცა შალვა წა-მოდგა.

## III.

ზარი დაირეკა თუ არა, შალვა სასწავლო ნაწილის გამგის თანხლებით საკლასო ოთახში შევიდა.

მოსწავლეებს აღგილები კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული, ირეოლნენ, ერთ აურზაურში იყვნენ.

— შენ მოუკვდი შენს პატრონს! — გაწიწმატებით მიაძახა კარებთან კოგონამ ვიღაცას ისე, რომ შემოსულები არ შეუმჩნევია.

დაფის წინ კიდევ ვაუი გოგონას მაჯას ეპოტინებოდა. ქალიშვილი უსაშველოდ წიოდა და თან ცდილობდა მუჭში ჩაბლუჭებული ქალალი ამხანაგისათვის გადაეწოდებინა.

— დაჯერით! — ატყდა იმათი შეშფოთებული ძახილი, რომლებმაც მასწავლებლებს მოჰკრეს თვალი.

მოსწავლეები ერთი აზრიალება კიდევ აზრიალდნენ და უცებ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ბავშვებო, — მიმართა მათ სასწავლო ნაწილის გამგემ, სათვალიანმა სუსტმა ქალმა. — თქვენს წინაშე დგას გეოგრაფიის მასწავლებელი. იმედია, პატივცემულ მასწავლებელს კარგი და ბეჭითი სწავლით ასიამოვნებთ და ჩვენს სკოლასაც ასახელებთ.

მერჩებს ჩუმმა შრიალმა გადაუარა.

— დასხედით! — თქვა შალვამ მქაფიო ხმით, როცა სასწავლო ნაწილის გამგე გავიდა, საკლასო უურნალი მაგიდაზე დადო და მოსწავლეებს თვალი გადაავლო.

დაიწყო სიის ამოკითხვა. ყველას გულდასმით აკვირდებოდა, თითქოს ლამობდა წინასწარ, ერთი შეხედვით გამოეცნო მათი უნარი, ხასიათი, სულის წიაღში დაფარული ზრახვანი.

როცა სიის ამოკითხვა დამთავრა, წინა მერჩე მსხდომ გოგონასა და ვაუს რუკების გაყვრა დაავალა, თვითონ კი მერჩებს შორის გაიარ-გამოიარა.

მასწავლებლის გამომეტყველებამ, ლაპარაკის დამაჯერებელმა ტონმა, სადა, მაგრამ მქაცრმა მანერებმა გასჭრა. ბავშვები წყნარად ისხდნენ, მაგრამ მთავარი ჭერ კიდევ წინ იყო. შალვა გრძნობდა, თუ როგორ იყო მოღარაზებული ოცი წყვილი თვალი, რათა მასწავლებელი რაიმე სისუსტეში დაეჭირა და შემდეგ იქედან მიეტანა იერიში; ვერ ხედავდა, მაგრამ ატყობდა, რომ მათი ნორჩი, მოქნილი და ცოცხალი გონება რაღაც ეშმაკურს და მოულოდნელს ეძებდა. გამორიცხული არ იყო, რომ მერჩეს ქვემოთ რომელიმე მათგანის ხელი ახლა ისეთ მანქანას აკოწიწებდა, რომელიც ერთ მშვენიერ წუთს აჭრიალდებოდა, გასკდებოდა ან გაიტკაცუნებდა, რათა ეს დაძაბული სიწყნარე თავ-აწყვეტილი სიცილ-ხარხარით დაემხო... შემდეგ მშვიდობით მყუდროებავ!

ალლომ არ უმტყუნა. როცა კვლავ მაგიდისაკენ წავიდა, ზურგს უჭან სა-ეჭვო ჩხაკუნს მოჰკრა ყური. თითქოს არაფერი გაეგონოს, იმავე სიმშვიდით მივიდა მაგიდასთან, მაგრამ ის ადგილი კარგად მოინიშნა, საღაც მისი გუმანით, ონავრობის ატომგული ემზადებოდა ასაფერებლად. სიას ჩაცერდა. ერთხანს ვერ გადაეწყვიტა რომელი გამოეძახებინა.

— ყალიჩაფა მურმან, რუკასთან! — გაისმა ბოლოს სიჩუმეში.  
მერხების შუარიგიდან ცქვიტად წამოდგა ტანხმელი ბიჭი.

სულ მამასა ჰგავს, გაიფიქრა შალვამ, იმასავით შავგვრემანია, მოძრავი,  
თუმცა, ღიმილი დედისა აქვს.

როგორც კი მურმანი რუკასთან მივიდა, რაღაცამ გაიტკაცუნა და ბავ-  
შვების თავშეუკავებელმა ფხუյუნმა იფეთქა.

შალვამ მონიშნულ აღგილას დასო თვალი. შავტუხა ბიჭი ზედმეტად  
გასუსული იჯდა, მხოლოდ ტუჩი ეკუმებოდა ოდნავ შესამჩნევად. ნამდვილად  
ესაა, გაიფიქრა შალვამ და ნელა, თითქმის დამარცვლით წარმოსთქვა:

— წესრიგის დამრღვევი თავისით აღეს ფეხზე!

არავინ განძრეულა.

მასწავლებელმა ახლა თვალი თვალში გაუყარა პიჭს. მან წარბები აახამ-  
ხამა და თავი ოდნავ მიაბრუნა.

— მე მგონი გასაგებად ვთქვი. კიდევ ხომ არ გავიმეორო! — ოდნავ აუ-  
მაღლა ხმას შალვამ.

შავტუხა ბიჭი წამოდგა, მაგიდას მიუახლოვდა და ხისაგან გამოთლილი  
პატარა სატკაცუნა უურნალის მახლობლად დადო.

— ეს იქნება პირველი და უკანასკნელი! — უთხრა შალვამ. — ახლა კი და-  
ჯექი.

ყველა ელოდა, რომ ონავარს გარეთ გააგდებდნენ, მაგრამ მასწავლებ-  
ლის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ, მისმა სიტყვებმა, რომლებშიც ერთ-  
სა და იმავე დროს ბრძანებაც ისმოდა, გაფრთხილებაც და თხოვნაც, ბავშვებ-  
ზე შთაბეჭდილება მოახდინა. ის იყო და ის!

აბა, მურმან! — შალვა ახლა ნახევრად რუკისაკენ შებრუნდა. — რა  
გვეონდა გაკვეთილად?

— გაკვეთილად გვქონდა... გაკვეთილად გვქონდა, — ბორძიკით მიუგო  
მან, — საბჭოთა საქართველოს ზედაპირის საერთო დახასიათება, მასწ...

— კეთილი... აბა დაახასიათე!

მურმანმა თავიდანვე არეულად დაიწყო. ერთ წუთში კავკასიონის ქედზე  
რომ ლაპარაკობდა, მეორე წუთს ბარის დახასიათებაზე გადაღიოდა. უმთავ-  
რესი ქედების, მწვერვალების, დაბლობების, ტბებისა და მდინარეების ჩვე-  
ნების დროს არავითარ თანმიმდევრობასა და ლოგიკას არ მისდევდა. ცხადი  
იყო, გაკვეთილი სუსტად იცოდა.

შალვამ გადაწყვიტა ახლა ზოგიერთი ელემენტარული რამ წინა კლასის  
პროგრამიდანაც ეკითხა.

მიდით ნახევარსფეროების რუკასთან!

მურმანმა უხალისოდ მოინაცვლა აღგილი.

— აბა მაჩვენეთ კორეა!

— სწორია.

— სად იქნება ამერიკის შეერთებული შტატები?

— ყოჩალ! — შეაგულიანა ბავშვი, როცა მან ჭოხი ვაშინგტონს მიაბჯინა.

— მომიხაზე, მომიხაზე!

მურმანშა მოხაზა.

— ახლა ბრაზილია მიჩვენე... ცოტა ქვევით... პო, მაგრე... მაშინ არც არ-გენტინის პოვნა გაგიძნელდება.

მაგრამ მურმანშა არგენტინა ველარ იპოვნა.

— იქნებ მექსიკა იცი... ან ვენესუელა... პერუ?... არც ჩილი?

ბიჭი გაუბედავად ატარებდა ჭოხს ხან აფრიკის, ხან აზიის სივრცეებზე, ავსტრალიასაც მიაკითხა, ბოლოს სამხრეთ ამერიკას მიაღვა, მაგრამ თვალი აუჭრელდა და ჭოხი მოწყვეტით დაუშვა.

— არ ვიცი, მასწავლებელო... — წაილულლულა დარცხვენილმა და ცოტა ხნის შემდეგ გაუბედავად დასძინა. — მაგრამ მაგინი, რომ ამერიკას უწევენ ხელს, ნამდვილად ვიცი!

ცოტა აკლდა, რომ შალვას სიცილი არ წასკდა; საიდან სადაო.

— ჯერ ერთი, „მაგინი“ რა ქართულია და მეორეც, რა ხელის აწევაზე ლაპარაკობ, გაგვაგებინე, — ვითომ ვერ მიხვდა.

+ მინდოდა მეთქვა... აი... ანსამბლეაში თურმე... — მურმანი საბოლოოდ დაიბნა.

— ასამბლეა და არა ანსამბლეა!.. მერედა ასამბლეის ამბები შენ საიდან იცი? — დაინტერესდა შალვა.

— მამა რომ სამუშაოდან ბრუნდება, აგიტატორის ნათქვამს მუდაშ გვა-ყვება.

— კარგი, დაჯექი.

ლიმილმორეული შალვა ფანჯარასთან მივიდა. იგი აღელვებული იყო. სოფლელი ბიჭის ბავშვურად ჰუნდოვან ლაპარაკში დიდ საკითხზე, მან ხალ-სი და გამჭრიახი გონების პირველი ბრწყინვა დაინახა. ვინ იცის, გაიფიქრა შალვამ, რა მომავლის ხალხი ზის აქ, ვინ რა დიდებას უზადებს თავის მა-მულს. მე კიდევ მათს მეკვლედა ვარ გამოგზავნილი მშობელი ხალხის წიალ-ში. ასწავლე, მიენდე, აღაფრთოვანე, გზა გააგნებინე!

ბავშვებს გადახედა. ისე წყნარად ისხდნენ, თითქოს ამით დასტურს აძ-ლევენ მასწავლებლის იღუმალ და ნათელ ფიქრებსო.

და შალვას შერცხვა, ძლიერ შერცხვა, რომ ასე უხალისოდ, ასე გულ-გრილად მიდიოდა მათთან. მაგრამ მთელი ის ყოფმანი, მერყეობანი და სი-სუსტენი, რაც მან დამოუკიდებელი ცხოვრების გზის დასაწყისში განიცადა, იმავე წუთს საღლაც გაქრა და გულში დაგუბდა მანამდე უცნობი, დიდი და სანეტარო სითბო.

## პარტიული ბილეთი

თითქოს სხივების ბადე მესროლეს,  
მაღლა, ღრუბლებში ფრენა მომინდა;  
ფრთებშესხმულოვით გამოვეშურე  
ქალაქეკომიდან.

ნეტავ იცოდე, კეთილო მგზავრო,  
ჩვეულებრივად რად არ ვარ მშვიდი,  
გული რად მიცემს,  
ჯიბეში თბილი და სანეტარო;  
ასე პატარა  
და ასე დიდი  
რა განძი მიძევს...

ყველა სიმღიდრე, თითქოს ჩემია,  
თითქოს ვარსკვლავებს ლალად ხელს ვახებ,  
ჩემს წინ გაცოცხლდა ორი გენია —  
ლენინისა და სტალინის სახე.

გამოველ გარეთ,  
ნიავმა ურჩად  
გზა გადამიჭრა ფრთების შრიალით,  
უფრო ნათელი მეჩვენა ქუჩა,  
უფრო ლამაზი — აღამიანი.

ყვავილებს მაყრის ცა მოწმენდილი,  
ბედნიერების შუქმა ამანთო,  
ლამის გაფრინდეს გული მტრედივით,  
და ყველას გულში შეინავარდოს.

ვგრძნობ, მეც ხალხში მიღვას ფესვები,  
გულმხურვალეს და სახემხიარულს,  
უმალ სიცოცხლეს გადავეჩვევი,  
ვიდრე ამ მზის და მიწის სიყვარულს.

მიტომ სიმღერის მაღლით ვიწვები,  
გულში ვიხუტებ თავდავიწყებით  
დღეის სიხარულს,  
მომავლის იმედს —  
პარტიულ ბილეთს.

და ბავშვის მსგავსად  
გავყურებ ქუჩებს ნათელზოლიანს;  
ნუ მკითხავთ ასაკს —  
დღეს დავიძალე, ასე მგონია.

## ბ ა თ უ მ ი

მის სიტურფეზე ბეჭრჭერ ვცადე ლექსის დაწერა,  
ბეჭრჭერ ამგვარი აღმაფრენის განცდა მხლებია,  
ხან მზის ისარმა, თვალი მომჭრა, ლამის დამსერა,  
ხანაც ლურჯი ზღვის მღელვარება დამჯახებია.

ვერ ვუმქლავდები გულამაყი სტიქის ღელვას,  
მზის სიყვარულით და ვარდების შუქთა იმედით  
დავტოვებ ნაპირს,  
ზღვას მოვწყდები ენაუთქმელად  
და.. ყვავილების.. ზღვაში უხმოდ ჩავიძირები...

— მე რად მივიწყებ? — ჩამჩურჩულებს ხე მიამიტად,  
ხან თითქოს მესმის გულნატკენი მთების ღაღადი,  
დაგხედავ ნაწერს, სიბრაზისგან თრთოლვა ამიტანს  
და ნაფლეთებად მიქცევია ბეჭრჭერ ქალალდი.

ო, გვინდ მივხვდი ეს რად ხდება, რა მიზეზია;  
მივხვდი და გული ნეტარებით არის ალსავსე,  
ჩემო ბათუმო, თვით სიმღერავ,  
თვით პოეზიავ,  
როგორ იქნება ერთ უბრალო ლექსში მოთავსდეს,  
შენში რაც პყვავის,  
რაც კარგი და  
უკეთესია?!

## მინდვრის ყვავილი

დავიხარე, წავეტანე მინდვრის ყვავილს,  
უნებურად შენს წყნარ თვალებს შევადარე,  
მოვწყვიტე და მომანათა სახე მწყრალი,  
გულში ჩამწვდა განწირულის კვნესა მწარე.

სიბრალულმა ლამის ცრემლი დამადინა,  
ჩურჩულებდა ფერმიხდილი გასაოცრად:  
— მე ისეთი ნაზი ვარ და პატაჭინა,  
ნიავიც ვერ მიმეტებდა დასაკოცნად.

— მაპატიე! —

შევევედრე ყვავილს ფრთხილად,  
ისიც ვუთხარ შენზე ფიქრში რომ ვათიე,  
წემირიგდა, გამილიმა კმაყოფილმა —  
ნუ წუხარო, სიყვარული გაპატიებს.

## ზღაპარი და სინამდვირე

ბალადა

აყვავებულ პლანტაციებს  
შეჭიროდა გუშინ,  
მაგრამ აი, გადასწიოს  
ფარდა სოფლის კლუბში,

და სცენაზე სულ იმისთვის  
აკიაფდა ლალი,  
რომ ფერების მსუბუქ ნისლში  
გაეხვია ქალი.

მოცექვავე ტანს აზიდავს  
და მოწყდება უცებ;  
წყვილი თვალი დარბაზიდან  
აღტაცებით უცქერს.

თვალუჟუნამ ვაჟის გული  
დაატყვევა, იცის,  
დაატყვევა და მიწნური  
ტრობის ცეცხლით ხწვის,

მოლოდინი... კვლავ შეხვედრა  
აკაციის ჩრდილებეში,  
და ცხრაშეარო ბროლს შეფეხად  
მიმოაბნევს იქვე.

გუმშილა ვაჟმა ასულს  
გულისთქმა და დარდი,  
უთხრა: — იცი, ჭარში წასულს  
სალოცავად მყავდი.

ახლა მოველ... ნაოცნებარს  
ფრთხს შეასხამ, — ველი,  
მეგობრობის მომეც ნება  
გაგიშოდო სელი.

გაზაფხულის ყვავილს გავდა  
 ტანკენარი ქალი,  
 მინანქარზე აელვარდა  
 მისი ტუჩის ლალი.

გადასედავს ნაზად ჭაბუქს,  
 თავს გაიქნევს ცელჭად,  
 გრძნობს ვაჟკაცის გულის ქარბუქს,  
 ძარღვში სისხლის ჩქეფას.

ეტყვის: „ზლაპრად განაგონი  
 შენც გახსოვდეს იქნებ,  
 და პირობის, არა მგონი,  
 უარმყოფი იქნე.

ამ ჩემს ლალად გაშლილ მთებში  
 ვდედოფლობდე ოდეს,  
 ჩაჭედილი ზურმუხტი თვლებში  
 მსურს სასახლე მქონდეს.

შუქს აფრქვევდეს ოთხმხრივ ლალად  
 ვარდ-ყვავილებს გაშლილს;  
 იქ ვცეკვავდე მომხიბლავად, —  
 შენად მიცან მაშინ“.

...ვაჟის თვალებს დარდი ცვარავს,  
 წყარო არ წყვეტს ლიქლიქს.  
 ქალი აღმართს მიეფარა,  
 აედევნა ბილიქს.

\* \* \*

...კალენდარმა იქლო სწრაფად,  
 სიცხე სწვავდა ივლისს;  
 ვაჟი წიგნებს დაეწაფა,  
 ახშობს გულის ტკივილს.

მორჩა სწავლას. შესთავაზეს  
 მშენებლობა სოფლად,  
 თქვა: — წავალ და ვრცელ დარბაზებს  
 ჩუქურთმებით შოგრთავ;

ავასხივებ ოქროს გუმბათს,  
მზის ფერებით მოვფენ“. —  
ამ ოცნებით დაუბრუნდა  
ის მშობლიურ სოფელს,

დაუბრუნდა... მაგრამ ოდეს  
გადიარა ქუჩა,  
შეამჩნია, ახალ ოდებს  
სხვა ხალისი უჩანთ.

თითქო შუქით ნასხურები  
ცამ დაბერტყა პეშვი,  
და ილიჩის ნათურები  
კიაფობენ მთებში:

ხოლო სად ჭია აღმართს უვლის  
ხეივნების ირგვლივ,  
ვაჟს იტაცებს აღმართული  
შენობების რიგი.

ფიქტობს: „როცა მზის მარმაშში  
მე ოცნებას ვხვევდი,  
რა უბრალო ჩანდა მაშინ  
ჩემი სოფლის ხედი.

ახლა როგორ გამოცვლილა!  
მთის პეიზაჟს არღვევს,  
დაიმშვენებს ის ორწილად  
თვით სასხლის თაღებს“.

და შეუდგა მყის სამზადისს,  
დააყოვნა განა?  
შშენებლობას ბუღი ასლის,  
გზა ხალისობს თანაც;

სოფლად ყველას იშველიებს,  
ბავშვსაც საქმით ართობს,  
და სართული სართულს მისღევს  
გაშლილი და ფართო.

მალე მთელი აღტკინების,  
სიხარულის ფასად,  
მარმარილოს თლილი ქვებით  
ავარაყებს ფასადს.

\* \* \*

ცხრაწყაროსთან ზეიმია,  
 ცხრა სოფელი ხარობს,  
 ცას საჩუქრად მზე იქ მიაქვს,  
 სამკაულად ხმარობს.

თეთრად პყვავის აკაცია,  
 ვარდი აკმევს სურნელს,  
 ბალი ისე წარმტაცია, —  
 წალკოტია თურმე.

ღვას შენობა ახლო ცასთან,  
 ბარს ღაპყურებს სათნოდ,  
 ვარსკვლავები გამოსტაცა  
 მოზარნიშულ ტატნობს.

შუქი შუქში მეორდება,  
 სხივთა მძივებს ასხამს.  
 და დლეს ხალხი ელოდება  
 იქ სასახლის გახსნას.

შიგ დარბაზთა ვრცელი წყება,  
 ლალ-ფირუზი მალლით,  
 ლაუვარდის ფერს ეცილება  
 მოლივლივე თალი.

ორატორი სმას შეამსხვრევს  
 მარმარილოს კედლებს,  
 ამბობს: „შეხეთ, მაღლით სავსე  
 მინდვრებსა და ქედებს.

ეს სასახლეც ხომ ჩვენია,  
 ეს მიწაც და ეს ცაც  
 და რაც ზღაპრად გვისმენია,  
 სინამდვილედ გვექცა“.

მხიარული ქალ-ვაჟების  
 მოგუგუნე ვაშა...  
 და სცენაზე ლამაზების  
 აშრიალდა ფარჩა.

მოცეკვავე ტანს აზიდავს  
 და მოწყდება უცებ,  
 ინკინერი დარბაზიდან  
 აღტაცებით უცქერს.

ის არისო, — ვაჟის გული  
 არ შემცდარა, იცის,  
 ის არისო, — და მიჭნური  
 ტრფობის ცეცხლით იწვის.

\* \* \*

კვლავ შეხვედრა... ცაზე მიწვა  
 მთვარე შუქის მთვევი.  
 ვაჟი მალავს გულში იჭვს და  
 ქალს შეჰყურებს თჩთოლვით.

ეტყვის: — ზღაპრად განაგონი  
 შენც გახსოვდეს იქნებ,  
 და პირობის, არა მგონი,  
 უარმყოფი იქნე...

შალლა ციცინათელები  
 ნაზად მოქამქამე,  
 და სათუთად ნაფერები  
 ღამე თეთრად ნათენები,  
 სისარულის ღამე!

## მზე შინა და მზე გარეთა...

საქართველოვ,  
საყვარელო,  
ჩემო ტკბილო,  
ღვიძლო დედავ!  
ყველა აკვანს დამლეროდი:  
„მზე შინა და მზე გარეთა“...

აპა, ეს მზე — ჩაუმჯრალი  
გაზაფხულის კვირტებს ხეთქავს.  
აგუგუნდა ის სიმღერაც,  
ოდესმე რომ უნდა გეთქვა.

შენი გული სიხარულით  
გოლიათურ მყერდში ფეთქავს.  
მადლიანი მიწა ჰყვავის,  
სული უდგათ თითქოს ხეთაც.

ეს ჩა ხვავი დაგებედა, —  
მარგალიტად იქცა ხნული;  
სხივებს ანთებს ოქროს სუეტად  
და ფრთას ასხამს ყველა სურვილს  
მზე შინა და მზე გარეთა,  
მზე შიგ სულში შემოსული.

ეს მზე კრემლის ვარსკვლავია,  
რომ ანათებს კიდით-კიდეს,  
გზას გიშუქებს, რომ სიხარულს  
კვლავაც ერთიასად მკიდე.

მუხლმაგარი იყო მარად  
და მართალი გზებით ვლიდე,  
შუქს გიგზავნის ოქროს სუეტად  
და ფრთას ასხამს ყველა სურვილს  
მზე შინა და მზე გარეთა,  
მზე შიგ სულში შემოსული.

## კრიმანჭულა

კაქლის ხისგან გათლილ ღარში  
მოცეკვობ და მოხარხარობ, —  
კრიმანჭულა ვინ დაგარქვა,  
ვერცხლის წყაროვ,  
ბროლის წყაროვ?

გხურავს ფოთლის ჩუქურთმები,  
გაზაფხულის დასატული,  
კრიმანჭული ვინ გასწავლა  
დაგრეხილი,  
დახლართული?

იქნებ ბიჭმა, ჭინქა-ბიჭმა,  
ბილიკებს რომ მისდევს მარდად?  
ან მაყარმა ცხენოსანმა,  
შენს ნაკადს რომ პეშვით სვამდა?

გახსოვს გოგო, მისი თვალი·  
შავი მწიფე მაყვალივით?  
მან გასწავლა კრიმანჭული  
ნემსის ყურში გაყვანილი?

იქნებ ახოს რომ კაფავენ  
და ყამიჩჩე გაპყავთ ხნული,  
იმ ქოჩორა ვაჟკაცებმა  
შენც გასწავლეს კრიმანჭული.

მეც მესხურა შენი შხეფი,  
მეც შენს ღარშე ვიყლავ წყურვილს.  
რომ ლექსებშიც წკრიალებდეს,  
რეკლეს შენი კრიმანჭული.

## მძინარა

საყვარელი დედულეთის შუქი მომეფინა რა,  
შენ პირველი გამახსენდი, მძინარა!

მე შენს ჩრდილში, როგორც წინათ, ფეხაკრეფით გავივლი,  
სხივებივით მომანათე ვარდისფერი ყვავილი.

ფრთხილად ვადგამ ფეხს ამ მიწას, ყვავილებით მოთოვილს.  
სალამოა. დაიკეცა უკვე შენი ფოთოლი.

დაიძინე. სიო დაქრის ჩუმად და უწყინარალ  
ძილს არავინ არ დაგიფრთხობს, მძინარა!

მხოლოდ მე კი ვერ მოვითმენ, გათენებას გახარებ,  
გაგალვიძებ, შენ კი ცვარის მძივი გადმომაყარე.

საყვარელი დედულეთის შუქი მომეფინა რა,  
შენ პირველი გამახსენდი, მძინარა!

## კრების გადაწყვეტილება

მოთხრობა

სოფლის ორლობეში ღილინით მიაბიჭებდა ბრიგადირი გარსევან კვაჭაძე. იგი სასიამოვნო ფიქრებს გაეტაცა... ხუმრობა ხომ არ არის, მილიონერი ბრიგადის ბრიგადირია.

ღილინი და ტკბილი ოცნება გარსევანმა მაშინ შეწყვიტა, როცა ტიტიკო ლომაძის ეზოს მიუახლოვდა. ჯერ საველე ჩანთა წელზე შეისწორა, ჭილის ქუდი მოიხადა, მესერის მაღალ ჭიშკარს მექრდით მიეყრდნო და ეზოში გადაიხდა, მაგრამ რაյი იქ ვერავინ შენიშნა, ბოხი ხმით გადასძახა:

— ეი, ტიტიკო, ტიტიკო!

სახლის კაბეზე გამოჩენდა აჩქარებით მომავალი შუა ხნის, საქმაოდ ტან-სრული, ლამაზი ქალი.

— ღილაძეშვილობისა თამარ! — მიესალმა ბრიგადირი.

— გაგიმარჯოს გარსევან, რა შორიდან იძახი, ეზოში შემოდი.

— ღრო არ მაქვს, სამუშაოზე მივიჩქარი. ერთი წუთით ტიტიკომ გამომხედოს.

— ბარემ შემოსულიყავი, ა? — თამარმა სტუმარი ერთხელ კიდევ მიიპატიუა, ჭიშკარიც გაულო, მაგრამ რაი ისევ უარი მიიღო, ქმრის მოსაყვანად წავიდა.

ბრიგადირი მოელოდა, რომ ტიტიკო ბარით ხელში ჩვეულებრივ ბალიდან ამოვიდოდა, მაგრამ იგი ოთახიდან გამოვიდა, კიბეზე მძიმედ ჩამოვიდა და აუჩქარებელი, მოქანცული ნაბიჯით ჭიშკრისავენ გამოემართა.

— მთვრალი ხომ არ ხარ შე კაცო? ფეხს ძლიერ ადგამ, ალარც ფერი გადეს. — შეეკითხა ბრიგადირი.

— მთვრალი კი არა, — ნალვლიანად ჩაილაპარაკა ტიტიკომ, — ეშმაკიც ეცერ გაიგებს რა მომდის, ასე მგონია, მთელი სხეული ჭინჭრით მაქვს დასუსტული.

— ჩანს კარგად ვერ გამოიძინე, არა გიშავს რა, არაუს გადაჭრავ და გაგივლის.

ამის შემდეგ გარსევანი პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— ჰო, შენით კმაყოფილი ვარ. ყანის გათოხნა დაგიმთავრებია. მაგრამ საერთოდ ერთის ან ათის კარგი მუშაობა ბრიგადის წარმატების ბედს ვერ წყვეტს. სხვებსაც უნდა დავეხმაროთ. აი, ღოლიძე თბილისიდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა, „პობედის“ შესაძენად წავიდა, მისი ყანა კი...

- შამბნარმა და ბალახმა დაფარა. — სიტყვა ჩამოართვა ტიტიკომ.  
 — ჰოდა, ისე გავაკეთოთ, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური,  
 ე. ი. არც ღოლიძეს უსაყველურონ და არც ბრიგადა ჩამორჩეს.  
 — როგორ, მე დაგვიტუშაო? — შეშფოთებით მიუბრუნდა ტიტიკო.  
 — ბესარიონიც დაგეხმარება, ერთად მუშაობას შეჩვეულნი ხართ.  
 — დღეს ვერ წავალ, ცუდად ვგრძნობ თავს, როგორც კი უკეთ გავხდები...  
 — აბა, აბა, სავაჭროდ კი არ მოვსულვარ. — უცბად აფეოქდა გარ-  
 სევანი. — გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს, მორჩა და გათავდა.  
 — ადამიანიშვილი, ქართული არ გესმის? ფეხზე ძლივს ვდგავარ, რო-  
 გორც კი მოვჯობინდები...

— საერთო საქმეზე გული არ შეგტკივა და უგ არის. ნაცვლად იმისა, რომ  
 დაგვეხმარო, დედსკაცივით წუწუნებ, ავად კი არა და... თავს იკატუნებ, არ  
 მემორიჩილები. როგორც გენებოს, მხოლოდ ბოლოს არ ინანო. — სულ ერთი-  
 ანად ანთებულმა ბრიგადირმა ქული ჩამოიფხატა, საველე გვერდზე მოიგ-  
 დო, შეტრიალდა და თვალის დახამხამებაში ორლობეს მიეფარა.

\* \* \*

მეორე დღეს, დილით, სოფლის პატარა მოედანზე ავტომანქანა იდგა.  
 ჩაის მკრეფავი ქალები პლანტაციებში გასამგზავრებლად ავტომანქანაზე  
 სხდებოლნენ.

— გუშინ ტრტიკო წავიდა ღოლიძის ყანაში? — შეეკითხა ბრიგადირი  
 თამარს.

- არა, არ წასულა, ავად არის. — დალვრემით ჩაილაპარაკა თამარმა.  
 — რა მოუვიდა? — გაიკვირვეს მეზობლებმა.  
 — რა ვიცი რა მოუვიდა. ამ დილით ჩემი დედამთილი ექიმის მოსაყვანად  
 წავიდა.

— სიცხე აქვს?

— 37 გრადუსი.

— ხა, ხა, ხა... მეგონა რაღაც საშინელება ჭირს-მეთქი. ნაძალადევად გადა-  
 იშახხარა გარსევანმა. მაგრამ რაჟი არავინ აპყვა, ხარხარი შეწყვიტა. — ჰე.  
 37 გრადუსი. ბარემ გეთქვა 39 ან 40 გრადუსი, იქნებ შეგვცოდებოდა.

თამარს თითქოს არც გაუგონია, ყურადღებაც არ მიუქცევია, ნიავისაგან  
 აშლილი თმა ხელით ვაისწორა, კეფაზე დაიგუნდავა და სავარცხლით დაიმაგრა.

გარსევანმა ისევ განაგრძო.

— რომ ჰკითხო, საერთო საქმეზე გული შესტკივა, სამშობლო უყვარს,  
 სინამდევილეში კი მუშაობას ლოგინში გორაობა არჩია. მოდი და ენდე ასეთ  
 ძაცუ.

— გარსევან, — ცივად მიუბრუნდა თამარი, — ეს ცილისწამებაა, ტიტი-  
 კომ სამშობლოს ერთგულებაც დაუმტკიცა და სიყვარულიც, როცა შენ თბილ  
 ბუხართან იჯექი და „მრავალუამიერს“ აგუგუნებლი, ის ტყვიამფრქვევთან  
 იწვა და...

— პო, კარგი, კარგი, ვიცით რაც გააკეთა. — შეაწყვეტინა გარსევანმა. — შოფერო, გასწი! ქალებო, გესმით, ჩაი კარგად კრიფეთ. ღლეს ყანებში მივდივარ, თქვენთან ვერ ჩამოვალ. — ყვირილით მიაძახა გარსევანმა დაძრულ ავტომანქნაზე მსხლომთ.

— ისე მოაქვს თავი, თითქოს ჭიანჭველას ფეხს არ ადგამდეს.

— ეგ რომ კაი კაცი იყოს, პარტიულ სასჯელს არ დაადებდნენ, საწყობში მუშაობის დროს ხორბალი რომ გაანიავა, ჯერაც არ გადაუხდია.

— მამაჩემს შრომადლები დააკლო, ორმოცდაათი მეტრი ცოცხალი ღობე გააშენებინა, აღრიცხვის წიგნში კი მხოლოდ 30 მეტრი ჩაუწერა.

\* \* \*

შობიბინე ჩაის ღუყებს თამარი ორთავე ხელით თავაუღებლივ კრეფლა, იმ ანგარიშით, რომ გუშინდელის ოდენა შუაღლებდე მოეკრიფა, ხოლო სხვებთან ერთად ვალდებულებად აღებული დამატებითი 20 პროცენტი — საექიმო პუნქტიდან დაბრუნების შემდეგ.

სადილობისათვის შედეგი არაჩეულებრივი იყო, ბევრმა გუშინდელი ნორმა უკან ჩამოიტოვა.

საექიმო პუნქტში მისულ თამარს მორიგე ექიმმა, რომელმაც ტიტიკ გასინჯა, უთხრა:

— ერთი შეხედვით თითქოს მნიშვნელოვანი არაფერია, სიცხე დაბალი აქვს, გული ნორმალურად მუშაობს, ტკივილი არ აწუხებს. — ექიმი წუთით შეჩერდა და საეჭვოდ მხრები აიჩენა. ისეთი რამ. აწუხებს, რაც ჩვეულებრივი გასინჯვით ძნელი გამოსარკვევია. რაიონის საავაღმყოფოში წაიყვანეთ, გაშუქეთ, სისხლი გაუსინჯეთ, ეს არის ჩემი რჩევა. — დაამთავრა ექიმმა და სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

თამარი მოსმენილმა დააფიქრა. ისე მოხდა, როგორც ეჭვობდა. ტიტიკის ხელირად გრიპის შედეგად მეტი სიცხეც ჰქონდა და მაიც არ წვებოდა. ახლა სიცხე უმნიშვნელო აქვს, ლოგინიდან კი თვისი წამოწევა უჭირს. გააშუქე, სისხლი გაუსინჯეო. ხვალვე უნდა წავიყვანო, საფრთხილოა უფრო არ გაურთულდეს. — ასეთი გაღაწყვეტილებით კოლმეურნეობის მოლარესთან წავიდა. შოლარე გულთბილად შეხვდა, სკამი შესთავაზა, აღელვების მიზეზი ჰკითხა, უწყისი გასინჯა.

— გასული თვის ჩათვლით 6.000 მანეთი გერგებათ, ფული გვაქვს, მაგრამ აავმჯდომარის დასტურის გარეშე ვერ მოგცემთ.

— 500 მანეთი მეყოფა, შეიძლება კაპიკიც არ დამჭირდეს, მაგრამ ხომ იცით, ყოველ შემთხვევისათვის.

— მაპატიეთ. — თავმდაბლად უთხრა მოლარემ. — სასტიკად ამიკრძალა, მას სთხოვეთ, უარს არ გეტყვის, ფული თქვენია, ჩვენი მოვალეობაა დროზე მოგცეთ.

თავმჯდომარე პლანტაციებში პლმოჩნდა წასული.

ოთხ საათზე დაბრუნდებაო, თქვა მდივანმა. ოთხს თხუთმეტი წუთი აქლდა.

თამარი ბალში ჩავიდა და ჩრდილში გრძელ სკამზე დაჯდა. სად იყო უქმაღ დასაკარგავი დრო, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა დალოდებოდა. ოთხი საათიც შესრულდა, დაიწყო ხუთი, ხუთიც დამთავრდა, თავმჯდომარე მაინც არ ჩანდა და წუთები უფრო მდორედ გაცყვნენ ერთმანეთს.

ბალში ხალხმა იმატა, მათ შორის თამარის ნაცნობებიც იყვნენ და უცნობებიც, ყველანი თავმჯდომარეს ელოდნენ.

თავმჯდომარე „პიბედით“ ექვს საათზე მოვიდა. ეს იყო 50 წლის საშუალო ტანის მამაკაცი. ავტომანქანიდან გაღმოსვლისთანავე შარვალი დაიფერთხა, აშლილი ხალათი მოხერხებული მოძრაობით კოხტად გაისწორა. როცა ქუდი მოიხადა, მალლა ავარუხნილი, ჭალარაშერეული თმა გამოუჩინდა.

მოხუცი კოლმეურნე პირველი გაემართა თავმჯდომარესთან შესახვედრად, მიახლოვებისთანავე თეთრი ყაბალახი მოიხადა და თავი დაუკრა.

— იმისთვის შეგაწუხე, ჩემო შალვა, რომ ოდა ვიყიდე. მანქანა თუ არ მათხოვე, ვერ გადმოვიტან, ხარები მოაში რომ არ იყოს...

თავმჯდომარემ სიტყვა არ დაამთავრებინა, რაღაც წაილულულა, მაგრამ თუ რა, ვერც მოხვენელმა გაიგო და ვერც სხვებმა, რომლებიც იქვე იღზნენ. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მოხუცმა ვერ გაბედა ისევ შიექცია თავმჯდომარის ყურადღება, რადგან იგი ამ დროს გატაცებით მიეჭრა განცალკევებით მდგარ, კარგად ჩაცმულ ორ უცხო პირს, თითქოს დაკარგული ქმები ეპოვნოს.

თავმჯდომარემ სტუმრები კაბინეტში შეიყვანა და კარები ჩაიკეტა.

დერეფანში იდგა და ელოდა თამარი, ელოდა მოხუცი კოლმეურნე, ელოდნენ სხვებიც.

დრო გადიოდა, კარები არ იღებოდა, კაბინეტიდან მხოლოდ აღფრთოვანებული შეძახილები მოისმოდა.

მოუთმენლობისაგან დელავდა მოხუცი კოლმეურნე, კვნესოდა შავებში ჩაცმული ქალი, ნერვიულობდნენ დანარჩენები. მათ სახეებზე აშკარად შეიძლებოდა ამოკითხვა, რომ თვითეულს რაღაც აწუხებდა, რაღაც ჭირდებოდა, რაღაც აკლდა.

კარები ერთი საათის შემდეგ გაიღო, სტუმრები კაბინეტიდან კმაყოფილი გამოვიდნენ, სახე ღიმილით ჰქონდათ გაბაღრული.

— კაცი ეგ ყოფილა, მაშინვე დაგვეთანხმა.

— დაგვეთანხმა თორემ თავისი ჭიბიდან გაძლევს, მაგათ სალაროში მილიონები ტრიალებს.

უცხოთა მოქლე ღიალოგი დერეფანში მყოფთ ყურადღებიდან არ გამოპარვიათ.

— შემოღით, შემოღით! — სტუმრების შემდეგ თავმჯდომარემ კარებთან მყოფნი ერთად მიიღო.

ყველას ისევ მოხუცმა კოლმეურნემ დასწრო, მან თავისი თხოვნა თავმჯდომარეს გაუბედავად გაუმეორა.

— კაცო, ხომ გითხარი, რომ თავისუფალი ავტომანქანა არ მყაფს.

— რას ამბობ, შალვა, რვა მანქანა გუავთ.

— რვა გვყავს თუ ოცი, ეს შენი საქმე არ არის, გაიგე, რომ არ სცალია. მორჩა და გათავდა.

— ღამით მაინც მათხოვეთ, თუნდაც ორი საათით. — შეევეღრა მოხუცი.

— შენ მოცლილი ხომ არ ხარ? — თავმჯდომარე სკამიდან გაგულისებით წამოდგა და მთელი თავისი სიგრძე-სიგანით მოხუცებულს დოინგშემოყრილი გამოეჭიმა. — ოდის გადმოსატანად ახლა ვის ცხელა, შენ აქ... თქვენ რა გინდათ, ამხანაგო ლომაძევ? — მოხუცთან დავა მოულოდნელად შეწყვიტა და თამარს მიმართა.

თავმჯდომარის სიტყვებმა ფიქრებში წასული თამარი გარინდებიდან ვერ გამოიყვანა. იგი გაშეუბული შეჟყურებდა მოხუცს, რომელიც დატუქსული ბავშვის მსგავსად გვერდზე მიღვა და ყაბალახის ყურს ნერვიულად დაუწყო ჩიჩენა.

— თქვენ გეუბნებით, რისთვის მოხვედით, არ გესმით? — თითქმის ყურში ჩასძახა თამარს.

თამარი გამოერკვა, დაბნეულობას თავი დაღწია, უცბაღვე მოისაზრა, რომ თავმჯდომარისათვის რაღაც უნდა ეთქვა, უნდა ეთქვა არა მარტო ის, რაც სჭირდებოდა, არამედ უფრო მნიშვნელოვანი, ის, რაც ათეულებს, ასეულებს, შეიძლება ათასებსაც შეეხებოდა, ეთქვა არა მარტო იმათი სახელით, რომლებც იმ წუთში მის გვერდით იდგნენ და ამავე დროს არ იყვნენ დარწმუნებულნი მათი იქ მისვლა სასურველად თუ დამთავრდებოდა, არამედ იმათ მაგივრადაც, რომლებიც ასეთსავე მდგომარეობაში მათზე წინ იქ უკვე იყვნენ ან მომავალში მივლენ.

— ღიას, მესმის, ვხედავ, ამხანაგო შალვა. — გაბზარული ხმით უთხრა თამარმა, — და მთელი ჩემი შეგნებით მხოლოდ იმას გირჩევთ, გაუფრთხილდეთ ადამიანებს, გულისყრით მოუსმინოთ მათ. ისინი მხოლოდ იმას მოითხოვენ, რის შესრულებაც შესაძლებელია. გაუწიეთ ასეთ ხალხს ანგარიში.

— რრრაა? რრა სთქვი? — თავმჯდომარემ ისე წამოიყვირა, რომ მისი ხმა დერეფანში აგულუნდა. — ჭკუას მასწავლი? აგიტაციას მიტარებ? როგორ მიბედავ?! — მას უნდოდა მეტი ეფუქტის მოსახლენად მაგიდაზე ხელი დაერტყა, მაგრამ მაგიდა შორს აღმოჩნდა.

შავებში ჩაცმული ქალი, რომელიც აქამდე უსიტყვოდ იდგა და თავის რიგს ელოდა, კაბინეტიდან შეუმჩნევლად გაიპარა, ამჯობინა თავმჯდომარესთან შემდევ მოსულიყო, როცა „უკეთეს ხასიათზე“ იქნებოდა.

ამ დროს ტელეფონის ზარი აწერიალდა, თავმჯდომარემ ყურმილი აიღო, ვილაცას ტებილად მიესალმა და ქათინაურიც უთხრა. საუბარი ხანგრძლივი აღმოჩნდა, ეტყობოდა რაიკომის მღივანს ელაპარაკებოდა, რაღაც ცნობები გადასცა, კოლმეურნეობაში საერთო კრების მოწვევა მეორე დღისათვის აღუთქვა, ბოლოს ისევე ტებილად გამოეხოვა, როგორც მიესალმა.

რაიკომის მდივანთან საუბრის დამთავრებისთანავე შალვას სახეზე ღიმილი გაქრა, საავღრო ზეცის მსგავსად შუბლი ერთბაშად მოელრუბლა.

— მდა... მაშ, ეს იყო თქვენი მოსვლის მიზანი? — გესლით წარმოთქა და ისე გადახედა იქვე მდგარ თამარს, როგორც საკუთარ ძლიერებაში დარწ-

მუნებული გოლიათი ქონდრის კაცუნას. თამარს განზრახული არ ჰქონდა შებ-მოლა თავმჯდომარეს, ამიტომ გამომწვევ სიტყვებს არც აპყოლია.

— მე ფული მჭირდება, ფულისთვის მოვედი, ქმარი მყავს ავად, მოლა-რე თქვენი განკარგულების გარეშე არ მაძლევს.

— ფული გჭირ-დე-ბა? — დამარცვლით იკითხა და ნიშნისმოგებით ცა-ლი წარბი მაღლა ასწია. — ფული ახლა არ გვაქვს, რაც გვქონდა იმ ხალხს მივეცი, თქვენზე წინ რომ მივიღე.

თამარი კაბინეტიდან გავიდა, მას სხვებიც მიჰყენენ, ეტყობოდათ, ისინიც ფულისათვის იყვნენ მოსულნი.

თამარი ისევ მოლარესთან დაბრუნდა.

— ალარაფერი დაგრჩა? — შეეკითხა შესვლისთანავე.

— ალარაფერი, ქორივით დამეცნენ და სულ გაიტაცეს.

— რამდენი?

— 60.000 მანეთი.

— ვინ იყვნენ ან რა დანიშნულებისათვის წაიღეს?

— რა ვიცი ვინ იყვნენ, მგონია კარგად არც თავმჯდომარე იცნობს. — მოლარემ ნაძალადევ სუმრობას ღიმილიც მიაყოლა. — ყველაფერს გვპირ-დებიან: ავტომანქანებს, საბურავებს, კრამიტს, ცემენტს და რა ვიცი რას არა თუკი სახელმწიფო ფასებში სახლში მოგვართმევენ, რა გვენალვლება.

— გამგეობის დასტური?

— იჭ, ვითომ არ იცნობ ჩვენს თავმჯდომარეს, ოქმსაც გააფორმებინებს და საჭირო რიცხვითაც დაათარილებინებს.

თამარი სკამიდან წამოდგა.

— ამზადავ ლომაძე. — ჩურჩულით შეაჩერა მოლარემ. — თქვენ სასოფ-ლო საბჭოს დეპუტატი ხართ, ამავე ღროს ორდენისანი, მოწინავე, ცალქ სთხოვეთ, უარს არ გეტყვის.

— თუ არ გაქვს, გააჩენს?

— არ გვაქს? ჰმ, 100.000 ცალქე მაქვს ჩაკეტილი, „ხელუხლებელი ფონ-დიაო“, ხუთი თვე მართლაც ხელუხლებლად დევს, არც ხალხს აძლევს და არც სახელმწიფოს ხმარდება, თქვენი 500 მანეთი რას დააჩნდება, სთხოვეთ.

— ვთხოვო ის, რაც თხოვნის გარეშეც მექუთენის? არა, არ ვთხოვ. ჩვენ სოლულში კეთილი ხალხი ცხოვრობს, წაგალ მათ ვთხოვ.

თამარი მოლარეს გამოეთხოვა.

\* \* \*

„ჰო, ჰო, ისე მოდის, თითქოს მუხლები ეკვეთებოდეს, ცოლს ეყრდნობა? 37 გრადუსიანი ავადმყოფი გასაშუქებლად მიდის, ალბათ ნათესავებში გასეირნება მოესურვათ. კაცი არ ვიყო, თქვენი თავი თავმჯდომარეს თუ აშევახურებინო“, — კაბინაში მჯდომარე გარსევანმა გულში გაივლო და თამარი დახმარებით ავტომანქანისაკენ. მომავალ ტიტიკას თვალი, მოარიდა.

„ადგილი დავუთმო? ღირსი არ არის, დე მალლა დაჭდეს, სიცხე თუ აწუ-  
სებს, ქარი გაუქრის, გაგრილდება“.

ჩაის პლანტაციები სადგურის მხარეს იყო, თამარი და ტიტიკო სადგუ-  
რისაკენ მიმავალ ავტომანქანას გაჰყუნენ.

ძარაზე ჩვეულებრივ სიმღერა არ დაუწყიათ, ავაღმყოფს შესცემოდნენ  
და სდუმდნენ. კაბინაში გულლია საუბარი გაიმართა, მათ არ გადასდებიათ  
ზევით მსხლომთა განწყობილება.

— ხრეში აღარ გჭირდება? — შეეკითხა მძღოლი.

— არა, სარდაფის მშენებლობა დავამთავრე.

— არც სილა?

— არა. ხელი ხელს ბანს და ორთავე კი პირსაო, ხომ გაგიგონია? პოლა  
ჩვენ შეგვიძლია შევთანხმდეთ.

— რა პირობით?

— შემოდგომაზე „მოსკვიჩი“ უნდა ვიყიდო, მანამ ავტომანქანის მართვა  
მასწავლებელი, შემდეგ ბენზინით მომიარაგე.

— ვა, ეს რა ადვილი რამ თქვი. — ერთბაშად გახალისდა მძღოლი.  
მოლაპარაკებისა და შეთანხმების ნიშნად ხელი ხელს დაჰკრეს.

\* \* \*

ტიტიკოს პარატიფი აღმოაჩნდა. სიტყვაშ „ტიფი“ თამარი ერთბაშად  
შეაშფოთა და შეაშინა.

— აქ საგანგაშო არაფერია. — თამარს მხარზე თანაგრძნობით დაადო  
ხელი მთავარმა ექიმმა. — თანამედროვე პრეპარატებით ეს ავაღმყოფობა  
ადვილი დასამარცხებელია. გარწმუნებთ, თქვენი მეულლე ორი კვირის შემდეგ  
სრულიალ გაჯანსაღებული ოჯახს დაუბრუნდება.

საღამოთი თამარი სადგურზე სახლში გასამგზავრებლად სრულიალ დაი-  
მედებული მივიდა, დაიმედებული დატოვა ტიტიკოც.

\* \* \*

იმავე დღეს კლუბში საერთო კრებაზე კოლმეურნეობის ნახევარი წლის  
მუშაობის შედეგებს იხილავდნენ. როცა თამარი კლუბში შევიდა, საერთო  
კრება დაწყებული იყო.

მავიღას უსხენენ კრების თავმჯდომარე, რაიკომის მდივანი, კოლმეურ-  
ნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი და სასოფლო საბჭოს თავმჯდო-  
მარე.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე საზეიმო ხმით აგრძელებდა დაწყებულ  
სიტყვას, ეტყობოდა დიდი ხანია ლაპარაკობდა, გამშრალ ყელს წყლით ისვე-  
ლებდა.

— გეგმის შესრულების საქმეში კოლმეურნეთა ნაწილი ვერ იჩენს  
ერთსულოვნებას, მერგოლურები, ორდენოსნები ხშირად ვერ ამართლებენ  
ჩვენს ნდობას. საკმარისია ოჯახში ვინმე გახდეს ავალ, თუნდაც 37 გრადუსი

სიცხვე აღმოაჩნდეს, — თამარი ადვილად მიხვდა, რომ ოავტომარქეს ტიტიკო ჰყავდა მხედველობაში, — რომ აიკიდებენ გუდა-ნაბაღს და ავადმყოფს უკან აედევნებიან. — თავმჯდომარეს დაეტყო, რომ მოეწონა მოსწრებული ნათ-ქვამი, მაშინვე გადახედა რაიკომის მდივანს, შემდეგ ისევ განაგრძო. — ბოლო ღრის გამრავლდა კვაჭაძის ბრიგადიდან სხვა ბრიგადაში გადასვლის მსურველთა რაოდენობა, ეს არღვევს არა მარტო ბრიგადის მთლიანობას, არამედ მთელი კოლმეურნეობის მექანიზმის მუშაობას, რასაც, რა თქმა უნდა, ჩვენ არ დავუშვებთ.

— სხვა ბრიგადაში რატომ გადადიან აღარ იკითხავ? — წინა რიგიდან შენიშნა ვიღაცამ, მაგრამ თავმჯდომარეს იქეთ არ გაუხედავს, პასუხის ნაცვლად უსიამოვნოდ შეიკრა შუბლი.

...მომავალ მუშაობაში თუ გავითვალისწინებთ მიღწეულსა და ჩემს მიერ ჩამოთვლილ ნაკლოვანებებს, — სიტყვის დასასრულს აღნიშნა შალვამ, — კოლმეურნეობის ყველა გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ.

თავმჯდომარე ტრიბუნიდან ჩამოვიდა. კანტიკუნტად გაისმა ტაში.  
დაიწყო კამათი.

ერთმანეთს ცვლილნენ სარევიზიო კომისიის წევრები, ბრიგადირები და მერგოლურები, რომელთაც კრების თავმჯდომარე წინასწარ შედგენილი სის მიხედვით იძახებდა. მოკამათეთა სიტყვები არ იყო ვრცელი. ეს თითქმის თავმჯდომარის მოხსენების გადამლერება იყო. მხოლოდ ზოგიერთები ეხებოდნენ მტკიცნეულ საკითხებს, განსაკუთრებით მუშახელის ნაკლებობას უჩიოდნენ.

დარბაზში ყრუ ზუზუნი ისმოდა, სიტყვით გამოსულთ იშვიათად უსმენდნენ, თამბაქოს ეწეოდნენ ან ბასარბდნენ.

გარსევანის ბრიგადის წევრები ბესარიონი და მელიტონი თამარის წინ ისხდნენ, ისინი ტრიბუნაზე მყოფთ ხშირად რეპლიკებს ესრობინენ.

ტრიბუნაზე აღარავინ იდგა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სიაში ჩაშერილთა რაოდენობა ამოიწურა. კრების თავმჯდომარემ ხალხს მიმართა, კამათში მიეღოთ მონაწილეობა.

ხელი არავის აუწევია, სიტყვა არავის უთხოვნია, ზოგი ადგილიდან თუ წამოიძახებდა თითო-ოროლა ფრაზას.

— გამოდით, ამხანაგებო. რას ელოდებით, საქმე ჩვენს მუშაობას, თქვენს მუშაობას ეხება, განვლილი გზა უნდა შევაფასოთ. — მიმართა კრებას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— ჰო, ჰო, ჰო როგორ ლაქუცობს. აქ რომ რაიკომის მდივანი არ იყოს, მაშინ ნახე როგორ დაიქუჩებდა. — თამარს ჩურჩულით მოესმა უკანა რა გიდან.

— სათქმელი, მოგეცეს ლხენა, არის, მაგრამ... — გაბედული ხმა მთელი დარბაზის გასაგონად გაისმა.

— აგრეა, აგრე, — ბანი მისცეს ყოველი მხრიდან.

დარბაზი ემსგავსებოდა ერთიანად გათოკილ, უზარმაზარ სხეულს, რომელსაც წამოდგომის საშუალება არ ჰქონდა. საჭირო იყო თოკების დაჭრა.

რაიკომის მდივანში სიტყვა აჩლო.

— ამხანაგებო! კოლმეურნეობის საერთო კრება კოლმეურნეობაში უმაღლესი ორგანოა. თქვენ ახლა ყველა სადაც საკითხი შეგიძლიათ გადასჭრათ ისე, როგორც უკეთესად ცნობთ. ჯერჯერობით არც ერთი სიტყვა არ ყოფილა საქმიანი, კრიტიკული, არ განხილულა კოლმეურნეობის ცხოვრებასთან დაკავშირებული საჭირობოთ საკითხები. ისძოლა მხოლოდ ციფრების კორიანტელი, რომელსაც ძნელად თუ გაუგებდით აზრს.

— მართალია, საყურადღებო არაფერი უთქვამთ. — გამოეხმაურა დარბაზი.

— ყოველი თქვენთაგანი კრების ისეთივე სრულუფლებიანი მონაწილეა, როგორც თავმჯდომარე, ბრიგადირი ან ბუხპალტერი, ისინი არასწორი მუშაობისათვის ისევე შეგიძლიათ გაკრიტიკოთ, როგორც ზოგიერთი თქვენგანი იყო გაკრიტიკებული. მაში, ჩვენი კრება გავხადოთ უფრო საქმიანი, გაბედულად თქვით ის, რაც მუშაობაში ხელს გიშლით.

რაიკომის მდივანი თავის ადგილს დაუბრუნდა, ხმაური და ჩოჩქოლი ისევ გრძელდებოდა, გამოსვლა ვერავის გადაწყვეტა.

— კაცო, ბოლოს და ბოლოს, სათქმელი ხომ უნდა ვთქვათ, რას კუცდით ვერ გამიგია. — გადაულაპარაკა მელიტონში ბესარიონის.

— რას კუცდითო? — გამაცვირვე და ეს არის. — ახლა ბესარიონში მოაბრუნა თავი და საჩვენებელი თითოთ წვერი მოიქექა. — ვის მონატრებია ლეთის რისხვა, რაიკომის მდივანი აქ მუდამ ხომ არ გვეყოლება, თავმჯდომარის გაკრიტიკებას გაბედავ? მერე აღარ გინდა კარებზე მიაღევე? ვინც მოითმენს, ის მოიგებსო, ხომ გაგიგონია.

— „ვინც მოითმენს, ის მოიგებს?“ — გაიმეორა თამარმა და სიმწრისაგან ბაგე მოიკვნიტა. — ნუთუ ეს ქველისძველი ანდაზა ხალხს კიდევ სწამს? ნუთუ თავის ტყავს ყველა ისე უფრთხილდება, როგორც ეს კოლმეურნე? არა, შეუძლებელია. ზოგნი სღუმან იმიტომ, რომ დარწმუნებული არ არიან, რომ მათ სიტყვას შედეგი მოჰყვება, ნაწილი თავმჯდომარის მხარეს იცავს, უმრავლესობა კი ისევე ბორგავს, როგორც მე და ელოდება სხვას, დამწყებს, გზის გამკვალავს, მაგრამ სად არის დამწყები? ვინ უნდა დაიწყოს? — თავის-თავს ეკითხებოდა თამარი. აუცილებლად მან უნდა დაიწყოს, ვისაც გული შესტკივა, ვინაც შეცდომათა გამოსწორებისათვის იბრძვის. — და თითქოს ჰეშმარიტებას მიაგნოო, შევბით ამოისუნთქა, წამოდგა, ერთი რწმენით, მტკიცე გადაწყვეტილებით: დაეწყო. სიტყვის აღება დაავიწყდა, კრების თავმჯდომარისათვის არც შეუხედავს, პირდაპირ ტრიბუნისაკენ წავიდა.

თამარი შიშობდა, რომ მისი სიტყვა არ იქნებოდა დალაგებული. როგორ და რა ეთქვა, წინასწარ გეგმის შედგენა ვერ მოასწრო.

— ამხანაგებო, — დაიწყო მან ოდნავ მთრთოლვარე ხმით. — ჩვენი კოლმეურნეობა ერთ-ერთო მოწინავე კოლმეურნეობაა რაიონში, ჩვენს მიღწევებს იცნობენ მთელ რესპუბლიკაში. მაგრამ ეს როდი ამტკიცებს, რომ ჩვენთან ყველაფერი რიგზე არის. არა, ამხანაგებო, ჩვენთან რომ ყველაფერი რიგზე იყოს, გამგეობის წევრთა უმრავლესობა და ზოგიერთი ბრიგადირი კოლმეურნეებს წესიერად რომ ხელმძღვანელობდნენ, ისეთი ენერგიული

სალხი გვყავს, ისეთი პირველხარისხოვანი ფართობები გაგვაჩნია, რომ სასწაულებს მოვახდენდით.

— სწორია, სრული სიმართლეა. — გამოეხმაურა დარბაზი. თამარს ხმა დაეტმინდა, მღელვარება თანდათან დაუცხრა.

— ჩვენი კოლმეურნეობის მეზობლად არის მეორე კოლმეურნეობა „განთიადი.“ განთიადელებს დაახლოებით იმდენი ფართობი უჭირავთ და იმდენივე მუშასელი ჰყავთ რამდენიც ჩვენ. მათი ნიადაგი ხსრისხით ჩვენსას ორჯერ ჩამოუვარდება. მიუხედავად ასეთი უპირატესობისა განთიადელებთან შედარებით თვითეულ შრომადღეულზე 7 მანეთით ნაკლები ფული და 1,5 კილოგრამით ნაკლები მარცვლეული მივიღეთ. რითი გვებონიან ისინი? — მე გიპასუხებთ — რითი და შრომის პრინციპით, კარგი, სამართლიანი ხელმძღვანელობით.

— ამსახურობა ამამიდან წამოიჭრა და მთელი ხმით დაიგულნა, — სინამდვილეს ნუ ამასინჯებთ, თქვენ ფაქტები არ გაგაჩნიათ, ეს სიტყვები ბოლოს ძვირად დაგდებათ.

— ფაქტები გინდათ? — თამარი ისე მშვიდად მიუბრუნდა, თითქოს თავმჯდომარის გახელებას ვერ ამჩნევდა. — კეთილი, ვილაპარაკოთ ფაქტებით. გასულ წელს ჩვენ 65.000-ით მეტი შრომადღე გვექნდა, ვიდრე მათ, მიმდინარე წელსაც დაახლოებით იგივე სურათი გვექნება. გეკითხებით — საიდან გაჩნდა შრომადღების ასეთი რაოდენობა? თქვენ ვერ მიპასუხებთ, სამაგიეროდ მეგიპასუხებთ. გასულ ზამთარში ჩემი ბრიგადის ბრიგადირმა საპამულო ომში დაკარგული ოჯახების დასახმარებლად 15 კუბური მეტრი შეშა მოკრევინა, აქედან მხოლოდ 8 კუბური მეტრი მიიღეს მათ, ვისთვისაც ეს განკუთვნილი იყო, დანარჩენი კოლმეურნეობის შოთერმა წაიღო, სამაგიეროდ ბრიგადირთან არც შოთერი დარჩა ვალში. კოლმეურნეობის ავტომანქანითა და ბენზინით უფასოდ ხრეში და სილა მიუტანა. ამბავი რომ არ გახმაურებულიყო, ბრიგადირმა შეშის მომჭრელთ ორმაგი შრომადღე დაუწერა, თქვენ ეს გაიგთ, მაგრამ დამნაშავე არ დასაჭეო, რადგან ის სიძეა თქვენი.

გარსევანი, რომელიც აქამდე წინა რიგში შეუმჩნევლად იჯდა, ახლა საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა. კოლმეურნეობი მას ისე მისჩერებოდნენ, როგორც ხაფანგში გაბმულ ნადირს, რომელიც სოფელს მოსვენებას არ აძლევდა.

— ჩვენს ბრიგადას სამი მეცვლე ჰყავს. — თამარს სიტყვა არ შეუწყეტია. — ყოველ მათგანს თვეში ეწერება 15 შრომადღე, მაშინ, როცა ერთი მეცვლეც თავისუფლად გაწვდება ჩვენს ფართობებს. რა საჭიროა შრომადღების ასე გაფანტვა? ამას მხოლოდ ისეთი ადამიანი ჩაიდენს, რომელსაც ჩვენს ნაოფლარზე გული არ შესტკივა.

თავმჯდომარეს ღაუღაუა სახე გაუფერმკრთალდა, თავიც უცნაურად დაუმძიმდა, აშკარად გრძნობდა, რომ ვიღაც ფეხქვეშ თანდათან აცლიდა მიწას.

— კოლმეურნეობის დაგვიანებით უხდიან კუთვნილ საზღაურს. ბევრ ჩვენგანს ავანსიც არა აქვს მიღებული. რატომ? თავმჯდომარის თვითნებობის გამო. ღოლიძემ კვაჭაძის წყალობით (თამარს შედევრობიდან არ გამოპარივა, წელში ორად მოკეცილი გარსევანი როგორ გაიპარა დარბაზიდან) „პობედის“ შესაძნად კოლმეურნეობის სალაროდან ავანსად გაიტანა 15.000

მანეთი. ისეთი მუშაობით, როგორც დოლიძე დღემდე მუშაობდა, აშ თანხას სამ წელიწადს ვერ დაფარავს. გუშინ, გამგეობის დადგენილების გარეშე ვიღაც „საქმოსნებმა“ 60.000 მანეთი წაიღეს, 100.000 მანეთი რამდენიმე ოვეა სალაროში უკმად არას ჩაკეტილი. აი, რატომ ვერ ვდებულობთ დროსე კუთვნილს, აი რას პევია უსამართლობა, აი, რატომ არას ხალხი უკმაყოფილო.

- ო, რა ოხი ვნახე? გული ვიჯერე.
- შენ რათი ნახე ოხი, თქვი რამე თუ?
- მან ხომ თქვა, სულერთია, ჩემს მაგივრადაც თქვა.
- აბა, კაცო, ხედავ რა ყოფილა?
- რა ყოფილა და ცეცხლი, ვენაცვალე მაგის გამჩენს, ისე შეუნთო, რომ...

— ჩვენი თავმჯდომარე რეკლამების კაცია. — დაბალი, მაგრამ ბოლმით აღსავს ხმით დაიწყო თამარის შემდეგ ტრიბუნაზე ასულმა ახალგაზრდა აგროტექნიკოსმა. — იგი ცდილობს კოლმეურნებაში ისეთი რამ გააკეთოს, რაც უცხოს ერთი შეხედვით გააკვირვებს. კარგი გზა სოფელში არის მხოლოდ სადგურიდან გამგეობის შენობამდე და იქედან თავმჯდომარის სახლამდე შხოლოდ ამ ადგილებში ნახავთ ჩაის ფაბრიკიდან გამოყვანილ ელდენსა და რადიოხაზს. სამი წლის წინათ ელსადგურისათვის ავაგეთ შენობა და ვიყიდეთ ძრავი, რაზედაც 70.000 მანეთი დაიხარჯა. ძრავი ძეველისძეველი და უვარებისი ღმომჩნდა. ის იმ „საქმოსნებმა“ მოიტანეს, რომლებმაც გუშინ თანხა ისე წაიღეს. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი სოფელი არასოდეს არ იქნება კეთილმოწყობილი. მშენებლობაზე დახარჯული სახსრებიდან შეიძლებოდა იმდენის დაზოვა, რამდენიც დასჭირდებოდა ელდენით მოელი სოფლის განათებას და საავტომობილო გზებისა და რადიოხაზის გაყვანას.

- ასეა, ასე. — ბანი მისცა დარბაზშა.

თავმჯდომარე მეფრინველების, ჰელორეობისა და საქონლის ფერმებს ისე უყურებს, როგორც საკუთარს, — განაგრძო აგროტექნიკოსმა, — ჩვენს ავტომანქანებს უცხო პირთა განკარგულებაში შეხედებით უველვან, ქუთასში, შიაკოვესების რაიონში, ხულოში, ბახმაროშე, ფოთში და სხვაგან. აი, რატომ ვართ უკმაყოფილონი. აი, განთიადელებთან შედარებით შრომადლეზე რატომ მივიღეთ ნაკლები საზღაური.

„აზვიადებენ. არ ესმით რა ძნელია თავმჯდომარეობა, კაცი ვარ, ქუდი შეურავს, საჭირო ხალხთან თავს ხომ არ შევირცხვენ? მილიციის უფროსს ბახმაროზე ცოლ-შვილის გაგზავნა დასჭირდა, ავტომანქანა მთხვევა, უარს ხომ ვერ ვეტყოდი? ქათამი და გოჭი რა სათქმელია, ვერ დათვლი იმდენი გვყავს: რაიკომის მდივანი ჭკვიანი კაცია, გაიგებს ჩემს მდგომარეობას. აბა შამფურზე ხომ არ წამომაგებს?“ — ფიქრობდა შალვა, თან ცდილობდა გულგრილი გამოშეტყველება მიეღო, ყურადღება არ მიექცია ბრალდებისათვის.

მაგრამ რაც დრო გადიოდა, ტრიბუნიდან რაც უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, რაიკომის მდივანი უბის წიგნაკეში რაც უფრო მეტ შენიშვნას იწერდა, შალვა იმდენად უფრო იღრიკებოდა და პატარავდებოდა. იგი თანდათან გრძნობდა თუ როგორ სცილდებოდა ამ მოხეიმე დარბაზს და სადღაც უფრულში იძირებოდა.

ღამის პირველი საათი გახდა. კრება გრძელდებოდა. კამათში გამოსულნა ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლილენ, რეგლამენტი ირ წუთამდე დაიყვანეს.

— მოხსნიან? — წინა სკამიდან ბესარიონი გადმოიშვია და თამარს შეეკითხა.

— კაცო, შენ ჭურში ხომ არ ზიხარ? — მელიტონმა თავი ვერ შეიკავა და ბესარიონს შეუტია. საერთო კრება კოლმეურნეობის უმაღლესი ორგანიზაციის რომ თქვეს, ვერ გაიგონე? მაგისი სული ასლა ჩვენს ხელშია.

— ჰოდა, თუ ასეა, მივცეთ ხელში ათგირვანქიანი თოხი და ჰაიდა, გვერდი იმოვიყენოთ. როცა ოფლში გაიწურება, მაშინ მიხვდება როგორ უნდა სხვის ნამუშევრას მოფრთხილება.

თამარი უსმენდა მათ, უსმენდა სხვებს, ხედავდა ოკეანესავით აზვირთებულ სიმართლის ძალას და სიამაყის გრძნობით, უძლეველობის რწმენია იყსებოდა, რაღაც ის ამ ძალის ნაწილი იყო.

\* \* \*

კრება დამთავრდა, დარბაზი დაცარიელდა. ხმაური მიწყდა. კლუბში მხოლოდ შალვა დარჩა, მაგიდაზე დახრილს თავი მკლავებში ჩაემალა, სურდა წიმოღომა, მაგრამ ვერ ახერხებდა, უჩინარ ძალას ადგილზევე მიეჭაჭვა.

„მომხსნეს, ძირს დამცეს, გამგეობის განვლილი მუშაობის შემამოწმებელ კომისიაში ისინი აირჩიეს, რომლებიც ჩემს წინააღმდეგ ყველაზე მეტად სისინებდნენ, ყველაფერს გამიგებენ, აღმომიჩნენ.“ — შეშფოთებით ფიქრობდა მარტომყოფი.

კლუბის წინ ხმაური, ფუსტუსი, მხიარულება გრძელდებოდა. კოლმეურნები ავტომანქანებში სხდებოდნენ.

— გარსევანმა რაღა უნდა ქნას ახლა? — კვლავ გაიმართა კამათი მელიტონსა და ბესარიონს შორის.

— ეგ რა საკითხავია, დანაშაული უნდა გამოისყიდოს, სადაც წაიქცა იქ უნდა ადგეს, მუშაობა არ შეუძლია თუ?

თამარი სხვა ფიქრებში იყო. იგი რაიკომის მდივნის შემაჯამებელ სიტყვას იყონებდა. „კარგად თქვა — დანაშავენი არიან არა მარტო ისინი, რომლებმაც უშუალოდ დანაშაული ჩაიდინეს, არამედ მეტნაკლებ თქვენაც, რაღაც ხედავდით ყოველივეს და დროზე არ ამხილეთ, დანაშავენი ვართ ჩვენც, ხელმძღვანელები, რაღაც ჯეროვანი სიფხიზლე ვერ გამოვიჩინეთ.“ დიას ასეა, სრული ჭეშმარიტებაა — ფიქრობდა თამარი.

გარსევან კვაჭაძე მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდა ბალის ბნელი კუნჭულიდან, როცა კლუბის არემარე ხალხისაგან დაცარიელდა.

იგი ტაატითა და კვნესით დაადგა სოფლის შარაგზას.

## ახალგაზრდობა

აგრგვინდა ცა და ღრუბელი  
ცროდეს ბროლისა ცვარითა.  
რუსთაველი.

მას უყვარს აპრილის ავლარი,  
ელვების მსხვრევა და პრიალი,  
ღრუბლების მორევში ამტყდარი  
გუგუნი, გრუხუნი, გრიალი.

თუნდ მეხმაც გულს დაჰკრას ასგერაც, —  
გაუძლებს ქარიშხლებს მქუხართა:  
მას უყვარს, ო, უყვარს და სჭერა,  
გასავით არავის უყვარდა.

ის მიღის ქარსა და წვიმაში,  
ქვეყანას თამამად გასცერის  
და გულზე ჩქაფუნობს გიუმაუი  
ტროფობის და სიცოცხლის ჩანჩქერი.

გადივლის გრუხუნით ავლარი,  
მიწა და ლაქვარდი ბრწყინდება,  
ცის მშვილდი, შვილფერად დამღნარი,  
სიხარულს, დიღებას ჰპირდება..

## მონაღირენი

ჭველებური ბალადა

— აი ჭალაში ჩავიდეთ,  
სალაც ჩუხჩუხებს წყარო.  
ბებერი ითნის ჩეროში  
ჩვენს ბედზე წილი ვყაროთ.  
რომელსაც წყვილი შეხვდება  
და არ შეხვდება კენტი,  
ის დარჩეს გამარჯვებული,  
იმისკენ იყოს ბედი.

— არა! ვის წყვილი შეხვდება  
 და არ შეხვდება კენტი,  
 მას დარჩეს ჩემი თოფი და  
 ოცი საწყაო დენთი,  
 მას. პყავდეს ჩემი ქურანი —  
 ფრენაში ქარსაც დაღლის,  
 მას გაჰყვეს შენი მუხლედი,  
 გეშის ამღები ძაღლი.  
 მეორემ სახრე აიღოს,  
 ჭალა ქვეითმა ლახოს.  
 ხოხობი მოვინადიროთ,  
 ჩვენი ვაუობა ვნახოთ.  
 ვინც ცარიელი დაბრუნდეს,  
 მას მოეცაროს ბედი:  
 ხოხბიანს ერგოს ლამაზი  
 ჩვენი ღუდების გედი...  
 გათენებისას წყაროში  
 თმას ივარცხნიდა მთვარე.  
 ვაუებმა გულის ფრიალით  
 შის შუქზე წილი ყარეს.  
 პირველ ვაუს წყვილი დაუჯდა,  
 მეორეს ბედი დარევს.  
 პირველმა ცაში შეხედა,  
 მეორემ — წყალში მთვარეს.  
 სახრელა დარჩა მეორეს,  
 სხვა არ-რა ერგო მეტი.  
 მუდამ ასეთი ყოფილა  
 უმამაცესთა ბედი...  
 საღამოს გვიან დაბრუნდნენ,  
 ერთურთს დაადგეს თვალი:  
 ალმური ასდის სახრიანს,  
 მხედარს ფერი სძევს მკრთალი.  
 წმასაც არ იღებს არც ერთი,  
 წყარო ჩურჩულებს მხოლოდ...  
 ქვეითის მკერდზე იელვა  
 ხოხბის ხატულა ბოლომ...  
 ნაკადის ჩქერა მიჩუმდა —  
 მხედარი გმინავს მწარედ.  
 დილას რომ ცაში ეკიდა,  
 წყალში ჩავარდა მთვარე.

წყაროშიც, ცაშიც ციალებს  
მთვარის ნათელი ოეთრი.  
მუდამაც ძლევა ყოფილა  
უმძმაცესთა სველრი...

მაგრამ ამაოდ დამშვრალა  
მამაცი ვაჟის ძალი —  
სხვას გაჰყოლია იმ ღამეს  
ის საოცნებო ქალი.

## ჩემს ბალჩაში

ბაღჩა ვნახე უტურფესი ყოვლისავე სალზინოსა.  
რუსთაველი.

როს ციმციმა ცისკრის ცვარი  
ჩემს ბალჩაში ნამაგს იას  
და პეპლები ფრთაცინცხალი  
დაუკლიან სამაიას;  
როს მერცხალი მოვერცხლილი  
მკერდით ბზარავს ტბის ბროლ-მინას  
და ვარდები დაურცხვენლად  
გულს იღეღენ შუქმომფინარს, —  
ტბის ნაპირას ქარნარწევი  
შეირჩევა ლერწმის ლერი:  
შენ ბილიქზე მოირჩევი,  
მოდიხარ და მოიმლერი.  
თავი მაღლა აგიღია  
გედსა ჰეგხარ ლაღად მცურავს,  
შენი ბაგის ვარდი ლია  
ბროლსა ცრის და ძოწა წურავს.  
შურდულივით დავეშვები,  
სურვილი გულს გამისალტავს,  
შენ კი ხოხბის მარმაშებად  
გაგეშლება კაბის კალთა.  
შარიშურით ეშურები,  
მოგდევ, როგორც შავარდენი,  
და სიცილით მოცელილი  
შენ ვარდებში დავარდები...  
ეკალი ნუ შეგვაშინებს —  
ვარდი ვინ თქვა უექლებოდ?!

ჩემს ბალჩაში მზის ამოსვლას  
ვარდის კრეფით შევეგებოთ!

## მშობლიურ სოფელში

ფიქრთა ქროლვით  
კელარ ვასწრებ,  
მოგუგუნე ავტოს,  
კვლავ სოფელი მშობლიური,  
კაკლის ხეთა წყება,  
ფერდობები.  
აქ დავტოვე ჭიგოები მარტო,  
ახლა ცვრიან მტევანს ვუცქერ,  
ოვალი ველარ ძლება.  
შესახვევი.  
მძლოლო, გესმის? — ჩამოვდივარ აქვე.  
მას კი ოვალი უციმციმებს  
სხივმფინარე,  
შშვიდი,  
არ აჩერებს. უმალ ავტო  
დააქანა თავქვე,  
და ვიხილე: უკვე შარა  
ჩემს სახლამდე მიღის.

## სათიბების გახსენება

შენიუვარდა თეთრათი და სათიბები,  
თეთრი ღრუბლის საიმედო სასთუმალი,  
მასთან ყოფნის მოგონებით მუდამ ვტკბები,  
გულში ბრუნავს ჩაუქრობი ტრფობის ალი:

ბორცვებით და ფერდობებით შემქობილი,  
სხივთა ძაფით მოქარგული ოქროსფერად;  
წყაროები სიმთა ხმაზე შეწყობილი,  
გატაცებით უგალობენ ტკბილ სიმღერას.

შალახები ხასხასებენ, როგორც დიბა,  
შიგვე ფრთხილად მიმალულა მწყერთა გუნდი,

მომენატრა ირმის ხმა და ჭალის თიბვა,  
თეთრათო და სათიბებო, დაგიბრუნდით.

ბალახები ჩუმი ნატყრით შემხაროდნენ,  
ციურ ნამთან მოშრიალე, მოალერსე;  
ცვარით სოველს, ვით მინდიას მომძახოდნენ: —  
ერთგულება, სიყვარული მარად თესე.

ვიცი ახლა აქ გარჯის და შრომის დროა,  
ცელი!  
თორემ დამიწუნებს გიშრისთვალა.  
ვვირილების საუბარი ნიავს მოაქვს.  
მიზარია, რომ სათიბში ოფლს ვლვრი ალალს.

## ვინ დაგაფრთხო

ვინ დაგაფრთხო, ტურფა ნუკრო, მთიღან,  
ქარიშხალმა იქნებ შეგაშინა,  
ბინა გინდა? — შემომხედე, თქვი და  
მზად კარ მოგცე შიგ ჩემს გულში ბინა.

ნუ გამირბი. რად ხარ ეგრე ფრთხილი,  
შურდულივით წინ რომ ჩამიქროლე;  
ასე მარტო, მითხარ, სანამ ივლი,  
სად მონახავ დედასა და ტოლებს?

თან გამომყე, ლიადა მაქვს კარი,  
მსურს მტრედივით გულშიც შეგაფრინო,  
ვერ შეგაქრთობს მოის აშარი ქარი,  
ნუ, ნუ მიფრთხი, ჩემო თვალისჩინო.

ის სიავე რა ხანია გაქრა,  
კაცისშვილი არას გერჩის ახლა,  
ხედავ? წვიმა არე-მარეს შაქრავს,  
ხალხს შეხედე, მზეს შესცინე მაღლა.

ჩემი ქვეყნის ნაკადული ლალი,  
სიხარულით ზღვისკენ მიმღერის,  
ათასფერად ელავს ტყე და ბალი  
ოვალი ტკბება ვარდ-ყვავილის ცქერით.

წამო ჩემთან, ნუ თრთი, გწნაცვალე,  
მეც მყავს სახლში შენი ტოლი ლია,  
სიყვარულით დაგიკოცნის თვალებს,  
სიძუღვილი მას არ შეუძლია.

## მშვიდობას იცავს სამშობლო გმირთა

უველგან გაისმის ძახილი მკვეთრად!  
მშვიდობა გვინდა! მშვიდობა გვინდა!  
თავდახსნილ მოძმე ქვეყნებთან ერთად  
მშვიდობას იცავს სამშობლო გმირთა.

მტერს გული უდუღს ბოლმით და შურით,  
მზე რომ ანათებს სიმართლის მაღლად,  
მას აქრთობს ჩვენი კავშირი ძმური  
და სამშვიდობო ლროშების გაშლა.

კვლავინდებურად სწყურია სისხლი,  
ისევ ამზადებს ტანკებს და გემებს,  
უქრობელ ნათელს უყურებს ზიზღით  
და ბავშვის აკვანს უზაზნებს ქვემებს.

მაგრამ რა დახრის მშვიდობის ალამი!  
მშვიდობას უძლვის საბჭოთა ხალხი.  
მისი უშრეტი სიბრძნე და ძალა  
დაამსხვრებს ომის ვერაგულ მახვილს.

ვერ შეეხება ჯალათის ხელი,  
რაც ხალხს ღიადმა გმირობამ მისცა.  
მტერს სურს ატომით დამკვიდრდეს ბნელი,  
ჩვენში ატომი სინათლედ იქცა.

## მზიანი ღარი

სოფელს მშვენებად ადგას ცისკარი,  
ანცი ფრთოსნების არის ფრთხიალი,  
რა საამურად, რა სიგიუმაჟით  
მოპქუს მდინარე ხალისიანი.

თოვლისფერ ვარდზე ციმციმებს ცვარი,  
ვით ჩვილი ბალლის თვალზე ცრემლები;  
თითქოს უშენოდ გამწყრალი არის  
და გაალიმებ ხელის შევლებით.

ხე გიშვდის ხელებს, როგორც ძმობილი,  
გესაუბრება ნაზი შერხევით;  
აღტაცებული, გულაფრთობილი  
მიუალერსებ და მოეხვევი.

გელამუნება სიო ფრთანაზი,  
ციდან ცხრათვალა მზე ითბუნება;  
ყველგან, თვალწარმტაც ჩვენს ქვეყანაში,  
მშვიდობის ხოტბას მღერის ბუნება.

ყოველი წუთი ძვირფასი არის,  
მიწა საგმიროდ გვეძახის მარად,  
ამიტომ გვიყვარს მზიანი დარი  
თავისუფალი მშვიდობის გვარად.

## წიგნები

ძვირფას მეგობრად ვიგულვეთ  
ყოველი წიგნი მართალი,  
შიგ ჩვენი წმინდა ფიქრია  
წარმტაცი ენით ნათქვამი.

დილის ცვარივით ანკარა,  
თუ ვარდად გადაფურჩქვნილი  
ლექსი თანაბრად გვიტაცებს  
აკაკისა და პუშკინის.

წიგნი ხან თითქოს ბუკია  
ბრძოლის და აღფრთოვანების,

ხან შრიალია საამო  
ტევრად გაშლილი ყანების.

ხან სიმღერაა ხმალალი,  
ხან გუგუნა ქარხნების,  
ხან მებრძოლია გზნებული  
მტრის თავზე მეხის დამხლელი.

ყველაზე უფრო გვიტაცებს  
წინსვლის ყველა გზის მიმგნები  
დიდი ლენინის წიგნები,  
დიდი სტალინის წიგნები.

## ცაცხვის ხეო

ცაცხვის ხეო, ჩემი სოფლის  
შუაგულში მდგარო.  
ტანმაღალო, მკლავგაშლილო,  
ამოვ, სანეტაროვ!

ცა-ფირუზი რომ დაგყურებს,  
მზის სხივები გწყალობს,  
ნიავეართან შარიშურობ,  
ვარსკლავებთან გალობ.

შენი სიტქბო დაულოცავს  
გლეხკაცს სკების გამთლელს,  
შენი თეთრი ყვავილები,  
სინათლეს რომ აფრქვევს,  
მისი შუქი ანათებდა  
მამაპაპის სანთლებს.

რყო ნატვრა, მოელოდნენ  
მერმისს გასახარელს,  
სანთლის შუქზე ადიდებდნენ  
საქართველოს სახელს.

წუხდი შენაც, ფუტკრებივით  
რომ ისევდი ფიქრებს,  
გლეხკაცივით იმ წყვდიადში  
ცრემლსაც ღვრილი იქნებ!

ცაცხვის ხეო, ჩემი სოფლის  
შუაგულში მდგარო.  
ტანმაღალო, მკლავგაშლილო,  
ამოვ, სანეტაროვ!

ცა-ფირუზი რომ დაგყურებს,  
მზის სხივები გწყალობს,  
ნიავეართან შარიშურობ,  
ვარსკვლავებთან გალობ.

## იღიჩის ნათურა ჩემს სოფერში

ეინ არ ათრთოლდეს,  
მეგობრებო, ამ სილამაზით?  
ჩემთა სოფელმა  
სამუდამოდ ბინდი განდევნა.  
შოვარდა შუქი  
და გასერა ლამე ალმასით...  
და ნაძვნარებში  
ჩამოიფრქვა ბრილიანტებად.  
  
შარაზე ლამით  
ნათელ სვეტად ეცემა სხივი,  
სოფლის გარემოს  
ქალ-ვაჟების კისკისი ფარავს...

და შევი ლამე  
ფერგამქრალი, სასომიხლილი,  
ვით უბინაო,  
გზის პირებზე დაეძებს კარავს.  
  
მოდის მეურმე,  
იფნის შოლტს რომ მოახმაურებს.  
წინ გადუდგება,  
მაგრამ ხედავს არავინ წყალობს, —  
დაჭრილი ლამე  
ქვეშ მოჰყვება უეცრად ურემს,  
და გზის ნაპირთან  
აღმოხდება სული საბრალოს.

## ნო ღ ე ღ ა

აი, ნოლელა, მშვიდი, ხანაც აბჭარასხმული  
მოდის, მოლელავს,  
დაჭრილივით ებრძვის ნაპირებს  
და ნაპირ-ნაპირ ტირიფები, როგორც ასულნი,  
ჩამწკრივებულან და მდინარის ბორგვა აფიქრებთ.

ჩემო ტირიფნო, ნუ მარწმუნებთ, რომ ის შმაგია, —  
აბა რად როკავთ, ვით ასულნი ეშხიანები...  
ო, ამ ნოლელას სიბრალული თუ დაკარგვია,  
მის ტალღებს მუდამ ასე რისთვის ეშრიალებით?

## ცოცხალი მატიანე

მ ი ს ი ო ჯ ა ხ ი

ბათუმ-მახინჯაურის გზატკეცილთან ფანერის ქარხანასა და ნავთობის გადასაქაჩი დანადგარებს შუა სილივით შეჭრილია ვიწრო ქუჩა, რომელსაც ქარხნის შესახვევი ეწოდება. იგი ნაკლებად დასახლებულია, მის ერთ მხარეს მაღალი ყორე აქვს შემოვლებული, ხოლო ამ ყორეს ბოლოში პატარა თეთრად შეღებილი სამორთახიანი სახლია წამოდგმული. ქვედა სართული შეშისა და სხვადასხვა საოჯახო ნივთების საჭყობად არის გამოყენებული, ხოლო ზედა სართული — საცხოვრებლად.

სახლი ჩადგმულია კოხტად შემოკავებულ ეზოში, რომელშიც გაშენებულია ნაირ-ნაირი ხეხილი და დეკორაციული მცენარეები.

აქ გავლისას ხშირად შენიშნავთ ეზოში მოთუსფუსე დაბალი ტანის ბორცუ ქალს. იგი ხან ბაღჩაშია და მწვანილებულობას უვლის, ხან ხეხილებში დადის და ნერგებს რწყავს, ხან კი სახლის წინ დაბალ სკამზე ჩამომჯდარი ხელსაქმითაა გართული.

— ჯერ არავის უნახავს აკულინა სიმონოვნა უსაქმოდ, — ამბობენ მეზობები და უკვირთ, საიდან აქვს ამდენი ენერგია ამხნის ქალს.

მაგრამ, სანამ აკულინა სიმონოვნას შესახებ ვილაპარაკებდეთ, ურიგო არ იქნება გავეცნოთ მისი ახალგაზრდობის მეგობარსა და ცხოვრების განუყრელ თანამგზავრს, მის ერთგულ მეუღლეს. იგი საშუალო ტანის კაცია, თხელი პირისახე და ლამაზი თვალები აქვს. მოკლედ შეკრეჭილი წვერულვაში შექალარავებია. ჯანსაღი გამომეტყველება აქვს და ჯერ კიდევ უნაოჭო სახე. ხელის ჩამორთმევისას იგრძნობთ, რომ მის მარჯვენას საკმაო ძალ-ღონე შემოუნახავს.

მართალია, ქალაქის ცენტრამდე აქვედან საკმაო მანძილია გასავლელი, მაგრამ ამ მოხუცს ხშირად შეხვდებით იქაც. ის ხან რევოლუციის მუზეუმშია, ხან არქივში, ხან სოცუზრუნველყოფის სამინისტროში. მუშათა კლუბებშიც არ არის იშვიათი სტუმარი და სახელმწიფო თეატრის ახალ დადგმებსაც ესწრება.

მასთან შეხვედრა და საუბარი მუდამ სასიამოენოა. ერთხელ თუ სადმე გაიცანით, არასოდეს არ დაგივიწყებთ. ძალიან უყარს ძეველი ამბების მოყოლა. მართალია, ოდნავ თავისებური უინიანობაც ახასიათებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ უკარგავს ინტერესს მის ნაამბობს. მისი მოთხოვნილი ამბება საინტერესოა და ჰგავს კარგად დაწერილ წიგნს, რომლის წაკითხვისას ადამია

ნი სულიერ სიამოვნებასა და ფიზიკურ მოსვენებას გრძნობს. წიგნებისა და უურნალ-გაზეთების კითხვისას იშვიათად სათვალესაც ხმარობს. უდროოდ მღალატობს თვალებით, იმართლებს თავს. სმენაც კარგი აქვს, მაგრამ ცოტა-თი მუხლებს ემღვრის და ამას რევმატიზმს აბრალის.

რადგან მისი ახლოს გაცნობა მოვისურვეთ, ზოგიერთი რამ კიდევ გავი-გოთ მის შესახებ. ვინ არის იგი და რა დამსახურება მიუძლვის საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე?

ის გახლავთ პერსონალური პენსიონერი, რომლის საპენსიო წითელყდი-ან წიგნაჟში წერია: „ნიკო ალექსანდრეს-ძე სანაძე, დაბადებული 1860 წელს“. ...დღის, 1860 წელს.

მისი ვინაობის გასაცნობად ვიკმართ ეს მოკლე ცნობა, მაგრამ, რადგან მისი ბიოგრაფია გაცილებით უფრო მდიდარი და საინტერესოა, ნუ დავიზა-რებთ იმასაც გადავაკლოთ თვალი.

### მუსეაგი და გარჯის ბიჭი

პატარა მემედი აღრე დაობლდა. მამამისი ხასანი, პროფესიონ დურგალი იყო. იგი მეზობლებში პატიოსანი და თავდადებული შრომით გამოიჩინდა. დლე და ღამე გასწორებული ჰქონდა, მაგრამ სული მაინც ვერ მოეთქვა, ოჯა-ხი ფეხზე ვერ დაეყენებინა. მისი ნაშრომის ორი მესამედი მთავრობასა და ალა-ბეგებს მოჰქმნდათ. მიუხედავად ამისა, ხასანი იმედით უცცქერდა მომა-ვალს, ოცნებობდა მდგომარეობის გამოსწორებაზე, ღროის შეცვლაზე. მაგრამ მის სიცოცხლეში არა გამოსწორებულა რა, არაფერიც არ შეცვლილა და ჭერ კიდევ ახალგაზრდამ სიღარიბეში დალია სული.

მემედის დედა შშრომელი და პატიოსანი ქალი იყო. მისი ქამა ხუსეინ ჭიხავაძე იმ ღროს სახელგანთქმული ვაჟეკაცი იყო და ობოლი დისტულის პატ-რონობაც მან იყიდა. იგი ხშირად დაღიძედა სხვადასხვა ქალაქებში — ხოფაში, ტრაპიზონში, ორდში და მემედიც თან დაპყავდა.

ეს ის ღრო იყო, როცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, — ქობულეთში, ბათუმში, აჭარაში, შავშეთსა და ერუშეთში თურქი დამპყრობლები ბატონობ-დნენ და აღგილობრივ მკვიდრო ავტოროგბდნენ, შორეულ უდაბნოებისაკენ შიერეკებოდნენ და მათ მიწა-წყალზე თურქებს ასახლებდნენ. თურქების ხე-ლისუფლების ასეთი საქციილი აღშფოთებას იწვევდა აღგილობრივ მცხოვ-რებ ქართველ მაკადანებში და ხშირად ეს აღშფოთება შეიარაღებულ შე-ტაკებამდე მიღიოდა.

პატარა მემედი ჭიკვიანი და ღაკვირვებული ბავშვი იყო, მაგრამ ამავე ღროს ძალზე მორწმუნე და ფანატიკოსი. მისი გონება დაეჩლუნგებია არაბულ ლოცვებსა და მუსლიმანური სარწმუნოების სხვა წესებს. მას სწამდა, რომ არსებობს ალაპი და მისი მოციქული, რომელთა ხელთ არის სამყარო და კაციობრიობის ბედი. ასეთი რწმენით გატაცებული ბავშვი უთუოდ ბოლომდე შეინარჩუნებდა თავის შეხედულებებს, რომ ერთ შემთხვევას იგი არ გამო-ეფხიზლებინა და გონზე არ მოეყვანა.

ერთხელ იგი ბიძასთან ერთად, ტრაპიზონის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში ქორწილში მოხვდა, სადაც თურქებთან ერთად ქართველი მაჭადიანებიც იყვნენ მიწვეულნი და, რა თქმა უნდა, ხუსეინ ჯიჯავაძეც არ გამორჩენიათ.

ქორწილი ჩვეულებრივი წესით მიღიოდა. მღეროდნენ, ცეკვავდნენ, მხიარულობდნენ. ბოლოს, როცა ყველაფერი ეს მოსწყინდათ, გადაწყვიტეს ჭიდაობა გაემართათ, თურქებსა და ქართველ მაჭადიანებს თითო ფალავანი გამოეყვანათ.

თურქების მხრიდან ერთმა აღამ ითავა მოჭიდავე ბიჭის გამოყვანა, ხოლო ქართველმა მაჭადიანებმა ჯიჯავაძეს მიანდეს ფალავანის შერჩევა.

ხუსეინმა თავის დისტულს შეხედა. მემედი სუსტი შეხედულების ბიჭი იყო, მაგრამ საკმაოდ ძვალმაგარი და ღონიერი. რაკი დაინახა, რომ ბიძამისმა არჩევანი მასზე შეაჩერა, გაიხადა თავისი მოკლე ჩოხა, ფარჩის ჭრელი სარტყელი წელზე მაგრად შემოიჭირა და წრეში გავიდა.

ჭიდაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მემედმა ხელის წავლებისთანავე მოიგდო ზურგზე მოპირდაპირე, მოიქნია და ისე მაგრად დასცა მიწაზე, რომ არავის ეგონა, თუ წამოდგებოდა.

ქართველებმა ტაში დასცეს, მაგრამ თურქებმა ეს იუკადრისეს, ასტურეს ყვირილი და მოითხოვეს ჭიდაობის გამეორება.

გამარჯვების სასწორი მეორე ჭიდაობის ღროსაც არ შეცვლილა. თურქების ფალავანი ახლა უფრო სასტიკად დამარცხდა და წრიდან შერცხვენილი გაიპარა. აღა, რომელმაც მისი ფალავნის ასეთი შერცხვენა ნახა, ძალზე გაბრაზდა, იგი უდიერად მიიჭრა ჯიჯავაძესთან და სილა გააწნა.

ხუსეინი არ მოელოდა ამას, წამით გაშეშდა, მაგრამ შემდეგ სწრაფად იძრო ქართული ხმალი და ისე მაგრად შემოჰკრა აღას, რომ მხრიდან მოკეთილი მკლავი მოწყვეტით დაეცა ძირს.

— მიშველეთ! — დაიღრიალა აღამ და ცოცხალ-მკვდარი გაიშხლართა.

— თურქებო, სისხლი! — დაიძახა ამ ღროს ვიღაცამ. — გაწყვიტეთ გურჯები, მოკეალით გურჯი ბიჭი! — და აუარებელი ხმალი ალაპლაპდა.

— თავს უშველე! — უთხრა ხუსეინმა დისტულს და შიშველი ხმლით დატრიალდა.

წრე გაირღვა. ხალხი ერთმანეთში აირია. გამხეცებულ ჯიჯავაძესთან ახლოს მისვლა ვერავინ გაბედა, მაგრამ ქვები მოიშველიეს და ყოველი მხრიდან სეტყვასავით დაუშინეს.

მცირერიცხოვანი ქართველები ვერაფერს გახდნენ, ვერ შეძლეს ხუსეინის უვნებლად გაყვანა. ყოველი მხრიდან შემოსეული თურქები ისე მაგრად უშენდნენ ქვებს, რომ წრეში მომწყვდეული ვაჟკაცი ადგილიდან გასვლას ვერ ახერხებდა. ქვები ხვდებოდა თავში, სახეში, გვერდებზე, ფეხებში. თავშირიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ მშველელი არავინ იყო. ბოლოს ვეღარ გაუძლო და დაეცა.

— ჩაქოლეთ გურჯი!

— მოსპეთ გიაური! — გაისმა ამ ღროს და წაქცეულ ვაჟკაცს დაეცნენ.

მემედი, რომელიც ამ ღროს ერთ ადგილას იდგა, მხეცს დაემსგავსა, იქვე ბახლობლად გაჩერებულ თურქს სწრაფად გამოსტაცა ხელიდან დამბაჩა, შეიძრა წრეში და ორი ტყვია ზედიზედ დაახალა ქვის დამრტყმელს, შემდეგ მოტრიალდა და ელვის სისწრაფით გაქრა.

— დახოცეთ გურჯები!

— ჩაქოლეთ გურჯი ბიჭი! — აღრიალდა ხალხი და იქაურობას მოედვნენ, შაგრამ მემედი ვერსად იპოვეს. იგი გაუჩინარდა.

რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა პოლიცია, სიკვდილის პირას მისული ხუსეინ ჭიჭავაძე ჭალამბარზე დადებული წაიღეს და ხალხს დაშლა უბრძანეს, მაგრამ სისხლმოწყურებული ბრბო არ იძროდა და გვიან ღამემდე გაჰყვიროდა:

— მოსპეთ გურჯები!

— ჩაქოლეთ გურჯი ბიჭი!

### აი თურთ ვინ ყოვილან ეს გუაჯები

სარწმუნოების ერთიანობაში ვერ შეაკავშირა თურქი და ქართველი მაჰმა-დიანები. თურქი აღ-ბეგები თურქ მოსახლეობას გურჯებზე ამხედრებდნენ, მრავალნაირი პროვოკაციებით იწვევდნენ მათ შორის უთანხმოებას, ჩხებსა და ზოგჯერ შეტაკებებსაც. თუ ბათუმს, ქობულეთსა და აჭარაში ოლნავ კიდევ მოკრძალებული იყვნენ, ეშინოდათ მარჯვე ქობულეთლების, ჩაქვისთაველების, კახაბრელების, თუ ამ მხარეში ერიდებოდათ ჭიჭავაძეების, ნიუარაძეების, ხალვაშების, აბაშიძეების, გოგიტიძეების, მევავანაძეების და თავდგირიძეების წყენინება და ასე თუ ისე მოკრძალებული იყვნენ, სამაგიეროდ შიგა თურქეთში მოხვედრილ ამ გვარის წარმომადგენლებს სასტიკად დევნილნენ.

სამასი წლის თურქეთის ხელში ყოფნას მარტო სარწმუნოება შეეცალა აქაური ქართველებისათვის, სხვა ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო. ენა, ზნე-ჩევეულება, საშობლოს სიყვარული და წინაპრების პატივისცემა, — ძველებური, ქართული იყო. ქართული სული ტრიალებდა. მაგრამ ამით არ წეიძლება დავასკვნათ, რომ ყველას ერთნაირად ესმოდა სარწმუნოებისა და ეროვნების ასობა. იყვნენ ისეთი ქართველი მაჰმადიანები, რომლებსაც წყინდათ, როცა მათ თურქები გურჯებს უწოდებდნენ. მათ შორის იყო ახალგაზრდა მემედი, რომელიც რელიგიური ფანატიზმით თავბრუდახვეული, სარწმუნოების გარდა ვერაფერს ხელავდა ადამიანების ურთიერთდამოკიდებულების მთავარ ღერძად, მათ შემაკავშირებლად.

მაგრამ მისი აუთი შეხედულება სავსებით შეიცვალა იმ შემთხვევის შემდეგ. იქ ჭიდაობის დროს მომხდარმა ამბებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს მასზე. ახლა დაინახა, რომ თურქები და გურჯები სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები ყოფილან. მაჰმადი შემცდარა, როცა დაუდგენია მუსლიმანობის დროშის ქვეშ მთელი ქვეყნის ხალხების გაერთიანება შეიძლებაო.

მძიმედ დაჭრილ-დაბეგვილი ხუსეინ ჭიჭავაძე მოიპარეს იქ მყოფმა ქობულეთლებმა და დიშვილთან ერთად მალულად ნავით გამოაპარეს. დიდი წამლობა-ექიმობით მოაჩინეს ხუსეინი, ხოლო ახალგაზრდა მემედი შეიკედლეა და დიდხანს მალავდნენ მას.

### ხორცის სხახული რცხვები

თურქების ტყვეობაში მყოფი ქართველები დღედღეზე ელოდნენ თავის დალწევას. ისინი ფიქრობდნენ: დღეს არა, ხვალ საქართველო გაერთიანდება, ძალას მოიკრებს და ტყვეობაში მყოფ ძმებს გამოიხსნისო, მაგრამ გადიოდა დღეები, თვეები, წლები, საუკუნეები და მათი ოცნება განუხორციებელი რჩებოდა. ყოველი მხრიდან მტრის ურდოებით შემორკალული საქართველო-თანადათან უძლურდებოდა, მისი საუკეთესო შვილები პირუტყვივით იყიდებოდნენ სტამბოლისა და თეირანის ბაზრებზე და უცხოელი დამპყრობლების მონებად ხდებოდნენ. ქართველი მშრომელი ხალხი გმინავდა აღვირასნილი ფერდალებისა და უცხოელი დამპყრობლების ულელქვეშ და ამიტომ იყო, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებას ყველა სიხარულით შეხვდა.

რუსეთის ძალაუფლების დამყარებამ საქართველოში მაღა დაუკარგა ირანელ და თურქ დამპყრობლების. მაშინ იგრძნეს, რომ აწ საქართველოს მიწა-წყალზე ისე თავისუფლად თარეში არ შეიძლებოდა, მათი ბატონობის ყავლი გასული იყო და ამიტომ გულდაგულ ამაგრებლნენ მათ მიერ მიტაცებულ ადგილებს, რათა ის მაინც შერჩენოდათ. ქობულეთისა და ბათუმის მისადგომები სტამბოლიდან მოყვანილი ჯარებითა და იქიდან მოზიდული ზარბაზნებით გაამაგრეს. ეინაიდან ადგილობრივი მოსახლეობის იმედი არ ჰქონდათ, ისინი საზღვრებს მოაშორეს, ზოგი ძალით გაიყვანეს, ზოგს თავი მოუქონეს, შეა თურქეთში შეპირდნენ საუკეთესო მიწა-წყალს, მაგრამ თითო-ოროლა თუ დაიყოლიეს... საქართველოს მომაგრებითა და რუსეთის ჯარის იმედით გამნენვებული ქობულეთელი, ხინოელი და ბათუმელი ახალგაზრდა ვაჟკაცები, იარაღასხმულნი ტყეში გავიდნენ და თურქ დამპყრობლებს პარტიზანული ბრძოლა გაუმართეს. ზოგიერთმა საზღვარზე გადასვლაც მოახერხა და სახალხო მილიციაში ჩაეწერა.

ამ დროს რუსეთ-თურქეთის ომიც დაიწყო და აჭარელთა ბედიც ამ ომა წალმა შემოაბრუნა.

1878 წლის აგვისტოს, როცა რუსეთის ჯარი ბათუმში შევიდა, მემედ უსტიოლლიც სსვებთან ერთად ამ ამბავს სიხარულით შეხვდა. დღეიდან მას შეეძლო გამოსულიყო დღის სინათლეზე, ეცხოვრა თავისუფლად და არ შეშენებოდა მუქარის, რომელსაც აქამდე ხშირად. უგზავნილნენ მასზე გაბრაზებული ტრაპიზონელი თურქები.

## შესვერა ნიმუშისთვის

• ბათუმისა და მისი ოლქის განთავისუფლებას ბევრი საინტერესო და სასისარულო ამბავი მოჰყვა. ბათუმში გამოჩენენ რუსეთისა და საქართველოს მოწინავე პროგრესული ადამიანები. დაარსდა სკოლა, საავაღმყოფო, გაიხსნა საეპროები და აქამდე ჭაობში ჩაფლულმა ბათუმშა ფერი იცვალა. მან წამლავილი ქალაქის სახე მიიღო და ცხოვრებამ დუღილი იწყო. ამას მოჰყვა ნავთობის ქარხნების, თამბაქოს ფაბრიკების ამუშავება და ქალაქში მუშათა კლასი გამოჩნდა.

ახალგაზრდა მემეღს არ შეეძლო ასეთ დროს ახალი მოძრაობის გარეშე დარჩენილიყო. იგი მუშად მოეწყო ერთ-ერთ ქარხანაში, დაუახლოვდა იმ დროს ბათუმში მყოფ ქართველ მოწინავე ადამიანებს და მათ ოჯახებს და ხელი მიჰყო თვითგანვითარებას.

— ერთხელ, — ამბობს იგი, — ერთი მეგობრის ოჯახში ვიყავი. იქ ერთი ხელ-ხელი, ფერმერთალი ახალგაზრდა კაცი მოვიდა. მისი მოსტრა ყველას ესიამოვნა. ახალგაზრდამ რომ გაიგო მე ადგილობრივი მცხოვრები, ქართველი მაჭადიანი ვიყავი, ძალიან გაუხარდა. დამიწყო გამოკითხვა, თუ რა ვიცოდი ჩვენი ერის წარსულის შესახებ. მე ბევრი არაფერი გამეგებოდა და ამიტომ შხოლოდ ბებიაჩემის ნაამბობი მოვუყევი. ბებიას, რომელიც მაშინ ასხუთმეტა წლისა იყო, ხშირად უთქვამს ხოლმე, ჩვენ ქართველები ვართო, ეს მხარე საქართველოა და ერთ დროს მას უნდა შეუერთდესო. მაშინ მე ეს არ მწამდა და არც მინდოდა მეწამებინა, მაგრამ თურქებთან იმ უთახემოების შემდევ ჩემს გულში ბებიას სიტყვებმა თანდათან უფრო ძლიერად მოიდგეს ფეხი და ჩემი რწმენაც შეირყა.

— მართალი უთქვამს ბებიათქვენს, — მითხრა ახალგაცნობილმა ახალგაზრდამ და საქართველოს ისტორიიდან მოჰყვა ისეთ საინტერესო ამბებს, რომ მე განვცვითრდი, ცრემლიც კი მომერია.

— ვინ არის ეს ახალგაზრდა? — ვეკითხები მასპინძელს, როცა ახალგაზრდა წავიდა.

— ეს ეგნატე ნინოშვილია, — მეუბნება მასპინძელი, — მწერალია, წიგნებს წერს.

— ნეტავი გამხადა ისეთი ბედნიერი, კითხვა მასწავლა და მისი ნაწერები წამაგითხა. — ვნატრობ მე და თავს მეტად დამცირებულად ვგრძნობ ჩემი უცოდინარობის გამო.

— ნუ გეშინია, — მამშვიდებს მასპინძელი, — თუ ისურვებ, წერა-კითხვის სწავლა არც ისე ძნელია. გიშოვნით წიგნებს და ისწავლე.

ამ სიტყვებმა გამამხნევეს. გულში თითქოს ახალი სისხლი აჩქეფდა და სრულიად ახალ ადამიანად ვიქეცი.

მაშ მე წერა-კითხვას ვისწავლი? საქართველოს ისტორიას წავიკითხავ, ჩემი წინაპრების ამბებს გავეცნობი? ხალხში გამოვალ და საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობას მივიღებ?

ღმერთო ხელი მომიმართე. უკანასკნელად მაშინ ვახსენე ღმერთი და მას შემდეგ სამუდამოდ გავწყვიტე მასთან კავშირი.

## გიაზე მემედაი

სარწმუნოებისაგან განდგომა ასე ადვილად არ აპატიეს მემედს. ყველაზე უფრო მთავარი ჯამეს ხოჯა შეაწესა ამ ამბავმა. აბა, როგორ შეიძლება მაჰმა-დიანმა კაცმა მეჩეთში არ იაროს, დღეში რამდენჯერმე აბდესი არ იიღოს და არ ილოცოს, არ იმარხულოს და ხოჯის წინაშე მოვალეობა არ მოიხადოს?

და ერთხელ ძალზე გაბრაზებული ხოჯა იბარებს მემედს და ჭვრ როგორც ღვთის მსახური და „კეთილი“ მამა დარიგებას აძლევს.

— გიაური ალაპისაგან დაწყევლილი და შეჩერებულია, შვილო. მისი ხორცი საიქიოში ეშმაკების კერძი ხდება. მისი სული კუპრსა და ცეცხლში იწვის. გონის მოდი, ნუ გაჰყვები გიაურების გზას, მერდე, დამიჯერე, — ეუბნება იგი.

მემედმა ერთხანს უსმინა ქადაგების ხასიათზე დამდგარ ხოჯას, მაგრავ როცა უკანასკნელმა დარიგებას მუქარაც მოაყოლა, მაშინ ოდნავ აწეული ხმით შეაჩერა.

— მე არც გიაური ვარ და არც ურწმუნო, — უთხრა მან, — მე მაქვნ სინდისი, პატიოსნება, მაქვს რწმენაც. გინდა გაიგო რა მწამს? მე მწამს, რომ ეს ქვეყანა შრომით აშენებულა და შენდება, რომ შრომაა ყველაფერი და არა ლოცვა-ვეღრება. მე მწამს, რომ შენ და ყველა ხოჯა-მოლა მატყუარები და გაიძვერები ხართ. აი რა მწამს მე. კიდევ გსურს გაიგო ჩემგან არა?

გასაგებია ამის შემდეგ რა ხასიათზე დადგებოდა შეურაცხყოფილი ხოჯა მან გულდაგულ შეაჩერენა გაგიაურებული ახალგაზრდა და მის შემდეგ განუწყვეტლივ წყევლიდა, მაგრამ მემედისათვის მის წყევლს არაფერი დაუკლია, თუმცა ხოჯას მისმა აგიტაციამ საკმაოდ ბევრი მტერი გაუჩინა.

მემედის „გაგიაურება“ არც ადგილობრივ აღა-ბეგებს მოეწონათ. მართალია, ისინი ქართველობაზე უასს არ ამბობდნენ, საქართველოსთან შეერთება უხაროდათ, ქართველ თავად-აზნაურობასთან მეგობრობდნენ, მაგრამ მუსლიმანური სარწმუნოების ღალატი დიდ ცოდვად და უბედურებად მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ ხოჯისაგან გიაურად გამოცხადებული მემედი კანონს გარეშე გამოაცხადეს და დევნა დაუწყეს. სარწმუნოებისაგან განდგომის გარდა მათ ისიც აწუხებდათ, რომ მემედი, კახაბრელი ოსტა (დურგალი), გლეხის შვილი, თავაწეული დადიოდა, კოხტად იცვამდა, იხურავდა და კარგად შეიარაღებულიც იყო. გვარი და შთამომავლობა თორებ ბეგობას აღარაფერი უკლია. ეს ხომ შეურაცხყოფა იყო აღა-ბეგებისათვის?

და ერთხელ, შეცვედრისას ერთ-ერთმა ცნობილმა ბეგმა მემედი რომ ასე ამაყად მიმავალი დაინახა, ჭკუაში არ დაუჭდა და თავმომწონე ახალგაზრდა იხმო. მემედი მივიდა და მოკრძალებით მიესალმა.

— შენ, რაო, რას ბედავ თუ იცა? — უყვირა მას ბეგმა ლა თვალები დაუბრიალა.

— ვინ მოგახსენათ, რომ ცუდ რამეს უბედავ? — მიუგო მემედმა და თვალი თვალში გაუყარა.

— გიაურო, შელაპარაკებასაც ბედავ! შენ ალბათ მალე შაფხასაც დარხურავ და ღვინის სმასაც დაიწყებ. — უფრო გაცხარდა ბეგი.

— ჩემს სურვილზეა დაშოკიდებული. — უკან არ დაიხია ახალგაზრდამ.

— გიაურო! — შეპყვირა ბეგმა და ხმალზე იქრა ხელი, მაგრამ სანამ ხმალს ბუღიდან ამოიღებდა, მემედმა ფეხზე შეყენებული დამბაჩა გულზე დაადო.

ბეგმა სიბრაზისაგან ტუჩზე იქბინა.

— ღმერთი არ გაგიწყრეს მემედავ. — და ამაყი ბეგის სახე სწრაფად შეიცვალა. — არ მესროლო.

ახალგაზრდამ დამბაჩა ქამარში გაიჩქო და ბეგს გადახედა.

— მეორედ არ გაპატიებ, ბეგო. — მიბრუნდა და თავისი გზით წავიდა.

### 1905 წელი ბათუმში

ი. ბ. სტალინის მიერ დაარსებულ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუნიციპალური მიმართულების ბათუმის კომიტეტში ნიკო სანაძე ერთ-ერთ აქტიურ წევრად ითვლებოდა. 1901 წ. 31 დეკემბერს, იგი ესწრებოდა ს. ლომჯარის სახლში ახალგაზრდა სტალინის მიერ მოწვევულ კრებას, რომელიც ბათუმის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში შესულია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. ამ დროს ნიკო სანაძემ კარგად იცოდა წერა-კითხვა, ეწაფებოდა უურნალ-გაზეთებს, ესწრებოდა წრების მეცადინეობას, გამოდიოდა კრებებზე სიტყვით, გადაჯეონდ-გადმოჯეონდა არალეგალური ლიტერატურა, ეხმარებოდა არალეგალურად ჩამოსულ ამხანაგებს და პირნათლად ასრულებდა ბათუმის კომიტეტის დავალებებსა და მითითებებს.

ამ დროს სანაძეს ახალი სარწმუნოება და მრწამსი, ახალი მიმართულება ჰქონდა. მისთვის აღარ არსებობდა ეროვნული სხვაობა. ქართველი, რუსი, სომეხი, თურქი — ყველა მშრომელი თანაბრად უყვარდა. მათში ხედავდა ამხანაგს, თანამებრძოლსა და მეგობარს. ნიკოს სწამდა, რომ მშრომელი ხალხის გამარჯვება აუცილებელი და გარდუვალია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი ყველაზე სწორი და უტყუარი მეცნიერებაა, რომლის საშუალებითა და მომარჯვებით მშრომელ ხალხს შეუძლია დაამხოს უსამართლობაზე დამყარებული მეფის ხელისუფლება და მის ნაცვლად ახალი — სოციალისტური სახელმწიფო შექმნას.

1902-1903 წლებში ბათუმში მომხდარმა მუშათა გაფიცვებმა, დემონსი, ტრაციებმა და მიტინგებმა ააფორიაქა ადგილობრივი ხელისუფლება. გახშირდა დაპატიმრებები და რეპრესიები. უნდარმერია ფეხზე დადგა, გაჩნდნენ საიდუმლო აგენტები და გადაცმული ჯაშუმები... და ერთ დღეს ნიკო სანაძეც ჩავარდა. შეიძყრეს, დაპატიმრეს და გადასახლეს. აიძულეს მოშორებოდა თავის საყვარელ კუთხეს, ამხანაგებსა და საკუთარ სახლ-კარს. აკულინა სიმონოვნამ არ ისურვა დარჩენა და ქმარს თან გაჰყვა ჭ. ეკატერინოვ გრადში.

— ცოლი ერთი წლის შერთული მყავდა მაშინ. — ამბობს სანაძე და ნაგრძობს თავის ამბავს.

ბათუმელი რევოლუციონერი მუშა მალე გაიცნეს და დაიმეგობრეს ეკატერინოგრადელმა რევოლუციონერებმა. იგი მათთვის ახლობელი და საყვარელი ამხანაგი გახდა. მართალია, სანაძეს, როგორც გადასახლებაში მყოფს, სამსახურში შესვლა არ შეეძლო, მაგრამ ადგილობრივი ამხანაგების დახმარებით თავს ადვილად ინახავდა და თავის საყვარელ საქმეს — რევოლუციურ მუშაობას განაგრძობდა. მას კავშირი ჰქონდა ბათუმის მუშათა კომიტეტთან და აქაური ამხანაგების საშუალებით ყველა საქმის კურსში იყო. როცა რევოლუციის ცეცხლის აღმოჩენის დასაწილებული მოედო და რეაქცია შესუსტდა, ნიკო სანაძე თავისი ცოლ-შვილით კვლავ ბათუმში დაბრუნდა და თავის ამხანაგებს გვერდით ამოუღა.

ნიკო სანაძეს ბევრი საყურადღებო ამბავი შემოუნახავს და ჩვენამდე მოუტანია. განსაკუთრებით საინტერესოა მოგონებები 1905 წლის შესახებ. ამ დროს ნიკო გადასახლებიდან ახალდაბრუნებული იყო. პოლიცია ახლაც არ ტოვებდა მას უყურადღებოდ, ფეხდაფეხ დასდევდა, მაგრამ დაპატიმრებას ვერ უბედავდა, რადგან ახლა საკუთარი ტყავის შენარჩუნებაზე უფრო ფიქრობდა. ზოგიერთი პოლიციელი მუშების თვალის ასახვევად მათთან დამეგობრებასაც კი ცდილობდა, უფრო სიფრთხილეს იჩენდა, ეშინოდა, უაი, თუ მართლა გაიმარჯვეს და ცოდვები გაგვიხსენესო.

ესთადერთი ლევან გურიელი განაგრძობდა თავაშვებულ პარპაშა და მუშების შევიწროებას. იგი კვლავ აშერად გამოდიოდა რევოლუციონერი მუშების წინააღმდეგ და ყველას დაჭერითა და გადასახლებით ემუქრებოდა.

— უნდა მოვიშოროთ გურიელი! უნდა ჩავაძალლოთ მეფის ჯაშუში! — იძანოდნენ მუშები და ბათუმის კომიტეტისაგან ზომების მიღებას მოითხოვდნენ.

ამაყი და თავმომწონე თავადი-პოლიციელი, აინუნშიც არ იგდებდა მუშების მუქარას. უფრო და უფრო საზიზლარი და უქმეხი ხდებოდა. მეტსა და მეტ თავხელობას იჩენდა.

— მაშ ასე! — უკანასკნელად თქვეს მუშებმა და ბათუმის კომიტეტის დაუკითხავად გადაწყვიტეს ჯალათ პოლიციელის ბედი. — უნდა მოკვდეს იგი!

განაჩენის სისრულეში მოყვანა არ დაუყოვნებიათ. ერთ დილას, როცა გურიელი თეთრ ჩიხა-ახალოხში გამოწყობილი გუბერნატორთან საკიზიტოდ მიღიოდა, დაუხვდნენ და ბერდანის ტყვიით მკერდი შეუნგრიეს.

ლევან გურიელის სიკვდილის ცნობა ელვის სისტრატით მოედო ქალაქს. პოლიციელები დაფრთხენენ და სოროებს მიაშურეს. მუშებმა გაიხარეს. ერთ-მანეთს ულლოცავდნენ ამ სასიხარულო ამბავს და გურიელის მკვლელისა და მისი ხელისშემწყობის საღეგრძელოს სვამდნენ.

გუბერნატორი შეშინდა. რეპრესიების გაძლიერება ვერ გაბედა, ვერც სხვა რამ გამოიგონა გარდა იმისა, რომ განკარგულება გასცა, მეფის ერთგულისა და პოლიციის გამოჩენილი მოღვაწის თავად ლევან გურიელის ცხე-დრი დიდი პატივისცემით გაესვენებინათ თავის სოფელში და განსაკუთრებული პატივით დაეკრძალათ.

მაგრამ ეს უბრალო განკარგულებაც ვერ შეუსრულეს გუბერნატორს. მთელი ქალაქი შემოიარეს და ერთი საღურგლო-სახელოსნო ვერ ნახეს ლია. სახელოსნოს პატრონებს ბინაშედაც მიაკითხეს, მაგრამ ვერავინ იპოვეს, ვის ცოლის ავადმყოფობა მოეგონება და სოფელში წასულიყო; ვის შვილის, ვის სიდედრი გარდაცვლოდა, ვინ თვითონ გამხდარიყო ავად. ერთი სიტყვით, ყველას ეპოვნა სახელოსნოს დაკეტვის მიზეზი.

— ვის გავაკეთებინორთ კუბო?

— ვინ გაგვიყეთებს კუბოს? — ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ პოლიციელები და მეკუბოეს ეძებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა იპოვეს ერთი ხელოსანი, რომელიც ეტლებისა და ურტების თვლების ოსტატი იყო, და კუბოს გაკეთება სთხოვეს.

— მასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ გამიკეთებია. — იუარა ოსტატმა.

— არ გაგიკეთებია, მაგრამ უნდა გააკეთო! — უბრძანეს მას. — ან რა დიდი საქმე უნდა ოთხი ლერი ფიცრის შეჭედვას? მიიღე დაკვეთა, თორემ...

— მუქარაც მიაყოლეს, მაგრამ ხელოსანმა უკან დაიხადა. არ შემიძლია, ვერ გავაკეთებო, დაიჩემა. მუქარით რომ ვერას გახდნენ, ისევ თხოვნას მიმართეს. დიდი ხვეწინისა და მუდარის შემდეგ, როგორც იქნა დაითანხმეს.

— მაგრამ იცოდეთ, ლამაზი არ იქნება, გურიელის საკადრის კუბოს ვერ, გავაკეთებ. — წინასწარ გაატრთხილა ოსტატმა დამკვეთნი.

— ჯანდაბას, იყოს როგორიც იქნება, ოლონდ საჩქაროდ. — დაეთანხმენ დამკვეთნი და დამშვიდებული წავიდნენ.

ოსტატი შეუდგა ამ მისთვის ძნელად შესასრულებელ საქმეს. გარანდა ფიცრები, გააშალაშინა და ის იყო ერთმანეთზე უნდა მიეჭედა, რომ სახელოსნოს კარებთან ერთი პატარა, ათი-თორმეტი წლის ბიჭი გაჩერდა, ჩანთა, რომელიც ხელში ეჭირა უკან მოიფარა და სახელოსნოში შემოიხედა.

— გამარჯობა ძია, შენი. — მიესალმა იგი ოსტატს.

ოსტატმა თავი ასწია და ბიჭს შეხედა.

— ბიჭო, შენ არ იცი, რომ საფლავის თხრისა და კუბოს კეთების დროს კაცს გამარჯვებას არ ეუბნებიან?

— არ ვიცოდი. — ჩაილაპარაკა ბავშვმა. — მეგონა ურმის თვლებს აკეთებდი. განა კუბოს კეთებაც იცი?

— რას იზამ, კაცმა ცველაფერი უნდა იცოდე. რომელშიაც მეტი ხეირს ნახავ, ის უნდა გამოიყენო. — უგულოდ უპასუხა ოსტატმა, ორი ფიცრის თავი ერთმანეთს მიუტოლა და ფანქრით მოხაზა.

— ვისთვის აკეთებ ძია, მაგ კუბოს? — არ მოეშვა ბავშვი.

— გურიელისთვის ბიძია, გურიელისთვის. ერთი თავადის სიკვდილი გურიელის და აბა უკუბოდ მიწაში ჩაშვებას როგორ ვაკადრებთ. — ხუმრობის ხასიათზე დადგა ხელოსანი. — გაგიგონია ლევან გურიელი?

— როგორ არა, გამიგონია. — მიუგო ბიჭმა. — ჩვენს სკოლაში სულ მასზე ლაპარაკობდნენ ბავშვები. ტერორისტებს მოუკლავთ. ახალთაობის მტერი ყოფილა ის არამზადა.

— პოდა, მეც იმას ვუკეთებ კუბოს. — კმაყოფილებით თქვა ოსტატმა. — გასაგებია? — ხელში ჩაქუჩი აიღო და ლურსმანი შეარჩია.

— გასაგებია, ძია, გასაგები. — უთხრა ბავშვმა. — რახან მასეა, ორი კუბო გააკეთე, უკეთესი იქნება.

— ორიო? — გაკვირვებით შეხედა ბავშვს ასტატმა. — ორი რად მინდა ბიჭო?

— ერთი გურიელისთვის, მეორე შენთვის. — უპასუხა ბავშვმა, ნელა მიბრუნდა და წავიდა.

ოსტატს ხელები გაუშეშდა.

— რაო? როგორ თქვა? — თავისთავს შეეკითხა იგი. — ერთი გურიელისთვის, მეორე შენთვისო?.. — გაიმეორა ბიჭის ნათქვამი. — ნუთუ... — და ბავშვის ნათქვამს ჩაუფიქრდა. — გასაგებია, რატომ ჩემს მეტი ვერავინ იპოვეს იმ ჯალათის კუბოს გამკეთებელი. არა, ძალი ძალურად უნდა ჩაფლან მიწაში. მე მის კუბოს არ გავაკეთებ. — მტკიცედ თქვა მან. ჩაქუჩი, რომელიც ხელში ეჭირა, იქით მიაგდო, წინსაფარი შემოიხსნა, გარეთ გამოვიდა, დარაბები სასწრაფოდ დახურა, კარებს ვეებერთელა ბოქლომი დაადო, მეზობელ მიყიტანს დაუბარა, დედა გარდამცვლია, სოფელში უნდა წავიდეო, და საჩქაროდ საღვურისაკენ გაიქცა, რათა რომელიმე მატარებელს გაჰყოლოდა და მიმალულიყო.

— ძალს ძალური სიკვდილი და დამარხვა არ აცდა. — კმაყოფილებით ამბობს სანახე და უფრო საინტერესო ეპიზოდებს ჰყება.

...გავშნოსან „პოტიომკინზე“ მეზღვაურების აჯანყებაშ საერთო სიხარული გამოიწვია. ბათუმის მუშები აღტაცებით შეხვდნენ ამ ცნობას. თუ პოტიომკინელებს სხვა ფლოტის მეზღვაურებიც მიბაძავდნენ, ეს უდიდესი გამარჯვება იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, აჯანყება „პოტიომკინზე“ დამარცხდა და აჯანყებულებს მეფის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა. მეტად მცირე ნაწილმა უშველა თავს და სიცოცხლე შეინარჩუნა. ამ მცირე ნაწილს ეკუთვნოდა ის რვა მეზღვაური, რომლებმაც ბათუმამდე. მოაღწიეს და დახმარებისთვის ბათუმის კომიტეტს მიმართეს.

კომიტეტის დავალებით ნიკო სანახემ იყისრა იმათი შველა, შეაგროვა საჭირო თანხა, მოელაპარაკა უცხოეთის გემის კაპიტანს და ერთ მშვენიერ დღეს რვა პოტიომკინელი მეზღვაური, საზღვარგარეთ გაამგზავრა.

ბევრი რამ ახსოეს ნიკოს.

— ერთხელ — განაგრძობს იგი. — პატიმარი ამხანაგები უნდა გაგვეცილებია. ამისათვის წინასწარ ვიყავით მომზადებული. დანიშნულ ღროს გადაცმულ-შენილბული გამოვცხადდით ადგილზე და ვითომც შემთხვევით გამვლელები, ჩვენს პატიმარ ამხანაგებს ვუთვალოვალებდით. ამხანაგებმა გვიცნეს და თითების თამაშითა და მიმიკის საშუალებით გადმოგვცემდნენ თავივიანთ ამბებს. იქვე ახლოს გაჩერებული პოლიციელები ბეჭითად გვადევნებდნენ თვალ-ყურს, მაგრამ. რადგან ჩვენ დაეჭვების საბაბს არ ვაძლევდით, ვერაფერს გვეუბნებოდნენ. წუთით ვისარებლე შემთხვევით, მივიპარე ერთ პატიმარ ამხანაგთან და შეუმჩნევლად გიბეში რამდენიმე თუმანი ჩავუდეა ამხანაგმა იგრძნო ეს და ფარული ღიმილით გამელაპარაკა. მე დავმშვიდდი, გამობრუნებას ვაპირებდი, მაგრამ იქვე გაჩერებულმა პრისტავმა მანიშნა შევჩერებულიყავი. მე მივხვდი, რომ მან მიცნო და სახეზე წამოვწითლდი.

— ქაღალდი გაღმოგიგდეს, მიღი, აიღე! — ცივალ მეუბნება პრისტავი და იქვე ახლოს დაგდებულ მეტად პატარა დაჭმუჭვნილ ქაღალდზე ცალი თვალის გადაქნევით მანიშნებს. მე იქითკენ გავიხედე. ვიცანი ქაღალდი. იგი მართლაც პატიმარი ამსანაგისაგან იყო გაღმოგდებული. ალბათ მას უგონა მე შევნიშნავდი გაღმოგდებისას, მივიღოდი, ფეხს დავადგამდი და როცა შესაძლებლობა მომეცემოდა, ავიღებდი და წაიკითხავდი, მაგრამ ახლა ასე არ მოხდა, გაღმოგდებული ქაღალდი მე ვერ შევნიშნე, ხოლო დაკვირვებული პოლიციელის თვალს არ გამოეპარა. ასეთი ქაღალდით ჩვენ ხშირად ვსარგებლობდით, ერთმანეთს სხვადასხვა ცნობებს ვაწვდიდით. ამ ქაღალდს მეტად გამოსადეგი თვისება ჰქონდა. ის იყო ძალზე თხელი და ამავე დროს მეტად გამძლე. ზედ იწერებოდა კარგად, იტანდა და უძლებდა სინესტესა და წყალს. ამას გარდა ისე დაიკეცებოდა, იმ ზომამდე შემცირდებოდა, რომ შესაძლებელი იყო მისი ფრჩხილში მომწყვდევა და დამალვა. გარეშე, დაუკვირვებელი თვალი იშვიათად თუ შენიშნავდა მას. და აი, ახლა სწორედ ასეთი ქაღალდთან მქონდა საქმე და როგორმე მას უნდა დაკატრონებოდი. უეცრად ვერ გადავწყვიტე როგორ მოვქცეულიყავი. ამერო? — თავს გავცემდი. არ ამერო — პრისტავი აიღებდა, წაიკითხავდა და უარესი იყო. ამიტომ ისევ პირველი ვამჯობინე, ქაღალდთან მივედი, დავწვდი, ავიღე და ჯიბეში ჩავიდევი, ხოლო პრისტავისათვის რომ ჩემი განწყობილება გამეცნო, მის გასაგონად ჩავილაპარაკე. ერთი ჯაფარიძე (პრისტავი გვარად ჯაფარიძე იყო) ჩვენი ძმა და მეგობარია, (მხედველობაში მყავდა ა. ჯაფარიძე, რომელსაც ყველა იცნობდა) იგი ხალხის სასარგებლო საქმეს აკეთებს, ის ყველას უყვარს და მოსწონს. მისი საქციელით მისი გვარიც კი ყველას შეჰქვარებია. არ დავიწერებ, რომ მისი გვარის კაცმა, როგორიც რწმენისაც არ უნდა იყოს იგი, უღალატოს კეთილ საქმეს და ხალხის წყევლა-ქრულვა დაიმსახუროს.

ამ სიტყვების გაგონებაზე პრისტავს ფერმა აუარ-დაუარა, მე არაფერი მითხრა, უხმოდ მიბრუნდა და იქაურობას გაეცალა.

ამ შემთხვევის შემდეგ ნიკო სანაძემ კიდევ უკეთესად გამოიყენა პრისტავი ჯაფარიძე. ერთხელ ბინაზეც მიაკითხა, ყველაფერში გამოუტყდა და აშკარად გამოუცხადა, ერთი თოფი და რამდენიმე ცალი ტყვია უნდე მოგვცა, რევოლუციას ესაჭიროება, ხალხს სჭირდებაო.

შეშინებულმა პოლიციელმა უარის თქმა ვერ გახედა და ნიკოს მოთხოვნილება დააკმაყოფილა. იქიდან წამოლებული იარაღი კი ნიკო სანაძემ ბათუმის ქუჩებში გამართულ ბარიკადებზე გამოიყენა.

მოხუცი დიდი სიამოვნებით იგონებს ბათუმის ქუჩებში მოპოვებულ გამარჯვებებს. იმ დროს, როცა მოელი ქაღაქი მუშებს ხელში იყო, როცა პოლიციელები გამოჩენასაც ვერ ბედავლნენ, ბათუმის გუბერნატორი სამხედრო ნაწილების გამოყვანას ვერ ახერხებდა, ეშინოდა, უარესი არ მოხდეს, ჯარისა წერტიში მუშებს არ შეუერთდნენ და არ ამოგვხოცონო. მან კარგად იცოდა, კაცები მუშებს არ შეუერთდნენ და არ ამოგვხოცონო. მან კარგად მიღია ბათუმის გარიზონის წარმომადგენლები როგორ აშკარად მიღიოდნენ კომიტეტში და ეუბნებოდნენ, მოგვერით ნება ყველა ფორტიდან ავტეხოთ სროლა და ქაღაქი ხელში ჩავიგდოთ.

ერთმა ახალგაზრდა უნტეროფიცერმა თავისი ოცეულიც კი მიიყვანა მუშებთან ბარიკადებზე დასახმარებლად.

მას შემდეგ დიღმა დრომ განვლო. ორმოცდაათმა წელმა ჩაიარა უამრავი ამბებითა და გამარჯვებებით, ბრძოლებითა და შეტაკებებით. ბევრმა სახელმოვანმა ვაჟკაცმა შესწირა სიცოცხლე ხალხის საქმეს, სოციალიზმის საქმეს, ლენინ—სტალინის საქმეს და თუმც აქამდე ვერ მოაწიეს; მათი სახელი სამუდამოდ აღიბეჭდა გამარჯვებული ქვეყნის ისტორიაში.

### ცეულიც იყოს მაკარი და მისი აჯაღი

— პავლე, — ეუბნება ერთხელ მემედი ერთ ახალგაზრდა მეგობარს, — წამოდი, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ.

— რაო! — გაუკვირდა პავლეს. — აკი შენ ღვინოს არ სვამდი.

— არ ვსვამდი, მაგრამ უნდა დავლიო. წამოდი, ნუ გამაწილებ.

ახალგაზრდამ მართლაც არ გააწილა და მალე ისინი ლამაზად გაწყობილ ქართულ სუფრასთან ისხდნენ, სუფრაზე ბლომად ელაგა მაჰმადისაგან აკრძალული სასმელ-საჭმელი.

— დღეიდან მე მაჰმადინი არა ვარ, — პირველი ჭიქის აღებისას თქვა მემედმა. — გთხოვ, ადლეგრძელო ჩემი ახალი გზა და ქართული სახელი და გვარი დამილოცუ.

— აგრე იყოს. — მეორე ჭიქა ასწია პავლემ. — ნიკო სანაძეს გაუმარჯოს მის ახალ გზაზე, — და ორივემ ერთად გადაჰკრეს წითელი ღვინო და მისი დამწურავი დალოცეს.

მეორე დღიდან მემედ უსტიოლლი ნიკო სანაძის სახელითა და გვარით გახდა ცნობილი ქალაქ ბათუმში და ამან ბევრი ვანმე გამოაფხიზლა.

ნიკოსთვის ყველაფერი გასაგები იყო. ქართველი, რუსი, სომეხი მუშა ძმად და მეგობრად მიაჩნდა. ყველა მშრომელს ერთი რწმენა პქონდა. ეს იყო მარქსიზმისა და ლენინიზმის რწმენა, მშრომელი ხალხის გამარჯვების რწმენა. და როცა არალეგალურად გამოსული გაზეთებისა და პროკლამაციების სათაურთან ერთად წაიკითხავდნენ: „პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“—ო, სახე გაუბრწყინდებოდათ, მომავლის იმედით გული აევსებოდათ.

### და დღეს

როდესაც პატარა ეზოს ჭიქარს მიაღებით, აკულინა სიმონოვნა კეთილი მასპინძლის სახით მოგევებებათ და რუსული აქცენტით მოგმართავთ: „მობრძანდით, ბატონი!“

ამ დროს ნიკო სანაძე გადაბურული ხეხილნარიდან გამოვა და ლიმილით მოგიახლოვდებათ, ხელს ჩამოგართმევთ და შემდეგ თავის ოჯახს გაგაცნობთ.

აკულინა სიმონოვნა კი ამ დროს სახლში შედის და სტუმრის მისალებად თაღარიგს იჭერს.

— მომიხუცდა ცოლი, — ხუმრობით ამბობს ნიკო, — ოთხმოცდაზუთა წელი შეუსრულდა წელს.

აკულინა სიმონოვნა ღიმილათ შეხედავს ქმარს.

— განა ოთხმოცი არ მეყოფა ხუთსაც რომ მიმატებ? — თითქოს საყვედურით ეუბნება იგი ქმარს და შემდეგ ზოგიერთ რამეს წარსულიდან ამოალაგებს.

აკულინა სიმონოვნა იმ დროს შეირთო ნიკომ, როცა იგი ბათუმიდან გაქცეული ყუბანში ემალებოდა მეფის უანდარმერიას. მას შემდეგ ისინი ცხოვრობენ ერთგულად და ტკბილად. მათი ვაჟი ნიკოლოზი საბჭოთა არმიაში მსახურობს. იგი დღეს პოდპოლკოვნიკია და რუსეთში ცხოვრობს. მისი ვაჟი კი ბათუმში, ბაბუასთან გადმოვიდა საცხოვრებლად, დაცოლშვილდა და მსახურობს.

— აი ჩემი შვილი! ნიკოლოზი თავისი მეუღლით. — გიჩვენებს სურათს აკულინა სიმონოვნა, — ესეც შვილიშვილი თავისი ცოლითა და პატარა შვილით. — თავმომწონედ ამბობს იგი და საყვარელი შვილისა და შვილიშვილების სურათს გულში იხუტებს.

ამ დროს ნიკო სანახე თანაგრძნობით უცქერის ცოლს და კმაყოფილი ილიმება.

## პური, საპონი და სიყვარული

ჩვენს ახალგაზრდა ზედამხედველს სახელად გალიბი ერქვა. ციხის რომელ კუთხეშიაც არ უნდა ყოფილიყო, მთელი დღის განმავლობაში სარკეში იხედებოდა და თმას ისწორებდა. ლია წაბლისფერი, ზეთწამული ტალღისებური თმა მუდამ უბრწყინავდა. ის კონსერვატორის მორცხვ სტუდენტს უფრო წააგავდა, ვიდრე ზედამხედველს.

გალიბს გადაბრუნებული ლურჯი პლაშჩი ეცვა, რომელიც ავიაციის ერთი სერეანტისაგან იაფად იყიდა და თავის ტანზე გადააკეთებინა. მართალია პლაშჩი მოძველებული მოდის იყო, მაგრამ საკმაოდ შვენოდა და უფრო მეტად ამსაგასებლა კონსერვატორის სტუდენტს.

პირველად რომ ჩემს საკანში შემოვიდა, გულთბილად შევხვდი. ის დამიახლოვდა, ასეც რომ არ იყოს, ჩემმა წიგნებმა მიიპყრეს მისი ყურადღება და ამანაც აღბათ...

ერთ დღეს მკითხა, თუ მე, ცხოვრების ასეთ მძიმე პირობებში მყოფი, რატომ ასე დაუინებით ვეწაფები წიგნებს, რა სარგებლობა მოაქვს ამას ჩემთვის? მე ხომ კიდევ დიღხანს უნდა ვიზდე ციხეში. ერთ ბედნიერ დღეს რომ კიდევაც გავთავისუფლდე, შუბლზე დამნაშავის დალი ხომ...

ხოლო როდესაც თვითონ მე შევეკითხ, რომელი ჭობია წიგნის კითხვა, თუ ოპიუმის წევა, კამათლით თამაში თუ დანის ტრიალი-მეთქი, ის დადუმდა და ღრმად ჩაფიქრდა. ამის შემდეგ ჩვენ უფრო დავმეგობრდით.

გალიბი მორიგეობის შემდეგ ხშირად შემოდიოდა ჩემთან. მომიჯდებოდა გვერდით, თვალებს ერთ წერტილს მიაშტერებდა და ასე უმოძრაოდ რამდენიმე წუთს დაჰყოფდა, შემდეგ უამრავ შეკითხვას მომაყრიდა.

მეკითხებოდა ღმერთებზე, სიყვარულზე, ბედზე, სამოთხეზე, სიკვდილზე, ჭოჭოხეთზე... ეტყობოდა, ეს საკითხები განსაუთრებით აინტერესებდა მას.

— ჩვენ განა აღამიანები ვართ? — შემომჩივლა მან ერთხელ.

— რაღაც ოცდახუთმეტი ლირისათვის კაცი მთელი თვე ტუსალივით უნდა იჯდე აქ. აბა რა განსკვავებაა ჩვენს შორის? — არავითარი. ჩვენ მხოლოდ იმით განვსხვავდებით, რომ მე აქ ჩემი ნებით ვარ მოსული, შენ კი...

გალიბს ახლობელი არავინ ჰყავდა. დედა ათი წლის წინათ ჭლექით გარდაცვლოდა, ხოლო მამა სრულებით არ ახსოვდა.

— სიყვარული! მეტყოდა ზოგჯერ გალიბი,— მე მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარული მწამს, ისეთი, როგორსაც კინოებში უჩვენებენ. მინდა ისეთი შეყვარებული მყავდეს, რომელიც უსიტყვოდ გამიგებს; მინდა, რომ ჩვენ

ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეგვეძლოს ერთმანეთის ფარალებში ყოველივე იმის ამოკითხვა, რასაც ვფიქრობთ და განვიცდით. აგრეთვე მინდა მეონდეს სახლი, დიდი კი არა, პატარა, ოროთახიანი, ქალაქიდან მოშორებით, სადმე შორს, ტყეში, ან ზღვის პირად, სადაც ჩვენს მყუდროებას ვერ დაარღვევს მოტორების გუგუნითა და რადიოს ჩხვილით შეზავებული ქალაქის ხმაური, რომ ზამთრის გრძელ ღამეში ჩვენ ერთმანეთს ვეხვეოდეთ და ოცნებით ყურს ვუგდებდეთ ბობოქარი ზღვის ტალღების ბრძოლას. ნაპირთან, ტყიდან მოისმოდეს მგლების საზარელი ღმუილი, ქარიშხალი ხმაურით ლეწდეს ხეებს და ამ დროს ჩემი საყვარელი აღამიანი ჩუმად მეუბნებოდეს: „მეშინია გალიბ“. შემდეგ შეგვეძნოს ქერა, ხუჭუჭოშინი ცისფეროვალება ფუნჩულა ბიჭი, ისეთი, როგორსაც ექრანზე გვიჩვენებენ.

— შემდეგ. —

— შემდეგ მოკვდებოდეს ჩემი მეგობარი, ჩემივე ხელებით გავუთხრიდე საფლავს, დაგრმარხავდე, შემდეგ მეც ზედ დავემხმბოდე და იქვე განვუტევებდე სულ.

ერთ დღეს გალიბმა წიგნი შომთხოვა, მხოლოდ ისეთი სადაც ღვთაებრივ სიყვარულზე იქნებოდა ლაპარაკი, სადაც სიყვარული, ეს ძლიერი ვრძნობა აფორიზმებით იქნებოდა გამოხატული.

ასეთი წიგნი მე არ მქონდა. ერთ ჩემს აჩხანაგს „ქალი კამელიებით“ გამოვართვი და გალიბს ვათხოვე.

მეორე დღეს იგი თვალებდაწითლებული მოვიდა ჩემთან. თურმე მჟღლი ღამე არ უძინია, წიგნი შეუსვენებლად წაუკითხავს.

— დაიგრებ? — მითხრა მან, — მარგარიტას ბერდა ძალიან დამაღონა, ავტირდი კიდეც, მთელი ღამე ძილი არ შომქარებია. ღმერთო ჩემო, რა ჯალოსნური ძალა აქვს ამ პატარა ასოებს. გალიბმა სხვა წიგნი მომთხოვა წასაკითხად. ამჯერად ჩემი წიგნებილან მივეცი ის, რაც ხელში მომხვდა, თუ არ ვდები გორკის „ჩემი უნივერსიტეტები“ იყო. — ამან ისე ძლიერად ვერ იმტკმედა ჩემზე — მითხრა გალიბმა, მეორე დღეს, როცა წიგნი უკან მომიტანა.

— რატომ? — შევეკითხე.

— შეიძლება ესეც საინტერესო იყოს, მაგრამ... აქ ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებაზეა ლაპარაკი, ისეთებზე, როგორიც მე და შენ ვართ და სხვა ჩვენისთანები. მე გას შეძლებისდაგვარად ავუხსენი ამ ნაწარმოების არსი.

— დიახ, შენ მართალი ხარ — მითხრა გალიბმა, — მაგრამ რატომლაც მინდა, რომ ყოველ წიგნში ახალ მარგარიტას ვხედავდე... არმან ღუვალი ხომ... ო, როგორ მინდა ისეთი ვიყო, როგორც არმანი.

რა წიგნიც არ უნდა წაელო გალიბს, ცდილობდა ყოველთვის სუფთად და უვნებლად დაებრუნებინა უკან.

ერთ დღეს, როცა ციხის ლაზარეთში ვიწევი, გალიბი ჩემთან შემოვიდა. იგი აღელვებული იყო. საწოლთან მომიახლოვდა და შავად დაწერილი წერილი მომცა.

— რა არის ეს? — შევეკითხე.

— წაიკითხე, გაიგებ.

ეს იყო სატრფიალო წერილი, სავსე გაცვეთილი ფრაზებით. წერილში ტრცელი მსჯელობა იყო სიკვდილზე, სიყვარულის ხანგრძლივობაზე, ბეღზე, სიყვარულის მომაჯაღოებელ ფრთოსან ფერიებზე, იმაზე, რომ ქალი ღმერთის მიერაა გაჩენილი და იგი ისეთივე საიდუმლო და უხილავია, როგორც მირაჟი და სხვა რამ.

მე ვკითხე, თუ ვის წერდა ასეთ წერილს. გალიბმა თვალები დახარა და უურებამდე გაწითლდა.

შეკითხვა, გავუმეორე.

— არა, ამას სხვა დროს გეტყვი. მხოლოდ მითხარი როგორ მოგწონს? — აღელვებით შემეკითხა იგი. — ხომ მგრძნობიარე წერილია? იმ წუთში გალიბს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ წერილის დაწუნება არ ივარებდა. ასეთ შემთხვევაში შეეძლო ჩემთვის ეთხოვა უფრო ვრცელი და მგრძნობიარე წერილის დაწერა. ეს კი ჩემს ძალ-ლონეს აღემატებოდა. — ცუდად არ არის დაწერილი — უჟაბასტე მე. გალიბი პირველად თითქოს დაეჭვდა ამ პასუხის ჭეშმარიტებაში, მაგრამ მალე დაიჯერა და სიხარულით აღფრთოვანებულმა ჩემი პალატა დასტოვა.

გავიდა რამდენიმე დღე.

ერთხელ, როცა ლაზარეთიდან გამომწერეს და საკანში დამაბრუნეს, ჯალიბი ჩემთან შემოვიდა, მომიახლოვდა, ხელი მომკიდა და კუთხეში გამიხმო. ამჯერად მისი ლურჯი თვალები უქმაყოფილოდ გამოიყურებოდნენ. ჯიბიდან ოთხად დაკეცილი წერილი ამოილო და გამომიწოდა. წერილში ბევრი ორთოგრაფიული შეცდომა იყო. მე ახლაც კარგად მახსოვს მისი შინაარსი. იგი ასე იწყებოდა:

„შენმა წერილმა, რომელიც გაზაფხულის ასეთ მშვენიერ დღეს მივიღე, უსაზღვროდ გამახარა. შენ მაღალფარდოვანი სიტყვებით მწერ, ისე როგორც წიგნებშია ხოლმე, მე კი ასეთი რამ ნაკლებად გამეგება, ზაგრამ გული გულს იცნობს, გჯეროდეს, რომ შენ ჩემთვის ისეთივე საყვარელი და სასურველი ხარ, როგორც მე შენოვის“.

წერილი ასე მთავრდებოდა:

„მე ამ ქვეყნად არავინ გამაჩნია. რაღა დაგიმალო, — გაჭირვებამ იმ დღემდე მიმიყვანა, რომ მებენარებიც გამიჩნდა, ახლოს არავინ მეკარება, ყველასათვის სათაკილო გახედი. შიმშილით კუჭი მეწვის, დღიურ ულუფას ერთ ჭერზე ვათავებ, შემდეგ კი მშიერი ვზივარ. განთავისუფლებამდე ორმოცი დღე კიდევ დამჩრენია, და თუ მართლა გულით გიყვარგარ ერთ ნაჭერი საპონი და ორი პური გამომიგზავნე, როცა გავთავისუფლდები სამაგიროს გადავიხდი.“

წერილის კუთხეები პაპიროსით იყო ამომწვარი.

— რას იტყვი, მოგეწონა? მკითხა გალიბმა. — მე მას ღვთაებრივ სიყვარულზე ვწერდი, ის კი პურზე და საპონზე მესაუბრება, აქედან იწყებს სიყვარულს. — გალიბმა გამომართვა წერილი და ნაკუშ-ნაკუშად აქცია. — რა სახსენებელია ასეთი ქალები.

— მე შევეცალე ამესნა გალიბისათვის, რომ ის მართალი არ იყო. კედელს ერთ წერტილზე დაშტერებული მოთმინებით მისმენდა, როცა მას საპნისა და პურის მნიშვნელობაზე ვესაუბრებოდი, ის დროდადრო მძიმედ ამოისუნთქავდა. გალიბი დიდხანს აღარ დარჩენილა ჩემთან. მეორე დღეს იგი ისევ შემოვიდა საკანში. ამჯერად თვალები შესამჩნევად უბრწყინვდა.

— ერთი ნაჭერი საპონი და ორი პური შევუგზავნე. — მითხრა მან წყნარი ხმით.

ამის შემდეგ დერეფნის მორიგეებმა, რომლებიც ხშირად დადიოდნენ კორპუსებში, შემატყობინეს, რომ გალიბი იმ ღლის შემდეგ ხშირად უგზავნიდა ქალს პურს, საპონს და ცოტაოდენ ფულსაც.

მალე ქალი ციხიდან გაათავისუფლეს. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, სიცოცხლით სავსე. თოთხმეტი წლის ასაკში ერთ ხანში შესული კაცისათვის ძალით მიუთხოვებიათ, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ქმარს ეჭვიანობის გამო, სახლიდან გამოუგდია. ქუჩაში უპატრონოდ დარჩენილი მალე ცხოვრების ბინძურ ტალღებში მოქცეულა, მრუდე გზას გაჰყოლია, ხელიდან ხელში გადასულა, რის გამოც ერთ დღეს სამი თვით ციხეშიც აღმოჩნდა. მალე გავიგეთ, რომ გალიბს ის ქალი შეურთავს.

თარგმანი თურქულიდან 6. ჩიხავაძისა.

## „თ ა მ ა შ ი“

— შემდეგ მე შევხტები ფურგონზე...

— შენ ისევ დაგავიწყდა რალაც!

— რა? არა, არაფერიც არ დამვიწყებია!

— არა, დაგავიწყდა, — უთხრა უფროსმა. — შენ დღეს რა მოგდის?

ბიჭუნამ შუბლი შეიქმუხნა და ჩაფიქრდა. იგი პატარა იყო, სულ მთლად პატარა — ათი წლისაც არ იქნებოდა. გამხდარი, ნაზი სახე სიცივისაგან შელურჯებოდა. გამალებით ახამხამებდა წამწამებს, ცდილობდა მორეული ძილი გაედევნა.

— აბა, თქვი.

— არ მახსენდება, რა ვქნა...

— ე, შე სულელო, ჩავარდე გინდა?

— არ ჩავვარდები, მამიკო. ასეთი თამაში ჩემთვის პირველი არ არის ამასაც შევძლებ.

— როგორლა შეძლებ, თუ ისიც არ იცი, როგორ მოიქცე?

— აბა, ვნახოთ.

— არაფერსაც არ ვნახავთ. ჩვენ ახლა სახლში წავალთ, მორჩა და გათვდა.

— ფუ, დალახვროს ეშმაქმა!

— შენ რა, იგინები? დაგავიწყდა, მერე რა მოხდა? გინებით საქმეს ვერ უშველი. ათასჯერ გითხარი, გინებას არ მიეჩვიო-მეთქი. თუ არა და გაიზიდები ხულიგნად, დაიმახსოვრე ჩემი ნათქვამი.

გაჩუმდნენ.

მამამ ამოიხსრა. „ამ დროს, როცა სამუშაო მქონდა, მხოლოდ ვლებოდი, — ფიქრობდა თავისთვის მწარედ. — ვდგებოდი, ვსაუზმობდი. შემდევ სადილს შევხვევდი და ტრამვაით მივდიოდი სამუშაოზე.“

მან თოვლის ფანტელი ჩამოიბერტყა სქელი ულვაშებიდან. „შენთვის კი, საცოდავო, — განაგრძობდა იგი ფიქრს, — ხომ ადრეა და ადრე. აგაყენ ამ უთენია. ახლა უნდა გეძინოს, გეძინოს და მეტი არაფერი“. „ვეღარ გაიხსნე? — მიუბრუნდა ბიჭუნას.

ბიჭმა თავი გააქნია. სახე დაემანჭა, ტუჩები წაიბზიკა.

— ერისაა, ახლა ატირებასაც აპირებ?

— არა. — უპასუხა შვილმა, — მე ხომ პატარა აღარა ვარ.

— ჰიდა, პატარასავით კი იქცევი. ვერ შეძელი დაგემახსოვრებინა, რაც გითხრეს.

— მე... მე...

ბიჭი გადავიდა ქვაფენილზე და მუჭა თოვლი აიღო.

— ეს კიდევ რაღაა?

— რა? თოვლი.

— ბრძან არა ვარ, ვხედავ რომ თოვლია, მაგრამ რად გჭირდება?

— გუნდა მინდა გავაკეთო.

— კი მაგრამ მეტი საფიქრალი არა გაქვს? მე კი მეგონა, რომ დაიკოს დასახმარებლად წამომყევი, ასე არ ამბობდი?

— მეც ეგ მინდა.

— როგორც ჩანს, არ გდომებია. შენ ყველაფერზე ფიქრობ, რაც მოგეა პრინცება, მხოლოდ იმაზე კი არა, რისთვისაც აქ მოხვედი. ასე არაფერი გამოვა, დააგდე ეგ თოვლი და მოდი აქ!

მან მკაცრად წავლო ბიჭუნას მკლავში ხელი და საპარადო შესასვლელში. შეათრია, სადაც უწინ იღვნენ.

— შენ დაგავიწყდა გეთქვა პარკის შესახებ. დაგავიწყდა მთავარი. როგორლა უნდა მქონდეს შენი იმედი, თუ პარკიც კი დაივიწყე?

— არ დამვიწყნია, მამიკო, — უთხრა ბიჭმა. — პარკი აქა მაქვს, ჭიბეში. არ მეგონა, თუ პარკის შესახებ მეკითხებოდი.

— შენ ყველაფერი ისე უნდა თქვა, როგორც საჭიროა. მაშინ დავიჯერებ, რომ ყველაფერი სწორად გაიგე. ამოიღე პარკი. იგი მზად უნდა გქონდეს.

ბიჭუნამ ჯიბილან ამოიღო დაჭმუჭმილი ქალალდის. პარკი, მიიტანა პირთან, ჩაბერა და პარკი გაიშალა.

— მერე როგორ მოიქცევი, რას გააკეთებ?

— მოვიყდი, სანამ მერძევე სახლს მიეფარებოდეს.

— რომელ სახლს?

— ის იმას.

— მწვანეს?

— არა, მის გვერდით რომაა.

— მწვანეს რატომ არა?

— მამიკო, რატომ მეკითხები ტყუილად? — თქვა ბიჭმა. — მე ხომ ყველაფერი ვიცი. რაღა საჭიროა გამეორება.

— თუ ყველაფერი არ გითქვამს, ახლავე სახლში დაგბრუნდებით.

— თუნდაც იმიტომ, რომ მწვანე სახლს გვერდით ახლო კარები აქვს, ხოლო მეორეს მთლიანად უნდა მოუაროს. მე ყველაფერი ვიცი, მამიკო, ჩემი დარღი ნუ გაქვს, ნუ გეშინია.

— მე არ მეშინა, — ჩაიბურტყუნა მამამ, — მხოლოდ დავრწმუნდე მინდა. ხელები ხომ არ მოგყინვია?

— ცოტათი.

— პარკი იღლიაში ამოიდე.

მამაში თავისი უხეში დიდრონი წითელი ხელუბით ნელა დაუწყო შვილის ხელებს სრესა.

— მერე რას იზამ?

— მერე, როგორც კი იგი სახლს მოეფარება, მე გამოვხტები, მოვატაცებ ბოთლს, ჩავდებ პარკში და გადავალ მეორე მხარეს.

— გაიქცევი?

— არა, მშვიდად წავალ.

— კარგი. ვთქვათ, დაგინახა და გამოგეკიდა, მაშინაც არ გაიქცევი?

— არა, ისევ მშვიდად განვაგრძობ გზას. ხოლო, როცა დამიჭრეს, ავტორდები.

— დარწმუნებული ხარ, რომ შეძლებ ატირებას?

— რა თქმა უნდა, შევძლებ. წუხელ ვცადე კიდევაც. ჯენის ისიც ქავინა, რომ ნამდვილად ვტიროდი. — ბიჭს გაეცინა. — მუცლის ტკივილი მოვიგონვ.

— სუ, ჩუმად ილაპარაკე!

— ხელები უკვე გამითბა, მამიკო.

— ჩაიწყე ჭიბეებში. პარკს მე დავიკავებ. თუ დაგიჭირეს, რაღას იზამ?

— განვაგრძობ ტირილს, ამ დროს კი მოხვალ შენ და იტყვი, რომ მიცნობ, რომ მე ღარიბი ბიჭი ვარ, რომელსაც დედა ჰყავს ავად და რომ მე ეს ჩავიდინე მისი გულისათვის, რომ შენ თავდებად დამიღვები, რომ მე აღარასოდეს...

— სუ!..

მამამ ხელი დააფარა პირზე.

— ვიღაც მოდის, იეშმაკე, ვითომც თვალში მოგხვდა რამე.

ბიჭმა ცალი თვალი დახუჭა, მეორე კი ფართოდ გაახილა.

ვიღაც უსახლეკარომ ჩაიარა. თოვლში ძლივს მიაბიჯებდა. თავზე ბრეზენტის ტომარა გადაეფარებინა.

— „ეე, ჩვენ ცოტათი ამაზე უკეთ მაინც ვცხოვრობთ,“ — გაიფიქრა მამამ. დიღხანს უმზერდნენ მაწანწალას, სანამ თვალს არ მიეფარა.

— როგორ თვალი! — თქვა ბიჭმა. — მერქევე ვერც კი შემნიშნავს მეორე მხრიდან. შემიძლია ორი ბოთლიც ავიღო.

— არავითარ შემთხვევაში, ერთიც საკმარისია. — მამამ ამოიოხრა და ულვაშებზე ხელი გადაისვა. — მოგშივდა?

— ცოტა.

მამამ მაგრად მოუჭირა შვილს ხელი.

— არა უშავს. მეც მაგრად მომშივდა. იცი, რა უნდა ქნა? გადააფურთხე და მუცელზე ხელი დაისვი. — მან გადააფურთხა და მუცელზე დაისვა ხელი. — აბა, სინჯე.

ბიჭმა მამას მიბაძა. გაეცინათ.

— ეს ნიშნავს, რომ კარგად დანაყრდი. — უთხრა მამამ.

— სწორედ ასეა. მე ხომ ახლახან ვჭამე ორი კვერცხი და მთელი თევზი ფაფა. ხოლო ეს-ეს არის ზედ დიდი წითელი ვაშლი დავატანე. ისევ გაეცინათ.

— კარგი. სახლში რომ მივალთ, მოვნახავთ რაიმე საჭმელს.

მამა უცბად დაიძაბა, კისერი წაიგრძელა.

— შეხე, მერძევის ფურგონი. აიღე პარკი. სანამ არ გეტყვი, არ გამოხვიდე.

— არ ავჩქარდები. — ბიჭი აღელვებისაგან გაწითლდა. — აი, ნახავ, ყველაფერი კარგად მოეწყობა... ზოგჯერ ხომ ვაშლსაც ვიპარავდი.

— და კიდევ აი, რა დაიხსომე. თუ საქმე ჩაითუშა, მე დაგიყვირებ — „გაიქცი“. და რაც არ უნდა ვქნა, შენ უნდა გაიქცე. გესმის?

— მესმის.

— სიტყვას მაძლევ?

— გაძლევ.

— იცოდე: რაც არ უნდა ვქნა, გაიქცევი.

— მესმის.

მერძევის ფურგონი ნელა მიიწევდა წინ. მამა-შვილი საპარადო შესასვლელში მიიმალნენ.

— დაელოდე, სანამ ფარნის ბოძტან მივიდოდეს! ოლონდ არ აღელდე! კარგი, ჩემო ბიჭუნავ? არაფერია! მიდი!

ბიჭი გადავიდა ქვაფენილზე. ნელ-ნელა გაჭყვა ქუჩას, რბილ თოვლში მალლა-მალლა სწევდა ფეხებს.

„უნდა მეთქვა, რომ ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა, თორემ თოვლი ხელს შეუშლის.“ — ფიქრობდა მამა. იგი მძიმედ სუნთქვაზე. პირი ფართოდ გაეღო და ყოველ ამოსუნთქვაზე რაღაც სტკიოდა მკერდში.

მერძევე სახლს მიეფარა. ბიჭი ფურგონთან მიიჭრა, შეხტა ზედ და ხელი გაიწოდა...

„ო, როგორ გაჭიანურდა ყველაფერი, — ჩურჩულებზენ მამის ტუჩები, — ღმერთო ჩემო, როგორ გაჭიანურდა!“

მაგრამ აი ბიჭი ჩამოხტა. რძიანი ბოთლი პარკში ჩაღო და სწრაფად გაჭყვა ქუჩას. მერძევეც გამოჩნდა. მეორე სახლისაკენ წავიდა. მამა უთვალოვალებდა. იგი სახლს მოეფარა. გათავდა. ყველაფერი რიგზეა. არ დაუჭერიათ.

მამამ ულვაშებზე გადაისვა ხელი, ძლიერდივობით გადაყლაპა ნერწყვი და მძიმედ ამოისუნთქა. შემდეგ ბიჭისკენ წავიდა.

შვილი მოსახვევში ელოდა. თითქო სახე სიხარულით უბრწყინავდა — აი ყველაფერი მოგვარდა! ხომ შევძელი? — ამბობდა იგი.

— კარგი, შვილო, კარგი, — მან თავზე ხელი გადაუსვა. — მომეცი, მე წავიღებ.

— არა, რატომ? მე წავიღებ.

— კარგი, ოლონდ არ დაღვარო.

— სრულებითაც არ ყოფილა ძნელი. შემეძლო მეორეც ამეღო. — იში მისდევდა მამას, ზოგჯერ ფეხი უცურდებოდა თოვლზე. — მამიკო, შეიძლება ხვალ ორი ავილო?

მამა ღუმდა.

— მამა! — ბიჭმა სახელოზე მოქაჩა.

— რა იყო?

— შეიძლება?

— რა... შეიძლება?

— ახლა არ გვითხე?

— არ გამიგონია!

— შეიძლება ხვალ ორი ავილო? ეს ხომ აღვილია. სულერთი არაა, გინდ ერთი, გინდ ორი?

— არ შეიძლება.

— კი, მაგრამ თავისუფლად შემიძლია.

— არ შეიძლება.

რამდენიმე ხანს ჩუმად მიღიოდნენ.

— აი, ბიჭებს რომ მოვუყვე! — ჩაილაპარაკა ბავშვმა.

მამა სწრაფად შეჩერდა.

— ერთი გაბედე, თავს წაგაცლი. გესმის? თავს წაგაცლი.

— ვიცი, მამა, არავის ვეტყვი. მე ისე... მომინდა.

— ეს ქურდობაა, ქურდობა!

— ვიცი, ვიცი, მამიქო. ღმერთო ჩემო, რა სიცივეა! ჩქარა წავიდეთ. მამიქო.

ნაბიჯს აუჩქარეს. ისინი მბდიოდნენ და თავი ჩაელუნათ, რომ თოვლი დამალვოდნენ.

— ფეხები დაგისველდა?

— ცოტათი.

— აი, სამუშაოს ვიშოვი, კალოშებს გიყიდი, ფეხსაცმლებს გიყიდი ან, კიდევ უკეთესია, რეზინის ჩექმებს. მაშინ შეგეძლება რამდენიც გინდა იარო თოვლში, ფეხები არასოდეს დაგისველდება.

— შეიძლება უმუშევართა დამხმარე განყოფილებაში მოგცენ კალოშები ჩემთვის.

— ჰმ... ვინ იცის. შეიძლება. უკვე არაერთხელ ვთხოვე, კიდევ უნდა ვთხოვოთ...

— მე ფეხის დასველების სულაც არ მეშინია. რამდენიც უნდა, იმდენი დამისველდეს.

მამა ისევ მოულოდნელად შეჩერდა.

— შენ იცი, რომ ქურდობა ცუდი საქმეა?

— რასაკვირველია, ვიცი, მამიქო.

— შენ ხომ იცი, რომ ჩვენ ეს ჩავიდინეთ მხოლოდ და მხოლოდ შენ პატარა დაიკოსათვის.

— რასაკვირველია, ვიცი, მამა.

— მთელ ჩემს სიცოცხლეში მე არასოდეს არაფერი არ მომიპარავ. — თქვა მამამ. — მთელი ჩემი სიცოცხლე მძიმე შრომაში გავატარე. მუშაობის არ მეშინია, კარგი მუშა ვარ და ყოველთვის ვარჩენდი ოჯახს. აბა, ჰერთი დედას.

— რანაირი ხარ, მამიკო. ნუ გეფიქრება, ნუ სწუხარ, მე ქურდი არ ვიქნები. — უბასუხა ბიჭუნამ. — ვიცი, რომ ქურდობა ცუდი საქმეა.

— აკი თქვი, ვაშლს ვიპარავდიო.

— მამიკო, იცი... ეს... ეს... რა ვქნა, ხანდახან ისე მოგინდება კაცს ვაშლი, რომ...

— ჰო ვიცი, ვიცი, — ამოიოხრა მამამ.

— არასოდეს არ ვიქურდებ. გავიზრდები დიდი და ღონიერი. ისეთი, როგორიც შენა ხარ. ვიშოვი სამუშაოს, პატიოსან სიტყვას გაძლევ, მამიკო.

მამამ შეხედა შვილს.

„ოღონდაც, — გაიფიქრა მან, — უცადე. შენსხნობას შეწზე მთელი თავით მაღალი ვიყავი. სწორედაც, მოგცემენ საშუალებას, რომ გაიზარდო. როგორ გაიზრდები, როცა ცარიელი ქვალი და ტყავი ხარ!“

— უხ, მამიკო, როგორ გავიყინე! — თქვა ბიჭმა.

და ისინი მიღიოდნენ წინ, ახალ, გაუკვალავ თოვლში.

თარგმანი ვ. ჭანიშვილისა,

## ჯემალ ჯაჟელი

### ბეშუმი, ჩემი ბეშუმი

ლაუგარდის კალთა შრიალებს,  
ხასხასებს მზის აბრეშუმი,  
რიყრავის ნამში პირს იბანს  
ბეშუმი, ჩემი ბეშუმი.

სევებს სიმღერით შევალებ  
და მუხლს მოვიყრი ნაძვებთან,  
არმ შეძლეს სამას წელიწადს  
მტრების ულელქვეშ გაძლება.

კორდებს ფეხდაფეხ დავივლი  
წამით არ ვიგრძნობ გადალლას.  
...აქეთ სიცოცხლე ჩქაფანებს,  
ნისლი ძევს მთების გადალმა.

მოძმეთა რწმენა სიმართლის  
მუდამ ერთლება, მთელლება  
და მწამს, ჩვენი მზით იმათაც  
ოდესმე გაუთენდებათ.

ლაუგარდის კალთა შრიალებს,  
ხასხასებს მზის აბრეშუმი.  
ლიმილს გვახვედრებს ყოველთვის  
ნაძვებშრიალა ბეშუმი.

### მწემსის ნათქვამი

ეჟვნის ჟლარუნში მზე ბრიალებს  
დაუცხრომელი,  
ჭათქათა ფარა უშრეტ ღვარად  
მოედინება.

ვარ ზურმუხტ ქვეყნის სიყვარულით  
გაუძლომელი,  
ცისკრის ღიმილი  
ნარნარად რომ მოეფინება.

წყარო ჩუხჩუხებს,  
ლანამულა შეცემით კორდი,  
ამ გაზაფხულმა სიყვარულიც  
აამჩქეფარა.  
მთავ, ღიადი ხარ, მაგრამ აბა  
რა იქნებოდი,  
რომ შენს კალთებზე არ მოვიდეს  
მწყემსი და ფარა?

## ზღვაზე გნახე

ზღვაზე გნახე,  
ზღვა გრიგალში ბარბაცებდა,  
ტალღა ნაპირს აწყდებოდა  
შმაგი, ხელი,  
თითქოს... თითქოს სურდა  
შენი გატაცება,  
შენ კი... შენ კი მისცურავდი  
უდარდელი.

მისცურავდი შეგიბრების  
მონაწილე,  
და გაუსწარ ვაჟებსაც და გოგონებსაც,  
თოლიებმა ნაპირამდე მოგაცილეს  
და წამოდექ სიზმარეულ მოგონებად.  
გაიმარჯვე!  
ზღვა კი ისევ მძვინვარებდა  
გულზეიადი, მქუხარე და დაუნდობი.  
ჰოდა, მითხარ, ოვალუქრიალა დედისერთავ, —  
ზღვას რომ ენდე,  
ნუთუ ჩემს გულს ვერ ენდობი?!

## საქართველოს წერილი უკრაინისადმი

ჩვენკენ ლალად მოფრინავენ  
შენი ფიქრის ბარათები,  
მეგობრობა ლამპარია  
ძმობის ხელიზ ანანთები.

ლესიაზე ნუ იდარდებ,  
მშობლის თვალით თავს დავყურებ,  
ჩაეძინა,  
და საბანი —  
ყვავილების დავახურე.

აი, თითქოს გაელვიძა,  
მითხრა, — ვიგრძენ წერილს წერო,  
გთხოვთ დაწერო,  
რომ მეორე  
დედად მექცა საქართველო.

შენს ღვიძლ ძმიშვილს — გურამიშვილს  
შენს თბილ მკლავზე ლალად სძინავს,  
თითქოს ვიგრძენ გაელვიძა,  
ზე წამოდგა, ხმა მასმინა:  
— ვინც მშობლობა გამიშვია,  
დაილოცოს უკრაინა!

— დაილოცოს უკრაინა!  
საქართველო ლხენით ვამბობ,  
და პასუხად შენც მომძახი:  
— საქართველოს გაუმარჯოს!

## ბურბული და ბეღურა

ბეღურამ ბულბულს ჰქითხა:  
ზე მაკვირვებსო შენი,  
ვარდის შტოზე რად ზიხარ,  
ყოველთვის, როცა მღერი?

ბულბულმა უთხრა:  
შენც რომ  
გწვავდეს სიმღერის მაღლი,  
ისედაც მიხვდებოდი,  
თუ რისთვის მიყვარს ვარდი.

## ს აქართვედო

ვერც ძილი ღლის, ვერც გვიანი  
მთვარე, მთებს რომ ათეთრებს;  
წიგნი, სიტყვამაღლიანი,  
წინაპრებთან აერთებს.  
თუ ხალხს მტერი ვინ ჰყოლია,  
ყველაფერი გულში აქვს  
„საქართველოს ისტორიას“, —  
ყმაწვილს რომ გაუშლია.  
რა მოჰქონდათ ქართლის ქართან,  
რისხეით რომ მოედინენ:  
არაბეთის ხალიფას და  
ველურ ჭალალედინებს.  
ვით უწეწავს სპარსთა შახებს  
ჩვენი ქვეყნის მთაბარი,  
როგორ ჭედდნენ ქართლის თაღებს  
დავითი და თამარი.

„ჩვენ მშვიდობაც“ ვეღარ უთქვამთ  
მამებს, წინა დრო-ხანის,  
რაღან გვადგა სულთამშუთად  
თავზე თათრის ხონთქარი.  
მცხეთისაკენ გული იწევს,  
ნახოს ძევლი სამარხი, —  
იქ ერეკლე მეფე გვიწევს, —  
ბრძენი პატარა კახი,  
ვინც გადაჭრა მთები მკვირცხლად,  
ქართველთა სასახელოდ,  
და დიდ რუსეთს ძმად შეფიცა  
პატარა საქართველო.  
ქართლის მთებს და ქართლის მდელოს  
ახლა სხვა მზე დაჭხარის  
და საბჭოთა საქართველო  
ახალ გზაზე დამდგარი, —  
წინ იწევს და აორეცებს  
ძალებს, ჯერ არგაგონილს,  
რის დასტურად ხმას გამოსცემს  
რუსთავი და სამგორი.  
წიგნი ენას აღგმევინებს  
ქართველ ხალხის ნახელავ:  
ჩაქველების მანდარინებს,  
მერისელთა საფერავს...  
გვიანია,  
ცოდნის წყაროს  
ხურავს, ფარდას ჩამოსწევს...  
მთვარეც ჩადის და სამყაროს  
აცლის ვერცხლის სამოსელს.  
ასე პეტრიან დრონი სწრაფად,  
და ყოველ დღეს, გარბენილს,  
გუშინდელზე ნათლად ხატავს  
კომუნიზმის ნათელი.

## პარტია, ხალხი, მამული!

რომ მუდამ ლალად იცხოვრო,  
პარტიინავდე როგორც ვარსკვლავი,  
იყავ პარტიის ერთგული, —  
ჩვენ ხალხი ასე გვასწავლის.

რომ თავისუფლად ისუნთქო,  
შექს გფენდეს ლალის ვარსკვლავი.  
ხალხს უერთგულე, იშრომე, —  
პარტია ასე გვასწავლის.

პარტია, ხალხი, მამული!  
მე მათში ვხედავ მშვიდობას,  
მე მათში ვხედავ, თუ წინათ  
გშრომელი რისთვის იძრძოდა.

ის მუდამ ბეღნიერია,  
ვინც მამულს უდგას დარაჯად..  
ვინც უერთგულებს პარტიას  
და ხალხთან არის მარადეამს.

როდესაც ვამზობთ: მშვიდობა!  
სიკეთე და სიყვარული!  
გულს სამი სიტყვა აგვინთებს:  
— პარტია, ხალხი, მამული!

## უბნის დარაჯი

ფანჯრის მინებს საუსე მთვარეზ  
დააფრევია მინანქარი,  
ყველას ძინავს...  
ხის ფოთლებთან  
არ ბაასობს ნიავჭარიც.

მხოლოდ ჯოხს რომ აკაკუნებს  
 და არ უფრთხის თოვლს და ყინვას,  
 სხვამ რომ ტქბილად დაიძინოს,  
 უბნის დარაჯს არა ძინავს.

## ჩას ვიფიქრები

გემახსოვრება ალბათ საღამო,  
 როცა ზღვის პირას მარტოდ ვიდექით,  
 ჩვენ გვიტაცებდა ფიქრი საამო,  
 ღრუბლებს ვუმშერდით მთებთან მირეკილს.

მაშინ მომირჩა გულის იარა...  
 და, ჩემო კარგო, ჩას ვიფიქრებდი,  
 რომ ჩვენ იმ წუთში ზღვასთან კი არა,  
 ღიდი ცხოვრების კართან ვიდექით.

## ჩემი ტრუიაღი

ო, ნუ დამძრახავთ, თუ ჩემი გული  
ლამაზმანებმაც მოითარეშეს.  
უსიყვარულოდ რაა პოეტი,  
რად ვარგა თოფი დენთის გარეშე?

ჩემი შობელი რომ არ მიყვარდეს,  
როგორ გგონიათ, იქნება განა?  
ვარდი მიყვარდეს და არა მიწა,  
რომელმაც ვარდი ამოიყვანა?

რად მინდა მაჩნდეს ტუჩზე ლიმილი,  
თუ ხალხის ლიმილს არ უერთდება?  
კაცი შობილი სიყვარულისთვის,  
უსიყვარულოდ როგორ მოკვდება?

რად მინდა გული — ლექსების ეში,  
მამულზე უტკბესს ვის ვუძღვნა ოდა.  
ბულბული უწინც მღეროდა ტყეში,  
მაგრამ გულს როდი ემღერებოდა.

არ დამკარგვია სულის სინაზე  
უსიყვარულოდ. არ მიძგერს გული,  
როგორც არ არის ამ ქვეყანაზე  
ცივი ცეცხლი და ცხელი ყინული.

შორს არის ჩემი სიცოცხლის ბოლო,  
მიბრწყინვას თმები დაუთოველი,  
ჯერ ოც გაზაფხულს გაეშორდი მხოლოდ,  
ოთხმოც გაზაფხულს კიდევ მოველი.

\* \* \*

ცარცით რომ ვწერდე სიყვარულს,  
გული რომ იყოს დაფა, —  
მე გავაქრობდი შენს სახეს  
თებერვლის თოვლზე სწრაფად.

უბრალო გრძნობა რომ იყოს,  
დავშლიდი, როგორც ფაცერს,  
მაგრამ სიყვარულს რა ვუყო,  
ძარღვით და სისხლით ნაწერს?

## ატმის ყვავილი

სხვა ყვავილებში ატმის ყვავილი  
ყველაზე უფრო მიყვარს, მიტაცებს,  
ის გამორჩეულ მშვენებად მოჩანს  
ამ ჩვენს მშვენიერ ღეღამიწაზე.

პატარა ქალო, იქნება მკითხო,  
რატომ გიყვარსო ასე ძალიან.  
არაფერს გეტყვი, მიხვდები თვითონ,  
შენს ტუჩს ვადარებ, შენი ბრალია.

## Ծ յ մ ռ հ յ ն ո ւ ո

Սամիստ մաս ար էլյոնճա լնարո,  
ար պիկոծճա եղլս արց գամուղուղեմ,  
մագրամ հուրա Շեստազանցես, օնցիա, —  
շալաշինունո ալար սուլքամիս լուրո.  
ուժու ար ոյո գուղագ գասամբոյնարո:

յրտմա „մուշ“ մմածոյոնիս եատրութա  
նամսանուրո ցայլիա դատվուրալ,  
բայց մուս յանձուցաւուրա,  
դա դասինա: — Շեմյուլս ամցար մագլութա  
զեր ցունցուտ, հոմու ցեմուտ սանտլութա.

Ֆերյ նանց անցուցեն սյուլուո,  
ցազոյոտես մուս ազան-հազան  
ունցուցունո տուրմը մամա-քապանուն  
դասամինո արացուրո էլյոննա.

Հա դասկցենք: ալմասնա, ծիրունա!

յամնելի՛ն (մուս մեցացն սագ արո?!)  
հա ար ոյո: լածամնուլո յարյեն,  
ուղարկունու պարմուղեն, նարյեն.  
դա մացուդա հուսուլու „T“ մացցարո.  
ցուլու էլյոնճա ցամեցացո, մացարո:

մագրամ յրտո մարտալս ամեռնիս տյմուղեն:  
— տու ար մալցուս գուշու ևսյմուս տառնի,  
ար գոշեցու մարտու ցամեցառնի,  
հուգու ցարցա դաշուշուրո ուղունենա:  
„մտացարու մուսց մոմարտուղեն“.

մաս յու հոեւ էլյոնճա, ցուտերատ մարտալո,  
հում ցենակատ, տյցենց յու Շեցմուրացենութատ.  
յրենաչի հում թիրունաստան լցուցուն,  
ոմ դահրամի արցուն էպացլա ծալունո, —  
տույուն ուղաց տցուտուն մտացարսարդալո.

დაიწყებდა:

— მეგობრებო რამდენი  
წინ გვიდგასო ამოცანა ნათელი?!

დავირაზმოთ შიკრიკი და მმართველი!..  
და მთელ საათს, როგორც თოვლის ფანტელი,  
ტრიალებდა სიტყვის კორიანტელი.

თუმცა სიმწრის შუბლს უცრიდა ცვარია  
მოხსენების რის დაწერა სჭიროდა.  
— დრო არ მაქვსო,—წუწუნებდა, სტიროდა  
და მთელ კვირას იდგა გლოვის ზარია —  
სწერდა შტატი, სწერდა კანცელარია.

რომ გეკითხათ, მისი მტკიცე აზრითა  
მოახდენდა ნამდვილ რეზოლუციას.  
დაადებდა ქალალდს რეზოლუციას:  
„გააკეთო!“ მაგრამ როგორ, რა გზითა  
ეს რომ ეთქვა, ერთიც „არ მოუცლია“.

ვერ ითმენდა შესწორებას, მსჯელობას, —  
მე წინათაც ვმართავდიო სწორადა. —  
არც სწავლობდა, არც ვინ უჩნდა ტოლადა.  
და ფიქრობდა, თითქოს ხელმძღვანელობა  
არის მხოლოდ ხელობა.

მამებელ-მლიქვნელი და ლაჩარი  
შემოქრიბა შტატში უხვზე უხვადა.  
თვითქრიტიკა მხოლოდ სიტყვით „უყვარდა“.  
და სულ მალე მუქარით და ჭაჭყანით  
მოსპო კიდეც იქ კრიტიკის კაჭანი.

რაკი ჰყავდა კაცი ფიცით ნაფიცი,  
ხელჭვეითებს დიდი ძალის ნიშნადა,  
როგორც სურდა ისე ხსნიდა, ნიშნავდა.  
თანაც ერთი არ გაღუდგამს ნაბიჯი,  
არ დაესვა საღმე ძმა ან ძმაბიჭი.

ასე „მართვით“ მისი მოსვლის დროიდან  
იმ არტელში, ადრე სულ რომ ქებულა,  
გეგმა უკვე აღარ შესრულებულა.  
ის კი არა — გარჯითა და შრომითა,  
რაც დათესეს, ისიც კი არ მოვიდა.

ეს საქმენი შედეგით და სათავით  
ერთ გაზეთში დაეწერათ ნამდვილად.  
(მეც იქვედან გაღმოვწერე აღვილად,  
თორებ ისე იმთავით თუ ამთავით  
მე რა ვიცი „დილკაცობის“ ამბავი?)

ბევრი იყო მისი მოხსნის მდომელი  
იმ წერილს რომ იხილავდნენ მაშინა.  
მაგრამ თურმე „ძიამ“ გაღაარჩინა.  
ასე უთქვამს: — კაცი გმრჩე, მშრომელი  
არ ცდებაო რომელი?

როს თვით „ძიას“ ბრალად დასდეს კალტების  
პოლიტიკის გახრა, დამახინჯება,  
უთხრეს, ტრესტიც მიტომ ცუდად იჩვება...  
მიხვდა ასე ნაწვალევი, ნათრევი  
მისი რიგიც დადგა არნააღრევი.

ახალ მმართველს წამოეწყო, ეთავა  
მის „საქმეთა საგმიროთა“ ძიება,  
შემოწმება შემოწმებას მიება...  
ბოლოს უკვე ველარ შეძლო ედავა —  
ყველა ცოდვა მოუთვალეს ერთოთავად.

\* \* \*

დადის ახლა ყურებჩამოცვენილი...  
თუმც იმ ამბავს მერე გეტყვით დასტურად,  
შერჩება თუ არა ნომენკლატურას.  
ჯერ კი ნახეთ, მისი მსგავსი კაცუნა —  
მმართველობის პოსტზე შემოჩენილი,  
ხომ არ არის საღმე შემორჩენილი?

# ტურა და მეღა

(ა რ ა კ ი)

ალაზვერდი პაჭიევიძან

ერთხელ მელამ ჩვეულებრივ  
მითქმა-მოთქმას მიაყურა:  
ამტკიცებდნენ — დირექტორად  
დანიშნესო ტრესტში ტურა.

დაავიწყდა აღრინდელი  
ნაკვერცი და ნაოხარი.  
არ მართებდა? ტურა იყო  
მისი დიდი მეგობარი.

— ახლა მაინც წინ წავიწევ,  
ავმაღლდები უეჭველად.  
დროა ლხინი წამოვიწყო,  
ჩავუმუხლო ბუქნაც ხელად,

დავამყარო მეგობართან  
მე კავშირი უმტკიცესი,  
ერთად ვსვათ და ერთად ვჭამოთ,  
როგორც ითხოვს ჩვენი წესი.

მოგვარდება საქმეები  
სწორედ ისე, მე რომ მსურდა. —  
თქვა და წამსვე დირექტორთან  
მისალოცად მიცუნცულდა.

ტურა დიდი პატივით და  
მოწიწებით შეხვდა მელას.  
მელამც მისი ცრუპენტელა  
ენა ტკბილად წაგრძელა;  
ამ პოსტისთვის თითქოს ტურა  
თვითონ ჟეცამ განამზადა,  
ის — კი (ძველი დირექტორი)  
იყო ერთი არამზადა,

სად შეეძლო ტურასავით  
მმართველობა: ვიგინდარას,  
სულ ერთავად წუწუნებდა  
ყიყინებდა წარამარა.

ტურა დადნა სიამისგან  
და უდიდეს ნდობის ნიშნად,  
აილო და ინკუბატორს  
ახალ გამგედ დაუნიშნა.

მელას სწორედ ეს უნდოდა,  
დატრიალდა წამსვე მხედა,  
თავს ხომ დიდად პატივს სცემდა,  
არც მეგობარს ივიწყებდა —

სან წიწილებს უგზავნიდა  
ბუნჩულას და თმაქოჩორას,  
ხანაც მცირედ მოსაკითხად  
დაუდგამდა კვერცხის გორას.

ასეთ ზღაპრულ სიაშეში  
იდინებდა დღეთა რიგი,  
რომ ანაზღათ თანამშრომლებს  
არ გაეგოთ მელას ხრიკი.

სულ ერთბაშად გამომჟღავნდა  
არამზადას საქმე ბნელი.  
ტურას უთხრეს: — გავჩანაგდით,  
იღუპება ფერმა მთელი... —

მან კი მეტად გაიკვირვა,  
მთლად მოღუშა სახე კუშტი,  
მერე გაწყრა, გაგულისდა,  
მაგიდასაც დაჰკრა მუშტი,

გაიძვერა მელაკუდას  
ხელი აღარ დააფარა,  
დაიბარა კაბინეტში  
და ქოქოლა დააყარა.

მაგრამ მელა, წუწყი მელა  
გულში მაინც, იცინოდა:  
„მომხსნა, მაგრამ მოძმე ჩემი  
არ გამწირავს, ვიცი“... პოლა,

მართლაც ტურამ დაკვირვებით  
რა განსაჯა საქმე ესა,  
ასწია და ფრინველების  
ფერმის გამგედ განაწესა.

\* \* \*

ამ არაქის მორალს მალე  
გაიგებენ უფრო უკეთ: —  
ამბობენ, რომ საქმე მათი  
პროკურორთან არის უკვე.

## მოწინავე გამოცდილების საგანძური

ზამთრის შესვენების შემდეგ კვლავ სტუმართმოყვარულად გაიღო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კარები. ექსკურსანტთა და დამთვალიერებელთა თვალშინი კვლავ გადაიშალა ზღაპრული ქალაქი-ბაღი თავისი შესანიშნავი სასახლეებით, პროსპექტებით, შადრევნებით, მცენარეებითა და ყვავილებით დამშვენებული ხეივნებით.

აქეთკენ დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალით — იაროსლავის გზატკეცილით ავტობუსებს, ტროლეიბუსებს, მანქანებს ყოველდღე მიჰყავს ზღვა ხალხი. მათ შორის უმეტესობა ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ექსკურსანტები არიან. ისინი გამოფენაზე ჩამოვიდნენ კოლექტურ შრომაში მოპოვებული წარმატებებით, ჭეშმარიტად საამაყო მაჩვენებლებით და, რაც მთავარია, დაუცხრომელი სურვილით — გაეცნონ მოძმე რესპუბლიკების თანამოსაქმეთა მიღწევებს, ერთმანეთს გაუზიარონ, შეასწავლონ თვითინი მუშაობის გამოცდილება და ამით უზრუნველყონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი, მძლავრი აღმავლობა, ამრავლონ სახალხო დოკუმენტით, წინ წასწიონ საქვეყნო საქმე.

აი ამიტომ უწოდეს გამოფენას მოწინავე გამოცდილების სკოლა, სახალხის აკადემია.

ცალკეულ პავილიონსა თუ სალექციო დარბაზში ხშირად შეხვდებით ასეთ სურათს: ტრიბუნაზე დგას საქვეყნოდ ცნობილი აკადემიკოსი, რომელიც ვრცელ აუდიტორიას მოუთხრობს საჭიროა მეცნიერების უახლეს მიღწევებზე, ხოლო შემდეგ მის ადგილს იყავებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მეცვარე, თუ სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი. მათ საუბარს კალმისტრითა და ბლოკნოტით ხელში გულდასმით ისმენენ სახელგანთქმული სწავლულები. ასე, მეცნიერებისა და პრაქტიკის მშენდობა ურთიერთთანამშრომლობით საფუძველი ეყრება მომავალ წარმატებებს, ისახება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღმავლობის გეგმები და პროექტები.

ბევრი ექსკურსანტის მკერდს მთავრობის ჯილდოებთან ერთად ამშვენებს შარშან მიღებული გამოფენის მონაწილის ოქროს ან ვერცხლის მცირე და დიდი მედალი. ზოგიერთები ასეთი მედლებით დაჯილდოებული არიან ჯერ კიდევ 1939 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ექსკურსანტთა შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც წელს პირველად მოპოვეს გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება. მათ ბევრი რამ სმენია გამოფენის გრანდიოზულობასა და სიდიადეზე, კინოფილმებითა და სურთებით იცნობენ მის ზღაპრულ სასახლეებს, ქანდაკებებს და შადრევნებს;

მაგრამ საკუთარი თვალით ხილული მაინც ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. წარმოუდგანელია აუღელვებლად უცქირო მუხინას ცნობილ ქანდაკებას — ახალგაზრდა მუშისა და კოლმეურნე ქალის გიგანტურ ფიგურებს. მათ მაღლააღმართულ ხელში ჯვარედინად უკავიათ ნამგალი და ჩაქუჩი — მუშათა ქლასისა და გლეხობის რევოლუციური კავშირის სიმბოლო და თითქოს მომავლისაკენ მიაბიჯებენ გოლიათური ნაბიჯებით. ეს მონუმენტური ქანდაკება მეტყველებს გამოფენის გრანდიოზულ მასშტაბებზე, ექსპონატთა სამყაროს სიღიადესა და მრავალფეროვნებაზე.

გაივლით თუ არა მთავარი შესასვლელის თაღის კამარებს, მაშინვე მოწვდებით მრავალრიცხვანი სასახლეების, პარკებისა და შადრევნების სამყაროში. სიტყვას არ ძალუძს გადმოსცეს ამ ზღაპრული ქალაქის მთელი სიმშვენიერე და გრანდიოზულობა. ცენტრალური შესასვლელიდან მთავარ პავილიონამდე გასდევს თვალწარმტაცი ხეივანი, რომლის ორთავე მხარეს სამოდ ჩხრიალებს თოთხმეტი შადრევანი. ნაირფერ ყვავილებს ხალიჩებივით დაუქარგავს ზურმუხტისფერი მდელო.

მთავარი პავილიონის წინ დგას საბჭოთა ხალხის დიდი ბელადების ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მონუმენტები. ფასადზე ხალხთა ურლვევი მეგობრობის სიმბოლოდ მოჩანს თექვსმეტი. მოძრავი რესპუბლიკის სახელმწიფო აღმები და ლერპები.

მთავარ პავილიონს „გამოფენის გულს“, „გამოფენის გასაღებს“ ეძახან. მისი ექსპონატი მიძღვნილია ამაღლვებელი თემისადმი — თუ როგორ აშენდა საბჭოთა ხალხმა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი და კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით როგორ იძრდეს იგი კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის. პავილიონის ცხრა დარბაზში წარმოდგენილი უმდიდრესი მასალები და ექსპონატები, თვითეული სტენი და ციფრი — ეს ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა ხალხის სახელმოვანი ისტორიის ფურცლებია. დაღიხართ დარბაზებში და თქვენს თვალწინ ცოცხლდება სახელმოვანი ზრდოლებისა და გამარჯვებათა სი-დიდი გზა, რომელიც საბჭოთა ქვეყანამ განვლო კრეისერ „ავტორიას“ სტორიული ზალპის დღიდან სოციალიზმის გამარჯვებამდე.

მთავარი პავილიონი მართლაც რომ გამოფენის გასაღებია, რომელიც აღებს ზღაპრული ქალაქი-ბალის, შესანიშნავ ექსპონატთა სამყაროს კარებს.. აღამიანი არა მარტო ათვალიერებს ამ მრავალრიცხვან პავილიონებსა და ნაკვეთებს, არამედ თითქოს მოგზაურობს მთელს ჩვენს ქვეყანაში, რაღაც გამოფენაზე წარმოდგენილი უმდიდრესი მასალები და ნაკვეთები მცენარეთა და ცხოველთა სამყარო ნათელ წარმოდგენას იძლევა ყველა რესპუბლიკის, ყალკეული მხარისა თუ ოლქის სოფლის მეურნეობის წარმატებებზე.

გაივლით მთავარი პავილიონის დარბაზებს და გრანიტის კიბის საფეხურებიდან თვალწინ იშლება შესანიშნავი პანორამა — კოლმეურნეობების მოედანი, რომლის ორივე თავში მძლავრად ჩქეფს ზღაპრული სილამაზის შადრევნები „ხალხთა მეგობრობა“ და „ქვის ყვავილი“. ამ შადრევნების ერთი ავტორთაგანია ქართველი არქიტექტორი ჭ. თოფურიძე. მოედნის გარშემო განლაგებულია თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე ავტონომიური

რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პავილიონთა საუცხოო სასახლეები. თვითეული მათგანი გაძოირჩევა არქიტექტურის ეროვნული სტილითა და ორიგინალობით. მნახველს ხიბლავს რუსეთის პავილიონის მონუმენტურობა, უკრაინის პავილიონის ძღიდრული ეროვნული ორნამენტები და მის ფასადზე შრავალფეროვანი მინით ხაკეთები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლის-თავის აძასხველი ვეებერთელა პანო, ყაზახეთის პავილიონის მინის რვაწახნა-გოვანი გუმბათი, ბელორუსის პავილიონის მოხატული სვეტები, პავილიონ „პოვოლუის“ კედლების ლაუგარდოვან ფონზე მოწყობილი სტალინგრადისა და კუიბიშევის პიდროელებტროსადგურების გამოსახულებანი და მათი კაშ-ხალებიდან მუდმივადმდინარე წყლის ჩანჩქერები...

უველაფერი ეს გრანდიოზული და ზღაპრული სილამაზისაა, მაგრამ კოლ-მეურნეობების მოედნის შევენება მაინც ორი უნიკალური შადრევანია. მზის სხივებში ცისარტყელას ყველა ფერით ბრწყინავს ზეცაში ატყორცნილი წყლის უწყვეტი ნაკადი. „ხალხთა მეგობრობის“ შუაგულში მაღალ კვარცბლებზე აღმართულია მზისუშირას თავთავებით დამშვენებული ოქროს ძნა, რომელიც სიმბოლიურად გამოხატავს საკოლმეურნეო სიუხვესა და დოკლას. შადრევ-ნის გარშემო წრედ დგას თექვესმეტი ქალიშვილის ბრინჯაოს ფიგურა. ამ მე-გობრულ ფერხულში გამოხატულია საბჭოთა ხალხების დიალი მეგობრობა, ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ურყავები მონოლითობა.

— ეს ჩვენი რესპუბლიკა!.. — ამბობს რომელიმე ექსკურსანტი, ამას იგი ატყობს ერთ-ერთი ქალიშვილის ეროვნული ტანსაცმელითა და მის ხელებში აღმართულ ლანგარზე დაწყობილი რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი პროდუქტებით.

— ეს-ეს ქართველო! — მრავალ ენაზე მოსაუბრე ხალხში გაისმის ქარ-თული სიტყვებიც. შევთვალწარბა, გრძელნაწნავებიანი გოგონა, ალბათ, ნორ-ჩი ნატურალისტი, ამზანგს უთითებს ქალიშვილის მოოქროვილი ფიგურისა-კენ, რომელსაც ამშვენებს ჩიხტი-კოპი, ლეჩაქი და გრძელსარტყლიანი, ნაქა-გი გულისპირიანი ქართული კაბა. მას ცალ ხელში ყურძნის აკიდო უკავია, მეორეში — ნარინჯის პატარა შტო.

მოპირდაპირე მხარეს, უკრაინის პავილიონის წინ, მოჩანს მეორე შადრე-ვანი „ქვის უვავილი“, რომელიც შესრულებულია ბაჟოვის ამავე სახელწოდების ზღაპრის მოტივებზე. ეს გიგანტური ზომის უვავილი გაკეთებულია ურალის-ბერითასი ქვებისაგან, რომლებიც თვალისმომჭრელად კიაფობენ მზისა და ელექტრონის შუქზე.

ცენტრალური მოედნიდან ყველა მხარეს მიმავალ ხეივნებს დამთვალიე-რებლები მიჰყავს ახალ-ახალი საკეირველებებისაკენ. გამოფენაზე ჩასული თვითეული ექსკურსანტი პირველ რიგში ყურადღებით ეცნობა სოფლის მე-ურნეობის იმ დარგის წარმატებებს, რომელშიც თვითონ მუშაობს, ხოლო შემ-დეგ ყველა ისინი აუცილებლად მიემართებიან მთავარი ხეივნის ბოლოს აღმარ-თული გიგანტური პავილიონისაკენ, რომლის ელინგისმაგვარი მინის გუმბათი მოჩანს გამოფენის ყველა კუთხიდან. ეს არის „სოფლის მეურნეობის მექანი-ზაციისა და ელექტროფიუკის“ პავილიონი. მის 26 დარბაზში, რომელთა

საერთო ფართობი 18 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება, წარმოდგენილია საკოლმეურნეო მინდვრების შძლავრი ტექნიკა, რომელსაც ჩვენი იძლუსტრია აწვდის სოციალისტურ სოფლის შეურსეობას. ამას გარდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ცალკეული ნიმუშები განლაგებულია პავილიონის გარშემო მოწყობილ ღია მოედნებზე. ცველა ექსპონატი რომ დაათვალიეროთ, აშისათვის რვა კილომეტრი გზის გავლა შაინცაა საჭირო.

უნებლიერ აღლვება გიპურობთ, როდესაც შეცქერით ამ შესანიშნავ, „პევრან“ მანქანებს — ადამიანის მძლავრ თანაშემწებებს, რომლებიც მუშაობას უმსუბუქებენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს და ხვავსა და ბარაქებს მატებენ მათ ოჯახს.

არ არის დარჩენილი სოფლის მეურნეობის არც ერთი დარგი, სადაც ადამიანის დამხმარედ არ იყოს მისული მძლავრი ტექნიკა. „სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიციაციის“ პავილიონში წარმოდგენილია 260 ახალი და მოდერნიზებული მანქანა, რომლებიც არ იყო გასულ წელს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შარშანდელთან შედარებით კიდევ უფრო შემსუბუქდა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მუშაობის პირობები, ამაღლდა მთა შრომის ნაყოფიერება.

უპირველეს ყოვლისა, გაოცებას იწვევს გამოფენის გრანდიოზული მასშტაბები. ისტორიას ჯერ არ ახსოეს სოფლის მეურნეობისაღმი მიძღვნილი ასეთი მნიშვნელოვანი გამოფენა. აი რამდენიმე ციფრი: გამოფენას უკავია 207 ჰექტარი, რაც 59 ჰექტარით აღემატება 1939—41 წლების გამოფენას. ამ ტერიტორიაზე აშენებულია 307 პავილიონი და დამხმარე ნაგებობა, რომელთა მოცულობა უდრის დაახლოებით ორ მილიონ კუბურ მეტრს. მთავარი პავილიონის სიმაღლე შვერილით 97 მეტრია, ხოლო მოცულობა 120 ათასი კუბური მეტრი. გამოფენის ტერიტორიაზე გაყვანილია 35 კილომეტრი სიგრძის მოასფალტებული გზა და 30 კილომეტრი ქვიშით დაფარული გზა და ბილიკი ხეივნებსა და გაზონებში. დამთვალიერებელთა უკეთ მომსახურების მიზნით მოწყობილია ხუთ კილომეტრიანი ტრიოლეიბუსის წრეული ხაზი, რომელზეც მოძრაობენ კომფორტაბელური მანქანები...

ეს გრანდიოზული ციფრები და მასშტაბები წარმატებათა პარადული დემონსტრირებისათვის კი არაა წარმოდგენილი; არამედ ნაკარნახევაი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სინამდვილით, ვინაიდან უფრო მცირე მასშტაბებს არ ძალუდა დაიტიონ სოციალიზმის სიუხვე, საბჭოთა ადამიანის ნაამაგრი.

\* \* \*

კოლმეურნეობის მოედნის ერთ მხარეზე როგორც სამი ღვიძლი ძმა ერთმანეთის გვერდით დგას ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პავილიონები.

საქართველოს პავილიონი გამოიჩინევა თავისი მონუმენტურობით, სიმსუბუქითა და სინატიფით. შესასვლელი დამშვენებულია ლამაზად აშოლტილ კოლონებზე დაბჯენილი თაღებით. კედლები მოპირკეთებულია ეროვნულ კოლონებზე დაბჯენილი თაღებით. კედლები მოპირკეთებულია ეროვნულ

ორნამენტებში ჩასმული მბრწყინავი სარკეებით. გვერდითი შენობები წარმოადგენენ ქართული დარბაზის მსგავს დაბალთაღიან გალერეებს, რომელთა იატაკი მოგებულია ფერადი მარმალილის ფილებით. არქიტექტორების ა. ქურდიანისა და გ. ლეჭავას ნამუშევარში შერწყმულია ქართული სუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, რაც დღემდე შემოუნახავს უძველეს ისტორიულ ძეგლებს და ახლაც იწვევს მნახველის აღტაცებას.

მარცხნივ მარაოსავით გადაუშლია გვენიერი მწვანე ტოტები ფინიკის უზარმაზარ პალმას. იგი გამოფენის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი ექსპონატთაგანია. თითქმის ყველაზე იცის მისი ისტორია. ეს პალმა ჯერ კიდევ 1939 წლის გამოფენაზე ჩამოიტანეს ბათუმიდან. მაშინ მისი სიმაღლე ექვს მეტრს აღწევდა, ახლა კი ორჯერ მეტია. ეს ყველაზე ღირსშესანიშნავი საბჭოთა კავშირში. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ მისი სნოვანება ერთ საუკუნეს აღემატება. ამიტომა, რომ მის გარშემო დამთვალიერებელთა განუწყვეტელი რიგია. ამ იშვიათი პალმის ფონზე ყოველდღე ასობით ექსკურსანტი იღებს სამახსოვრო ფოტოსურათებს.

შთაბეჭდილება, რომელსაც აღმიანი პირველი შეხედვით ღებულობს, კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც ათვალიერებთ მრავალნაირი ექსპონატებით სავსე სამ ვრცელ დარბაზს, ორანჟერეს და პავილიონის გარშემო ღია გრუნტში გაშენებულ ცოცხალ მცენარეთა სამყაროს.

დიდაღილი დამთვალიერებელი იყრის თავს საქართველოს რუკა-დიორამას წინ. მასზე გამოსახული პირობითი ნიშნების საშუალებით ექსკურსიის მძღოლი შეკრებილთ აწვდის საინტერესო ცნობებს რეპუბლიკის რელიეფზე, ტერიტორიაზე, ბუნებრივ სიმდიდრეზე, კურორტების განლაგებაზე და სხვ. აქვე მოწყობილია ღირი სტენდი წარწერით: „საქართველოს სსრ ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რეპუბლიკა საბჭოთა კავშირში“. ამის დასაღასტურებლად გამოფენილია საქართველოს სახალხო მეურნეობის ძრითადი პროდუქციის ნიმუშები, რომელთა შორის ვხედავთ სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული და თბილისის ჩახხმენებელი ქარხნების ნაწარმს, უმდიდრეს წიაღისეულს, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქტებს.

ზოგიერთ ექსკურსანტს არ აქმაყოფილებს ზოგადი ციფრები, სურს საფუძვლიანად, დაწვრილებით იცოდეს ცალკეული კოლმეურნეობის მიღწევები, რა გზითაა მოპოვებული ეს წარმატებანი. დამთვალიერებელთა შორის ყურადღებას იყრინობს დინად მოსიარულე შუახნის მამაკაცი, რომლის მეცნიერებს ლენინის არდენი და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი. იგი დაკვირვებით ათვალიერებს თვითეულ სტენდს. ეს არის ლიხვიცის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თედორ სტეფანეს-ძე გენერალოვი.

თედორე სტეფანეს-ძე განსაკუთრებული ყურადღებით ისმენდა ექსკურსიის მძღოლის განმარტებას საკოლმეურნეო შემოსავლის ყოველწლიურ ზრდაზე. მას ბევრჯერ გაუგონია და წაუკითხავს, თუ რა ბარაქიანად უნაზღადებათ ქართველ კოლმეურნეებს გამომუშავებული შრომადღეები.

ახლა, ამ გამოფენაზე, მას საშუალება ეძლევა პირადად გაიცნოს ქართველი მეგობრები, გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება.

ყურადღებას იპყრობს ღიორამა — „თბილისი — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი.“ ოსტატურად შესრულებული მინიატურული მაკეტები მნახველთ ნათელ წარმოდგენას აძლევს თბილისის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ქუჩების, მოედნებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების განლაგებაზე.

ექსკურსის მძღოლი — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი იძლევა ამომწურავ ცნობებს თბილისის დაარსების ისტორიიდან, საქართველოს დედაქალაქის მრეწველობაზე, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებზე. ექსკურსის მძღოლს მეორე ჯგუფში იხმობენ. მის ადგილი იყვებს ერთ-ერთი დამთვალიერებელთაგანი, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდა სამხრეთში ტურისტული მოგზაურობიდან, სადაც ინტერესით გაეცნო მზიური საქართველოს დედაქალაქს.

— აი, აქ, — უჩვენებს იგი ფუნიკულირის მაკეტს ქვემოთ, — მთაწმინდაზე, მოწყობილია გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი. აქ მარხია ჩვენი გრიბოედოვიც.

მსმენელები კიდევ უფრო სიმპათიითა და სიყვარულის გრძნობით იმსჭვალებიან მოძმე საქართველოს შემოქმედებისადმი, რომელიც თავიანთ გამოჩენილ შვილებთან ერთად წმიდად ინახვენ დიდი რუსი მწერლის გრიბოედოვის საფლავსა და ხსოვნას.

უნებლიერ თეიმურაზის „ხილთა ქება“ გაგასხვნდება, როცა თვალს შეავლებ შეუადარბაზში მწყობრად განლაგებულ საქართველოში გავრცელებული ყველა ჯიშის ხილეულს. აქ ნახავთ გორულ ვაშლს და მუხრანულ საზამთროს, გონიოს ფორთოხალს და წინანდლის ყურძენს, ატაშს, კაკალს, თხილს, ლიმონს, ხმელ ხილს... სურათს ავსებს ოქროსფერთავთავიანი პურის კონები, ძირფასი ბეწვეული, მრავალნაირი ლვინო, კონსერვი, თამბაქოს ნაწარმი, ბოსტნეული და ბევრი სხვა, რასაც ადამიანს აძლევს ბარაქიანი ქართული მიწა.

საქართველოს პავილიონის ექსპოზიცია ყურადღებას უპირველეს ყოვლისა იპყრობს მრავალდარგობრივობით. რესპუბლიკის კლიმატური პირბები შესაძლებლობას იძლევა სუბტროპიკულ კულტურებთან ერთად განვითარდეს მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგები. ამიტომა რომ საქართველოს პავილიონის დარბაზებში ყოველთვის ნახავთ მოლდაველ მევენახეებსა და უკრაინელ მესიმინდევებს, უზბეკე მეაბრეშუმეებსა და ყუბანელ მეკონველეებს, მეცნიერ მუშაქებს და პრაქტიკოს მიჩურინელებს, რომლებიც ბლონიოტებითა და ფანქრებით ხელში დგანან სტენდებისა და ექსპონატების წინ, გულდასმით ეუნობიან ამა თუ რმ დარგში მოპოვებულ წარმატებებს, ცალკეული კოლმეურნეობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორის შრომითს საქმიანობას.

მთელი დარბაზი აქვს დათმობილი საქართველოში გავრცელებული სუბტროპიკული კულტურების ამსახველ სტენდებსა და ექსპონატებს. ექსპოზიციას ავსებს ახალგაზრდა მხატვარ მიხეილ ხვიტიას ორი დიდი პან.

ერთ მათგანზე ნაჩვენებია დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა სუბტრო-პიკული. რაიონის ლანდშაფტი, ხოლო მეორეზე — ციტრუსების კუეფა.

ვის არ უგემნია ქართული მანდარინი და ფორთოხალი, სურნელოვანი ჩაი და თამბაქო. ყველამ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტუნგოს ზეთს მრეწველობაში, რამდენიმე ძვირფას ავეჯს და სპორტულ ინვენტარს აეთებენ ბამბუკიდან. აქ, საქართველოს პავილიონში, დამთვალიერებლებს შეუძლიათ საფუძვლიანად გაეცნონ, თუ როგორ იბრძვიან რესპუბლიკის მშრომელები ამ ძვირფასი კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

დარბაზის მოელი ერთი კედლის სილრმეში მოწყობილია საინტერესო დიორამა, რომლის წინ ყოველთვის დიდძალი ხალხი დგას. დიორამა ჯერ ჩაბნელებულია. ექსკურსიის მძღოლი ლაპარაკობს სამგორის ველის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა იგი ამ რამდენიმე წლის წინათ. იჯეთქებს სინათლე და თვალწინ იშლება შესანიშნავი სანახაობა — სამგორის ამწვანებული ველი თავისი სარწყავი სისტემით, „თბილისის ზღვა“. სინათლე ქრება. ახლა ექსკურსიის მძღოლი მსმენელებს აცნობს იმ დიდ ღონისძიებებს, რაც რესპუბლიკაში ტარდება ჭაობების ამოშრობისა და ამ გზით სუბტროპიკული კულტურების ფართობის გასაღილებლად. მას მაგალითისათვის მოჰყავს კოლხეთი, მეტი ინტერესისათვის მსმენელებს მოკლედ ახსენებს მითოლოგიურ თქმულებას ოქროს ვერძისა და არგონავთების, იაზონისა და მელეას შესახებ. ისევ ინთება სინათლე და მაყურებელთა თვალწინ იშლება ახალი სანაკხაობა — კოლხეთის თვალწარმტაცი პანორამა. წინათ ჭაობით დაფარული გაუკალი ადგილი, კოლოებისა და ბაყაყების სამფლობელო, საბჭოთა ადამიანის შეუპოვარი ნება-სურვილით გადაწყეულია ციტრუსების ბაღად.

როცა ლაპარაკი ჩამოვარდება ციტრუსებზე, ტუნგოსა და ჩაიზე, მაშინვე ახსენებენ აჭარას, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოს ეს აუთხე ძირითადად ამარავებს ჩვენს ქვეყანას ამ ძვირფასი კულტურებით.

მეცხვარე ომარ ტომანშავევი არასდროს არ ყოფილა საქართველოში, ჩაის ბუქი და ციტრუსოვანთა ხე პირველად გამოფენაზე ნახა, მაგრამ, როცა იგურა ჩაის მოჰკრა თვალი, სახე გაუბრწყინდა და წვერზე კმაყიფილებით ჩამოისვა ორივე ხელი.

— ჩაქვის ჩაი, კარგი ჩაი, კარგი! — თქვა მან.

ასეთი დიდი ინტერესი სუბტროპიკული კულტურებისადმი, უპირველეს ყოვლისა. იმით აიხსნება, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, საცდელი სადგურები, სელექციონერები და მიჩურინელები სერიოზულ მუშაობას ეწევიან ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურების ახალ რაიონებში გასაშენებლად. ამას ნათლად მოწმობს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სხვადასხვა პავილიონებში წარმოდგენილი მასალები და ექსპონატები. აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის, ტაჯიკეთის, მებალეობის პავილიონებში ნათლად არის ნაჩვენები, თუ როგორ გაითაროვეს საზღვრები სუბტროპიკულმა კულტურებმა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჯერ კიდევ პირველი ცდებია, ხოლო უკეთეს წარმატებათა მოპოვების

საწინდარი ქართველ მეჩაიებთან და მეციტრუსებთან შეხვედრა და მათი გამოცდილების, მუშაობის მოწინავე მეთოდების გადაღება.

წელს საქართველოს პავილიონში ექსპურსიის მძლოლებად შერჩეული არიან გამოცდილი სპეციალისტები, მათ შორის აგრონომები გიორგი მხეიძე, სოფიო ბერეჟიანი და გიორგი ნასყიდაშვილი, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე მუშაობენ აჭარაში და ზედმიწევნით იცნობენ სუბტროპიკულ კულტურებს. ისინი ამომწურავ პასუხს აძლევენ ექსპურსანტთა შეკითხვებზე, ცალკეულ შემთხვევაში ატარებენ კონსულტაციებს.

წელს საქართველოს პავილიონს ესტუმრნენ აზერბაიჯანელი მეჩაიები, რომლებმაც ქართველ მეჩაიებს მოუთხრეს თავიათ წარმატებებზე. 1950 წელთან შედარებით აზერბაიჯანში ჩაის პლანტაციების ფართობი ორჯერად გაზრდილი. ახლა მათ უკვე 6.373 ჰექტარი უკავია. ჩაის გშენებისათვის უკვე-ლაზე შესაფერისი პირობებია ლენქორანის, ასტარის, ზაქათალის, ნუხის, კახისა და სხვა რაიონებში. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და აზერ-ბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპელიციამ ამ რაიონებში უკვე შეარჩია 25 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი, რომლებზეც შესაძლებელია ჩაის გაშენება.

თვით სახელგანთქმულ ქართველ მეჩაიებსაც კი გუკვირდათ, როგორიციც მეჩაიებმა აზერბაიჯანელმა მეჩაიებმა ხალილა ნაზიროვამ თქვა:

— მე და ჩემი რგოლის წევრებმა 15 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან საშუალოდ ჰექტარზე 3.500 კილოგრამშე მეტი ჩაის მწვანე-ფოთოლი მოვკრიფე. ჩართალია, თავითან შედარებით უფრო რთულ პირობებში გვიხდება მუშაობა, რადგან ნალექების ნაკლებობის გამო ჩაის პლანტაციებს ხელოვნურად ვრწყავთ, მაგრამ მიღწეულით მარც არ დავკმაყოფილდებით. მით უმეტეს, რომ ჩაი ყველაზე მაღალშემოსავლიანი კოლტივია. იგი გვაძლევს კოლმეურნეობის საერთო ფულადი შემოსავლის დახლოებით 57 პროცენტს.

კოლმეურნეობა „პრავდა“, სარაც ხალილა ნაზიროვა მუშაობს, ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა ლენქორანის რაიონში. ჩაის უხევი მოსავლის მიღებისას იგი მონაწილეობდა 1954 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაშიც ზამიილო პრემია — რადიოსატრანსლაციო დანაღვარი. შარშან კოლმეურნეობამ 60 ჰექტარი პლანტაციის თვოლეულ ჰექტარზე. საშუალოდ მიიღო 1.963. კოლმეურნეობის ჩაის მწვანე ფოთოლი.

აზერბაიჯანელი მეჩაიები ყურადღებით ეცნობიან ქართველ თანამოსაქმეთა მიღწევებს, ინტერესთ ათვალიერებენ მახარაძის რაიონის სტენდს, სახელგანთქმული ჩაის მკრეფავების სოციალისტური შრომის გმირების თა-მარ ყუფლენის, ნათელა ბულისერიას, დარეგან ტაკიძისა და სხვათა მაჩვენებლებს, ხოლო შემღეგ კარგახნით ჩერდებიან „საპატიო ნიშნის“ ორდენის სტალინის სახელობის მხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სტენდთან.

— მჩხამურის საბჭოთა მეურნეობა, — ამბობს ექსპურსიის მძლოლი გიორგი ნასყიდაშვილი, — შარშანი იყო შარმოლენილი გამოფენაზე ფართო ჩვენებით. როგორც ხედავთ, მან წელსაც მოიპოვა გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება. მეურნეობის ჩაის პლანტაციებს დახლოებით 500

ჰექტარამდე ფართობი უკავია. 1954 წელს საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 4.894 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც სამი ათასზე მეტი კილოგრამით აღმატება 1947 წლის საშუალო საჰექტარო მოსავალს.

ექსკურსანტთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეურნეობის მაღალი რენტაციულობა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რჩხამურელმა მეჩაიერებმა სახელმწიფოს მისცეს 28 მილიონი მანეთი მოგება, ამასთან 1949 წელთან შედარებით ჩაის ფოთლის თვითორებულება შეამცირეს 38 პროცენტით.

ექსკურსის მძღოლი რთავს სპეციალურ აპარატს. პატარა ეკრანზე ერთიმეორის მიყოლებით ჩნდება სურათები წარწერით, რომლებიც დამთვალიერებლებს აცნობენ, თუ როგორ აღწევენ რჩხამურელი მეჩაიერები ჩაის ასეთ მაღალ მოსავალს. ეკრანზე მოჩანს კარგაღმოვლილი თვალუწვდენი ჩაის პლანტაციები, მეურნეობის მოწინავე ადამიანები, მუშაობის ცალკეული პროცესები. შემოსავლის ზრდასთან ერთად სულ უფრო უმჯობესდება მუშამოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები. აპარატი აჩვენებს კეთილმოწყობილ დაბა რჩხამურს ლამაზი საცხოვრებელი სახლებით, სკოლებით, ბავშვთა ბაგებით, საავადმყოფოთი.

ასეთივე აპარატია მეორე მხარეს, რომელიც აჩვენებს, თუ რა მანქანები მუშაობს ჩაის პლანტაციებში, როგორ უმსუბუქებენ ისინი. მუშაობის პირობებს მეჩაიერებს და ზრდიან მათს შრომის ნაკოთიერებას.

სტენდების ქვემოთა აჭარის ჩაის ფაბრიკების პროდუქცია — „საქართველოს თაიგული“, „ექსტრა“, „აგურა ჩაი“ და სხვ. მარტო უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვება 1940 წელთან შედარებით ოთხგროვით გაიზარდა. სტენდებზე ნაჩვენებია, თუ როგორ იყენებენ ჩაის გადამუშავების ნარჩენებს ბათუმის კოფეინის ქარხანაში. აქვეა წარმოდგენილი ბათუმელ მეკოფეინეთა პროდუქციის ნიმუშები.

ექსკურსანტები უახლოვდებიან შემდეგ სტენდს. ექსკურსის მძღოლი, აგრძელებს საუბარს:

— აი ამ სტენდზე თქვენ ხედავთ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოკტორის სტალინური პრემიის ლაურეატის ქსენია ერმილეს ასულ ბახტაძის სამეცნიერო შრომის მაჩვენებლებს. ქსენია ბახტაძი ჩაის სხვადასხვა ჭიშის შეჭვარების შედეგად მიიღო ახალი ჭიშის ჩაი — „ქართული № 1“ და „ქართული № 2“, რომლებიც გამოიჩინიან მაღალმოსავლიანობით, ყინვაგამძლეობითა და ჩაის მწვანე ფოთლის კარგი ხარისხით.

სტენდი გვიჩვენებს, თუ როგორ მიაღწია ქსენია ბახტაძემ ასეთ დიდ გამარჯვებას.

შემდეგ ექსკურსის მძღოლი განმარტავს, რომ საქართველოში გავრცელებული ტუნგოს დიდი ნაწილი აჭარაზე მოდის. ერთ-ერთ სტენდზე, რომელიც ასახავს ტუნგოს დამუშავების პროცესებს და მის გამოყენებას სახალხო მეურნეობაში, მოჩანს რჩხამურის ტუნგოს ზეთსახდელი ქარხნის სურათი.

...ორანენერეა. მინიო გადახუროლ უზარმაზარ დარბაზში მოჩანს, მრავალნაირი ჭიშის მსხმიარე ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, გრეიფრუტი, ჭეიბოია... მათ შორის ბევრი აჭარის ციტრუსოვანთა ბალებიდანაა ჩამოტა-

ნილი. საქართველოს პავილიონის ორანჟერეაში მუდამ დიდალი ხალხია. ყურადღებას იძყრობს ახალი ქართული ჯიშის ლიმონი, მსხვილნაყოფიანი უთესლო მანდარინი, გონიოს ფორთოხალი.

...მაღალი ტანის, შავწვერა კაცი განსაკუთრებით დიდხანს შეჩერდა მეფუტკრების სტენდთან. „ქართული გრძელხორთუმიანი ფუტკარი ცნობილია მთელს მსოფლიოში.“ — ამოიკითხა მან. სტენდი იტყობინებოდა აგრეთვე, რომ საქართველოში დღეისათვის სულ გაშენებულია ასი ათასზე მეტი სკა, რისგანაც კოლმეურნები იღებენ დიდალ ფულად შემოსავალს. ჩეს-პუბლიკიდან ყოველწლიურად გააქვთ საჭიშე დედაფუტკრები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში.

სტენდის წინ შეჩერებულმა კაცმა ყველაფერი დაწვრილებით ამოიწერა და შემდეგ პავილიონის მთავარი მეთოდისტი შალვა სიმონიშვილი მოძებნა.

— ირკუტსკელი აგრონომი ივანი საზანოვიჩი გახლავარ, — გაეცნ იგი, — სიამოვნებით დაგათვალიერე თქეენი პავილიონი და განსაკუთრებით დამაინტერესა ქართულმა გრძელხორთუმიანმა ფუტკარმა. კარგახანია მესმის ამ ფუტკრის ქება. ჩვენი კოლმეურნებიც კარგად იცნობენ მის დაღებით თვისებებს. ამ, ბოლო ხანებში ქართულმა გრძელხორთუმიანმა ფუტკარმა განსაკუთრებით დაგვაინტერესა საქმე იმაშია, რომ ფუტკრის საკვებად კოლმეურნებიაში დავიწყეთ სამყრას ასშენება, მაგრამ ჩვენებურ ფუტკარს მოკლე ხორთუმი აქვს და ამიტომ ვერ ახერხებს ნებითარის მთლიანად ამოწურებას. თქვენებური, გრძელხორთუმიანი ფუტკარი სწორედ რომ მისწრებაა ჩვენოვის. გამოფენაზე გამომგზავრებისას კოლმეურნებმა დამაბარეს დაწვრილებით შემეტყო, შეიძლება თუ არა გრძელხორთუმიანი საჭიშე ფუტკრის გამოთხვა საქართველოდან.

შალვა სიმონიშვილმა ყურადღებით მოუსმინა ირკუტსკელ აგრონომს, ხოლო შემდეგ ასწავლა, თუ რა გზით შეიძლებოდა მისი სურვილის დაკმაყოფილება.

გამოფენაზე ასეთი შემთხვევები იშვიათი როდია. სხვადასხვა ექსპონატის წიმუშს, ამა თუ იმ მცენარის თესლს ითხოვენ აგრონომები, სამეცნიერო-კულევითი ინსტიტუტის მუშაკები, ნორჩ მიჩურინელთა წრის წევრები...

— პირველ რიგში მეზობლები მოვინაზულოთ!.. — ამ სიტყვებით შემოვიდნენ საქართველოს პავილიონში მოძმე აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მუშაკები.

მათთან წამსვე გონი ექსკურსიის მძღოლი. რა უფრო აინტერესებს სტუმრებს?

— ყველაფერი, განსაკუთრებით კი მეცხვარეობა. — უპასუხა შევგვრებანმა ახალგაზრდამ — ნახიჭევანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნების თავმჯდომარებმ, სოციალისტური შრომის გმირმა მამედ ჯაფაროვმა.

— სიამოვნებით! დავიწყოთ თავიდან.

სტუმრები გულდახმით გაეცნენ ცენტრალური დარბაზის ექსპოზიციას, სუბტრობიკული კულტურების სტენდებს, ორანჟერეას და გულით გაიხარეს ქართველი მეგობრების წარმატებებით.

მეცხვარეობის სტენდებს რომ მიადგნენ, ყველამ გზა დაუთმო პატარა ტანის ხნიერ კაცს, რომლის მკერდზე მოჩანდა სტალინური პრემიის ლაურეატის ნიშანი.

— ვინ არის? — გაჟითხეს პავილიონში მყოფებმა.

— ქედაბეჭის რაიონის საბჭოთა არმიის 13 წლისთავის სახელობის კოლეჯურნეობის უფროსი მწყემსი ყარა ახვერდოვია. — თქვა აზერბაიჯანელმა ექსკურსიის მძღოლმა.

მალე ყველამ შეიტყო, რომ ეს ის ყარა ახვერდოვია, რომელმაც მეცნიერ მუშავთა და ზოოტექნიკოსთა ჯგუფთან ერთად აკადემიკოს ფირუზ მელიქოვის ხელშძლვანელობით გამოიყვანა ცხვრის ახალი მაღალპროდუქტიული ჯიში — აზერბაიჯანული მთის მერინოსი. იგი მთელს ჩესპუბლიკაში „ყარა ჩიბანის“ სახელითაა ცნობილი. მასზე ლექსებს თხზავენ და მღერიან აზერბაიჯანელი ხალხური მთქმელები და მწყემსები.

ექსკურსიის მძღოლი აქმაყოფილებს სახელოვანი მეცხვარის სურვილ და მოუთხრობს მას, თუ როგორ გამოიყვანს სტალინური პრემიის ლაურეატის არჩილ ნატროშვილმა და ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოსმა იოსებ ბაძმშვილმა ცხვრის ახალი ჯიშები, რომლებიც გამოიჩინიან დიდი დუმით, გრძელი ხუჭუჭა და ნაზი ბეჭვით.

— გამიგონია, მინახავს კიდეც, — ამბობს ყარა ახვერდოვი. შემდეგ იგი თვითონ ყვება თავისი კოლმეურნეობისა და პირადად მის წარმატებებზე: — ჩვენ ახლა 15 ათასი სული ცხვარი გვყავს. მარტო შარშან სახელმწიფოს ჩავაბარეთ 40 ათას კილოგრამზე მეტი მატყლი. პირადად მე 800 სული ცხვარი მაბარია. თვითეული მათგანიდან საშუალოდ მივიღე როთხი კილოგრამი მატყლი, ამასთან ასი დედაცხვარიდან შარშან 129 ბატქანი გამოვზარდეო.

კმაყოფილი წავიდნენ აზერბაიჯანელი მეცხვარეები საქართველოს პავილიონიდან და შთაბეჭდილების წიგნში დატოვეს თავიანთი სიხარული და შეგობრული სურვილები.

ერთი ექსკურსანტი დიდხანს ათვალიერებდა სოციალისტური შრომის გმირის სტალინური პრემიის ლაურეატის ჩოქოლი ქვახახიას სტენდს. მას დაუჭერებლად ეჩვენებოდა ამ ადამიანის შესანიშნავი მოწევები, განსაკურებით გაოცდა, როცა პავილიონის დირექტორმა გიორგი ჭალაგიძემ უთხრა ქვახახიას სამი ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 182 ცენტნერი სიმინდის სუფთა მარცვალი აქვს მიღებულიო.

— თუმცა რა გასაკვირია! — თქვა ბოლოს სტუმბრმა. — მე თვითონ ჯრონმი ვარ, აჩხანგელსკის ოლქიდან. სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენთან შეუძლებლად მიაჩნდათ სიმინდის თესვა, პრაქტიკამ კი გვიჩვენა, რომ ამ ძვირფას კულტურის მოწევა შესაძლებელია ჩვენს პირობებშიც. აიღოთ შარშანდელ შედეგი! — ოლქის ათმა კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანა 600—900 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა. ახლა არ არის კოლმეურნეობა, სადაც არ თესავდნენ სიმინდა.

სიმინდით ასეთი დაინტერესება ჩასაგებიცაა. ეს ძვირფასი კულტურა ეს სახურება ორ დიდ პრობლემას — მარცვლეულის მარაგის ზრდას და მეტ

ხოველეობის შტკიცე საკვები ბაზის შექმნას. მთავარი პატილიონის ერთ-ერთ სტენდზე შარშან აღნიშნული იყო, რომ სიმინდის ნათესების საერთო ფართობი ჩვენს ქვეყანაში შეადგენს 3,5 მილიონ ჰექტარს. წელს ექსპოზიციის ეს ნაწილი მთლიანად განახლებულია. უსრალებას იპყრობს ციფრები: 1955 წლისათვის სიმინდის ფართობი უნდა გაიზარდოს 16 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო 1960 წლისათვის 28 მილიონ ჰექტარამდე.

გამოფენის გახსნის პირველსავე ღლეს საქართველოს პავილიონში მოვიდა უკრაინელ და კრასნოდარელ მესიმინდეთა ჯგუფი.

— მართალია, რომ საქართველოში უკვე მოჰყავთ ერთ წელიწადში სიმინდის ორი მოსავალი? — ეს იყო მათი პირველი კითხვა.

უკრაინელი სტუმრები მიიყვანეს მცდელი აგრონომის ალექსი ჭორბენაძის სტენდთან. მასზე აღნიშნულია, რომ 1954 წელს აგრონომმა ალექსი ჭორბენაძემ აქარის ასარ ბათუმის რაიონის მოლოტოვის სახელობისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში საცდელ ნაკვეთებზე ჩატარა ცდა ერთსა და იმავე ფართობზე სიმინდის ორი მოსავლის მოსავანად. აქვე ნაჩვენებია ამ ცდის შედეგები, რომლებსაც გულდასმით ეცნობან დამთვალიერებლები.

პირველი ცდით ალექსი ჭორბენაძემ მიიღო სამი მოსავალი: ორჯერ ჰყონტი სიმინდი, ხოლო მესამეჯერ — მწვანე მასა. მეორე ცდის დროს კი 9 აპრილს დათესილი სიმინდით 18 აგვისტოს მოიწია მთლიანად დამწიფებული პირველი მოსავალი, რაც ჰექტარზე გადაყვანით შეადგენს 99 ცენტნერს. იმავე ფართობზე მან 20 აგვისტოს ხელახლა დათესა სიმინდი და 20 ნოემბერს. ჰექტარზე გადაყვანით მიიღო 155 ცენტნერი მწვანე მასა.

მაგრამ, ამ ციფრების გარდა, სტუმრებს აინტერესებდათ, თუ რა თესლს ცენტებს ალექსი ჭორბენაძე, როგორია რაიონის კლიმატური პირობები, მასობრივად ინკრეგება თუ არა ეს ახალი მეთოდი წარმოებაში. მათ ძალიან სურდათ პირადად შეხვედროლნენ ალექსი ჭორბენაძეს, განსაკუთრებით კი ეს აინტერესებდათ უკრაინისა და კრასნოდარის სამხრეთი რაიონების მესიმინდებს, რომლებიც სერიოზულად ფიქრობენ სიმინდის ორი მოსავლის მიღებაზე.

მალე ალექსი ჭორბენაძე გამოფენაზე ჩამოვიდა. პირველ რიგში მან დათვალიერა ყველა იმ რესპუბლიკის პავილიონი, სადაც მისდევენ მესიმინდებას და დარწმუნდა, რომ მთელს კავშირში არავის ჩატარებია სიმინდის ორი მოსავლის მიღების ცდა, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არაფერს ამბობდნენ გამოფენაზე წარმოდგენილი მასალები და ექსპონატები.

დაიწყო ალექსი ჭორბენაძის შეხვედრები, საუბრები და კონსულტაციები. მოძმე რესპუბლიკების მესიმინდებთან, მეცხოველეებთან, აგრონომებთან, მეცნიერ მუშაქებთან.

პირველი ლექცია ალექსი ჭორბენაძემ საქართველოს პავილიონში წაიკითხა. შემდეგ იგი წარსდგა უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე. მიწათმოქმედების პავილიონის სალექციო დაბაზაზი მის მოსამენად მოვიდნენ სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული ექსურსანტები. ალექსი ჭორბენაძემ მათ დაწვრილებით მოუთხრო სიმინდის ორი მოსავლის მიღების თავისი გამოცდი-

ლების და წლევანდელ წარმატებათა შესახებ. მან შეკრებილთ უჩვენა თან ჩამოტანილი ფოტოსურათები, რომლებზეც მოჩანდა კარგად გახარებული ყანა. ფოტოსურათები ივნისში იყო გადაღებული და აღამიანის სიმაღლე სიმინდის დანახვა აოცებდათ მსმენელებს.

შემდეგ ალექსი ჭორბენაძემ პასუხი გასცა შეკითხვებზე და დაპირდა მსურველებს, რომ მათ გაუგზავნიდა მის მიერ გამოყვანილი ჰიბრიდული სიმინდის თესლს.

...საქართველოს პავილიონის დათვალიერება შენობის შიდა ექსპოზიციის გაცნობით როდი მთავრდება. პავილიონის გარშემო, ღია ცის ქვეშ, პატარა ნაკვეთებზე დარგულია საქართველოში მეტწილად გავრცელებული მცენარეები. აქ არის ხელოვნურ გორაკზე გაშენებული ჩაის პლანტაციები, საღაც ხარობს ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობიდან. ჩამოტანილი 500 ძირი მწვანე ბუჩქი. ამ მინიატურულ პლანტაციაში სტუმრებს ჩაის კრეფის თავიანთ ასტატობას უჩვენებენ ქართველი მეჩაიერები. აქვეა ქსენია ბაქტაძის მიერ გამოყვანილი ქართული № 1 და ქართული № 2 ჩაის ბუჩქები. კარგად ხარობენ ჩაქვადან ჩამოტანილი ბაზზუქის ხეები, რომლებმაც სიმაღლით უკვე ააცილეს პავილიონის შენობას.

აქარის სოფლის მეურნეობის წარმატებები წარმოდგენილია აგრეთვე გამოიღენის სხვა პავილიონებში. ისე, როგორც შარშან, წილსაც მოიპოვა გამოფენაში მონაწილეობის უფლება ლენინის სახელობის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. პავილიონ „საბჭოთა მეურნეობების“ ერთ-ერთ დარბაზში, იატაკიან ჭერამდე აღმართულია ამ მეურნეობის წარმატებათა მაჩქინებელი სტენდი. 469 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე ჩაქველმა მეჩაიერებმა შარშან საშუალოდ მოიწიეს 4.714 კილოგრამი მწვანე ჩაის ფოთოლი, სახელმწიფოს ჩაბარეეს 21 ათას 332 ცენტნერი ხარისხოვანი და 42 ათას 203 ცენტნერი უხეში ჩაის ფოთოლი, 1.215 ცენტნერი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 864 ცენტნერი ტუნგო, 1.080 ცენტნერი კოფეინის ნედლეული.

როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდება რენტაცელობაზე, ექსკურსიის მძღოლები, უპირველეს ყოვლისა, ასახელებენ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, რომელმაც შარშან სახელმწიფოს მისცა 11 მილიონ 815 ათას 300 მანეთი მოგება, ამასთან 1950 წელთან შედარებით ერთი ცენტნერი ჩაის ფოთოლის თვითონირებულება შეამცირა 104 მანეთითა და 24 კაპიკით.

სტენდზე ნაჩვენებია აგრეთვე, რომ ჩაქველები ცხოვრობენ კეთილმოწყობილ ბინებში, მათ ემსახურება 550-ადგილიანი კლუბი, ორი საშუალო სკოლა, ოთხი საბავშვო ბაღი და ბაგა....

პავილიონში „ზეთოვანი და ტექნიკური კულტურები“ სხვა მოწინავე მეურნეობებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად წარმოდგენილია სამკურნალო მცენარეთა ქობულეთის საცდელი ზონალური სადგური. ამ სადგურის კოლექტივმა წელს კვლავ მოიპოვა გამოფენაში მონაწილეობის უფლება, ამასთან ამჯერად მას დაემატა კიდევ ერთი სტენდი, რომელიც ასახავს სამკურნალო მცენარეთა ქობულეთის საბჭოთა მეურნეობის წარმატებებს. საცდელი სადგურისა და მეურნეობის მუშაკებმა ადგილობრივ კლი-

გატურ პირობებს შეაგუეს სამკურნალოდ გამოსადეგი ზოგიერთი სუბტრო-პიკული და ტროპიკული მცენარე — თირქმლის ჩაი, ალე, ქინაქინის ხე სასვ., ამასთან თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულეს მოსავლიანობის გადი-დებისა და თვითლირებულების შემცირების შარშანდელი დავალებანი.

სტენდის ქვემოთ, ვიტრინებში, მოთავსებულია ყველა ის პრეპარატი და მე-დიკამენტი, რომლებიც მზადდება ქობულეთში გამოყვნილი სამკურნალო მცენარეებისაგან.

გამოფენაზე წარმოდგენილი აჭარის საუკეთესო მეურნეობების, სამეც-ნიერო დაწესებულებებისა და მოწინავე ადამიანთა მიღწევები, რა თქმა უნ-და, მთლიანად ვერ ასახავენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საერთო წარმატებას. მათ აგსებს საქართველოს პავილიონის მუშაქთა საუბრები და კონსულტაციები, აჭარიდან ჩამოსულ ექსკურსანტებთან შეხვედრები. ყველა-ფერი ეს მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლებს ნათელ წარმოდგენას აძ-ლევს იმაზე, თუ როგორ იბრძვიან აჭარის მშრომელები სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი, მძლავრი აღმავლობისათვის.

\* \* \*

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო გამოფე-ნაზე ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ყავს „მეცხოველეობის ქალაქს“, რო-მელიც დაახლოებით 40 ჰექტარზეა გაშენებული. მთავარი პავილიონის მეც-ხოველეობის განყოფილების ექსპოზიტისა თითქმის მთლიანად განახლებუ-ლია. თვითონ ცხოვრებამ შეიტანა შესწორება იმ ციფრებში, რომლებიც შარ-შან მხოლოდ გეგმებითა და პერსპექტივებით იყო გათვალისწინებული. ერთ სტენდზე ვხედავთ მეცხოველეობის აღმავლობის უახლეს პროგრამას — სამი ოთხი წლის განმავლობაში მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარ-მოება გაღიღდეს ორჯერ და მეტად, ამისათვის კი, მაგალითად, მთელს ჩვენს ქვეყანაში საშუალოდ თვითეული ძროხის წველადობა უნდა გაიზარდოს 500-600 კილოგრამით.

მთავარი პავილიონის ექსპოზიცია მხოლოდ საერთო წარმოდგენას იძ-ლევა ამ წარმატებებსა და პერსპექტივებზე, „მეცხოველეობის ქალაქში“ კი დამთვალიერებლები საკუთარი თვალით ნახულობენ მოწინავე კოლეგურნეო-ბებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებს, მაღალპროდუქტიულ ძროხებს, ღორებს, ცხვრებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ „გამოფენის ჩემპიონის.“ საპატიო წოდება.

აქ ყოველთვის ნახავთ მეცხოველეებს, რომლებმაც მთელს ქვეყანაზე გა-ითქვეს სახელი საქონლის სულადობისა და წველადობის ამაღლების სარე-კორდო მაჩვენებლებით.

მოწინავე მეურნეობებმა წელს გამოფენაზე გამოგზავნეს 720 სული. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 525 ცხვარი, 320 ლორი, 130 ცხენი და სხვ. მსხვილფეხა რქიანი საქონელი — ძროხები, ხარები, კამეჩები და ხბოები მო-თავსებულია ოთხ ღიდ პავილიონში, რომლებიც წარმოადგენ არქიტექ-

ტურულად გაფორმებულ, დიდ და ნათელ ფუნდამენტალურ შენობებს. პავილიონების გვერდით არის პირუტყვის სასეირნო ფართო ეზოები. პავილიონი კეთილმოწყობილი უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ფერმაა. თვითეული ბაგის ზემოთ მიმაგრებულია პატარა დაფა, რომელზეც აღნიშნულია პირუტყვის ჯიში, რომელ მეურნეობას ეკუთვნის იგი, როგორია მისი წონა, წველადობა, რძის ცხიმიანობა, აგრეთვე ვინაა მომვლელი.

აჭარის გამოფენაზე გამგზავრებულ პირველ ექსურსანტთა შორის იყვნენ მეცნიერებებიც, უმთავრესად ბათუმისა და ქობულეთის რაიონებიდან. რა თქმა უნდა, ისინი მოუთმენლად ელოდნენ, თუ როდის ნახავდნენ მეცნიერებობს სახელგანთქმულ ქალაქს. დადგა ეს დღეც. აჭარის მეცნიერებები დაბიოდნენ პავილიონიდან პავილიონში, ფერმიდან ფერმაში, ყურადღებით ათვალიერებდნენ და სწავლობდნენ ყველაფერს, რაც შინ დაბრუნებულებს გამოადგებოდათ მუშაობაში. რადგან აჭარაში ძირითადად წითელი ველის ჯიშის ძროხებია გავრცელებული, ამიტომ ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ ამ ჯიშის პირუტყვით.

— რომელია „მოროშკა“? — ეს იყო მათი პირველი კითხვა.

ჭერ კიდევ აქ მოსვლამდე მათ გაგონილი ჰქონდათ, რომ ყაზახეთიდან ყარაგანდის საბჭოთა მეურნეობამ გამოფენაზე გამოაგზავნა ძროხა „მოროშკა“, რომელმაც შარშან ლაქტაციის პერიოდში მოიწველა 13.077 კილოგრამი რძე.

აი ისიც! ქობულეთის რაიონის სოფელ დავვის ვოროშილოვის სახელობის კოლეგურნეობის ფერმის გამგე დემოსტენ სიღოროპულო დიდხანს იდგა ბაზის წინ და ყველა მხრიდან ათვალიერებდა სახელგანთქმულ „მოროშკას“, ბლოკნოტში იწერდა ერთიკეტზე აღნიშნულ ციფრებს. როგორც მომვლელი ამბობს, მისი სადღელამისო წველადობა ზოგჯერ 60 კილოგრამს აღწევს, რძის ცხიმიანობა — 3,82 პროცენტს. შარშან „მოროშკასაგან“ მიღებული რძიდან ქარხანამ გადამუშავა 474 კილოგრამი კარაქი.

— შესახედავად თითქოს არაფრით განსხვავდება ჩვენი ძროხებისაგან! — ეუბნება სიღოროპულო თავისი ფერმის მწველავს სოფიო კუცუროვას, რომელიც შარშან გამოფენაზე მონაწილის ვერცხლის პატარა მედლით დააჯილდოვა.

— სამაგიეროდ შენ მისი კვების რაციონი ნახე, როგორია! — ამბობს სოჭიო — დაახლოებით 70—80 კილოგრამ საკვებს მაინც აძლევენ დღე-ლამეში. მერედა როგორი მრავალფეროვანი რაციონია! — თივი, სილოსი, ძირხვენები, კონცენტრირებული საკვები... ამდენი საკვები რომ მისცე ჩვენს ძროხებს, პირობას გაძლევ, რომ ისინიც ტოლს არ დაუდებენ აქაურ „ჩემპიონებს.“

მწველავი ნაწილობრივ მართალი იყო. რა თქმა უნდა, წველადობის ასეთი სარეკორდო მაჩვენებლები მარტო კვებით როდი იყო მიღწეული. როგორც სახელგანთქმული მეცნიერებები ყვებოდნენ, ამ წარმატებათა „საიდულოება“ მდგომარეობდა როგორც შრომატევადი პროცესების მექანიზაციაში, ისე შრომის სწორ ორგანიზაციაში, მოწინავე გამოცდილების განხორციელებაში და. ა. შ. მაგრამ სოჭიო კუცუროვას მაინც მიაჩნდა, რომ წველადო-

ბის ზრდის საწინდარი მტკიცე საკვები ბაზის შექმნაშია. ამიტომ იყო, რომ კოლმეურნეობაში წელს 38 ჰექტარზე დამატებით დათესეს სიმინდი, ააგეს ორი სასილოს კოშკი, მომავალი წლისათვის კი გათვალისწინებულია ნათესების ერთობრად გაფართოება.

ექსკურსანტთა ჯგუფში არიან მეცხოველეები სხვა რესპუბლიკიდანაც. კარასნოდარელები ინტერესდებიან დაგველთა წარმატებებით. ისინიც დაუზარებლად მოუთხრობენ:

— ჩვენს კოლმეურნეობაში წამყვანი კულტურა ჩაია. შარშან საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 5.948 კილოგრამი ჩაის მწვანე ფართოლი. ერთხანს ფიქტობრნენ, რომ სათესი ფართობებისა და საძოვრების სიმცირის გამო სუბტროპიკულ რაიონებში ძნელია მეცხოველეობის განვითარება, მაგრამ გამოცდილებამ სულ სხვა გვიჩვენა. ახლა ჩვენ 168 სული მსხვილფეხა ჩვიანი პირუტყვი გვყავს. მათ შორის 57 ძროხა, რომელთაგან გასულ წელს საშუალოდ მივიღეთ 2.314 კილოგრამი რძე. ჩვენთან არიან მოწინავე მწველავები, რომლებმაც ფართოდ გამოიყენეს გამოფენაზე შარშან მიღებული გამოცდილება და წველადობის მაღალ მაჩვენებლებსაც მიაღწიეს. მაგალითად, ძროხა „ლამაზამ“, რომელსაც ოქროს პატარა მედლით დაჭილდოებული ფატყუმე შიშმანიძე უვლის, შარშან ლაქტაციის პერიოდში 4.800 ლიტრი რძე მოიწველა. წელს კიდევ უფრო უკეთესი წარმატებების მოპოვებას ვაპირებთ, რაღაც კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა სერიოზულ ღონისძიებებს ატარებს საკვები ბაზის გასამტკიცებლად.

მეზობელ ჯგუფში სწორედ ამ თემაზე იყო საუბარი. ექსკურსანტთა შორის იდგა ჯანმონით საცეს შუახნის ქალი, რომლის მექრდს ამშენებდა ორი ლენინის ორდენი, ოთხი წითელი დროშის ორდენი, გმირის ოქროს ვარსკვლავი და რამდენიმე მედალი.

— ცნობილი საბჭოთა მეურნეობა „კარავაევოს“ მეხბორე, ტაისია ალექსის ასული სმირნოვაა, — ეუბნება ექსკურსიის მძღოლი აჭარის მეცხოველეებს.

ყველანი ცნობისმოყვარეობით შემოეხვივნენ სახელგანთქმულ მეხბორეს; რომელიც კარავაევოელთა წარმატებებზე მოუთხრობდა თანამოსაუბრეებს:

— ჩვენ, კარავაევოელებს, ხშირად გვეკითხებიან თუ როგორ მივაღწიეთ ასეთ წარმატებებს. უპირველეს ყოვლისა, პირუტყვის გიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებით. ჩვენი მეურნეობის დირექტორმა სტანისლავ შტეიმანმა ოცი წელი მოანდომა მსოფლიოში საუკეთესო კარავაევოს გიშის პირუტყვის ჩამოყალიბებას. მეურნეობაში პარალელურად იზრდებოდა წარმატებათა უპირველესი საწინდარი — მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც პრაქტიკულად ანხორციელებდნენ შტეიმანის შესანიშნავ მოსაზრებებს. ახლა ჩვენთან 39 მუშაკს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო ექვსი — ორგზის გმირია.

როგორც ყოველთვის მეცხოველეთა შეხვედრისას, აქაც სიტყვა ჩამოვარდა პირუტყვის კვებაზე. მსმენელები დაინტერესდნენ როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ „კარავაევოში“.

— თავისთავად ცხალია, — თქვა სმირნოვამ. — ხეირიანი კვების გარეშე თვით ჯიშიანი პირუტყვიც კი ბევრს ვერაფერს მოგცემს. ამიტომ სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ. პტკიცე საკვები ააზის შექმნას. განსაკუთრებულ ისედეს ვამყარებთ წლევანდელ წელზე, რადგან, ისე როგორც სხვაგან, ჩვენთასაც პირველად მიეკუა სათანადო ყურადღება სიმინდს. ეს ძირითადი საკვები კულტურა ოცი ჰქონდა და ვთესეთ 400 ჰექტარზე და, რა თქმა უნდა, შედეგსაც სასურველს მივიღებთ.

ტაისია სმირნოვა უფრო მეტს ლაპარაკობს თანამოსაქმეებზე ვიდრე საკუთარ წარმატებებზე, ალბათ თავის ქებას ერიღება. მაგრამ მსმენელები ექსკურსიის მძლოლისაგან გებულობენ, რომ ამ სახელოვანმა ქალმა, რომელიც 1931 წლიდან მუშაობს „კარავაევოს“ საბჭოთა მეურნეობაში, ამ ხნის განმავლობაში გამოზარდა 2.500-ზე მეტი ხნო; რომ მისი ქალიშვილი ნინაც მეხბორეა და ორჯერ აქვს მინიჭებული სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კომეურნეობის ფერმის გამგე მემედ ცეცხლადე და ამავე ფერმის მწვევლავი ოლღა ტკაჩენერ დაინტერესუნენ შრომატევადი პროცესების მექანიზაციით. წელს ხუცუბნელებმა ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთეს — დანერგეს ელექტროწველა, მოაწყეს ავტოსარწყულებლები, ხდება საკვების მექანიკური გადამუშავება. მათ გულდასმით დათვალიერეს ცალკეული პავილიონები და მეცხოველეობის ტიპობრივი ფერმები, ბევრი რამ ისეთი ნახეს და შეამჩნიეს, რაც მათაც დაქმარებათ მუშაობაში.

— აი ისეთი საკვების გადამამუშავებელი აგრეგატი რომ მოგვაცა, მექანიზაციისა და ელექტროფიცაციის პავილიონში რომ ვნახეთ, მაშინ ნამდვილად გაგვიაღვილებოდა მუშაობა. — თქვა ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ ალი შამილიშვილმა, — ხუმრობა ხომ არ არის, დღე-ლამეში ათ ტონა საკვებს მაინც ამზადებს, ორი კაცი კი ემსახურება.

ვინ იცის აჭარის მეცხოველეებმა რამდენი ფურცელი გაავსეს საქმიანი ჩანაწერებით, კიდევ უფრო მეტი მოისმინეს და დაიმახსოვრეს. გამოფენაზე გატარებული ექვსი დღე მათთვის იმდენად დაუვიწყარი და ნაყოფიერი იყო, რომ ღიღხანს ემახსოვრებათ და გამოადგებათ მომავალ მუშაობაში.

ყოველდღე დაახლოებით 15 ათასი ექსკურსანტი ათვალიერებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას. თვითეულ მათგანს მოწინავე გამოცდილების ამ უმდიდრესი საგანძურილან მიაქვს რაიმე ახალი, მისაბაძი და სასარგებლო. დღეს ისინი სწავლობენ იმათგან, ვინც წინ გაუსწრო დროს და სხვებზე აღრე მიუახლოვდა ხვალინდელ დღეს. მომავალ წელს კი შესაძლებელია თვითონ გახდნენ მაგალითის მიმცემი.

სწორედ ამას ემსახურება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა — მოწინავე გამოცდილების ნამდვილი საგანძური.

ელისო აგრამიშვილი

1905 წლის ჩევოლუციის მოტივები  
ქართულ პოეზიაში

წელს მთელი საბჭოთა ქვეყანა დიდი აღფრთოვანებით აღნიშნავს რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავს.

1905 წლის რევოლუციამ, ამ მსოფლიო ისტორიულმა მოვლენამ, ფართო გამოხტოვლება ჰპოვა როგორც რუსულ, ისე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ახალ ამოცანებს უსა-  
ხავდა რეალისტურ მწერლობას. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების წინა-  
შე ბუნებრივად წამოიჭრა ლიტერატურის პარტიულობის საკითხთა მშრომელი  
ხალხის ინტერესების დამცველ, რევოლუციისაღმი სიმპათიურად განწყობილი  
მწერლებისათვის სახელმძღვანელო გახდა ვ. ი. ლენინის კლასიკური ნაშრო-  
მი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. ამ საპროგრამო  
სტატიაში დიდი ბელადი მწერლობისაგან მოითხოვდა მჭიდრო განუყრელი  
კავშირის დამყარებას პროლეტარიატთან, მაღალ იდეურობას და სოციალის-  
ტური იდეებით გამსჭვალული ლიტერატურის შექმნას.

ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული ეს ლიტერატურული პრინციპები საუკეთესოდ განხორციელდა ქართულ ბოლშევიკურ პრესაში („ბრძოლა“, „ჩვენი ცხოვრება“, „ახალი ცხოვრება“, „დრო“, „მნათობი“), რომლის უშუალო ხელმძღვანელი ი. ბ. სტალინი იყო. რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში მშრომელი მასების სულისკვეთებასა და მისწრაფებებს ყველაზე მკვეთრად ბოლშევიკური პრესა გამოხატავდა. ქართული ბოლშევიკური პრესა მტკიცელ იცავდა ლენინური „ისკრის“ სახელმისამართის მიზნად ისახავდა მოშათა რევოლუციორი მოძრაობისათვის ხელის შეწყობას.

ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე საქმაოდ ღილი აღილი ჰქონდა დათმობილი მხატვრულ ლიტერატურას, რომლის ამოცანას შეაღენდა, დაუნაცვებინა მყითხველი საზოგადოებისათვის ქვეყნად გაბატონებული უსამართლობინა მშრომელი ხალხის კლასობრივი შეგნება, დაერაზმა იგი რევოლუციური ბრძოლისათვის.

განწირული ბრძოლებისაკენ. სანიმუშოდ შეიძლებოდა მოგვეტანა მიხო ბოჭორიძის ლექსილან „ამხანაგებს“ სტრიქონები:

ბრძოლა და ბრძოლა მეღარი,  
ეს ჩვენი წმინდა ვალია,  
აწმყოს დაეცა თავზარი,  
ახლოს ჩანს მომავალია!

როგორც ჩანს, ი. ბ. სტალინი ამ ლექსს დიდ სააგიტაციო მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ იყო, რომ ეს სტრიქონები ბელადმა გამოიყენა 1902 წლის 29 ივნისის ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის სახელით გამოცემულ პროელამაციაში „ამხანაგებო—მუშებო!“

მგზნებარე მოწოდებას წარმოადგენდა აგრეთვე გაზეთ „ბრძოლაშა“ „ბუკის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული სამაისო ლექსი „ძმებო, გავიღეთ ბრძოლისა ველზე!“ — ლექსი იწყება რევოლუციური პათოსით გამსჭვალული სტრიქონებით:

მაღლა ავმართოთ წითელი დროშა  
და იერიშით მივიღეთ მტერზე,  
ძირს მეფის ტახტი! ძირს მტარვალები!  
ძმებო, გავიღეთ ბრძოლისა ველზე!

გაბედულად გაისმოდა აგრეთვე ბოლშევიური პრესის ფურცლებზე ლადო დარჩიას ლექსები. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როდესაც კიდევ უფრო გაშიშვლდა ცარიზმის სიმახინჯე, ლადო დარჩია მძღვანელებით საესე სიტყვებით მიმართავდა მეფის სატრაპებს და ამავე დროს გამოსთქვამდა მშრომელი ხალხის გამარჯვების მტკიცე რწმენას:

მტარვალო! რაგინდ შეამ-გესლიანი  
ისარი სტყორცნო დატანჯულ ერსა,  
მაინც ვერ შესძლებ მათ დამარცხებას,  
ვერ დაიმონებ ხალხს აწ ძლიერსა!

ქართული ბოლშევიური პრესის დამსახურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მის ფურცლებზე პირველად დაიბეჭდა რევოლუციური სიმღერები „ვარშავიანეა“, „მარსელიეზა“ და გორქის ცნობილი ლექსი „მზე ამოდის და ჩადის“, რომლის პირველი თარგმანი ბეგლარ ახოსპირელს ეკუთვნის. ხოლო შემდეგ მისი ჩინებული თარგმანი პოეტმა ირ. ევდოშვილმა მოგვცა.

1905 წ. რევოლუციამ მკაფიო გამოხატულება პირვა აგრეთვე ქართველი კლასიკოსების შემოქმედებაში, კერძოდ, აკაკი. წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პოეზიაში.

მგზნებარე პატრიოტი; მშრომელთა ინტერესების ერთგული დამცველი, დიდი რეალისტი მწერალი აკ. წერეთელი აღტაცებით შეხვდა 1905 წლის რევოლუციის. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და შემოქმედების მანძილზე დიდი პოეტი მახვილი კალმით მუდამ გაბედულად იბრძოდა ცველა სოციალური უკულმართობისა და უსამართლობის წინააღმდეგ. აკ

წერეთელი მგზნებარე მხატვრული სიტუაცია მუდამ აღვიყებდა ქართველ ხალ-სში პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას და ნერგავდა მშრომელებში უდიდეს მძულვარებას მჩაგვრელების წინააღმდეგ, ხოლო რევოლუციის წლებში შხვანი პოეტის ოპტიმისტური ლექსები („ნატერა“, „გურული ნანინა“, „ძირს“, „ინტერნაციონალი“, „თქვენი ჭირიმე“, „სიმღერა“, „კოჭაობა“, „გლეხის ჩივილი“ და სხვ.) საბრძოლო მოწოდებად გაისმა ქართველ ხალხ-ში. აკაკის ეს ლექსები გამსჭვალული არიან უკეთესი მერმისის ღრმა რწმენით.

რეალისტი მწერალი კარგად ხედავდა, რომ აწმყო სულისშემხუთველი იყო, მაგრამ მას ისიც სჯეროდა, რომ მალე ახალი ეპოქა დადგებოდა, რომელიც მშრომელ ხალხს ბედნიერებას მოუტანდა. ერთ-ერთ წერილში აკაკი წერდა: „მრწამს და მოველი, რომ მეცხრამეტე საუკუნის დანაკლისს მეოცე საუკუნე შემიგებს... ამ თავითვე მე მეჩურჩულება ოცნება და მომავლის იმედი დღევანდელს ჩემს წყლულს მაღამოდ ედება“. იგივე მოტივი ჰდება აკაკის ლექსებში „ჩვენი აწმყო“ და „გაზაფხული“:

ჯერ კი თუმცა ჩვენი აწმყო  
ბავშვობაა.. თამაშობა!  
მაგრამ მაინც გულს ნუ ვიტეხთ,  
რაღანც ახლოს არის შობა!

ხოლო ლექსში „გაზაფხული“ პოეტი ასეთი გამამხნევებელი სიტუაციის შიმართავს ბუხარს:

გამხიარულდი, ბუხარო,  
გულჩათხრობილი ნუ ხარო!  
ზაფხული მოდის, ზამთარი  
მიღის და რაღას სწუხარო!

ცხადია, აკაკი წერეთელი ზაფხულში ალეგორიულად მზიან მომავალს გულისხმობდა.

რევოლუციის ბობოქარ დღეებში პოეტი მთელი არსებით თანაუგრძნობდა ახალი თაობის მიერ წამოწყებულ რევოლუციურ საქმეს, რომელსაც ქვეყნისათვის უნდა მოეტანა „შვება, თანხმობა, ძმობა, ერთობა!“ ამ მაღალი, კეთილშობილური იდეების განხორციელებისათვის მოუწოდებდა იგი მშრომელ ხალხს გადამწყვეტი ბრძოლისაკენ:

„ძირს, მთავრობა, უსამართლო!  
ვეღარ ვიტანთ გასაჭიროს“,  
ყოველი მხრივ გეძახიან:  
„ძირს, მთავრობავ! აწ-კი ძირსო!“

ჩვენის სისხლით, ჩვენის ოფლით  
უხვად რწყავდი. ქვეყნის პირსო,  
დღეს ეს აღარ მოხერხდება,  
გეუბნებით მიტომ — „ძირსო!“

1905 წლის დეკემბერში აკაკის მიერ დაწერილი ეს ლექსი ნამდვილი საპრძოლო მოწოდება იყო.

აკაკი უდიდესი სიხარულით ეგებებოდა ახალ ცხოვრებას და მთელ თავის იმედებს ახალგაზრდობაზე, ახალ რევოლუციურ თაობაზე ამყარებდა, ამიტომ იყო, რომ იგი განუხრელი სიყვარულით მიმართავდა მათ:

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!..  
ვიცინი, აღარ ვსტირი მე!  
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ  
გამოდით, თქვენი ჭირიმე!..

საგულისხმოა, რომ რეაქციის შავბნელ წლებშიც კი აკაკი იმედს არ ჰქარებავდა, ოპტიმისტური სულისკვეთების პოეტი ლრმად იყო დარწმუნებული ხალხის ძალაში, მისი გამარჯვების გარღუვალობაში:

მაგრამ სულ ასე ხომ არ იქნება?  
ერთხელაც არის გასჭრის სიმართლე,  
წარხოცს დღევანდელ უსამართლობას,  
შემოანათებს ბნელში სინათლე!

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი ეპიზოდი აკაკის ცხოვრებიდან:

1905 წელს პოეტმა განიზრახა უურნალ „ხუმარას“ გამოცემა. მისი მიზანი იყო ამ უურნალში მოთავსებული მწვავე სატირიკული თხზულებებით ბრძოლა გამოეცხადებინა თვითმყრობელობისათვის. უურნალის გამოცემა აკაკიმ 1905 წელს ვერ განახორციელა. მხოლოდ 2 წლის შემდეგ, 1907 წლის იანვარში გამოვიდა „ხუმარას“ პირველი ნომერი. სამწუხაროდ, იგი აღმოჩნდა უკანასკნელიც. „ხუმარამ“ შესწყვიტა თავისი არსებობა, ხოლო „მისი მოხუცი რედაქტორი მეტეხისაკენ გაუყენეს“ (აღმანახი — „აკაკი“, 1908 წ., გვ. 8). ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ აკაკიმ ამ ნომერში მოათავსა ლექსი „დიდყურაანთ ყროყინა“, რომელშიც პოეტი სატირიკულ ფერებში წარმოგვიდგენდა ქართველი ერის მოძულეს — გუბერნატორ ჩაუშ-ფონ-ტრაუბენბერგს. ცნობილია, რომ თბილისის მარშალი გ. ა. ბაგრატიონი იმდენად ყოფილა აღშფოთებული გუბერნატორის ქედმალლობით, რომ ერთ-ერთი ოფიციალური ცერემონიის დროს, მისალმებისას, თბილისის გუბერნატორისათვის ხელი არ ჩამოურთმევია. იუმორის ერთ-ერთ წყაროდ აკაკის თავის ლექსში ეს ფაქტიც გამოუყენებია:

და ნიშანდურს უღლესაგას  
გულმოსული მარშალი.

აკაკის ამ სატირულ ლექსს კიდევ უფრო მეტ კომიკურობას მატებდა კარიკატურა, რომელშიც გამოხატული იყო გუბერნატორების ტანსაცმელში გამოწყობილი სახედარი. მის ახლოს იდგა თბილისის თავადაზნაურობის მარშალი, რომელიც მისთვის ნიშალურს ლესავდა.

ცხადია, აკაკის ამ ლექსმა და კარიკატურამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთავრობის მოხელეებში. „ხუმარა“ — პირველი ქართული იუმორისტული ჟურნალი — დაიხურა, ხოლო მისი რედაქტორი დააპატიმრეს.

აკაკის გამოჩენას მეტების ციხის პატიმრებში დიდი მღელვარება გამოუწვევია. მათ კატეგორიულად მოუთხოვიათ ქართველი ხალხის საყარელი მწერლის გათავისუფლება. აკაკის მეტების ციხეში დიდი ხანი არ დაუყვია. ერთი დღის შემდეგ იგი გაათავისუფლეს. აკაკის გათავისუფლებასთან დაკავშირებით იუმორისტულ ჟურნალ „მასხარაში“ გამოქვეყნდა მუშა მხატვრის გ. ზაზიაშვილის კარიკატურა, რომელშიც გამოხატული იყო მხცოვანი დაპატიმრებული პოეტი შეიარაღებული მცველებით. კარიკატურას წარწერილი ჰქონდა: „აკაკის მოგზაურობა „ხუმარას“ რედაქციიდან მეტესამდის.“

აკაკი წერეთლის აშკარა სიმპათიები რევოლუციის მხარეზე რომ იყო, ამას ისიც მოწმობს, რომ ქართულ ენაზე მან თარგმანა პროლეტარული ჰიმნი „ინტერნაციონალი“, რის გამოც პოეტი პასუხისმგებაში მისცეს, ხოლო „პატარა გაზეთი“, რომლის ფურცლებზედაც აკაკის ეს თარგმანი გამოქვეყნდა, დაიხურა.

მიუხედავად იმისა, რომ აკაკი ვერ აშალლა რევოლუციის მოწინავე იღებამდე, მაინც მისი ოპტიმისტური, მომავლის მტკიცე რწმენით გამაჭვალული ლექსები ქართული რევოლუციური პოეზიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ასეთივე აღტრთოვანებით შეხვდა 1905 წლის რევოლუციის ქართველი ერის საამაყო შვილი — ვაჟა-ფშაველა.

ცხადია, ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე როგორც კალმით, ისე საქმით მუდამ მამაცურად იბრძოდა ყოველგვარი უსამართლობისა, ჩაგვრისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯი მხარეების წინააღმდეგ, ადამიანი, რომელიც მუდამ გულმხურვალედ იცავდა მშრომელი ხალხის ინტერესებს, მის ადამიანურ ლირსებებს, არ შეიძლებოდა გულგრილად შეხვედროდა 1905 წლის რევოლუციას, რომელიც მაშვრალ, პატიოსან ხალხს თავისუფლებას პირდებოდა.

დიდი პოეტი არა მარტო თავისი მხატვრული, ძარღვიანი სიტყვით ვამოეხმაურა ამ მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღს, არამედ პრაქტიკულადაც კი იღებდა მონაწილეობას 1905 წლის რევოლუციაში.

თავის სამშობლო მხარეში ვაჟა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სულისხამდგმელი იყო. აი, რას მოგვითხოვოს ამის შესაწებ მ. შამანაური: „1905 წელს, იაპონიასთან ოში დამარცხებასთან დაკავშირებით, რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, რაც მთელ საქართველოსაც მოედო. ყველგან გაფიცვები, მიტინგები, ყველგან რევოლუ-

ციური მოძრაობა იყო. ფშავ-ხევსურეთში პირველი გამოსვლები ვაჟამ მოაწყო". — ვაჟა ამბობდა, — მოგვითხრობს მ. შამანაური, — საქართველოს განთავისუფლება ჩვენ აქედან — მთიდან უნდა დავიწყოთ. ჩვენ უნდა მუჭლუგუნი ვკრათ ბარს, რომელსაც სძინავთ.

როგორც ამ მოგონებიდან ირკვევა, ვაჟას თაოსნობით რევოლუციურად განწყობილ მთიელებს გადაუწყვეტიათ შეეღინათ მებრძოლი რაზმები, აეღოთ თბილისი და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ. ამ საქმის ხელმძღვანელად მთის ხალხმა ვაჟა-ფშაველა აირჩია. „დანიშნულ დღეს, — ვკითხულობთ შამანაურის მოგონებაში, — მოვიდნენ ხევსურეთის შვილები თავით-ფეხებამდე შეიარაღებული, მოგროვდნენ ბარი. სახოში და დასდეს ფიცი, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ თავისუფლებისათვის. ეს ფიცის ფურცელიც ვაჟამ შეადგინა. „ვაჟა — ეუბნებოდნენ ხევსურეთის შვილები, — ჩვენ დაგხავსთით, ჩვენს იარაღს ობი და უანგი მოეკიდა, იარაღს გაპრიალება უნდა და საღ უნდა გავაპრიალოთ ეს იარაღი, თუ არა თავისუფლებისათვის ბრძოლაშიო?“

იმავე მოგონებიდან ვტკობილობთ, რომ ვაჟას თავისი თანამებრძოლების თხოვნით ექსპრომტად ქართული „მარსელიეზა“ დაუწერია. ეს ლექსი ასე იწყებოდა:

დღეს ცხნის დღე არის, ვით მოვითმინოთ,

აიკლეს ჩვენი ცხოვრება, ბინა.

გაიწით ძმანო, გაიწით წინა!

ქართველ რევოლუციონერთა შორის ვაჟას ეს ლექსი დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ასე ახლოს მიღიდა ვაჟა-ფშაველა 1905 წლის რევოლუციისთან. ამ მნიშვნელოვანმა მოვლენამ მძლავრი გამოძახილი პპოვა ჰუმანისტი მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში. რევოლუციურ მოძრაობას მიუძღვნა ვაჟამ მთელი რიგი ლექსები: „გულო, არ გასტყდე!“, „მხედართა ძველი სიმღერა“, „მათრია წუთისოფელმა“, „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, „ხევსური ბერდია“, „რაღ ამბობთ გაზაფხულდაო“ და სხვ.

ჯერ კიდევ რევოლუციის გარიურაუზე — 1904 წელს ვაჟა წერს მებრძოლი ენთუზიაზმით აღსავსე ლექსს: „გულო, არ გასტყდე!“

ვაჟას ოპტიმიზმი მუღავნდება აგრეთვე ლექსში „შემოდგომა“, სადაც პოეტს ალეგორიულად გატარებული აქვს უკეთესი მერმისის იდეა. ბუნების მწუხარე, დათალხული სურათების დახატვით, ვაჟა მისი დროის უსიხარულო და ბნელ ცხოვრებას გადაგვიშლის. მაგრამ პოეტი ნუგეშობს იმით, რომ სუსაინ ზამთარს გაზაფხული შესცვლის, რომელიც სიცოცხლის სულს შთაბერავს მიძინებულ, მკვდარ ბუნებას:

კიდევაც მოვა ზაფხული,

აყვავდებიან ველები,

შეიბურება ფოთლითა

არყი, ვერხვი. და თელები.

საქონლით დაიფინება  
ჭალა და მთისა ყელები.  
ფერხულს დააბამს ბუნება,  
მღერას იწყებენ მწერები,  
დაცოცხლდებიან ახლა რომ  
დაწყვეტილი აქვთ წელები.

რევოლუციის დღეებში ვაჟას ლექსები კიდევ უფრო მეტი პათოსით იმსჭვალება, კიდევ უფრო გაბეღულად უღერს მებრძოლი პოეტის მხატვრული სიტყვა. რევოლუციამ მოურჩინა ვაჟას „მტკივანი წელი“, მოუშუშა „გულის წყლულები.“ პოეტი აღტყინებით წარმოსთქმაში:

ტყდება მონობის ბორკილი;  
დღესასწაულობს გონება!

გახარებული მგოსანი მადლობის გრძნობით იხსენიებს იმ გმირებს, რომლებმაც მამაცურად დალვარეს სისხლი კეთილშობილური იღეების განხორციელებისათვის:

ვაშა მათ მოღვაწეობას,  
ვაშა მათ ამაყ დროშასა!  
ნეტარ ხსენება ჩვენ მიერ  
მათ სისხლით მორწყულ შრომასა!

რეაქციის წლებში, როდესაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი სასოწარკვეთილებასა და უიმედობას მიეცა, ვაჟას მეამბოხე სული დროებითმა დამარცხებამ მაინც ვერ გატეხა. რევოლუციის ექსტაზით შეპყრობილი პოეტი მაინც ვაჟააცურად გაიძახოდა:

კიდევაც ვნახავ, უხვადა  
ვარღნი, იანი ყვაოლენ,  
ნაცარმტვრად იყვნენ ქცეულნი,  
ვინაც გუშინა ზვაობდენ;  
შხამის და გესლის მთესველნი  
მოისპნენ, არარაობდნენ.  
ჩვენის სიკვდილის მსურველნი  
ყორნები ვეღარ ჩხაოდნენ!

ასე ბოლომდე რევოლუციის ერთგული დარჩა ვაჟა. მართალია, აკავი წერეთლის მსგავსად, ვაჟა-ფშაველაც ვერ ჩასწვდა ბოლომდე 1905 წლის რევოლუციის — უაღრესად რთული სოციალური მოვლენის არსა, მაგრამ მისი ლექსები, უდავოდ, აღვივებდა მშრომელებში დაუშრეტელი ბრძოლის სურვილს.

საქართველოში რევოლუციის მომღერლად, ტრიბუნად იროდიონ ევდო-შვილი ითვლება. ევდოშვილი იმ პერიოდის ქართული — დემოკრატიული პოეზიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედება ეხმაურება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ყოველ მოვლენას, პოლიტი-

კური, ეკონომიური და სოციალური ძერების ყოველ მომენტს. ორ. ევლო-შვილისათვის პოეზია ხალხის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლის იარაღია. მებრძოლი სულისკვეთება, მგზნებარე ოპტიმიზმი და ნათელი მომავლისადმი ღრმა რწმენა — აი რა ასაზრდოებს ევლოშვილის შემოქმედებას. ჭერ კიდევ 1895 წელს ბრძოლის სურვილით აღნენებული პოეტი ასე მოუწოდებდა-შეგობრებს:

წინ, წინ, მედგრად შევებრძოლოთ  
ჩარხუკულმართ ამ ჩვენს დროსა,  
ჭირის თფლში გავატაროთ  
სიმართლის და ძმობის დროშა!

ხოლო 1900 წელს დაწერილ ლექსში „სიმღერა“ გამოხატულია რევოლუციის ქარიშხლინი დლეების მოახლოების წინათგრძნობა:

მაინც ველით განთიადსა,  
არ შედრკება ჩვენი გული,  
უკვე ადგა ქარიშხალი,  
განთიადის მოციქული!

რევოლუციას მგზნებარე პათოსით ანთებული ლექსებით შეხვდა ორ. ევლოშვილი. მისი შებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსები „ამირანი“, „ახალი ნანია“, „მეგობრებო, ვაჟუაცურად“, „წითელი დროშა გავშალოთ“, „შემოკრბით ძმებო“, „ჩემს მტერს“, „სიმღერა“, „ჩემს ჩანგა“ და სხვ. პროკლამაციის როლს ასრულებდნენ.

რევოლუციის მაღალი, კეთილშობილური იდეებით გატაცებული პოეტი მიზნად ისახავდა არა მარტო მხატვრული სიტყვით, არამედ საქმითაც დაემტკიცებინა თავისი ერთგულება საერთო, რევოლუციური საქმისადმი. ეს ნათლად ჩანს ლექსში „ჩემს ჩინგურს“:

აბა, თამამად ბარიკადებზე!  
ჩასაც სიმს ცემდით, იმავ თითებით  
გამოვქრათ ჩახმახს — ან მტერი ან ჩვენ,  
ორივ ერთად კი ვეღარ ვიწენებით!

და თუ აქაყი თავის სატრფოდ სამშობლოს სახავდა, რევოლუციონერი პოეტის ორ. ევლოშვილის უანგარო სიყვარულის საგანი ქარიშხალია, რევოლუცია:

ჩემი სატრფოა აწ ქარიშხალი,  
ზღვა აგზნებული, ზღვა ბობოქარი,  
ხალხის გულიდან ამოვარდნილი.  
ჭექა-ჭუხილი და ნიაღვარი!  
მე იმას მიესდევ მედგარ ფრთიანსა,  
მას ვუკრავ ჩინგურს, იმისთვის ვმღერი,  
ჩემი სატრფოა დილის ცისკარი  
და განთიადი პირმშვენიერი!

მტერზე გამარჯვების ღრმა ჩრდილო დაიმედებული პოეტი თავის მე-  
გობრებს ვაჟაპური, თავგანწირული ბრძოლებისაკენ მოუწოდებდა:

მეგობრებო, ვაჟაპურად  
გულადობა უსწორ ომში,  
წინ წავიდეთ ჩვენ ერთგულად,  
დავიხოცნეთ სამშობლოში!

ასეთსავე მგზნებარე მოწოდებად უღერს ირ. ევდოშვილის ლექსები:  
„წითელი დროშა გავშალოთ!“, „უკანასკნელი ზეირთი“ და „ტალღა ტალ-  
ღაზე მოგორავს“.

მართალია, რეაქციის შავბნელ წლებში ირ. ევდოშვილი თავის პოეტურ  
ნაცვლიან პანგზედაც აუღერებდა, მაგრამ პოეტის ამგვარ განწყობილე-  
ბას, უდავოდ, თავისი სოციალური საფუძველი ჰქონდა. ირ. ევდოშვილის  
სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ მისი სევდა არასოდეს გადაზრდილა სრულ  
უიმედობასა და მელანქოლიაში. ირ. ევდოშვილის შშფოთვარე, მებრძოლი  
სული არ ცხრებოდა. პოეტი კვლავ მოუწოდებდა მშრომელებს ბრძოლისა-  
კენ, კვლავ გამოსთქვამდა მომავლის რწმენას. ამ თვალსაზრისით საგულის-  
ხიოა ირ. ევდოშვილის ლექსები „გმირს“ და „გმირის საფლავზე“. ამ ლექ-  
სებში ლადო კეცხოველისა და არსენ ჭორხიაშვილის თავგანწირული ბრძოლით.  
ალტაცებული პოეტი ქება-დიდებას ასხამს რევოლუციური საქმისათვის და-  
ღუპულ გმირებს. პოეტს ღრმად წამს, რომ ხალხი, რომელსაც შეუძლია  
დაპატიოს ასეთი უანგარო მებრძოლები, საბოლოოდ მაინც გაიმარჯვება:  
საერთო საქმისათვის დაღუპული გმირების საფლავი რევოლუციონერ პოეტ-  
ში კიდევ უფრო მეტად აღვივებდა სასტიკი ბრძოლის წყურვილს თავისუფ-  
ლების მოსაპოვებლად:

წყეულიმც ვიყოთ გულგატეხილნი,  
უკან დაწევა ვინც განვიზრახოთ,  
მაშინ ხომ, ძმებო, მათი საფლავი  
უნდა წავბილწოთ და გადავლახოთ!  
არა და არა, მათშია ძალა,  
თავგანწირულად ვინც რომ კვდებიან,  
ჩვენი დროშის ქვეშ, წითელ დროშის ქვეშ  
ვინც იბრძოლებენ, არ შედრკებიან!

1905 წლის რევოლუციაში გარკვეული გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა  
მოწინავე მწერლის — ს. შანშიაშვილის პოეზიაში. რევოლუციის დასაწყის-  
ში პოეტი წერდა:

გაშა ჩვენს იმედს, აღფრთოვანებას, —  
ცხადს, სინამდვილეს, არა ზმანებას!  
ჩქარა, ჩვენს მიზანს აშ. ხელი ვტაცოთ!  
თავისუფლება მტერს გამოვტაცოთ!

რევოლუციის ექსტაზით არის შთაგონებული ს. შანშიაშვილის „ბრძოლის სიმღერა“. ლექსის ყოველ სტრიქონში ჩანს პოეტის დაუცხრომელი ბრძოლის სურვილი, მწერალი ომახიანად მოუწოდებს თანამებრძოლებას შეკავშირებული, თავიანწირული შეტევისაკენ, რათა პირნათლად. მოიხალონ ვალი შთამომავლობის, ხალხის წინაშე:

შემოკრბით ერთად!  
დასძახეთ მედგრად!  
თავი გავწიროთ,  
მსხვერპლი შევწიროთ  
და მოვიხადოთ მით ჩვენი ვალი!  
ყრმანო, მებრძოლნო, აღმართეთ ხმალი!

მართალია, 1905 წ. რევოლუციის დამარცხებამ გარკვეული დალი დაასდა ს. შანშიაშვილის ოპტიმისტურ განწყობილებას, მაგრამ რეაქციის მძვინვარების პერიოდშიაც პოეტის ზოგიერთი ლექსი („გწამდეს ოდესმე შურს იძიებენ“, „გულს ნუ გაიტეს“, „ხალხს“ და „ამირანი“) კვლავ საბრძოლო მოწოდებად გაისმოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ლექსი „ხალხს“ პოეტის შემოქმედებითს და პოლიტიკურ მრწამს გამოხატავს. პოეტური ალტყინებით უმღერის ს. შანშიაშვილი ამ ლექსში თავის საყვარელ სამშობლოს, ხალხს, რომელსაც არა ერთგზის უბრძოლია მტრის დასამარცხებლად. მწერალი ამაყობს თავისი ერის გმირული წარსულით. მოხდენილი პოეტური თქმების საშუალებით სანდრო შანშიაშვილი აღწევს მიზანს — მთელი სიძლიერით დაგვანახოს თავისი ძლიერი სიყვარული სამშობლოსადმი. პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალული პოეტი გაბედულად მოუწოდებს თავის ერს დაუცხრომელი ბრძოლებისაკენ. მწერალს სურს თავისი ხალხი იხილოს ბრძოლის ქარცეცხლში გახვეული, სისხლით დაფერილი მახვილით, რაღაც მას წამს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება იხსნას თავი ხალხმა სამარცხვინო მონური აწმყოსაგან. გულწრფელად ულერს ს. შანშიაშვილის სიტყვები:

ისე არ მოვკვდე, არ აღვმართო ღროშა ძლევისა,  
ისე არ მოვკვდე, არ დავსძახო ჰიმნი ზღვევისა!  
მიყვარხარ ოდეს გხედავ თამამს, ჩვენს ტურფა ზენარს,  
გრძნობით, სიცოცხლით დაუცხრომელს და მოუსვენარს!  
შენ შემოგხარი, რომ ხარ მტკიცე და სულით ურჩი.  
მუდამ შენ გიმღერ, შენთვის ბრძოლას თუ გადავურჩი!

ასეთი მძლავრი გამოძახილი პპოვა 1905 წ. რევოლუციამ ქართულ პოეზიაში. რევოლუციურად განწყობილი ქართველი პოეტები მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული მხატვრული სიტყვით კიდევ უფრო მეტად ანთებდნენ მშრომელთა შორის რევოლუციური ბრძოლის სურვილს.

## ბათუმის თეატრი რუსეთის პირველი ჩევოლუციის წევზი

ბათუმის მუშებმა დიდი წვლილი შეიტანეს 1905—1907 წლების მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში. მათი თავდადებული ბრძოლა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრწყინვალე ფურცლად შევიდა ქართველი ხალხის ისტორიაში.

მეტად საინტერესოა და საყურადღებო ის მოვლენა, რომ ბათუმის მუშები ამ პერიოდში აქტიურად იყვნენ ჩამოსული თეატრალურ მოღვაწეობაში და სასცენო ხელოვნება ერთ-ერთ მძლავრ იარაღად გამოიყენეს კლასობრივ მტერთან ბრძოლაში.

90-იან წლებში ჩაისახა და განვითარდა ქართული სახალხო თეატრი. პირველი ასეთი თეატრი მოაწყეს თბილისის მუშა-ხელოსნებმა 1893 წელს. ეს თეატრი უპირატესად დგამდა ისეთ პიესებს, რომლებიც სოციალური ბრძოლის იდეებს შეიცავდნენ. თეატრი, ამრიგად, ხელს უწყობდა საქართველოს მუშათა კლასის გათვითცნობიერების საქმეს, მუშათა კლასის დარაზმეას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

თბილისის სახალხო თეატრის მაგალითზე 900-იან წლებიდან სახალხო თეატრები და მუშათა დრამატული წრეები დაარსდა საქართველოს ზოგიერთ სხვა ქალაქებშიც და მათ შორის ბათუმშიც.

ბათუმში ქართული წარმოდგენები 1879 წლიდან იმართებოდა. სცენის-მოყვარეთა წარმოდგენების მოთავე-მონაწილე იყო ბათუმის ინტელიგენცია. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუქლოდა დიდ ქართველ მწერალს დავათ კლდიაშვილს. დიდი ამაგი დასდო 90-იან წლებში ბათუმში თეატრალური ხელოვნების განვითარებას აგრეთვე მსახიობმა სტეფანე ხარაზიშვილმა.

1901 წელს ბათუმის მუშების თაოსნობით ცალკე დაარსდა მუშათა დრამატული წრე. ამ წრის მოღვაწეობა თავიდანვე ბათუმის ჩევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტთან იყო დაკავშირებული. ქართველი თეატრის ისტორიკოსი ს. გერსამია წერს, რომ კომიტეტმა წრეს ორი მთავარი მიზანი დაუსახა: მუშებისათვის და საერთოდ ქალაქის დემოკრატიული ნაწილისათვის. კულტურული მომსახურების გაწევა და მათი გათვითცნობიერება. მეორეც, წრეს უნდა გაემართა ფასიანი წარმოდგენები და შემოსული თანხა გადაედო პოლიტიკურ პატიმართა, გადასახლებულთა და მათი ოჯახებისათვის ნივთიერი დახმარების ფონდის გასაძლიერებლად.

წრის პირველი მოთავე და რეჟისორი იყო მუშა მოსე წეროძე. ამ წრეში რევოლუციის პერიოდში სცენისმოყვარებად იყვნენ: მაგდანა მგელაძე, პელაგია სიხარულიძე, ნატალია კირთაძე, ირინე ქორიძე, მინალორა გორგოლაძე, ედუარდ ფირცხალაშვილი, ევგენია სოლორაშვილი, სილოვან ივანიძე, შათე გორგილაძე, ილიკო მანჯგალაძე, ილიკო მგელაძე, სანდრო აბზიანიძე, ისაკი ქიქავა, ვარლამ კალანდაძე, სერგო უფარაძე, გერონტი ტუსკია, ელისო ლომინაძე, დომენტი ვადაჭკორია, ილარიონ დარაზველიძე, დარისპან დარაზველიძე და ნესტორ კალანდარიშვილი.

წრე გულმოდგინედ ასრულებდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის მიერ დასახულ ამოცას. წარმოდგენები იმართებოდა ფარულად კერძო სახლებში. ესწრებოდნენ მუშები და მათი ოჯახის წევრები.

1904 წლის დამდეგს დაიშალა ქალაქის ცენტრში არსებული ინტელიგინტთა დრამატული წრე და ამ წრის ზოგიერთი წევრი მუშათა წრეს შეემატა. ამის შემდეგ წრე თავის წარმოდგენებს უკვე ლეგალურად მართვდა ეგრეთ წოდებულ „რკინის თეატრში.“ (ამ სათავატრო შენობაში წინათ რკინიულობის საწყობი იყო და ამიტომ ეწოდა „რკინის თეატრი.“) იგი იტევდა 800-მდე მაყურებელს. შენობა დაინგრა 1924 წელს დიდი თოვლის გამო. მის აღილზე ამჟამად სახელმწიფო ცირკის შენობაა).

ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე „რკინის თეატრში“ მუშათა დრამატული წრე დაიწყებდა წარმოდგენების გამართვას, შენობა და მისი დიდი ეზო გადაქცეული იყო ბათუმის მუშების რევოლუციური მოღვაწეობის შტაბად. ერთ-ერთი ძველი თეატრალის ნესტორ რუსიეშვილის მოგონებით „რკინის თეატრში“ იმართებოდა არალეგალური კრებები, აქედან ვრცელდებოდა პროკლამაციები და სხვ.

ბათუმის მუშათა დრამატული წრის წარმოდგენების შესახებ დაზუსტებული და სრული მასალები არ მოგვეპოვება, მაგრამ ზოგიერთი ცნობის მიხედვით; რომლებიც იმდროინდელ პრესაში მოიპოვება, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ წრე დგამდა ისეთ პიესებს, რომლებიც სელს უწყობდა. მშრომელთა რევოლუციურ სულისკვეთებას. ასე, მაგალითად 1904 წლის 3 თებერვალს დაიდგა პ. იბაშენის „ექიმი შტოკმანი“, რომელიც მოსკოვში სამხატვრო თეატრში დაგმის შემდეგ დიდად პოპულარული იყო რუსეთის სცენაზე. თავისი პროტესტული შინაარსის გამო. 1905 წლის 20 სექტემბერს წრემ წარმოადგინა ი. გომართელის პიესა „ქოხში“, რომელიც ასახავდა ქართველი გლეხის შიძე ცხოვრებას.

ბათუმის მუშათა დრამატულ წრეს და მის ირგვლივ დარაზმულ მუშათა აქტივს ერთი მეტად მნიშვნელოვანი საქმის გაკეთებაც დასჭირდა. ეს იყო წინააღმდეგობის გაწევა და ბრძოლა ბათუმის შავრაზმელებთან, რომლებსაც მეთაურობდა აღგილობრივი რუსული გაზეთის „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი ყოფილი მსახიობი გრიგოლ პალმი. ნესტორ რუსიეშვილი იგონებს, რომ მის ირგვლივ მოკალათებული იყვნენ ასეთივე შავრაზმული ელემენტები, რომლებიც ცდილობდნენ თეატრალურ სფეროშიც გაეცელებინათ თავიანთი რეაქციული ზრახვები. თეატრით დაინტერესებული

იყვნენ შავრაზმელები—რკინიგზის ინჟინერი ობოლენცი და უბნის მეთვალყურე პოლიციელი შეიკინი, რომლებიც შავრაზმელთა დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდნენ. ეს წრე დგამდა რეაქციული შინაარსის პირებს, მაგრამ ყოველი ასეთი წარმოდგენის დროს მუშა-სცენისმოყვარენი ბათუმის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის დავალებით ობსტრუქციებს მართავდნენ. 1901 წელს ბათუმში გამოჩნდა ვინმე რუძევიჩი, რომელმაც რუსული დრამატული დასი შეაღინა. მას მფარველობდა გრიგოლ პალმი. რუძევიჩმა მოამზადა დასადგმელად ს. ლიტვინისა და ვ. კრილოვის ანტისემიტური პიესა „კონტრაბანდისტები“, რომელიც თავისი შინაარსით ზიზღს იწვევდა ებრაელთა მიმართ.

ეს პიესა 1901 წელს პირველად წარმოდგენილი იყო პეტერბურგში რეაქციონერ სუვორინის თეატრში. წარმოდგენა ჩაშალა პეტერბურგის ახალგაზრდობაშ და თეატრის ახლო-მახლო ქუჩებში პოლიტიკური დემონსტრაცია გაიმართა. პოლიციაშ ამ საქმეზე ბევრი სტუდენტი დააპატიმრა. პოლიციის მფარველობით რეაქციონერებმა რუსეთის მთელ რიგ ქალაქებშიც სცადეს „კონტრაბანდისტების“ დადგმა, მაგრამ ამ ცდამ ყველგან ისეთივე დემონსტრაციები გამოიწვალა, როგორც პეტერბურგში.

რუძევიჩის დასმა „კონტრაბანდისტები“ ჭერ ქუთაისში დადგა (1901 წლის 16 აპრილს), მაგრამ ქუთაისის მშრომელებმა წარმოდგენა ჩაშალეს. 5 მაისს რუძევიჩმა სცადა ქუთაისში ამ პიესის გამეორება, მაგრამ წარმოდგენა კვლავ ჩაიშალა.

ამის შემდეგ რუძევიჩმა „კონტრაბანდისტები“ ბათუმში დადგა, მაგრამ ცდა აქაც მარცხით დამთავრდა. წარმოდგენას ესწრებოდნენ მუშები, რომლებსაც ობსტრუქცია უნდა მოეწყოთ. ობსტრუქციის ორგანიზატორები იყვნენ მუშათა დრამატული წრის წევრები. წარმოდგენას ესწრებოდნენ აგრეთვე შავრაზმელები და გენერალი სლავოჩინსკი.

მეორე მოქმედების დასაწყისს დარბაზში გაისმა სტვენა (ეს ობსტრუქციის დაწყების ნიშანი იყო, მას მოჰყვა ყვირილი. სცენას ლაყე კვერცხებს და ბოლოეს ესროლნენ. ისმოდა წამოძახილები „ძირს თვითმპყრობელობა!“ მსახიობები შეშინდნენ და სცენიდან გაიქცნენ. წარმოდგენა ჩაიშალა. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა მუშებსა და შავრაზმელებს შორის. ობსტრუქციის მონაწილე სცენისმოყვარე ელისო ლომინაძე ამ ბრძოლის დროს სლავოჩინსკის შეეფეთა. სცადეს მისი დაჭერა, მაგრამ ლომინაძე არ დანებდა და სლავოჩინსკის სილა გაარტყა. ლომინაძეს მუშები მიეშველნენ. ამ დროს თეატრის ელექტრომონტიორმა აზარაშეილმა ხაზი გადაჭრა და დარბაზი დაბნელდა. მუშებმა ამით ისარგებლეს, ლომინაძე გააპარეს. ხოლო გენერალი სლავოჩინსკი. წააქციეს და მაგრად სცემეს. მუშებმა დრო იხელთეს და მოიმალნენ.

1904 წლის დამლევს გრიგოლ პალმმა კიღევ სცადა „კონტრაბანდისტების“ დადგმა ბათუმში, მაგრამ კვლავ მარცხი განიცადა. წარმოდგენაზე ბათუმის ყველა შავრაზმელი შეიკრიბა. ბათუმის მუშათა დრამატული წრე არალეგალური სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის დავალებით ორგანიზებულად შეხვდა ამ წარმოდგენას. სამასი ბილეთი მუშებმა იყიდეს. წარმოდგენის მსვლე-

ლობის დროს კვლავ ატყდა სტვენა, ყვირილი. სცენას უსროდნენ ლაზე კვერცხებს, დამპალ ვაშლებს. ისმოდა წამოძახილები: „ძირს შავრაზმელები! ძირს არამზადა პალმი“, წარმოდგენა შეწყდა. პალმმა თავს უშველა გაქცევით. პოლიციამ რამდენიმე მუშა დააპატიმრა. მუშები წარმოდგენის ჩაშლის შემდეგ დაირაზმნენ და აფრიალებული წითელი დროშით ბარცანისაკენ გაემართნენ.

ნეტორ რუსიშვილი გადმოგვცემს, რომ ბათუმის მუშები დაინტერესებული იყვნენ მოესპონ პალმის შავრაზმული ბუდე, განსაკუთრებით საზოგადო საკრებულოში მოკალათებული „სცენის მოღვაწენი.“ 1905 წლის ბობოქაჩ დლეებში დადგა მათი აღსასრული. მოკლეს ობილუნსკი, შმიკინი და ჭილევ რამდენიმე არამზადა. პალმი ბათუმიდან გაიპარა.

რევოლუციის პერიოდში ბათუმის ცხოვრებაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული თეატრის გამოჩენილი მსახიობის ლადო მესხიშვილის საგასტროლო წარმოდგენები.

ლადო მესხიშვილი ქუთაისის თეატრს უდაგა სათავეში და იგი რევოლუციური პროპაგანდის მნიშვნელოვან კერად გადააქცია. საგანგებო რეპერტუარით და თავისი ნიჭიერი თამაშით ლადო მესხიშვილმა დიდად აამაღლა ქუთაისის თეატრის იდეურ-მხატვრული დონე. 1904-1905 წლებში ქუთაისის დასის თითქმის ყველა წარმოდგენა პოლიტიკური დემონსტრაციებით მთავრდებოდა. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხდა წილად ვ. მონტის პიესას „ქაი გრაქისი“, რომელშიც ლადო მესხიშვილი გრაქის მთავარ როლს ასრულებდა. ქუთაისის დასი თავის წარმოდგენებს მართავდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებში და მათ შორის ბათუმშიც.

ქუთაისის დრამატული დასის წარმოდგენების დამსწრენი ბათუმში მეტწილად მუშები იყვნენ. ბილეთები წინასწარ ვრცელდებოდა მუშათა შორის. ამ საქმეს აწესრიგებდა ბათუმის მუშათა ლრამატული წრე. ეს წრე სცენაზეც ეხმარებოდა ქუთაისის დასს გასტროლების დროს.

1904 წლის 3 ნოემბერს ქუთაისის დასმა ბათუმში წარმოადგინა ვ. პროტოპოვეს პიესა „ცხოვრების გარეშე“, ხოლო 4 ნოემბერს რ. ბარეტის „ახალი მოძღვრება.“ თბილისის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ამ წარმოდგენების შესახებ წერდა: „ცხოვრების გარეშე“ პროტოპოვესა დიდი ყურადღებით მოისმინა თეატრში მყოფმა საზოგადოებამ.. საზოგადოება შედგებოდა სწორედ ქართველთა იმ ნაწილისაგან, რომელიც უფრო იჩენს დღეს სიცოცხლეს და მოძრაობას და რომელსაც თეატრი მართლა სკოლად აქვს მოჩენეული და. არა უბრალო გასართობად. საინტერესო სანახავი იყო არა მხოლოდ არტისტთა თამაში, არამედ ისიც, თუ როგორი კავშირი სუფევდა სცენისა და დარბაზის შუა. ამგვარი მაყურებელთა წინ თამაში არტისტისათვის ნიჭის გამაღვიძებელი გარემოება უნდა იყოს უსათუოდ; ამგვარ მსმენელთა წინაშე თამაში არტისტისათვის ნამდვილ სიამოვნებას უნდა შეადგენდეს.“ გაზეთი სამართლიანად მიუთითებდა ქუთაისის დასის სწორედ იმ თვისებაზე, რომელიც მას იმ დროს ახასიათებდა. ეს იყო მშრომელთა აუდიტორიის სულისკვეთებისა და მისწრაფების ალლოს აღება და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამ გზით წარმართვა.

ამ ხაზიდან ოდნავ გადახვევა მაყურებლის მკაცრ კრიტიკას იწვევდა, რადგან მუშები ქუთაისის თეატრს თავის თეატრად თვლიდა და მისგან მოითხოვდა იდეურ-მხატვრულ სიმტკიცეს. ამას ადასტურებს ერთი ასეთი ფაქტი:

1904 წლის 21 დეკემბერს ქუთაისის დასს ბათუმში „კაი გრაქენი“ უნდა წარმოედგინა. ბათუმის მუშებმა უკვე აღრევე იცოდნენ, თუ რა წარმატება ხვდა წილად ამ პიესას ქუთაისში და მოუთმენლად ელოდნენ მის ნახვას. ბილეთები წინასწარ შეისყიდეს მუშებმა. ამ საქმის ორგანიზატორი იყო ბათუმის მუშათა დრამატული წრის წევრი ბოლშევიკი ილარიონ დარაჯველიძე. დასი ჩამოვიდა ბათუმში, მაგრამ თვით ლადო მესხიშვილმა ვერ შესძლო კაი გრაქენის როლის შესრულება, რადგან 15 დეკემბერს თბილისში „ყაჩალებში“ ფრანც მორიას როლის შესრულების დროს, ჩამოხრჩიბის სცენაში თოკი გაუწყდა, ჩამოვარდა და ხელი იღრძო. პიესა „კაი გრაქენი“ ნაცვლად დასმა „ჩრდილოეთის გმირები“ დადგა. ბათუმელი მუშები უკმაყოფილონი იყვნენ ამ ცვლილებით და აშკარად გამოთქვეს უკმაყოფილება.

მეორე მოქმედების დამთავრების შემდეგ დარბაზში გიისმა წამოძახილი: „ძირს, არ გვინდა ეს პიესა“ და ატყვა აურ-ზაური. წარმოდგენა შეჩერდა. სცენაზე ლადო მესხიშვილი გამოვიდა და აუხსნა მაყურებელს პიესის შეცვლის მიზეზი.

ლადო მესხიშვილმა ანგარიში გაუწია ბათუმის მუშების სურვილს და 14 იანვარს ბათუმში „კაი გრაქენი“ დადგა. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ამ წარმოდგენის შესახებ წერდა, რომ მან მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე და ლადო მესხიშვილის გამოწვევას დასასრული არ ჰქონდა. იმდროინდელ პრესას არ შეეძლო აღნიშნა, რომ სინამდვილეში ამ წარმოდგენამ ცარიზმის საწინააღმდეგო პილიტიკური დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. ინფორმაცია ამ წარმოდგენის შესახებ გამოქვეყნდა ლენინურ გაზეთ „ვპერიოდში“, რომელიც უნდევაში გამოიდიდა და რუსეთში არალეგალურად კრცხულდებოდა. გაზეთში კითხულობთ: „...დადგეს ქართულ ენაზე „კაი გრაქენი“, თეატრი გაჭედილი იყო მუშებით. ფარდა დაუშვა თუ არა, გაისმა „მარსელიეზის“ სიმღერა. სიმღერით გამოვიდნენ ყველანი თეატრიდან და ქვე შეჯუფდნენ აღფრთოვანებული შეძახილებით: „ძირს თვითმშეყრობელობა! ძირს პოლიცია! ძირს ომი!“ აქვე ესწრებოდნენ ბოქაული და ჩაფრები. შემდეგ მუშები რევოლუციური სიმღერით გაემართნენ მუშათა უბნებისაკენ“...

ასეთი ცნობებია შემონახული ბათუმის თეატრალური ცხოვრების შესახებ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. ეს ცნობები ნათლად ადასტურებენ, რომ ბათუმის მუშები წარმატებით იყვნებოდნენ თეატრს რევოლუციური ბრძოლისათვის.

ალექსანდრი ჩავლეიშვილი

## გმირული სახის შესახებ მხატვრულ ღიტერატურაში

ლიტერატურული გმირის ცნება ტრადიციის მიხედვით ლიტერატურული პერსონაჟის სინონიმია. ამ გაგებით ლიტერატურული გმირი საერთო სახელწოდებაა მოქმედი პირისა და ამის გამო მსჯელობა „დადებითი გმირის“ შესახებ მიაჩნიათ დადებითი პერსონაჟის პრობლემად. ნამდვილად კი ეს ასე არ არის.

მართალია, ყოველი გმირული სახე, უპირველეს ყოვლისა, დადებითი პერსონაჟია, მაგრამ ყოველი დადებითი სახე არ არის გმირული სახე და არც შეიძლება მათი გაიგოვება. ამიტომ მარქსისტულ—ლენინური გაგების „დადებითი გმირის“ პრობლემა არ უდრის „გმირული სახის“ პრობლემას, ეს უკანასკნელი ორგანულად დაკავშირებულია პირველ საკითხთან, მაგრამ მასზე არ დაიყვანება.

რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს დადებითი პერსონაჟი და გმირული სახე არასოდეს ერთმანეთ თან არ გაუთანაბრებით. ყოველ დადებით პერსონაჟს როდი თვლილნერ გმირულ სახე-ტიპად. ამ უკანასკნელში ისინი გულისხმობლნენ ისეთ დადებით პერსონაჟებს, რომელიც თავდადებულად იბრძოდა მაშინდელი აუტანელი სოციალური პირობების საფუძვლიანი გარდაქმნისათვის, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ნ. ჩერნიშევსკიმ თვითონ გვიჩვენა ასეთი გმირული პერსონაჟი რახმეტოვის სახით. თავის ცნობილ რომანში „რა ვაკეთოთ?“ ნ. ჩერნიშევსკი წერს, რომ ქვეყნად პატიოსან და კეთილ აღმანთა მასა დიდია, მათ შორის კი რახმეტოვისებური აღამიანები ცოტნა არიან, მაგრამ „ими расцветает жизнь всех; без них она заглохла бы, прокисла бы, мало их, но они дают всем надеждам дышать, без них люди задохнулись бы“.<sup>1)</sup> რახმეტოვი თავისი დროის კეშმარიტი დადებითი მხატვრული სახეა. ამ რომანის დადებითი სახეებია ავრეთვე ვერა პავლოვა, ლობუხოვი და კირსანოვი, მაგრამ ავტორი მათ ჩვეულებრივ დადებით აღამიანებს უწოდებს, ხოლო რახმეტოვი „განსაკუთრებულ აღამიანად“ მიაჩნია, ე. ი. გმირულ სახედ წარმოგვიდგენს მას. დიდია გმირული სახეების დანიშნულება, მაგრამ რა დიდიც არ უნდა იყოს ეს როლი, მათი მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასება მაინც არ შეიძლება. მარქსისტულ—ლენინური გაგებით

„სალხს მიჰყავს წინ ისტორია“ და არა გმირებს. „გმირები კი არ ქმნიან ხალხს, არამედ ხალხი ჰქმნის გმირებს... გმირებს, გამოჩენილ პიროვნებებს მხოლოდ იმდენად შეუძლიათ ითამაშონ სერიოზული როლი საზოგადოების ცხოვრებაში, რამდენადაც ისინი შესძლებენ საზოგადოების განვითარების პირობების სწორედ გაგებას, იმის გაგებას, თუ როგორ შესცვალონ ისინი უმჯობესისაენ.“<sup>1</sup> ეს ბრწყინვალე დასკვნა ძირს უთხრის პიროვნების კულტს. აღნიშნული ლებულება გმირული სახის შესახებ მთელი ჩვენი მსჯელობის საფუძველია.

მხატვრული ლიტერატურის საპატიო ამოცანა არის არა მხოლოდ „დადებითი გმირის“ შექმნა, არამედ გმირული სახის შექმნაც, ე. ი. ისეთი სახის შექმნა, რომელიც მაღალ მხატვრულ ფორმაში გამოსახავს გმირობის სოციალურ არსებ ამაში მდგომარეობს გმირული სახის ტიპობრიობა.

ლიტერატურული გმირის, გმირული სახის ცნების დაზუსტების შემდევ გმირობისა და გმირის გამოსახვის პრობლემა უფრო ნათელი ხდება. როგორ უნდა გამოისახოს ტიპობრივად გმირული სახე: როგორც ასპროცენტიანი დადებითი, თუ უარყოფითი ნიშნითაც. მოკლედ: გმირული სახე წუნდაუდებელი ტიპია თუ შეიძლება მას გააჩნდეს რაიმე უარყოფითი თვისება?

მთავარია ასპროცენტიანი იდეალური გმირები, მოგვეცით გმირი — იდეალი, — ამბობენ ერთნი.

მხოლოდ იდეალური გმირების გამოსახვით არ ამოიწურება გმირის გამოსახვის პრობლემა, გმირი ადამიანია და ამიტომ მისთვის არაფერი ადაშიანური უცხო არ არის. უარყოფითი ნიშნის გარეშე გამოსახო ცველა გმირი, ნიშნავს მოხსნა წინააღმდეგობა და ისევ აღადგინო „უკონფლიქტობის თეორია და პრაქტიკა“, — ამბობენ მეორენი.

ჩვენი აზრით ამ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა ვიკითხოთ: როგორი არიან ცხოვრებაში გმირები? ცხოვრებაში არსებობენ თუ არა წუნდაუდებელი ადამიანები? გარკვევით უნდა ითქვას, რომ ცხოვრებაში არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთაც შეგვიძლია ვუწოდოთ წუნდაუდებელი პიროვნებები. ისინი უპირველსად დადებითი ადამიანები არიან, მაგრამ, როგორც ვიცით, ცველა დადებითი პიროვნება არ არის გმირი. გმირი ისეთი წუნდაუდებელი დადებითი ადამიანია, რომელიც თავდადებულად, შეუდრეველად, მამაცურად, თავგაწირულად იბრძვის ისტორიულად დიდი პროგრესული მიზნის განხორციელებისათვის. ასეთი წუნდაუდებელი გმირი იყო მაგალითად, გიორგი თელია, რომლის შესახებ დიდი სტალინი 1907 წელს წერდა: „ამხ. გ. თელია, როგორც მოწინავე მუშა და როგორც პარტიული მუშაკი, თავით ბოლომდე დაუფასებელი და წუნდაუდებელი იყო პარტიისათვის.“ წუნდაუდებელი კი იმიტომ იყო გ. თელია, რომ მას ახასიათებდა ყოველივე ის „რაც ძირებულად ახასიათებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას: ცოდნის წყურვილი, დამოუკიდებლობა, შეუღრეველი წინსვლა, შეუპოვრება, შრომისმოყვარეობა, ზნეობრივი მადლი, — ყოველივე ეს თავ-

1. სკპ (8) ისტორია, მოქლე ქტრის, 1954 წ., გვ. 19.

2. ალ. ჩავლეიშვილი, ლიტერატურული გმირის ცნების დადგენისა და გმირის გამოსახვას შესახებ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1954 წ., № 41

მოყრილი იყო ამს. თელიაში. თელია ხორცებს ხმული პროლეტარი იყო<sup>1</sup>. პარტიისათვის ეს წუხდაუდებელი გ. თელია, ერთ დროს მენშევიკებს ემხრობოდა: ერთხელ იგი ქუთაისის ციხიდან გამოიქცა და თბილისში ჩამოვიდა. „ამ დროს პარტიაში განხეთქილება იყო. ამს. თელია მაშინ მენშევიკებს ემხრობოდა,“ — წერს ი. სტალინი. მაშინ ეს იყო გ. თელიას დიდი პოლიტიკური ნაკლოვანება, მისი ტარიყოფითი ნიშანი. გ. თელია რომ ბოლომდე მენშევიკების მომხრე დარჩენილიყო, ესე იგი, მას რომ ეს პოლიტიკური წუნი არ დაეძლია, მაშინ იგი აღარ იქნებოდა წუნდაუდებელი პარტიული მუშაკი; აღნიშნული უარყოფითი თვისების დაძლევა კი გ. თელიამ იმიტომ შეძლო, რომ ეს უარყოფითი ნიშანი არ გამოხატავდა წამყვან ტენდენციას გ. თელიას პოლიტიკურ არსები. გ. თელიას პოლიტიკურ ფიზიონმიაში წამყვანია და გადაძწყვეტს წარმოადგენდა „საოცარი ნიჭი, დაუშრეტელი ენერგია, დამოუკიდებლობა, საჯმის ღრმა სიყვარული, გმირული შეუპოვრობა და მოციქულებრივი მაღლი.“ როგორც დიდი სტალინი წერს, გიორგი თელია „სრულიადაც არ ჰგავდა იმ „კაზიონურ“ მენშევიკებს, რომლებსაც მენშევიზმი „ყურანი“ ჰკონიათ, თავიანთი თავი — მართლმორწმუნენი და ბოლშევიკები — გიაურები. არც იმ „მოწინავე“ მუშებს ჰგავდა თელია, რომლებსაც „დაბადებით სოციალ-დემოკრატად“ მოაქვთ თავი და, უვილობით გაედენ-თილები, სასაცილოდ გაიძხიან: ჩვენ არ გვინდა უოდნა, ჩვენ მუშები ვართო. თელიას დამახასიათებელი თვისება სწორედ ის იყო, რომ ის უარყოფდა ფრაქციულ ფანატიზმს, მთელი არსებით ეზიზლებოდა სხვისი მაჩანჩალობა და ყველაფერი თავისი ჭკუთ უნდოდა გაეგო.<sup>2</sup> აი ეს თვისებები; დამოუკდებლობა, გმირული შეუპოვრობა, ფრაქციული ფანატიზმის უარყოფა, ზიზღი მაჩანჩალობისადმი და ყველაფრის თავისი ჭკუთ გაეგება წარმოადგენდა გ. თელიას ხასიათის ძირითად განმასზღვრელ თვისებებს. ამ არსებითმა თვისებებმა შეაძლებინა თელიას დაეძლია მენშევიკებისადმი დროებით მიმსრობა. „ამიტომ იყო, რომ, გამოიქცა თუ არა ციხიდან, მშინვე წიგნებს უცა: „მეორე ყრილობის ოქმები“, მარტოვის „საალყო მდგომარეობა“, ლენინის „რა ვაკეოთო?“, ლენინისავე „ნაბიჯი წინ“. უნდა გენახათ ჩამომსარი, გაყვითლებული თელია, რომელიც დაეინებით ჩაპონწიწებდა წიგნებს და ლიმილით გაიძახდა: „მე როგორც ეხედავ, ბოლშევიკ-მენშევიკობა არც უგრე ადგილია; სანამ ამ წიგნებს არ შევისწავლი, მანამდე ჩემი მენშევიკობა ყინულზეა აშენებულიონ“. და აი, შევისწავლა ამს. თელიამ საჭირო ლიტერატურა, ჩაკვირდა ბოლშევიკ-მენშევიკების ურთიერთშორის კამათს, აწონდაწონა ყრველოვე ეს და მხოლოდ მერჩე სთქვა: „მე ამხანაგებო, ბოლშევიკი ფარ; მე როგორც ვატყობ, ვინც ბოლშევიკი არ არის, ის უკველად ღალატობს. მარქსიზმის რევოლუციურ სულს<sup>3</sup> ასე გახდა გ. თელია წუნდაუდებელი გმირი. თუკი ასე ხდება ცხოვერებაში, თუკი ასეთ მოვლენასაც აქვს ადგილი სინამდებილუმზი, რატომ არ შეიძლება ასეთ წუნდაუდებელ გმირებს ადგილი ჰქონდეს ცხოვერების ამსახველ მხატვრულ ლიტერატურაში<sup>4</sup> პერნ-

1. ი. სტალინი, თხზულებაზ. ტ. 2, 1947 წ., გვ. 28 (ხაზაშვილის მიმღება, ა. 6.)

2. იქვე 83. 30 (ხაზგასმა ჩემთა, ა. ჩ.).

3. 0330, 83. 30-31.

ამ, რომ გმირის წუნდაუდებლობას ხელს უშლის ის, რომ ამ გმირს თდეს-ლაც ჰქონია უარყოფითი თვისება, ან ახლაც აქვს ზოგიერთი ჩრდილოვანი მხარე. როგორც ვნახეთ, თდესლაც უარყოფით პოლიტიკურ ნაკლს ხელი არ შეუშლია გ. თელისათვის, რომ იგი წუნდაუდებელი გმირი გამხდარიყო, რადგან გ. თელიამ საბოლოოდ დასძლია ის უარყოფითი თვისება. ასეთივე მდგომარეობაა მხატვრული გმირული სახეების მიმართ მაგალითად, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დადებითი მოქმედი პირია პავლე ვლასოვი. იგი ამასთანავე საყოველთაღდ აღიარებული წუნდაუდებელი გმირია, რადგან ჩვენში ნერგავს მტრისადმი სიძულვილის, მშრომელი ხალხისადმი სიყვარულის, სახალხო საქმისადმი უანგარი მამაცური თავდადების იდეებს. აი ეს წუნდაუდებელი გმირი პავლე ვლასოვი ახალგაზრდობისას, მამის სიკედილის შემდეგ, ერთ კვირა დღეს სახლში ძალზე მთვრალი დაბრუნდა. იგი ბარბაცით გაძვრა წინაკუთხეში, დაარტყა ხელი მაგიდას, ისე, როგორც ამას მამა სხადიოდა და დაუყვირა დედას: „ვახშამი“. მაქსიმ გორკი მოგვითხრობის, რომ პავლე ვლასოვი იმ პერიოდში „უქმე დღეებში სახლში დალეული ბრუნდებოდა და არაყისაგან ძლიერ იტანებოდა. დილით თავი სტკიოდა, გული ამომწვარი ჰქონდა, სახე მკრთალი და მოწყენილი“. ვიცით, რომ შემდეგ პავლე ვლასოვი მუშათა რევოლუციურ მუშაობაში ჩაება და ამ მოძრაობის ქრისტალური გმირი გახდა. პავლეს რომ ღვინის სმის ჩვევა ზოლომდე შერჩენოდა, იგი წუნდებული იქნებოდა და გმირიც ვერ გახდებოდა, რადგან გალოოთებული პიროვნება არ შეიძლება გმირი გახდეს. ადამიანები გმირებად კი არ იბადებიან, არამედ ხდებიან, იზრდებიან. გმირობა არ არის ისეთი თანდაყოლილი უნარი, როგორიც არის მაგალითად, პოეტობის უნარი. ცნობილია, რომ პოეტობა ყველას არ შეუძლია. პოეტობის უნარი, პოეტური ნიჭი, მაღლი შეტეალს დაბადებილი თან დაკვევება, ეს პოეტური მაღლი თანამედროვე ადამიანისათვის მოცემულობაა, მაგრამ ისტორიულად მან გაიძირა მოცემის რთული პროცესი. ადამიანში პოეტობის უნარი ისტორიული შრომაშ შექმნა, მაგრამ თანამედროვე ადამიანისათვის იგი ბუნებრივი მონაცემია და ვისაც ეს მონაცემი არ გააჩნია, მას პოეტად ვერ გახდის ვერავითარი აღზრდა. ხელის შეუწყიბლად ეს უნარი შეიძლება ჩაეკდეს, მაგრამ ხელოვნურად, მხოლოდ აღზრდის საშუალებით ადამიანი შეტეალი ვერ გახდება, თუ მას არ აქვს შეტეალის ბუნებრივი მონაცემი, უნარი. ასე არ ითქმის გმირობის შესახებ. გმირობა რაღაც ბუნებრივი თანდაყოლილი უნარი და თვისება კი არ არის ადამიანისა, არამედ არსებითად იგი აღზრდის საქმეა, ე. ი. აღამინის ხასიათის ფორმირება კმნის გმირობის ჩადუნის წინამძღვრებას. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში თავიდანვე ბავშვისათვის სამჭიროა პატრიოტიზმის გრძნობის შზანერგვა, შრომისაღმი კომუნისტური დამოკიდებულების, დასკიპლინირების, კოლექტიურობის, მეგობრობის, ამხანაგობის, სამართლიანობის, პატიონსნების, სიძნელეების დაძლევის ჩვევების გამომუშავება პიროვნებაში ქმნის გმირად გახდომის შესაძლებლობას. ფ. ვიგდორიაუს წიგნში „ჩემი კლასი“ მასწავლებელი მარინა ნიკოლაევნა ამბობს: „მე მგონია, ყველაზე სწორი იქნება თუ ვიტუვთ: გმირები შენს გვერდით არიან. დააკირდი შენს ამხანაგებს, მთა, ვრნც შენს გვერდით სწავლობის

და ცხოვრობს. ყველაფერი, რაც ახლა არის მოცემული მათში, ცხოვრებაში ის აღმონაცენს მოგცემს, ყოველ მათგანს შეუძლია გახდეს გმირი, ასევე შენც. ხარ შენ სამართლიანი, პატიოსანი, მტკიცე? ასეთივე იქნები, როდესაც გაიზრდები: ტყუილი სთქვი? არ შეგიძლია შენს თავს მოერიო, არ სწავლობ, ზარშაცობ? მაში იცოდე, ახლავე დაუფიქრდი, მერე ბევრად უფრო გაგიძნელდება შენი თავის გამოსწორება და ძვალ-რბილში გამჭდარი ცუდი ჩვეულების აღმოფხვრა".<sup>1</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სისტემატური აღზრდის შედეგად შეიძლება გმირობა ჩაიდინოს, გმირი გახდეს ყველა პროგრესული აღამიანი. ამიტომ შეცდომად უნდა ჩაითვალოს მტკიცება, რომლის მიხედვით გმირობად თვლიან ისეთი საქმის შესრულებას, რაც საშუალო ადამიანის შესაძლებლობას აღემატება. მაგალითად, მკვლევარ დარ. რამიშვილის მრავალმხრივ საინტერესო წერილში „გმირობის ფსიქოლოგიური არსი და გმირის სხვადასხვა ტიპი“ გვხვდება ასეთი დებულება: „ჩვეულებრივად გმირობად ითვლება რაიმე განსაკუთრებული, სამაგალითო, საოცარი საქმის შესრულება, ისეთი საქმის, რომელიც გასცდება საშუალო ადამიანის შესაძლებლობას.“<sup>2</sup> ეს დებულება ეწინააღმდეგება იმ ჭეშმარიტ დებულებას, რომ ყველა პროგრესული აღამიანი შეიძლება გმირი გახდეს. ამ დებულების საწინააღმდეგო შეხედულებას, პრა მხოლოდ დასახელებულ წერილში ვხვდებით, არამედ ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებშიც. მაგალითად, ასეთ მიულებელ აზრს გამოსთქვამს ექიმი ვ. პანოვას ნაწარმოებში „თანამგზავრები.“

— „ჩვენი ხალხი, იცით, — თქვა ექიმმა, — ყოველგვარ მსხვერპლს გაიღებს.

— რომელი მსხვერპლი? — შეეცითხა დანილოვი. — მსხვერპლი ხომ სხვას უნდა შესწირო, არა? — ხომ არ შეიძლება ადამიანმა თავის თავს შესწიროს მსხვერპლი, რასაც თქვენ მსხვერპლს ეძახით, ბუნებრივი ფუნქციაა ხალხისა, თქვენი ფუნქციაა, ჩემი ფუნქციაა, ამ გოგონების ფუნქციაა. გმირობა ჩვენი ხალხისათვის მსხვერპლი კი არ არის, არამედ ერთი მისი ყოველდღიური გამოვლინებაა. იმისათვის, რომ მომავალში ჩვენ ვიცოცხლოთ, როგორც საბჭოთა ხალხმა, ჩვენი ნაწილი, შესაძლებელია, დღესვე მოკვდეს. დავუშვათ, მე მომელან, თქვენ, პეტროვი, ივანოვი. ეს მსხვერპლია? ვის შეეწირნენ მსხვერპლად? მე, თქვენ, პეტროვს? ივანოვს? მაპატიეთ, მე შეიძლება ნათლად ვერ გამოვთქვამ ჩემს აზრს...

— არა, მე ძალიან კარგად გავიგე, — თქვა ექიმმა, — და თითქმის მზად ვარ დაგეთანხმოთ. მაგრამ გმირობის საკითხში ვერ დაგითმობთ: თქვენ მე ვერ დამიმტკიცებთ, რომ გმირობა არ არსებობს, რომ ეს რაღაც ფიქციაა. გმირობა — ეს იცით, კაცობრიობის სილამაზეა, კაცობრიობის სულის აღმაფრუნაა, და ყველას კი არა აქვს გმირობის ნიჭი, ამისათვის ტალანტია საჭირო.

— ტალანტები ვითარდებიან, — თქვა დანილოვმა, — ამ ოში ისეთი ტალანტები განვითარდებიან, რომ მთელი ქვეყანა სახტად დარჩება. ადა-

1. ფ. ვიგლოროვა, ჩემი ქლასი. 1953 წ., გვ. 93.

2. „ფსიქოლოგია“, ტ. II, 1943 წ., გვ. 60. (ხაზგაშვა ჩემია, ა. ჩ.).

მიანს უფალი ღმერთი კი არ შთაბერავს ტალანტს, მას ქმნის აღზრდა, წრე... გარემო პირობები...

ექიმმა თავი გაქნია. ის არ ეთანხმებოდა დანილოვს. მისი აზრით დანილოვი აუბრალოებდა საკითხს. ასე ყველა შეიძლება გახდეს საბჭოთა კავშირის გვირი.

— საბჭოთა კავშირში, — თქვა დანილოვმა, — ყველა შეიძლება გახდეს გმირი.

— ჩვენ ორასი მილიონი მოსახლეობა გვყავს, თუ არა ვცდები, — თქვა ექიმმა. — მერე? ორასი მილიონი გმირი?

— საგვებით შესაძლებელია!

— ორასი მილიონი ერთის გამოკლებით. — თქვა ექიმმა ხუმრობით, — ასეთი ყველი ტომარისაგან, როგორიც მე ვარ, გმირი ვერ გამოვა.

— ორასი მილიონი ერთის გამოკლებით, — თქვა დანილოვმა, — ორასი მილიონი სუპრუგოვის გამოკლებით.

გაეცინათ. სერიოზული ლაპარაკი ხუმრობით დამთავრდა.<sup>1</sup>

დანილოვის სიტყვებით გამოთქმულია ის ჭეშმარიტი აზრი, რომ საბჭოთა ქვეყანაში ყველა საბჭოთა ადამიანი შეიძლება გახდეს გმირი. გმირობა სოციალიზმის ქვეყანაში ყველა საბჭოთა ადამიანის შესაძლებელი მოქმედებაა. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ქვეყანაში გმირობა მასობრივი მოვლენაა და ეს მასობრიობა ერთი მხრივ, იმას ნიშანავს, რომ ჩვენში ბევრი გმირია. ზოგჯერ ერთ ოჯახში რამდენიმე გმირია. პოეტი გრიგოლ აბაშიძე ლექსში „გმირები“ აღწერს ჯონდოს სტუმრობას ერთ ოჯახში, სადაც ხუთი გმირი ყოფილა:

ისევ სუფრას ღავუბრუნდით  
მხარულად, განა ქუფრად,  
ერთ ეზოში, ერთ ოჯახში  
ხუთი გმირი უჯდა სუფრას.

ერთი იყო გმირი დედა,  
ათი შვილის ტკბილი დედა,  
ერთი ბრძოლის გმირი იყო,  
მტერს რომ ცხელი ტყვით სდევდა.

ორი იყო შრომის გმირი,  
ერთიც პირმშო, მათი ძირი,  
ჩემი კარგი პიძაშვილი,  
პაწაწინა, სწავლის გმირი.

ხუთი გმირი ერთ ოჯახში!  
ამის შემდეგ ვის არ სჯერა,  
საქართველოს ზღვისპირეთი  
გართლა გახდა გმირთა კერა.<sup>2</sup>

1. ვ. პანოვა. თანამგზავრები, 1952 წ., გვ. 63-64 (ხაზგასმა ჩემია. ა. ჩ.).

2. გრიგოლ აბაშიძე, ლექსები, პოემები, 1953 წ., გვ. 210.

გმირობის მასობრიობა ჩვენს ქვეყანაში, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშანებს, რომ გმირად გახდომა ყველა საბჭოთა ადამიანს შეუძლია. გმირად გახდომის პროცესში ადამიანი ძლევს უარყოფით თვისებებს. თუ მოქმედ პირს ბოლომდე შერჩა გმირობასთან შეუთავსებელი უარყოფით თვისება, იგი არ შეიძლება გმირი იყოს. ასეთ პერსონაჟს მკითხველი გმირად ვერ მიიჩნევს, რადგან იგი არ იქნება მისაბაძი. გმირის არსებითი ნიშანი კი ის არის, რომ იგი სამაგალითოა, გვაძლევს სტიმულს, გვიტაცებს და აღგვიძრავს მისდამი დამსგავსების სურვილს: გვსურს ვიყოთ ისეთი, როგორიც არის ესა თუ ის გმირი. „თვეების მანძილზე მე პირდაპირ ვცხოვრობდი ჩერნიშევსკის გმირებთან ერთად. ჩემი სუვარელი გმირი იყო განსაკუთრებით რახმეტოვი, — წერს გ. ლიმიტროვი. — მე ჩემს ამოცანად ვისახავდი ვყოფილიყავი მტკიცე, გამობრძელდილი, უშიშარი, თავდადებული, გამომეწროო ჩემი ნებისყოფა და ხასიათი სიძნელეებთან და გაჭირვებასთან ბრძოლაში, დამეჭვემდებარებინა ჩემი პირადი ცხოვრება მუშათა კლასის დიადი საქმის ინტერესებისათვის. ერთი სიტყვით, ვყოფილიყავი ისეთი, როგორიც მეხატებოდა მე ჩერნიშევსკის ეს უზადო გმირი. და მე არავითარი ეჭვი არა მაქვს, რომ სწორედ ეს სასიკეთო გავლენა ჩემს ყრმობაზე ეხმარებოდა პროლეტარულ რევოლუციონერად ჩემს აღზრდას და თვის გამოხატულებას პოულობდა ჩემს შემდგომ რევოლუციონურს ბრძოლაში ბულგარეთისა და ლაიფციგის პროცესზე“. ასეთი აღმზრდელობითი ფუნქცია აქვს ყოველ ჭეშმარიტ გმირულ სახე-ტიპს. ყოველ პროგრესულ ლიტერატურაში მწერლები ქმნიან ასეთ მისაბაძ გმირებს. მაშასადამე, გმირული სახის აღმზრდელობითი ფუნქცია ის არის, რომ იგი გვიმსგავსებს, ისიც ცხადია, რომ ასეთ ზემოქმედებას ვერ მოახდენს ისეთი სახე-ტიპი, რომელსაც გმირობასთან შეუთავსებელი რაიმე უარყოფითი ნიშანი აქვს, მაგრამ გმირად შეიძლება წარმოდგეს ისეთი სახეც, რომელსაც ოდესლაც ჰქონია არაარსებითი ხასიათის უარყოფითი თვისება, ხოლო შემდეგ კი დაუძლევია. მწერალს უფლება აქვს აჩვენოს გმირის მიერ რაიმე უარყოფითი თვისების დაძლევის ისტორია. დაძლეული უარყოფითი თვისება არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ ნიშანს სახის გმირად აღიარებისათვის. გმირს არ შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ გმირობასთან შეუთავსებელი დაუძლეველი უარყოფითი ნიშანი. მას შემდეგ, რაც პავლე ვლასოვი გმირი გახდა, მას ვერ ვუნხავთ დაუძლეველ უარყოფით თვისებას. ამასთანავე, გმირის დაძლეული თუ დაძლევის პროცესში მყოფი უარყოფითი ნიშანი არ შეიძლება იყოს არსებითი ნიშანი. ლოგიკიდან ცნობილია, რომ არსებით ნიშანს წარმოადგენს ის ნიშანი, რომელიც გამოხატავს საგნის თუ მოვლენის ყველაზე მნიშვნელოვან და ძირეულ თვისებას, ე. ი. არსებითი ნიშანი მოვლენის არს ავლენს და თუ გმირის უარყოფითი ნიშანი მისი არსებითი ნიშანი იქნება, მაშინ იგი საერთოდ არც დადებითი სახე იქნება. ამდენად მისთვის გმირის სახელის მიკუთნება შეუძლებელი გახდება. რადგან, როგორც ვთქვით, სახის დადებითობა მისი გმირად აღიარების ელემენტარული წინაპირობაა.

გმირად გახდომის შემდეგ შეიძლება გმირმა კვლავ გმირობა შოიპოვოს, მაგრამ მას არ შეუძლია გმირობის სახელის გამტები მოქმედება ჩაიდინოს. თუ გმირი, მოწინავე პიროვნება, ასეთ რამეს ჩაიდენს, მაშინ იგი აღარ იქნება მისაბადი პერსონაჟი. გმირულმა სახემ ბოლომდე უმწიკვლოდ უნდა ატა-როს გმირის სახელი და მხოლოდ მაშინ იქნება იგი გმირული სახე-ტიპი.

გახსინჯოთ ეს დებულება ოსმან-აღას მიმართ. საკითხავია: გმირად გახდომის შემდეგ, მისი სიცოცხლის დასასრულამდე ნოდარს ხომ არ ჩაუდენია ისეთი მოქმედება, რომელიც სახელს უტეხდეს მას როგორც გმირს, ე. ი. ვაისპობდეს მისთვის ბოლომდე გმირის სახელწოდების დატოვების შესაძლებლობა?

ერთი შეხედვით თითქოს არსებობს ერთგვარი საფუძველი იმისა, რომ ბატონის მოკვლის შემდეგ ნოდარს გმირი არ ეწოდოს. ამასთან დაკაუშირებით ჩვენ მივუთითებთ სამ გარემოებაზე: 1) ბატონის მოკვლის შემდეგ ნოდარი შეშინდა და ახალციხეში გადაიხვდა. იგი საქართველოში უნდა დარჩენილიყო და ეზრუნა სხვების განთავისუფლებისათვის. მართლაც ცნობილია, რომ ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟები, ბატონის მოკვლის შემდეგ ახალციხისაკენ არ გარბოლნენ, არამედ ტყეს აფარებდნენ თავს და საქართველოში რჩებოლნენ, ასე მოიქცნენ მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გმირები კაյო ბლაჭაშვილი და ზაქრო. რასაკვირველია, ასეც ხდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ადგილი ჰქონდა მეორე მოვლენასაც, როდესაც პროტესტანტი ყმა-გლეხი, კლავდა რა ბატონს, ისმალეთში გარბოდა. დანიელ ჭონქაძის გარდა, ასეთ გადახვეწილ ყმათა სახე-ტიპი გვიჩვენა აკაკი ჭერეთელმა „კიკოლას ნამბობში“. ჭანიოზობით ქებულმა თურქმანიდებ მოკლა სახლთუხუცესის მიერ გამოგზავნილი მოძალადეები და ისმალეთში გადაიხვდა.

გადავიცხეწე თაორებში  
და, რომ მომეგო მტრის გული,  
გარეგან დასანახავად,  
გამოვიცვალე მე რეული. ।

მაშასაღამე, დანიელ ჭონქაძემ, როგორც რეალისტმა მწერალმა, 'მართლად ასახა ის მოვლენა, ასასაც აღვილი ჰქონდა მაშინდელ სინამდვილეში. როგორც სხვებს, ისე ნოდარს სრულიადაც არ ამცირებს ახალციხეში გადახვეწა. მისი ოსმან-აღობა სწორედ იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ იმ დროს საქართველოში არსებული ბატონყმური ურთიერთობა აუტანელი ურთიერთობა იყო, რომელიც ქვეყნის შეშმარიტ შვილებს კალაპოტიდან აგდებდა. საქართველოდან გაქცეული ნოდარის გულიდან არასოდეს არ ამოვაჩნილა საქართველოს სიყვარულის გრძნობა. თურქმანიდან მსგავსად ნოდარმაც „გარევან დასანახავად“ მაჰმადიანობა მიიღო, მაგრამ საბოლოოდ კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა. ვაჟრობითაც საქართველოსთან იყო დაკაშირებული და შეძენილი ჭონქაძის ნახევარი ქართველ კაცს უანდერძა.

1. აკაკი წერეთელი, თხზულებანი, 1940 წ., გ. III, გვ. 122.

და ბოლოს იგი დაიღუპა როგორც გმირი ჰატრომტი, თავისი ქვეყნისა და ჩავლის გულწრფელი მოსიყვარულე.

2) ნოდარმა იცოდა ვარდოსა და დურმიშხანის სიყვარულის ამბავი, ამიტომ უნდა მიეღო გადამწყვეტი ზომები და დურმიშხანი ვარდოსათვის დაებრუნებინა. იგი კი ასე არ მოიქცა, პირიქით, დურმიშხანი ზედსიძედ შეიყვანა და ამით გმირის სახელის გამტეხი მოქმედება ჩაიდინა. ნოდარმა ძლიერი სიყვარული გამოსცადა და ამიტომ იგი ვარდუს მხარეზე უნდა დამდგარისყო. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ნოდარმა მართლაც იცოდა გულისვარდისა და დურმიშხანის რომანტიკული თავგადასავალი. ამის დამატებიციცებელია მოთხრობის შემდეგი ადგილები: ა) ნოდარს „დურმიშხანმა უთხრა ყოველივე თავის თავის გარემოება თავიდგან ბოლომდისნ“. ბ) „— ბედნიერი ხარ, ყმაწვილო, — უთხრა ოსმალომ, რომ გაათავა დურმიშხანმა, — რა გინდა, უსისხლოთ განთავისუფლებულხარ“ მონობიდან.“ გამოთქმა „უსისხლოთ განთავისუფლებულხარ“ ნიშნავს, იმას, რომ დურმიშხანს უთუოდ უთქვამს მისთვის, თუ რა როლი შეასრულა ამ საქმეში სიყვარულმა. გ) დურმიშხანის გულახდილობით უნდა იყოს გამოწვეული ნოდარის სიტყვები: „შენ შენი ცხოვრება მითხარი, მეც ჩემი უნდა გითხრა“. მდგომარეობა იმითაც რთულდება, რომ ქალბატონისადმი მიწერილ წერილში დურმიშხანი პირდაპირ ასახელებს ნოდარს, როგორც ვარდოსადმი ლალატის მიზეზს: „ცოტა ფულებს რომ მოუყარე თავი და წამოსვლა დავაპირე, ერთს ღამეს დავრჩი სურამს, ავთანდილანთ ეძახიან, ერთი გლეხკაცი გახლამს, იმასთანა. აქ ჩემი აღა (ე. ი. ნოდარი ა. ჩ.)... ჩამომეჯიდა, რო არ იქნება, რო იმ კაცის ქალი არ შეირთო (იმის ნათლული იყო) და იმიტომ უნდოდა იმის ჭათხოვება, და მეც ხათრი ვეღარ გავუტეხე და იმ კაცის ქალზე ჯვარი დავიწერე და ზედ-სიძედ შევეღი.“<sup>1</sup>

მაშასადამე, ნოდარმა იცოდა, რომ ვარდოს უყვარდა დურმიშხანი, მაგრამ ამასთანავე ისიც იცოდა, რომ დურმიშხანს არ უყვარდა და არც არახაროს ჰყვარებია ვარდო. ნოდარი ორმხრივი სიყვარულის გამონაცადი იყო და არა ცალმხრივი სიყვარულისა, როგორც ამას ადგილი აქვს ვარდოსა და დურმიშხანის ურთიერთობაში. დურმიშხანის ვერაგობა იმაში გამოვლინდა, რომ მან ვარდოს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს უყვარდა, ნამდვილად კი მოატყუა და მისი გულწრფელი სიყვარული პირადი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა.

რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ ნოდარს დურმიშხანი ვარდოსათვის დაებრუნებინა, მაგრამ რაკი დურმიშხანს ვარდო არასოდეს ჰყვარებია და ნოდარი ვერც შეაყვარებდა, ამიტომ ნოდარს ნაკლად არ უნდა ჩაეთვალოს ყმობისაგან უსისხლოდ განთავისუფლებულ დურმიშხანზე მზრუნველობის გამოჩენა.

3) ოსმან-აღას ბოლომდე გმირად დატოვებას თითქოს ხელს უშლის ის გარემოება, რომ იგი თანახმა დურმიშხანს ყმა უყიდოს. ეს ჩანს იმ საუბრიდან, რომელიც გაიმართა ნოდარსა და დურმიშხანის სასიმამროს შორის:

1. დ. ქონქაძე, სურამის ციხე, 1949 წ., გვ. 17.

- მე იმ ქალის მეტი არა მყავს-რა; მინდა რო ერთ ხეირიანს მივცე ვისმე.
- ვინ არის შეწი ხეირიანი?
- ვისაც ღმერთი მოგვცემს. მე მინდა ჟრთ საწყალ აზნაურს მოვსცე ვისმე...
- ახლა რა არის, რო აზნაური არ იყოს?
- აზნაური სხვა რამ არის, ჩემო ნათლია. ერთი გოგო-ბიჭი მაინც ეყოლება მოსამსახურეთ. წყალს მაინც თითონ არ მოიტანს, პურს მაინც თითონ არ გამოაცხობს.
- განა იმისი ცოლი კი გამოაცხობს პურს? განა იმას კი არ შეუძლია, რო იყოლიოს გოგო-ბიჭი?
- რატომ, მაგრამ იმან ფული უნდა აძლიოს, აზნაურს თავისი ეყოლება.
- თუ აგრეა, ხვალვე უყიდი ყმას... მერმე ხომ მისცემ?
- არ ვიცი. (გვ. 52).

აქედან გამომდინარე მკლევარი ამბერკი გაჩეჩილაძე, ასკვნის: „გამდიდრებულმა ნოდარმა თითქოს დაივიწყა თავისი თანამოძმების, ყმა გლეხობის შედგომარეობა. იგი დურმიშხანის მომავალ სიმამრს პირდება: ოლონდ თავისი ქალიშვილი დურმიშხანს გაატანოს და მაშინ მას, ე. ი. დურმიშხანს „ხვალვე უყიდის ყმებს“. ასეთი მსჯელობა ყმებზე სრულიად არ შეფერის თავისუფლებისათვის ისეთი მებრძოლ ყმას, როგორიც ნოდარი იყო.“<sup>1</sup> აშენაა, რომ სოდარი თანახმა დურმიშხანს ყმა უყიდოს, როგორც ვიცით, ნოდარმა გამოსუად ბატონყმობის მძმე ულელი, როგორც იქნა თავი დააღწია საშინელ ტანგას, მაგრამ დღეს იგი თანახმა დურმიშხანს ყმა უყიდოს. განა შეიძლება გმირად დარჩეს ისეთი პიროვნება, რომელიც ყმის ყიდვას ემხრობა?

თუ საქმის შინაარს ჩავუკვირდებით, ცხადი განდება, რომ ნოდარის მიერ დურმიშხანისათვის ყმების ყიდვის სურვილის გამოთქმა მხოლოდ ხერხია, რომ ამ საშუალებით დურმიშხანის სასიმამრო დაითანხმოს. ეს მისთვის მხოლოდ სიტყვის მასალაა, თორემ ნამდვილად მას ეს საქმე არ შეუსრულებია. მას ხომ მართლა არ უყიდი ყმები დურმიშხანისათვის? მართალია, თქმაც კი ჩრდილს აყენებს ნოდარს, მაგრამ მაინც თქმასა და შესრულებას შორის დიდი ზღვარია. და ის, რაც ნოდარს არ გაუკეთებია, არც სახელს უტეხს მას.

შეიძლება გმირს გააჩნდეს ისეთი ზოგიერთი ნაკლი, ჩრდილოვანი მხარე, რომელიც მას სახელს არ უტეხს მკითხველის თვალში. ჩრდილოვანი მხარის მიუხედავად მკითხველი მას მაინც გმირად თვლის. მაგალითად, ლ. ჭაველის „გვადი ბიგვადან“ ვიცით, რომ გვადი ბიგვამ მოკლა ხალხის მტრი არჩილ ფორია და ამით დიდი გმირობა ჩაიდინა. ხალხის წანაშე გვადი წარმოდგა, როგორც სახალხო საქმისათვის თავდადებული მებრძოლი. ხალხი შეგროვდა, გვადის შვილებიც მორბიან, მაგრამ გვადის არ სურს, რომ ბავშვებმა იგი გასისხლიანებული ნახონ:

„მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ,“ — ეუბნება გვადი მარიამს. კრიტიკოსი გაბრიელ კვანჭილაშვილი კი ამ ფაქტს ასე ხსნის: „აქ საქმე გვაქვს

<sup>1</sup> ამბერკი გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიდან, 1952 წ., გვ. 171.

არა უბრალო გულჩვილობასთან, არამედ წინასწარ გააზრებულ, მოფიქრებულ ფაქტთან. მწერალი ამბობს, რომ ხალხმა სოციალიზმის ღროს მოიპოვა თავისუფლება და ბედნიერება, ქვეყნის შიგნით მოისპონ კლასობრივი მტერი, რომ ჩვენი მომავალი თაობისათვის<sup>1</sup> ბედნიერი ცხოვრება უზრუნველყოფილია და ამიტომ სისხლისლვრა ქვეყნის შიგნით დამთავრებულია.<sup>2</sup> კრიტიკისი ბესარიონ უღენტი კი უფრო ადრე აღნიშნულ ფაქტს ასეთ კომენტარს უკეთებდა: „იქნება გვადი ბიგვას ამ სიტყვებში მწერალს საბჭოთა ხალხის ის ღიღი ჰუმანისტური შეგნება უნდოდა გამოხატა, რომ ჩვენი გმირული ხალხი გამდაფრებულ ბრძოლას აწარმოებს მხოლოდ იმისათვის, რომ რეაქციულ სამყაროსთან უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლების შედეგად სამუდამოდ ბოლო მოელოს სისხლისმღვრელ ბრძოლებს და კაცობრიობას, მომავალ თაობებს უსისხლო, მშვიდობიანი, ჰარმონიული ცხოვრება დაუმჯევიდროს.<sup>3</sup> ჩვენი აზრით, კრიტიკოსებს უნდა გაეკრიტიკებინათ გვადი ბიგვას მცდარი მოქმედება, რაც იმაში გამოიხატა, რომ სისხლი არ ანახვა შვილებს. გვადი ბიგვამ დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც შვილები სისხლს მოარიდა. გვადი ბიგვას სისხლი მაშინ ეს იყო ხალხის მცდის წინააღმდეგ ბრძოლაში დალვრილი სისხლი და ასეთი სისხლი გვადის კი არ უნდა დაემალა შვილებისათვის, არამედ, პირიქით, უნდა დაენახვებინა, რათა ამით ხელი შეეწყო ახალგაზრდობის მებრძოლი სულისკვეთებით აღზრდისათვის. ბავშვებს სისხლს კი არ უნდა ვარიდებდეთ, არამედ მათ უნდა უქსნიდეთ, რომ სამართლიანი საქმისათვის სისხლის დალვრა საამაყო და საგმირო საქმეა: „ჩვენ ისეთი მოთხოვობები გვესაჭიროება, — სწერს ი. ბ. სტალინი მ. გორბის, — რომლებსაც მეთხველები იმპერიალისტური ომის საშინელებებიდან მიჰყავთ ასეთი ომების მომწყობი იმპერიალისტური მთავრობების დაძლევის საჭიროებამდე. გარდა ამისა, ჩვენ ყოველგვარი ომის წინააღმდეგი ხომ არა ვართ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმპერიალისტური ომისა, როგორც კონტრევოლუციური ომისა. მაგრამ ჩვენ განმათავისუფლებელი, ანტიიმპერიალისტური, რევოლუციური ომის მომხრენი ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ომი, როგორც ცნობილია, არა თუ თავისუფალი არ არის „სისხლისლვრის საშინელებათაგან“,“ არამედ მას ჭარბადაც ახლავს ასეთი საშინელებანი.“<sup>4</sup>

მაშასადამე, თავგანწირულად მებრძოლ გვადი ბიგვას არ შეფერის გამოქმა, რომ მისმა შვილებმა „სისხლი არ უნდა ნახონ.“ ეს ჩრდილს აყენებს გვადის სიმათლურ სახეს, ჩვენი აზრით, ავტორს ასეთი სიტყვები არ უნდა ეთქმევინებინა გვადი ბიგვასათვის. მაგრამ განა ეს ისეთი ნაკლია, რომლის გამო მეთხველი უარს იტყვის გვადისათვის მებრძოლი პიროვნების სახელის მინიჭებაზე? რასაკირველია, არა. ის ღიღი სახალხო საქმე, რაც ბიგვამ გააქეთა, სრულიად სამარისია იმისათვის, რომ მისი სახე დარჩეს როგორც კეთილშობილი სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

გმირს შეიძლება ჰქონდეს ზოგიერთი ისეთი ნაკლიც, რომელიც შემდეგ არ დაუძლევია, ე. ი. ჩება დაუძლეველ უარყოფით ნიშნად, მაგრამ თავის-

1 იხ. „მნათობი“, 1952 წ., № 11, გვ. 115.

2 იხ. ე. „მნათობი“, 1939 წ., № 6, გვ. 157.

3 ი. სტალინი, ობზულებანი, ტ. 12, 1950 წ., გვ. 192-193.

თავად ეს უარყოფითი მოვლენა, თავის დროს გამართლებული იყო, რადგან იგი ხელს უწყობდა გმირს მიზნის მიღწევაში. ასეთია, მაგალითად, ავთანდილის მიერ ფატმანის „ხვევნა-კოცნა“. ავთანდილი უდავოდ გმირული სახეა და მის მოერ ერთ დროს ფატმანის ვნებებში აყოლა მას ჩრდილს აყენებს. ეს იყო ავთანდილის უარყოფითი ნაბიჯი, მაგრამ იგი ისეთი აუცილებელი ნაბიჯია, რომელსაც ავთანდილი მიძყავდა მიზნის განხორციელებისაკენ, ფატმანთან დაახლოება მას გზას უხსნიდა ნესტანის კვალის მისაგნებად. მხოლოდ ამით ამართლებს ავთანდილი თავის ურთიერთობას ფატმანთან. როდესაც ფატმანისაგან სამიზნურო წიგნი მიიღო, ავთანდილმა თქვა: „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია“-ო, მაგრამ შემდეგ დაფიქრდა და ასეთი დასკვნა გააკეთა:

ესეგვარი საზრახავი დაუზრახა გულსა შინა;  
მერმე იტყვის: „ჩემი შემწე ჩემგან კიდე არავინ-ა;  
რასათვისაც გამოჭრილვარ, მისი ძებნა რათვან მინა,  
რათამცა ვით ვჰპოებ, მას ვიქმ, გულმან სხვამცა რა ისმინა!“

ისი დიაცი აქა ზის, მახახავი კაცთა მრავალთა,  
მოსადგურე და მოყვარე მგზავრთა, ყოველწლით მავალთა;  
მივჰყვე, მიამბობს ყველასა, რაზომცა ცეცხლი მწვავს ალთა,  
ნუთუ რა მარგოს, მე მისი გარდახდა ჩემგან ვცნა ვალთა.

ყოველივე ზემოთქმული იმას ამტკიცებს, რომ არ შეიძლება გმირული სახისადმი აბსტრაქტული მიდგომა, რაღაც ისეთი მარადიული ნიშანების დადგენა და სქემების ჩამოყალიბება, რასაც აუცილებლად ცველა გმირული სახე უნდა მოერგოს. გმირული სახე არ არის რაღაც ასკეტი, წმიდანი, რომლისთვისაც უცხოა ყოველივე ადამიანური. არ შეიძლება ითქვას, რომ გმირულ სახეს აბსოლუტურად არ შეიძლება ჰქონდეს არავითარი უარყოფითი ნიშანი, რადგან მხატვრულ ნაწარმოებში გმირულ სახეებად გვევლინებიან ისეთი პერსონაჟებიც, რომლებსაც გმირად წროცესში ოდესებე განუცდიათ რაიმე სულიერი რყევა, თვითმკვლელობაც კი განუზრახავთ, ჩაუდენიათ რაიმე შეცდომა, ან დაეჭვებულან და ასე შემდეგ ამის მაგალითები ჩვენ ზევით დავასახელეთ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მხატვრულ ნაწარმოებში გვხვდება ისეთი გმირული სახეც, რომელსაც არავითარი უარ, ყოფითი ნიშან-თვისება არ აქვს. იგი ნაწარმოებში თავიდანვე შემოდის როგორც მოწინავე ადამიანი, როგორც გმირი, და ასეთივე ჩემება ბოლომდე. ასეთებია, მაგალითად, პ. პავლენკოს ვორობაევი, პ. ლორიას ანდრო ბერტაე და სხვ. ამიტომ მიუღებელია ის მცდარი თეორია, რომლის მიხედვით „დადებით გმირს“, გმირულ პერსონაჟს აუცილებლად უნდა მიეცეს უარყოფითი ნიშან-თვისებები, რათა ცოცხლად და დამაინტერესებლად წარმოდგეს იგი მკითხველის წინაშე.

მაშასადამე, მხატვრულ ნაწარმოებებში გვხვდებიან სხვადასხვანაირად, შექმნილი გმირული სახეები, მაგრამ ყველა მათვანის არსი იმაში. მდგომრობებს, რომ ტიპობრივად გამოსახვენ გმირობის არსს, ე. ი. თავგანწირულად, თავდადებულად, მამაცურად იბრძვიან ისტორიულად პროგრესული

დღიადი მიზნების განხორციელებისათვის. ამის გამო არიან ისინი შისაბაძი, მაგალითის მაჩვენებელი, წინსვლის სტიმულის მომცემი სახე-ტიპები. ამიტომ არსებობენ გმირული სახეები. ამ გაგებით შეიძლება გმირულ სახეებს იდეალური გმირები უწყოდოთ. გმირის იდეალურობა იმას კი არ ნიშნავს, რომ მისი მსგავსი ცხოვრებაში არ მოიპოვება და მისი სახით ისეთი სასურველი პერსონაჟი ისახება, რომელიც მხოლოდ შემდეგში უნდა წარმოიშვას და განხორციელდეს; იდეალური გმირები თვით ცხოვრებაში ნამდვილად არსებობენ და მათი იდეალურობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი მისაბაძი, გმირული სახე-ტიპები არიან. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში იდეალური რაღაც წარმოსახული არარეალური კი არ არის, არამედ კარგზე კარგი, აღმატებული, წუნდაუდებელი და სანიმუშო, რომელიც ცხოვრებაში მრავალია, მაგრამ ზველა ადამიანი ჭერ კიდევ არ გამხდარა გმხრი და ლიტერატურის უდიდესი აღმზრდელობითი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ქმნის რა გმირულ იდეალურ სახეებს, ამით ხელს უწყობს მასაში, ხალხში გმირობის, მოწინავეობის გავრცელებას, იტაცებს მკითხველებს და აღძრავს მათში აქტიობას, იდეალური სახე-ტიპებისადმი დამსგავსების მძღვანელი მისწრაფებას.

იდეალური გმირების შესახებ კარგად თქვა მწერალმა სამედ ვურგუნმა თავის მოხსენებაში საბჭოთა პოეზიის შესახებ საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობაზე:

„ჩემი აზრით, და მე ამას დარწმუნებით ვამბობ, ჩვენ გვჭირდება იდეალური გმირი. უეჭველია, ყველა დაღებითი გმირი არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს იდეალური, ვინაიდან იდეალური გმირი, ჩემი შეხედულებით არის დაღებითი გმირის სინთეზური სახე, რომელიც თავის თავში ახორციელებს ყველაზე მაღალ სულიერ ადამიანურ თვისებებს. არ იფიქროთ, რომ მე აქ მხედველობაში მყავს მხოლოდ რჩეული ადამიანები, ან დიდი პიროვნებები. რამდენადაც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის მთავრი დადგებითი გმირი არის მშრომელი ხალხი — მილიონობით უბრალო ადამიანი, ამდენად ბუნებრივია, რომ იდეალური გმირის სახეში ჩვენ უნდა გამოვსახოთ დიდი და ნათელი ცხოვრება ჩვენი რიგითი ადამიანისა, რომელიც ასახიერებს მშრომელ ხალხს. ამის გაკეთება შეეძლოთ ჩვენს აქლო და შორეულ წინაპრებს. ეს შეეძლო ნიკოლოზ ოსტროვსკისაც. მე არ ვიზიარებ იმ ამხანაგების აზრს, რომლებიც პავლე კორჩაგინის სახეს არ თვლიან იდეალურად იმ მიზეზით, რომ მას ჰქონდა მომენტი, როცა სურდა თავი მოეკლა. ეს ამხანაგები ივიწყებენ, რომ მან საბოლოო ანგარიშში დაამარცხა სიკერილი სიცოცხლის გულისათვის, გახდა ჩვენი თაობის სიამაყე და დიდება.

ლიტერატურაში იდეალური გმირის მოწინააღმდეგენი, სანაც შეტევას დაიწყებდნენ, წინდახედულად განაიარალებენ მას, რათა უიარალო შემდეგ აღილად დაამარცხონ. ისინი ამტკიცებენ, რომ იდეალური გმირი — ეს როდია ის რეალური და ჩვენთვის ჩვეული ადამიანი, რომელიც ჭამს, სვამს, ცხოვრობს, იბრძვის, იტანჯება, ხარობს, რომლის ცხოვრებაში აღგილი აქვს აღმაფრენასა და ღაცემას, რომელიც გაივლის ჩამოყალიბებისა და წინააღმდეგობათა დაძლევის პროცესს და სხვ. რასაკვირველია, თუ ასე ვულგარულად.

განვიხილავთ იდეალური გმირის სახეს, უფრო სწორად, თუ ასე წინასწარ აკვატებულად გამოვფიტავთ ამ სახეს, ჩამოვაცილებთ ყველაფერ რეალურს, რაც ყოველ ცოცხალ ადამიანს გააჩნია, მაშინ იდეალური გმირი წარმოგვიდგება როგორც „წმიდა ხატი“, რაღაც უსულო სქემა, რაღაც ლანდი, ცხოვრებაში ზედმეტი და შეუძლებელი. ასე იქცევა იდეალური გმირის მიმართ, მაგალითად, კ. სიმონოვი, რომელიც იდეალური გმირის სახეს ადარებს საკონდიტრო ნაწარმს.

იდეალური გმირი — ეს სწორედ ისეთი გმირია, რომელსაც გააჩნია სწორედ ყველაზე მაღალი, რეალური, მიწიტერი და ცხოვრებისმიერი თვისებები. იდეალური გმირი შეიძლება იყოს ყველა წინასაღმდეგობრივ და რთულ ადამიანთა შორის ყველაზე უფრო წინასაღმდეგობრივი და რთულიც კი. მას შეიძლება გააჩნდეს აგრეთვე თავისი სუსტი მხარეები, მაგრამ ის ძლიერია იმით, რომ მისი სახით ჩვენ ვხდავთ ნამდვილ ადამიანს. იდეალური გმირის ძალა არის მთელი თაობის ან ხალხის ძალა.

იდეალური გმირის როგორი მომხრეც არ უნდა ვიყო მე, მანც არ მინდა გადავაქციო იგი ჩვენი პოეზიის მთავარ პრობლემად. ლიტერატურას იდეალური გმირის გარეშეც შეუძლია არსებობა, მაგრამ იგი წარმოუდგენელია უიდეალოდ. აი რატომ არის, რომ დღეს, ისე როგორც ყოველთვის, ჩვენი პოეტური აზრის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს უმღეროს ჩვენი ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ნათელ იდეალებს. აქედან დასკვნა: არ შეიძლება ლიტერატურაში იდეალის საკითხის გაიგივება იდეალური გმირის საკითხთან<sup>1</sup>!

ჩვენი აზრით, ს: ვურგუნი სწორად ახასიათებს იდეალური გმირის არსს. თითქოს ეჭვის იწვევს ბოლო ნაწილი, სადაც ნათქვამია: „ლიტერატურას შეუძლია არსებობა იდეალური გმირის გარეშეც, მაგრამ იგი წარმოუდგენელია უიდეალოდ.“ ასე გამოდის, რომ ლიტერატურაში შეიძლება არსებობდეს იდეალი, რომელსაც არ ატარებს იდეალური ადამიანი. ვინ უნდა ატაროს ეს იდეალი თუ არა იდეალურმა გმირმა? აქ თითქოს წინასაღმდეგობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მეორე მხრივ, ლიტერატურის ისტორიაში ხომ გვხდება. ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიაც არ არის არც ერთი იდეალური გმირი. არ ჰყავთ არამც თუ იდეალური გმირი, არამედ არ გააჩნიათ საერთოდ დადებითი პერსონაჟი, მაგრამ გააჩნიათ იდეალი. მართალია, ასეთ ნაწარმოებებს არ ჰყავთ იდეალური გმირები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მკითხველებში მაინც ნერგავენ მძლეობა მძლე იდეებს, დიად იდეალებს? ასეთია მაგალითად, ხ. გოგოლის „რევიზორი“, რომლის იდეა თვითმშეყრობელობის წინასაღმდეგ ბრძოლაა. იდეალად კი დასახულია ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელშიც არ იარსებებს ტირანია, ბიუროკრატიზმი, ადამიანის ჩაგვრა. ამით იგი გამოხატავს მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესს, დიდი სახალხო მნიშვნელობის მისწრაფებებს, პროგრესულ იდეალს, მაგრამ ამ იდეალის მატარებელი „რევიზორში“ არ არის არც ერთი პერსონაჟი, თუმცა მთლიანად ეს ნაწარმოები ამ იდეალის მატარებელია. ე. ი. იდეალს ატარებს მთელი ნაწარმოები

<sup>1</sup> „Литературная газета“, № 150, 1954 წ., 17 დეკემბერი.

და არც ერთი პერსონაჟი. ისეთ ნაწარმოებებში, რომლებშიც არ არის არც ერთი დადებითი პერსონაჟი, მოვლენები ისე ვითარდება, რომ საბოლოოს დაგმობილია უარყოფითი და მკითხველი იმსჭვალება უარყოფითის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის მისწრაფებით. მეტერლისათვის ამის მიღწევა რთული ამოცანა და ზოგჯერ ეს ვერ ხერხდება მეტერლის უშუალო, პირდაპირი ძონაწილების გარეშე, ამიტომ არის, რომ ასეთ ნაწარმოებებში ზოგჯერ მეტერლები ხდებიან იდეალის მატარებელ პერსონაჟებად. ასეთი ნაწარმოებების შესწავლის დროს უდავოდ ყურადღებას იპყრობს ის მოვლენა, რომ ავტორები ხშირად ერევიან სიუჟეტის განვითარებაში და აქეთებენ მნიშვნელოვან შენიშვნებს. ჩვეულებრივად ასეთ მოვლენას ლიტერატურის თეორიაში უწოდებენ ავტორის რემარკას, ლირიკულ გადახვევას და მიიჩნევენ მხატვრული თხრობის ერთგვარ მარტივ ხერხსაც. ჩვენი აზრით, ავტორის გამოჩენა ნაწარმოებში უბრალო ხერხი კი არ არის, არამედ ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რაც იმით არის გამოწვეული, რომ მოხდეს იდეალის ლოკალიზაცია უმთავრესად ისეთ ნაწარმოებში, რომელშიც ყველა პერსონაჟი უარყოფითია, ან რაოდენობრივად ბევრად სჭარბობენ დადებით პერსონაჟებს. „ვინც ლუარსაბის სახეში თავისითავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის-თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გიუიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დაწერს. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“ — ამბობს ილია ჭავჭავაძე მოთხრობის დასატყისში. და ეს „საზოგადო ჭირი“ ის იყო, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი, ყმა-გლეხები თფლს ღვრილნენ, შრომობდნენ და შრომის შედეგი კი პარაზიტულ წოდებას მიჰქონდა. ილია ებრძვის ამ საზოგადო ჭირს, მოითხოვს ბატონყმობის მოსპობას, პროგრესული საზოგადოებრივი წყობილების შექმნას. ეს არის ამ ნაწარმოების იდეა და იდეალიც, რომლის მატარებელია მთელი ნაწარმოები, გამოხატული მოვლენებისადმი ავტორის უარყოფით დამოკიდებულებაში. „მე მიყივლია“ — ასკვნის ილია და ეს პოტშური ყივილი გათვენების, წინამორბედი იყო. ასეთი მდგომარეობაა ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში: ე. ი. გმირული, იდეალური პერსონაჟების შემცველ ნაწარმოებთა გვერდით არსებობენ ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებშიც იდეალი მოცემულია იდეალური გმირის გარეშე. ასეთი მდგომარეობა გამოწვეული იყო მაშინდელი სინამდვილის თავისებურებით, რადგან იმ დროს თვით ცხოვრებაშიც არ არსებობდა მრავალი დადებითი ჯმირი. ცხოვრებაში სჭარბობდა უარყოფითი და სინამდვილეში ამ უარყოფითის მოჭარბებულობით იყო გამოწვეული უარყოფითი პერსონაჟის მოჭარბებულობა ლიტერატურაში. სხვაგვარი მდგომარეობაა საბჭოთა ქვეყანაში. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში ხორციელდება დიალი იდეალუბი, გაბატონებულია დადებითი, სიკეთე, სამართლიანობა და ჭეშმარიტება. ამას ატარებს და იცავს კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხელისუფლება. ახლა ჩვენს ქვეყანაში მასობრივად გავრცელებულია დადებითი და კარგის მოქმედი, კარგის დამცველი ადამიანები და ის გარემოება თავის გამოხატულებას პოულობს მხატვრულ ლიტერატურაში. ჩემი აზრით, ახლა საბჭოთა ლიტერა-

ტურაში მხოლოდ უარყოფით პერსონაჟებზე აგებული მხატვრული ნაწარმოების შექმნა არ შეიძლება წახალისებულ იქნას. რასაკირველია, საბჭოთა შრერალს არ ეკრალება ისეთი ნაწარმოების შექმნა, რომელშიც გამოყვანილი იქნება მხოლოდ უარყოფითი პერსონაჟები, მაგრამ ამ შემთხვევაში ნათლად უნდა ჩანდეს მწერლის მახილებელი დამოკიდებულება უარყოფითი პერსონაჟისადმი. ამის შესახებ კარგად ამბობს ვ. ლაცისი: „В произведении социалистического реализма **обязательно должен быть показан положительный герой**, а в случае, если автор дал произведение, в котором выведены только отрицательные персонажи, **отсутствующего положительного героя должен замещать сам автор** — он должен разоблачать своих отрицательных персонажей, четко и недвусмысленно определить и показать свое отношение к ним и к описываемым событиям, с тем чтобы читатель ясно понял, за что стоит и против кого борется автор“.<sup>1</sup> ჩვენი მწერლები დიდად დაინტერესებული უნდა იყვნენ და დაინტერესებული არიან გმირული სახე-ტიპების შექმნით, რადგან, როგორც ვიცით, მხატვრული ლიტერატურა პოზიციურად თავის აღმზრდელობითს ფუნქციას წარმატებით ამ მხრივ ავლენს. რასაკირველია, უხეში შეცდომა იქნება არაგმირული დადებითი სახის აღმზრდელობითი დანიშნულების უგულვებელყოფა. არათუ დადებითი, არამედ უარყოფითი პერსონაჟებიც არაპირდაპირი გზით, ე. ი. მათგან მკითხველების გამიჯვნით, ასრულებენ მკითხველების აღმზრდის ფუნქციას, მაგრამ აბსოლუტურად კეშმარიტია აზრი, რომ მხატვრული ლიტერატურა პოზიციურად თავის აღმზრდელობითს როლს უკეთად მეტად და სრულყოფილად მისაბაძი გმირული სახე-ტიპების შექმნის საშუალებით ასრულებს. პროგრესული მწერლების პოეტური ჩანგი ყოველთვის ასეთ გმირებს ეძახდა: „გმირებს უძახის... უყივის ჩემი დაფი და ნაღარაო“, ამბობს აკაკი წერეთელი:

ვინ აღწნდეს გმირი,  
რომ მის ძლიერი  
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?  
რომელ მარჯვენით  
ერთისა დაკვრით,  
უსულოდ ვეშაპს მიწად დაპსცემდეს?<sup>2</sup>

წერდა გრიგოლ ორბელიანი. მასვე ეკუთვნის გმირების საღიღებელი სადღეგრძელო:

გმირნო, მამულის მაღიდნო, თქვენა ხართ ჩვენი ღიდება!  
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოპსოვების შთამომავლობა.

„გმირობა კაცობრიობის სილამაზეა“. კაცობრიობა, ერი, ხალხი, პროგრესული კლასი და პარტია გმირებში ხელავენ. აღამიანთა ჭიჭის მასწავლებელი

<sup>1</sup> „Литературная газета“, 1954 წ., № 116. 28. IX. (ხაზგამა ჩემია. ა. ჩ.).

<sup>2</sup> გრ. ორბელიანი, პოეზია, 1951 წ., გვ. 16.

ბელს: „ერთ თავის გმირებში პპოულობს თავის სულსა და გულს, თავას მწვრთნელსა... და მაგალითს:“<sup>1</sup> — წერს ილია ჭავჭავაძე.

პოემა „მარაბდის“ შესავალში ანტონ ფურცელაძე ლაპარაკობს იმ პიროვნებების შესახებ, რომლებმაც თავიანთი გმირული მოქმედებით თავი ისახელეს ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცუაში. ასეთი აღამიანები, ავტორის თქმით, გვზრდიან ჩვენ გმირული განწყობილებებით:

ხშირად სევდისგან დატყვევებული,  
გონების თვალით გავსცერ ამ გმირთა  
და მათი დიდი გმირული საქმით,  
ვით მუფარახით, ვიქარვებ ჭირთა.

„ფურცელაძის გაგებით, გმირთა ძიება აღამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რაღაც ეს გმირები ცხოვრების გზას გვინათებენ და კეთილი საქმა-საკენ მოგვიწოდებენ:

ეძებ გმირს კაცს და დიდებულთ საქმეთ,  
რომ დაისცენ წინ ხატად, სარკედ  
და ცხოვრების გზას დაუდგე გულმნედ.  
დიდი საქმე და გმირული ქცევა,  
ვითა ლამპარი, გინათვენ გზასა,  
თუ კაცს ძირამდის ზნე არ მოჰყვინია,  
აღუძვრენ გულში კეთილის ძალსა.

მკითხველებს უნათებენ გზას არა მხოლოდ დადებითი პერსონაჟები, არამედ, რაც მთავარია, მოწინავე პირები, გმირები. ასეა ცხოვრებაში და ასევე მხატვრულ ლიტერატურაშიც. სახის მხოლოდ დადებითობა არ კმარა გზის განათებისათვის. პერსონაჟის დადებითობა არ ამოსწურავს მის აღმზრდელობითს ფუნქციას. ტიპის გაცნობა მკითხველის სულს ღრმად, ცხოვლად უნდა დააჩნდეს. ასეთი ზემოქმედების მაქსიმალური უნარი გააჩნიათ გმირებს, მოწინავე პირებს. ამის შესახებ ხაზგასმით ამბობდა ნ. ბარათაშვილი:

...პოი გმირნო, ნუ შეშფოთდებით,  
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:  
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,  
საშვილისშვილოდ გადაეცემის.

ამ მხრივ ერთობ საგულისხმოა ლ. კეცხოველისაღმი შიძლენილი ირ. ევლოშვილის ლექსი „გმირის საფლავზე.“ ამ ლექსში ხაზგასმულია გმირის უდიდესი აღმზრდელობითი ძალა, გმირი შობს ახალ გმირებს:

„აწამეს, მოკლეს, სხვაც ბევრი არი  
ჩვენ ამხანაგთა ველზე სამარე.  
უგულო მტერო, ხომ გაიმარჯვე!  
მაშ გაიცინე, გადინარხარე!

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1955 წ., გვ. 180.

მაგრამ იცოდე, მისი საქმენი  
სადიდებელი არა კვლებიან,  
გმირის ადგილას თავგანწირულინი  
ისევ გმირები იბადებიან.<sup>1</sup>

გმირების მიერ ცხოვრებაში ახალი გმირების გამოწვევა აქვს მხელელობაში პოეტი ირაკლი აბაშიძეს, როცა წერს:

იბეღნიერე, ჩემო მხარევ,  
შენს მთებს,  
შენს ველებს  
გმირთა ნაბიჯე  
კიდევ გმირი გაეკიდება.<sup>2</sup>

მაშასადამე, გმირობა და გმირები ცხოვრებაში ახალ გმირობასა და გმირებს აჩენენ.

ამაში მდგომარეობს ჭმირობისა და გმირების აღმზრდელობითი ძალა. ეს ერთნაირად ეხება როგორც გარდაცვლილ, ისე ცოცხალ გმირებს.

მაქსიმ გორკი ამბობს: „ჩენ გვინდა გმირობა ვაშწავლოთ ადამიანებს“<sup>3</sup> და უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანის შესრულებაში დიდ როლს ასრულებს ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის მიერ შექმნილი სახეები; ამათგან კი გმირობის სწავლაში ადამიანებს ყველაზე უფრო მეტად ეხმარება გმირული სახე-ტიპი. ასეთი მრავალი გმირული სახეების შექმნის საქმეში ჩვენი მწერლები ჭერ კიდევ ვალმი არიან გმირი საბჭოთა ხალხის წინაშე. მწერლების გადაუდებელი საპატიო ამოცანაა მეტი რაოდენობით შექმნან ტიპობრივი გმირული სახეები, რათა ამით დაქარდეს იმ გრანდიოზული ამოცანების შესრულება, რაც დასახულია ლიტერატურისა და მწერლობის წინაშე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობისადმი: „მნიშვნელოვანი და საპატიო ამოცანა ის არის, რომ ახალგაზრდობა, ახალგაზრდა მუშები, კოლმეურნები, ინტელიგენტები, საბჭოთა პროგრესის მეტადობი აღზარდოს შრომისადმი სიყვარულის, სიმსნევის, უშიშროების, ჩვენი საქმის გამარჯვებისადმი რწმენის სულისკვეთებით... იყონ კომუნისტური საზოგადოების აშენების აქტიური მონაწილეები, ხედავთნენ და იცნობდნენ ჩვენს თანამედროვეებს, რეალურ გმირებს — კომუნიზმის მშენებლებს.“ ლიტერატურის გმირული სახეები სწორედ, რომ რეალური გმირების შხატვრული სახეებია და ასეთი სახეების მეტი რაოდენობით შექმნა მთავარი შემოქმედებითი ამოცანაა, რომელსაც პირნათლად შეასრულებენ ჩვენი საბჭოთა მწერლები, როგორც მსოფლიოში ყველაზე უფრო იდეური, მოწინავე ლიტერატურის — საბჭოთა ლიტერატურის — ღირსეული წარმომადგენლები.

25, I 1955 წ.

1 ირ. ევდოშვილი, თხზ., ტ. I, 1935 წ., გვ. 214, (ხაზგასმა ჩემია. ა. ჩ.).

2 ირ. აბაშიძე, ბეჭული, 1954 წ., გვ. 150, (ხაზგასმა ჩემია. ა. ჩ.).

3 მ. გორკი, ახალგაზრდობის შესახებ, 1950 წ., გვ. 9. (ხაზგასმა ჩემია. ა. ჩ.).

## რომანი ახად აღამიანებზე

ცნობილი ქართველი საბჭოთა მწერლის პატივის მხატვრული პროდუქციიდან მკითხველთა განსაკუთრებული ინტერესი და პოპულარობა მოიპოვა რომანმა „განთიადი ხევში“, რომელიც პირველად „დელი მურადის“ სახელწოდებით გამოიცა.

რომანის პოპულარობა შემთხვევითი როდია. მისი წარმატება განაპირობა, ერთი მხრივ, თემაზე და იდეურმა მიზანდასახულობამ, ხოლო, მეორე მხრივ, საკანონო მაღალმა მხატვრულმა დონემ. მწერალმა შეძლო შეენიშნა და სწორად, მართლად გაღმოეცა ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებელთა მთელი რიგი ტიპობრივი თვისებები და გამოეკვეთა დასამახსოვრებელი ხასიათები, რომლებიც გვხიბლავენ ღრმა იდეურობით, კეთილშობილებით, უშუალობით. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა კომუნისტ ანდრო ბერტაძის, აგრეთვე მურად ოდილაძისა და მისი დის ნაილეს მხატვრული სახეები.

გარემო, რომელშიც რომანის გმირები ცხოვრობენ და მოქმედებენ, რამდენადმე თავისებურია; ეს კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს ნაწარმოებისადმი და მწერალს საშუალებას აძლევს სრულად, ყოველმხრივ გვიჩვენოს ის სიძნელენი, რომელთა გადალახვა აუცილებელი იყო ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. როგორც მკითხველებმა იციან, რომანის მოქმედება გაშლილია აქარის მაღალმთიან, საზღვრისპირა სოფელში, საღავანსაკუთრებით ძლიერი იყო კლასობრივი წინააღმდეგობანი, რასაც ერთვოსა უკიდურესი ჩამორჩენილობა, კარჩაკეტილობა, ტრადიციებისა და ადათწესების ბატონობა, რელიგიური ცრურწმენა.

ამ მხრივ „განთიადი ხევში“ რამდენადმე უახლოვდება ტიხონ სიომუშკინის ცნობილ რომანს „ალიტეტი მთებში მიღის“. მიუხედავად იმისა, რომ ერთი რომანი ასახავს საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა და განმტკიცების პროცესს აქარის მაღალმთიან სოფელ წყავნარაში, რომელიც ჩვენი დიადი სამშობლოს უკიდურეს სამხრეთ-დასაცლეთში მდებარეობს, ხოლო მეორე რომანი ამავე პროცესს ასახავს ჩუკოტკაში, რომელიც უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთშია, მათ შორის დიდია მსგავსება და ზოგიერთი ეპიზოდი თითქმის ემთხვევა კიდევაც. რა თქმა უნდა, ლაპარაკი ზედმეტია ამ მწერლების ერთმანეთზე რაიმე პირდაპირი გავლენის შესახებ, რამდენადაც „დელი მურადი“ ჯერ კიდევ 1939 წელს გამოიცა; ხოლო „ალიტეტი მთებში მიღის“ პირველად 1947 წელს გამოქვეყნდა. ეპიზოდების დამთხვევა და მოვლენათა თითქმის ერთნაირი განვითარება აიხსნება თემის, დროისა და მიზანდასახულობის იგივეობით.

თავისთვად ცხადია, მოვლენათა ფითქმის ერთნაირი განვითარება არ ნიშნავს, რომ ამ ორი ნაწარმოების ხასიათები ერთნაირია და არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. არა, ასე არ არის. თვითეულ გმირს აქვს თავისი საკუთარი ინდივიდუალობა, რასაც განსაზღვრავს ეკონომიური, კულტურული, ყოფაცხოვრებითი და ა. შ. გახვითარების თავისებურება. იარაკი და მურადი, ტიგრენა და ნაილე სულ სხვადასხვა ხასიათებია, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არის საერთო — ძალადობისა და ჩაგვრისადმი შეურიგებლობა, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ მისწრაფება, მაგრამ არის არსებითი განსხვავებაც, რაც განპირობებულია მათი ინდივიდუალობითა და გარემოთი.

მეორე მხრივ, პარმენ ლორიას რომანის ზოგიერთი გმირი უახლოვდება გმირებს, რომლებიც შექმნა დიდმა ქართველმა მწერალმა ალექსანდრე ყაზბეგმა. მურადი, მაგალითად, როცა იგი რომანში შემოდის, მოგვაგონებს ელგუჯას, რამდენადაც ორივენი, როთაც შეუძლიათ, იბრძვიან უსამართლობის, არაადამიანობისა და ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ. • საერთოა შათში ისიც, რომ არც ერთმა არ იცოდა, თუ როგორ მოგვივებინა ნამდვილად თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება. მაგრამ ელგუჯა ისე დაიღუპა, რომ ეს ჭეშმარიტება ვერ იპოვა, მურადმა კი მიაგნო მას.

რამ შეაძლებინა მურადს გადაედგა ნაბიჯი წინ, გაბედულად შებრძოლებოდა ძველს, რათა მის ნანგრევებზე მთელ ხალხთან ერთად აეშენებინა სრულიად ახალი ცხოვრება, რომლის მსგავსი მანამდე არც ერთმა ეპოქაშ არ იცოდა?

ეს არის არსებითად პარმენ ლორიას რომანის დედაზრი, მისი თემა, რაც გადაწყვეტილია სწორად, ცხოვრების ცოდნით, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით. მურადი მყითხველის თვალწინ იზრდება და, წინათ შეუგნებელი და ჩამორჩენილი, ხდება მოწინავე ადამიანი, ახალი ცხოვრების აქტიური მშენებელი.

მურადი ისევე მტანჯველად განიცდიდა ცხოვრების უსამართლობას, როგორც ელგუჯა, მაგრამ მან, ისევე, როგორც ელგუჯამ, არ იცოდა რა გაეკეთებინა უსამართლობის მოსახლეობად „რა ქნას, ვის უთხრას, ვის გაუზიაროს თავისი დარღ-ნალველი! რა დარღი და რა ნალველი აქვს? რა აწუხებს? მერე ვინ მიაქცევს ამას ყურადღებას! ჯობს ჩუმად იყოს, ენა ჩაიგდოს და არავის არაფერი უთხრას, თორემ უარესია“, — ასე ფიქრობდა მურად ოდილაძე და, გამოსავალი რომ ვერ იპოვა, აღამიანებს განერილა, ტყე-ტყე ხეტიალი იწყო. ამიტომაც შეარქვეს მას დელი, ე. ი. გიურ.

და აი მურადი შემთხვევით გზად შეხვდა ანდრო ბერტაძეს, ახალგაზრდა და კომუნისტს, რომელიც მის სოფელ წყავნარაში მიღიოდა „ადგილობრივი ამხანაგების დასახმარებლად.“ ამ დროს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება თითქმის ორი წლისა იყო, მაგრამ მივარდნილ და მიუვალ წყავნარაში იგი მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. თემსაბჭოს თავმჯდომარე იყო ყოფილი ჩაფარი დურსუნ შვინდაძე, რომელსაც თავი კომუნისტად მოჰქმნდა. მასთან ერთად სოფელს ფერტიურად განაგებდნენ ხოჯა მამუდი და იუსუფ ალა. სავ-

სებით მართალი იყო მურადი, როცა ამის გამო ახლად გაცნობილ ანდრო ბერტაძეს შესხივლა: „ტყვილა იძახიან, მთავრობა შეიცვალაო, ახალი მთავრობა დადგა, ხალხის მთავრობა მოვიდაო. სულ ტყვილია.“

მურადის შეგნება გამსჭვალულია საუკუნეთა მანძილზე განმტკიცებული ასრით, რომ მთავრობასა და ხალხს არ შეიძლება ჰქონდეს ერთი ინტერესი, ერთი მიზანი, რომ მთავრობა მოწოდებულია შეავიწროოს ხალხი, ხოლო ხალხი ვალდებულია მოთმინებით აიტანოს ყოველგვარი ჩაგვრა. „როდას უთქვამს მთავრობას ჩვენთვის კარგი და სასარგებლო?“ — ამბობს მურადი და მისი ეს მოსაზრება უსაფუძვლო როდი იყო. მართლაც, საუკუნეთა მანძილზე სახელმწიფო, მთავრობა, დაუნდობლად ებრძოდა ხალხს და ექსპლოატატიკორთა ძლიერი იარაღი იყო ექსპლოატირებულთა წინააღმდეგ ბრძალაში. ცნობას იმის შესახებ, რომ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ხალხის მთავრობა, მურადი სიხარულითა და იმედით შეხვდა, მაგრამ ამაოდ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ წყავნარაში არსებითად არაფერი შეცვლილა და მურადს გული გაუტყდა. მართალია, იგი ხედავდა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ასე თუ ისე ფეხი მოიკიდა და სოფელში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც გლეხებს ექმოაგებოდნენ და ნამდვილად სურდათ ხალხის ბედნიერება (ესენი უმთავრესად იყვნენ მასწავლებლები), მაგრამ თემსაბჭოს თავმჯდომარე დურსუნ შვინდაძე გასაქანს არ აძლევდა მათ, უპატიოსნო ადამიანების დახმარებით ათასგვარ შარს სდებდა და სოფლიდან აძევებდა. ვინც კი ხმა ამოილო შვინდაძის თვითნებობის წინააღმდეგ, ყველა დამარცხდა და ამან შექმნა შეხედულება, რომ თემსაბჭოს თავმჯდომარე ყოვლის შეძლე იყო.

ეს შეხედულება კიდევ უფრო განამტკიცა იმ ფაქტმა, რომ ქალაქიდან წყავნარაში ასული „მთავრობის კაცებიც“ უძლური აღმოჩნდნენ შვინდაძესთან. ამიტომ იყო, რომ მურადი მათ მატყუარებად თვლიდა, რაკი გარდა დაპირებებისა, არაფერი გამოსდიოდათ და ვერ შეძლეს ახალი ნაკადი შეეტანათ, არსებითად შეეცვალათ სოფლის ცხოვრება. ბუნებრივია, რომ მურადმა ეწევით შეხედა ანდრო ბერტაძესაც. „რამდენი შეპირება იცით ამ ქალაქელმა ხალხმა... რას იზამ, ქალაქელებმა ლაპარაკი და ანგარიში იცით, სოფლელებმა მარტო მუშაობა და მორჩილება... თქვენ ლაპარაკით ჭამთ პურს, იცვამთ, იხურავთ, ჩვენ კი მუშაობითაც ვერ ვინახავთ თავს...“ ასე გამოხატა მურადმა თავისი უნდობლობა ანდრო ბერტაძისაღმი პირველი შეხვედრისას და „ქალაქელებისაღმი“ საერთოდ.

ქალაქელისა და სოფლელის, ქალაქისა და სოფლის ასეთი დაპირისპირება ახალი როდია. მას შემდეგ, რაც ქალაქები წარმოიშვა, მათ თანდათანობით ხელთ იგდეს არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური და კულტურული უპირატესობანიც და ქალაქი არსებითად ექსპლოატაციას უწევდა სოფელს. სოფელი თავის განვითარებაში დიდად ჩამორჩა ქალაქს, რაც წარმოების კაპიტალისტური წესის პირდაპირი შედეგი იყო. ამან, ცხადია, სოფლის მოსახლეობაში წარმოშვა უნდობლობა და სიძულვილი ქალაქისაღმი. მსოფლიო ლიტერატურაში, მათ შორის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერ-

ლობაშიც, ასახა ქალაქისა და სოფლის ეს დაპირისპირებულობა, სოფლების სიძულვილი და უნდობლობა ქალაქისა და ქალაქელისადმი.

სოფლელისათვის ქალაქი იყო მატყუარობის, ოინბაზობის, უსამართლობის, გულქვაობის განსახიერება. ასეთი იყო, მაგალითად, ქალაქი ილია ჭავჭავაძის ცნობილი მოთხრობის „სარჩიობელაზედ“ გმირის სოფლელი პეტრეს თვალში. ობილისში ყოფნისას პეტრე შემთხვევით დაესწრო აღამიანის ჩამოხრიობას მასათას მთაზე და არ იქნა და ვერ დარწმუნდა, მართალი ჩამოხრიობა იყო ეს თუ ტყუილი. მას შემდეგაც კი, რაც დამნაშავე ჩამოხრიეს, პეტრე ურწმუნოდ აქნევდა თავს: „დილამდი რომ სულ ეგრე იქნივო ფეხები, მაინც არ დაგიჯერებ“, ამბობდა თავისთვის იგი და, თუმცა ძლიერ სურდა გაეგო სიმართლე, მაინც არავის ეკითხებოდა, ფრთხილობდა — ეს დროული კაცი არ შევრცხვეო. „ეგ სულ მაცდურობაა, დაგცინებენ, იტყვიან, სოფლელიაო და მოტყუვდაო“, — ფიქრობდა პეტრე და საკუთარ თავს აფრთხილებდა: „ჰა, პეტრე, გაფრთხილდი, არ გაგაბრიუვონ, სასაცილოდ არ გაიხადო თავი. აი უსაქმურ ხალხს რომ იტყვიან, ეს ქალაქელები არიან“. „დასწყევლოს ღმერთიმა ეს ქალაქელებით“, ამბობს პეტრე და ამით გამოხატავს არა მარტო თავის, არამედ სოფლელთა შეხედულებასაც კაპიტალისტურ ქალაქზე.

მურად ოდილაძეც ასეთივე შეხედულებისა იყო ქალაქსა და ქალაქელზე. და ამ შეხედულებას ჰქონდა თავისი სოციალური საფუძველი. იგი კიდევ უფრო განუმტკიცეს ქალაქელმა „მომაგრებულებმა“, რომლებიც ბეჭრს ჰქიდებოდნენ წყავნარელ გლეხებს, მაგრამ საქმით ვერ ეხმარებიან დურსუნ შვინდაძის წინააღმდეგობისა და ინტრიგების გამო. ასე გადმოპყვა ძველი შეხედულებანი მურადს ახალ ვითარებაშიც, თუმცა ეს ვითარება ჯერჯერობით მხოლოდ სახელით იყო ახალი, ნამდვილად კი ბევრით არ განსხვავდებოდა ძველისაგან.

მეტად ბუნდოვანი, არასწორი წარმოდგენა ჰქონდა მურადს. კომუნისტისა და კომუნისტურ პარტიაზეც. ამის მიზეზი ის იყო, რომ მურადი კომუნისტია თვლილა თემსაპჭოს თავმჯდომარე დურსუნ შვინდაძეს და ეგონა უველა კომუნისტი ისეთი იყო, როგორიც შვინდაძე, თუმცა შვინდაძე არასოდეს ყოფილა კომუნისტურ პარტიაში და მხოლოდ თავი მოჰქონდა კომუნისტად. ამიტომ სავსებით ბუნებრივია მისი პასუხი წყავნარაში მიმავალი ანდრო ბერტაძის კითხვაზე: გსურს თუ არა იმუშაო პარტიაშიო. „არა, არ შემიძლია, — მტკიცედ, გადაჭრით განაცხადა მან. — სჯობს ისევ ასე. ვიხეტიალო, ვიდრე ჩვენს თავმჯდომარესავით გამოწყობილი დავდიოდე და უველას ვძულდე“. მურადმა იცის, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც შვინდაძეა, არ შეიძლება იყოს. ხალხის ქომაგი, მისი ინტერესებისათვის მებრძოლი და ანდროსთან პირველსავე საუბარში გულწრფელად ინატრა: „ეჭ, ერთი ჩემისთანა რარიბების პარტიაც დაარსდებოდესო.“ მან არ იცოდა, რომ კომუნისტური პარტია არის სწორედ ლარიბთა და უველა ექსპლოატირებულის ძირეულ ინტერესთა გამომხატველი და დამცველი, ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებული მეპრძოლი.

ამავე დროს მურად ოდილაძის შეგნებაში იყო პროგრესული ელემენტებიც, მოწინავე იდეებიც, რომლებიც მას შთაგონა მასწავლებელმა ქეთომ წყავნარაში თავისი ხანმოკლე მოლვაწეობის დროს, ხანმოკლე, რაღაც იგი დუსტური შეინდაძემ თავიღან მოშორა, როგორც არასასურველი პიროვნება. სწორედ ქეთოს ზეგავლენით გათავისუფლდა მურადი რელიგიურ ცრურწმენათაგან: მურადი არ იცავდა მუსლიმანურ ადათ-წესებს, ტრადიციებს, არ ლოცულობდა, არ ინახავდა მარხვას. რაც მთავარია, მას გულწრფელად სურდა ცხოვრების ძირებესვიანად გარდაქმნა, მისი ანლებურად მოწყობა, სოფლის წურბლების ალაგმვა, და მზად იყო სიცოცხლეც კი შეეწირა ამ საქმისათვის. როგორც თესლში სიცოცხლე, ისე მურადშიც ყველაფერი მზად იყო თავდადებით ებრძოლა ხალხის ბედნიერებისათვის. საჭირო იყო მხოლოდ გზის ჩვენება, მისი შეგნებულობის დონის ამაღლება და სწორედ აქ დამხმარედ, შემწედ შევიღა ანდრო ბერტაძე, კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი. როგორც მზრუნველი მეურნე თესლს უქმნის აღმოცენებისა და სიცოცხლის წარმოქმნის ყველა პირობას, ისე ანდრო ბერტაძესაც დიდი ცხოვრების გზაზე გამოჰყავს მურადი, და განა მარტო იგი! მთელი ახალგაზრდობა, მთელი სოფელი. მურადისათვის ანდრო იგივე იყო, რაც მცენარისათვის მზე და წყალი.

ეს ადვილი როდი იყო. სოფელზე დიდი გავლენა ჰქონდათ დუტსუნ შეინდაძეს იუსტუფ ალას, ხოჭა მამულს, და გლეხობა თითქოს შერიგებოდა მათს დაუსჯელად პარტაში. ყველა, ვინც შეეცადა შებრძოლებოდა მათ, სოფელს მოაცილეს და დაღუპეს. დიდი იყო რელიგიური ცრურწმენისა და ტრადიციების, ღრმომოქმული ადათ-ჩვევების ძალა. იგი თავს იჩენდა ყველგან და ყოველთვის და ხელს უწყობდა შეინდაძეს და მის დამქაშებს. სოფელი სიბნელეში, კარჩაკეტილად ცხოვრობდა და ხეირიანად არც კი იცოდა რა ხდებოდა ქვეყნად. გლეხთაგან თითქმის არავინ ფლობდა წერა-კითხვას. სოფელს არ მოსდიოდა არც გაზეთი, არც უურნალი და წიგნი, არ ჰქონდა გზა. ამავე დროს გლეხებს არ სჯეროდათ მთავრობის წარგზავნილებისა, რამდენადაც თემსაბჭოს თავმჯდომარე უძლეველი ჩანდა.

შეძლებდა თუ არა ანდრო ბერტაძე დაეძლია მტრული ძალების წინააღმდეგობა, შეექმნა მტკიცე დასაყრდენი ბირთვი, მისი შემწეობით დაერაზება სოფლის გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების ღროშის ქვეშ და გამოეყვანა, წყავნარელი მშრომელები ახალი ცხოვრების მშენებლობის ფართო გზაზე? იგი სრულიად ახალგაზრდა იყო და, ბუნებრივია, აკლდა გამოცდილება, რაც მას თვით ბრძოლის პროცესში უნდა შეეძინა, და, ამასთან, რაცა საჭირო იქნებოდა, დაეცხო ახალგაზრდული გულისოქმაც ისე, რომ უთუოდ შენარჩუნებინა გაბეღულება, გადამწყვეტი მოქმედების უნარი. ამ მხრივ მასთან შედარებით დიდი უპირატესობა ჰქონდა ლოსს, ტიხონ სიომუშინის ცნობილი რომანის „ალიტეტი მთებში მიღის“ გმირს, რომელსაც დაახლოებით ისე-თივე ამოცანა უნდა გადაეწყვიტა შორეულ ჩუკოტკაში, რაც ანდრო ბერტაძეს წყავნარაში. ლოსი გამოცდილი პარტიული მუშაკი იყო და საუცხოოდ ფლობდა ხელმძღვანელობის ხელოვნებას. ამიტომ მკითხველს ეჭვი არ ეპა-

რება, რომ იგი პირნათლად შესარულებს დაკისრებულ ამოცანას. მაგრამ ანურო ბერტაძე? მართალია, ლოსი საბჭოთა ხელისუფლებას ამყარებდა ვებერტოელა სივრცეზე — მთელ ჩუკოტკაზე, ბერტაძის სამოქმედო ასპარეზი კი ერთ სოფელს არ სცილდებოდა, მაგრამ ვითარება წყავნარაში მეტისშეტად რთული, ხოლო კლასობრივი დიფერენციაცია და ბრძოლა უკიდურესად მწვავე იყო. ეს ბერტაძისაგან მოითხოვდა დიდ ტაქტს, სიღრთხილეს და ამავე ღრის შეუპოვრობას, ახალგაზრდულ შემართებას, უშიშრობასა და გაპელულებას. და პარმენ ლურიას რომანის ღირსებაც ის არის, რომ მწერალმა შეძლო ეჩვენებინა არა მარტო ის, თუ როგორ ზრდიდა. ანდრო ბერტაძე ადამიანებს, არამედ ისიც, თუ როგორ იზრდებოდა გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლაში თვით ანდრო, ახალგაზრდა კომუნისტი.

სოფელში მისვლისთანავე, როცა გლეხებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ ვინ იყო იგი და რისთვის ავიდა წყავნარაში, ანდრო ბერტაძე იძულებული გახდა პირისპირ, და ისიც გლეხობის თვალშინი, შეტაკებოდა ოემსაბჭო! თავმჯდომარე ღურსუნ შვინდაეს. იმაზე, თუ ვინ მოიგებდა ამ პირველ ბრძოლას, დიდად იყო დამოკიდებული მოვლენათა შემდგომი განვითარება.

სოფელს ეშინოდა შვინდაძის, მას ძლიერ, გავლენიან და დაუმარტებელ „მთავრობის კაცად“ თვლიდა, რომელიც არა ერთ „მიმაგრებულ ამხანაგს“ უშლიდა ხელს მუშაობაში, სრულიად უმტკივნეულოდ იშორებდა თავიდან და იმას აკეთებდა, რაც სურათ. მაგრამ ის, რაც მაშინ მოხდა, როცა შვინდაძემ მათრახი მოიქნია მურად ოდილაძის გასალახავად, გლეხებისათვის უჩვეულო და მოულოდნელი იყო. ანდრომ სწრაფად სტაცია ხელი თემსაბჭოს თავმჯდომარეს და მრისხანედ შესძახა: „ამხანაგო!“ ეს უკვე მეტის-მეტი იყო, ასეთი რამ არავის გაუბედავს და ღურსუნ შვინდაძე გაბრაზებით მიუბრუნდა ბერტაძეს, მიუბრუნდა და, როცა მის თვალებს შეეფეთა, დათბობა არჩია, მათრახი ძირს დაუშვა. გლეხებს არასოდეს ენახათ თავმჯდომარის ასეთი მარცხი, ასეთი შერცხვენა. კიდევ მეტი, ანდრო ბერტაძე იმას როდი დასჭერდა, რომ თავმჯდომარეს საჯარო დაუწენა საქციელი, არამედ ამ ინციდენტის მიზეზს მურად ოდილაძეს მხარზე მეგობრულად დააღიახელი და ტკბილად შეეკითხა: „რა ჩაიდინი. მურად?“, შემდეგ დაუყვავა გაფიცხებულ და გაოგნებულ მურაძს, სახლში გაუშვა და შეპირდა — მეც მალე მოვალ, ბინას შენთან დავიდებო.

ბუნებრივია, ამ შემთხვევამ გლეხების დიდი გავიჩვება გამოიწვია. მათ აინტერესებდათ, ვინ იყო ეს უცნობი ახალგაზრდა; რომელმაც არ დასაჭამოებო სოფელში ცნობილი მოლა ნურის გამლახველი და პირველად გაუცუდა მოქნეული მათრახი „ყოვლისმძღვე“ თავმჯდომარეს? „ჩვენს თავმჯდომარეზე ძლიერი ყოფილა“, — დასკვნეს გლეხებმა და ეს იყო ჩანასახი რწმენისა, რომ ახალმოსული სხვებს არა გავდა და შეძლებდა თავნება შვინდაძის ალაგოვას. „მთავრობის კაცების“ ასეთი აშკარა შეტაკება ჯერ არ ენახა სოფელს. და იმის იმედი გაუღვიძა, რომ ამჯერად შეიძლებოდა საქმე სხვაგვარად წარმართულიყო. აკი უშკარად თქვა ეს ერთმა ჭალარა მოხუცმა: „ესენი ერთმანეთს ვერ შეეგუებიან და ერთად ვერ იმუშავებენ.“

ამ პირველი შეტაკების შოთებამ, ცხალია, დიდი როლი შეასრულა ანდროს მთელი შემდგომი მოღვაწეობის წარმატებაში. გლეხები დაჩტმუნდნენ, რომ ახალმოსულს, მიუხედავად ახალგაზრდობისა, დიდი ძალა ჰქონდა და, რაც მთავარია, იგი მოლა ნურისა და შეინდაქეს კი არ გამოექომავა, არამედ ლატაკ მურადს და ბინადაც იუსუფ ალას მდიდრული სახლი კი არა, იმავე მურადის ლარიბული ჭერი აირჩია. მეორე მხრივ, შვინდაქე უკვე აღარ ჩანდა ისეთ ყოვლისმძლე ადამიანად, რომელიც არავის დაუმარცხებია და ვერც დაამარცხებს. მაშასადამე, შეიძლებოდა ისინი გაჰყოლოდნენ ბერტაძეს, თავიდან მოეშორებინათ საძულველი „თავმჯდომარე“ და სოფლის წურბლები იუსუფ ალა, ხოგა მაშუდი და სხვები.

ინტერესს მოკლებული არ იქნება შევნიშნოთ, რომ თითქმის ასეთივე ამბავი გადახდა რომანის „ალიტეტი მთებში ვიდის“ ერთ-ერთ გმირს ანდრეი უჟკოვს. იგი, ისევე როგორც ანდრო ბერტაძე მურადს, შემთხვევით შეხვდა გზაზე ჩუქჩ იარაკს, რომლისგანაც, ისევე როგორც ბერტაძემ მურადისაგან, შეიტყო საქმის ვითარება აღგილზე. და მას, ისევე როგორც ბერტაძეს, მოუხდა ებებინა თავისი ძალა. როცა უჟკოვი ამერიკელ ვაჭარ ტომსონთან თვითონ კი არ გამოცხადდა, არამედ თავისთან გამოიძახა იარანგში, ყველა გაოცდა და ცნობისმოყვარეობით აღივსო. იარანგი ვერ იტევდა ყველა მონაცირეს, რომელთაც სურდათ საკუთარი თვალით დაენახათ, თუ ვინ იყო ძლიერი ორ ტანგს (თეთრკანიზნის) შორის. ტომსონი დაუყოვნებლივ გამოცხადდა უჟკოვთან და მისი მარცხის მოწამე ყველა გახდა. ეს უკავი საქმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩუქჩ მონაცირებს ერწმუნებინათ სრულიად ახალგაზრდა ანდრეი უჟკოვის „უფროსობა“. სხვათა შორის, უჟკოვმა ისევე დაიცვა იარაკი ტომსონისაგან, როგორც ბერტაძემ მურად ოდილაძე, და იარაკი ისეთივე დასაყრდენი გზაზე უჟკოვისა და მისი ამხანაგებისათვის ახალი ცხოვრების მშენებლობაში, როგორიც მურადი ბერტაძისათვის.

ამიტომ ანდრო ბერტაძემ ერთხმაშად მოიპოვა სოფლის სიმპათია, გლეხებმა, კლასობრივი ალიოთი იგრძნეს, რომ მოუვიდათ ისეთი ხელმძღვანელი, როგორსაც ამდენი ხანია ნატრობდნენ. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა, რომ ისინი უსათუოდ გაჰყიებოდნენ ბერტაძეს. ღრთხილი, კეოვრებით დაშინებული, უსწოვლელი წყაინარელი გლეხი ანდრო ბერტაძეს უნდა გადაეძირია მებრძოლ ადამიანად, რომელიც არაფირს არ შეუშინდებოდა ახალი ცხოვრების დამკვიდრების გზაზე. ამისათვის კი საჭირო იყო ცოცხალი მაგალითით ეჩვენებინა, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში საბჭოთა ხელისუფლება, რა მიზანსა და ამოცანებს ისახავდა იგი, მათივე გამოცდილებით დაერწმუნებინა გლეხები, რომ ადამიანური ცხოვრების დამკვიდრების ერთადერთი გზა იყო მხოლოდ ის გზა, რომელზეც მათ პარტია მიუთითებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთადერთია მთელ მსოფლიოში, რომელიც მშრომელთა ძირებულინტერესებს გამოხატავს და იცავს.

მაგრამ მასებთან მუშაობა შეუძლებელია აქტივის დაუხმარებლად. ერთი შერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, ამბობს ცნობილი ხალხური ანდაზა. მარტოდმარტო ანდრო ბერტაძეს, არაფერი არ შეეძლო გაეკეთებინა, თუ

ვერ შემოიკრებდა მტკიცე აქტივს. და აი ანდრო ბეჭითად, გულმოღვინედ შეუდგა მის აღზრდას, აუჩქარებლად, დინგად, დაკვირვებით ქმნიდა მოწინავე ადამიანთა ბირთვს, რომელზე დაურღნობითაც შეძლებდა გარდატეხსა. სოფლის ცხოვრებაში. ერთი ასეთი აქტივისტი უკვე იყო მურადი, მაგრამ ეს არ კმაროდა. იგი კარგად უნდა გაცნობოდა სოფელს, მის ადამიანებს, შეერჩია მათგან საუკეთესონი. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი დეტალი. უქმე დილით გზად მიმავალმა ანდრომ შენიშვნა, რომ მხოლოდ სამიოდე გლეხი მიღიოდა ყანაში და ერთი ქალიც ბოსტანში მუშაობდა. ბერტაძემ გულდაბ-შით დაიხსომა ის ეზოები, საიდანაც ისინი გამოვიდნენ, რადგან სწორედ ასე-თი „ურჩინი“ შექმნილნენ იმ აქტივს, რომელიც სათვეში ჩაუდგებოდა ცხვ-რების გარდაქმნისათვის ბრძოლას.

და როცა ანდროს ირგვლივ, საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ, უპირ-ველს ყოვლისა დაირჩმებოდა აქტივი, ეს მთელ სოფელს დაარწმუნებდა, რომ ძალა მის ხელში იყო, რომ თემსაპწოს თავმჯდომარე დურსუნ შვინდა-ძე, თუ ხალხი მხარს არ დაუჭერდა, არაფერს არ წარმოადგენდა და ისევე უსუსური იყო, როგორც ახლად ფეხადგმული ბავშვი. სოფელს უნდა სცოლ-ნოდა, რომ დურსუნ შვინდაძე იმიტომ ჩანდა ძლიერი, რომ თვით გლეხობას არ ჰქონდა საკუთარი თავის რწმენა, საკუთარი ღირსებისა და ძალის შეგნება. ეს ნათლად ჩანს მურადის პირველივე საუბრილან ანდრო ბერტაძესთან. „მთავ-რობა იმიტომაა, რომ როგორც სურს, ისე მოექცეს ხალხს. აბა, ჩემისთანა ბლაიყვებმა რა იციან... გლეხკაცის გარჩეული სამართალი საღ ნაცული! მისი საქმია იმუშაოს დღი და ღამი, იხადოს გადასახადები, იაროს ბეგანაზე, დაუ-მორჩილოს მთავრობის განკარგულებას“. სამწუხაროდ, ასე ფიქრობდა არა მარტო მურად ოდილაძე, არამედ ბევრი სხვაც და სწორედ ამას ეფუძნებოდა შვინდაძის თვითნებობა.

მაშასადამე, ერთი მხრივ, საჭირო იყო დურსუნ შვინდაძის იზოლაცია, მისგან გლეხი მომხრების ჩამოცილება და, მეორე მხრივ, გლეხობის გამს-ჭვალვა საკუთარი ძალის, ღირსების რწმენით. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა თავმჯდომარის „უძლეველობის“ მითის გაფანტვა და მთელი სოფლის მიმხ-რობა. პირველი ნაბიჯი ანდრომ უკვე გადადგა ამ გზაზე, როცა შვინდაძეს არ მისცა ღარიბი, ყველასაგან ათვალწუნებული მურადის ცემის უფლება. მაგ-რამ ეს არ კმაროდა. აუცილებელი იყო ამ პირველი გამარჯვების განმტკიცება და გამრავლება. იმისათვის, რომ გლეხები კარგად გარკვეულიყვნენ, თუ რა ძალა წარმოადგენდა სინამდვილეში საბჭო და რა ძალა ჰქონდა მას, გამოეაშეკარავე-ბინა დურსუნ შვინდაძე, როგორც ხალხის მტერი, მოექდინა მისი იზოლაცია, ბერტაძემ საჭიროდ ცნო მოეწვია თემსაბჭოს სხდომა.

სხდომაზე განსახილველად ანდრო ბერტაძემ ისეთი საკითხები შეარჩია, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებდა სოფელს და, მიუხედავად მრავალი ცდისა, მაინც ვერ მოეგვარებინა. თავდაპირველად საბჭოს განუმარტა, თუ რა ძალა აქვს მას, შემდეგ კი უჩქარა როგორ გადაეწყვიტა ეს თუ ის საკით-ხი. იგი პირდაპირ არ წასულა თავმჯდომარის წინააღმდეგ, რადგან იცოდა, რომ ჯერ აუცილებელი იყო მისი მხილება, მისი ნამდვილი სახის გამოაშეა-

რავება. სოფელი თვითონ, საბოლოოდ უნდა. დარწმუნებულიყო თავმჯდომარის ავ-კარგში.

მანამდე არასოდეს თემსაბჭოს სხდომა ამგვარად არ წარმართულა. გლეხებმა პირველად იგრძნეს, თუ რას წარმოადგენდა საბჭო და როგორ, შეიძლებოდა სოფლის საჭირობოტო საკითხების სწორი, სამართლიანი გადაწყვეტა. ანდრო ბერტაძე პირველი აღამიანი იყო, რომელმაც სოფელს შეაძლებინა გამოემულავნებინა თავისი ძალა, დაეხმარა მას საკუთარი ღირსებისა და ძალის შეგნებაში. გლეხებმა იგრძნეს, რომ თუ ისინი ერთსულოვნებას გამოიჩენდა ნენ, შვინდაძე და მისი დამქაში იძულებული გახდებოდნენ უკან დაეხიათ. ბუნებრივია, რომ თემსაბჭოს სხდომამ ერთბაშად გაუმრავლა მომხრეები ანდრო ბერტაძეს, რომელსაც სოფლის ღარიბი გლეხობა გაძყვა არა შიშით, არა ძალატანებით, არამედ შეგნებით. გლეხებს მოსწონდათ და იზიარებდნენ ბერტაძის აზრებს, შეხედულებებს და სულითა და გულით ეთანხმებოდნენ მას. მართალია, წინათ თემსაბჭო შვინდაძესაც ეთანხმებოდა, მაგრამ არა შეგნებით, არამედ შიშით. ბერტაძის მომხრეთა შორის აღმოჩნდა ახალგაზრდა ჯემალ ბორჩხაძეც, რომელმაც შეძლო გაეზრებინა ყველაფერი ის, რაც თემსაბჭოს სხდომაზე მოხდა. მან უკვე იცოდა, რომ სოფელი ის აღარ იყო, რაც წინათ: მას ერთი პირი პქნდა და ერთ საერთო მიზანს მიჰყვებოდა. ამიტომ უთხრა ჯემალ ბორჩხაძემ შვინდაძის ერთ-ერთ მომხრეს, როცა ეს უკანასკნელი ცდილობდა სოფელი აემხედრებინა „მოთრეული“, გარეშე და უცხო ანდრო ბერტაძის წინააღმდეგ: „აქ ერთი მოთრეული კი არ არის, არამედ მთელი სოფელი, გესმის, მთელი სოფელი.“ და ეს სავსებით მართალი იყო.

ასე გახდა შვინდაძის პირველი დამარცხება სოფლის პირველი გამარჯვება, რომელიც წყავნარელმა გლეხებმა მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ორი წლის მანძილზე. სოფელი სულ უფრო ირაზმებოდა პარტიის გარშემო, რომელსაც ანდრო ბერტაძე წარმოადგენდა.

ბუნებრივია, რომ ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ანდრო ბერტაძე უნდა დაყრდნობოდა არა მარტო ღარიბ და საშუალო გლეხობას, არამედ მოწინავე ინტელიგენციასაც. ინტელიგენცია დიდი ძალა იყო და მისთვის გვერდის ავლა მხოლოდ ზიანს მოიტანდა. ბერტაძემ გაითვალისწინა ეს და წყავნარაში ჩასვლის პირველ დღეებშივე ეთათბირა მასწავლებლებს. თათბირზე ბევრი რამ საინტერესო გამოირკვა. კერძოდ, ცხადი გახდა, რომ მასწავლებლები მზად იყვნენ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ახლის დამკვიდრებაში, მაგრამ მათ ხელს უშლიდა შვინდაძე, ზოგიერთმა მასწავლებლმა კი არ იცოდა როგორ ემუშავა გლეხობასთან და უხეშ შეცდომებს უშვებდა, უპატივცემულოდ ეკიდებოდა მოსახლეობის ადათ-ჩვევებსა და ყოტაცხოვრების თავისებურებებს. ანდრო ბერტაძემ მასწავლებლებს დაწვრილებით განუმარტა ის ამოცანები, რომლებსაც მათ წინაშე სახავდნენ პარტია და მთავრობა, ურჩია მათ როგორ ემუშავნათ; როგორ მიეღოთ აქტიური მინაწილეობა სოფლის ცხოვრებაში. ამ ფაქტმა დიდად გააკვირვა მურადი, რომელიც შემთხვევით ესწრებოდა თათბირს. „აქამდე ეგონა, ყველაფერი მასწავლებლებმა იციანო, აქ კი სულ სხვა რამ გამოირკვა. თურმე პარტიულს

მეტი ცოდნია. არა, პარტიულს კი არა, პარტმომაგრებულს.“ ამ პატარა დეტალით მწერალი ცხადად, დამაჯერებულად გვიჩვენებს პარტიის ხელმძღვანელ და წარმართველ როლს საბჭოთა აღამიანების ცხოვრებაში. სამწუხაროა, რომ შემდეგ მწერალი აღარ ავითარებს წამოჭრილ თემას და მკრთალად, სრულიად არასაკმაოდ გვიჩვენებს ინტელიგენციის მონაწილეობას სოფლის ცხოვრებაში.

მალე ანდრო ბერტაძემ სოფლის ისეთი სიყვარული და ისეთი ავტორიტეტი მოპოვა, რომ გლეხებს უკვე უჭირდათ უარი ეთქვათ მისთვის, თუ გინდ დარწმუნებული არ ყოფილიყვნენ მისი მოთხოვნის სამართლიანობაში. გავისისნოთ, მაგალითად, როგორ გაუჭირდათ მათ შვილების გაბარება სკოლაში. ბევრი ელაპარაკა ანდრო, ბევრს ეცადა დაერწმუნებინა გლეხები, რომ ჩათი შვილები მთავრობას კი არ მიჰყავს, არამედ მათივე მშობლებისათვის, საზოგადოებისათვის ამზადებს, მაგრამ ძლიერ ცოტა დაარწმუნა ამაში. ხასია ზონარიძემ მხოლოდ ერთი შვილი „გაიმეტა“ ოთხიდან და შვილის დაქარგელ მამასავით შეეველრა ბერტაძეს: „იქმარეთ ეს ერთი შვილი ჩემგან, იმსახურეთ იგი და სხვები ჩაჩქქეთ, დამიტოვეთ... მეტის მოცემა არ შემიძლია, ნუ დამიქცევთ ოჯახს“. ასევე განწირულად ჩათვალა ქვრივმა ხატიჯემ თავისი ერთადერთი ვაჟი. რომ ანდროს ხათრი არა, იგი სკოლაში არ მიაბარებდა შვილს. მან შეუნარჩუნა სიკუოცხლე და მისი საჩუქრი იყოსო. ასე ფიქრობდა მურად ოდილაცე — ანდრომ. რომ მთხოვოს, რომ ტაიჩემოს ნაილე სასწავლად გაგვზანენოთ ბათუმში, უარს ვერ ვეტყვი, ან როგორ უნდა დაუთხრა უარი ადამიანს, რომელმაც წალმა შეაბრუნა ჩემი ცხოვრება. გლეხობის ეს მხურვალი სიყვარული გამოვლინდა ისეთ ფაქტშიც კი, რომ ბერტაძის სახელი დაარჩევს ერთ სოფლილ ბიჭს და ეს იყო პირველი ქართული სახელი, რომელიც წყავნარელს დაარჩევს სამი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე.

იმ დიდ მუშაობას, რასაც ანდრო ბერტაძე ეწეოდა სოფლის განვითარება-სათვის, მის აგიტაციასა და პროპაგანდას მით უფრო მეტი წარმატება ექნებოდა, რაც უფრო მტკიცედ დაეყრდნობოდა ეკონომიკურ საფუძველს. გლეხებს არ შეეძლოთ საჭირო გაბედულება გამოეჩინათ, ვიდრე ეკონომიკურად დამოკიდებული იყვნენ სოფლის ბობოლებში. ეს დამკიდებულება ბოჭავდა მათ და კვეცავდა მათს ენერგიას. ამიტომ არის, რომ ბერტაძე, ერთი მხრივ, ზღუდავდა იუსუფ აღასა და მისი დამქაშების სარბიელს, ავიწროებდა მათ, ხოლო, მეორე მხრივ, ამკვიდრებდა ახალ ეკონომიკურ ურთიერთობას. ამ საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კომპერაციული სავაჭროს გახსნას. ეს სავაჭრო გლეხებს არწმუნებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მათი ხელისუფლება იყო, მათ ინტერესებს გამოხატავდა და იცავდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ სწორედ კომპერაციაზე მიიტანეს მთავარი იერიში კლასობრივმა მტრებმა და სკადეს მისი მოსპობა.

დამახასიათებელია, რომ ლოსიც („ალიტეტი მხებში მიღის“) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ვაჭრობის მოვარებას აღგილობრივ მოსახლეობასთან, რადგან ეს იყო მძლავრი ეკონომიკურ ბერკეტი, რომელსაც მო-

ცემულ ვითარებაში ყველაზე უკეთ შეეძლო ქველა შშრომელის მიმხრობა, მათი დარწმუნება საბჭოთა ხელისუფლების ხალხურობაში. რამდენადაც კარგად მოეწყობოდა ვაჭრობა, იმდენად ცხადი გახდებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ხალხისათვის ზრუნავს და ხალხის ინტერესებს იცავს. როცა საბჭოთა ფაქტორიაში მონაღირებმა გაცილებით მეტი ანაზღაურება მიიღეს, ვიდრე ამერიკელ ტომსონთან იღებდნენ, ამ ფაქტმა ერთბაშად დაარწმუნა ისინი, რომ საბჭოთა ხელისუფლება მათი მშობლიური ხელისუფლება იყო. ასე მოხდა წყავნარაშიც. კონპერაციულ სავაჭროში გლეხები ათგრე უფრო იაფად ყიდულობდნენ საქონელს, ვიდრე ჯალია კეროლლის სავაჭროში და, ცხადია, კეროლლისთან უკვე აღარ დადიოდნენ. გლეხები მეტად კმაყოფილი იყვნენ და კონპერაციული სავაჭროს გახსნას ისე შეხვდნენ, როგორც დღესასწაულს. ეს კმაყოფილება ჩანს ღარიბი გლეხის დაუთოს სიტყვებში: „ამდენ რამეს ჯალიასთან სიცოცხლის ფასად ვერ ვიყიდდი... კაი რამე ყოფილა აი კომპერატია“. მალე ჯალია კეროლლი იძულებული გახდა თვითონ დაწევა საკუთარი სავაჭრო, რაც შექმნილი მდგომარეობიდან ყველაზე უკეთესი გამოსავალი იყო, მით უმეტეს, რომ იმედი ჰქონდა დურსუნ შვინდაძის შემწეობით სოფელი ღამებმარება და ზარალს ამინაზღაურებსო. მაგრამ ეს იმედი კეროლლის არ გაუმართდა. საბჭო არ დაეთანხმა შვინდაძეს — „ჯალიას რა სჭირს დასახმარებელი, ქვეყანას მაგის ვალი და სესხი აქვსო“, და ზარალის ანაზღაურებაზე კატეგორიული უარი უთხრეს, თავმჯდომარის წინადადება ერთსულოვნად უარყვეს.

მიუხედავად იმისა, რომ კლასობრივი მტრები არ ცხრებოდნენ, ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ ახალი ცხოვრების დამკვიდრებას, იგი მაინც იყაფავდა გზას, როგორც მდინარე მთებში, და ყველაფერს, რაც წინ წვდებოდა, წალეპვით ემუქრებოდა. იუსუფ აღა, დურსუნ შვინდაძე და მათი მეგობრები იძულებული გახდნენ ტაქტიკა შეეცვალათ, თავი ისე მოეჩვენებინათ, თითქოს ხელი აიღეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე, მაგრამ სახარბიელო შედეგი ვერც ამ „გარდაქმნაში“ მოიტანა. ანდრო ბერტაძე აქტივის დახმარებით ამხილებდა მათს ხრიკებს. კლასობრივ მტრებს აშკარად გაუკირდა ცხოვრება და გადაწყვიტეს ტერორისათვის მიემართათ, დაეშინებინათ ახლის მშენებლები. ამ მიზნით მათ სცადეს გამოეყენებინათ ცრურწმენანი, რელიგია, რომელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა გასავალი.

ეს მწერალს შესაძლებლობას აძლევს ვკიჩვენოს, თუ რა საბედისწეროა, როცა აღამიანი მტკიცედ, ერთხელ და საბოლოოდ არ განსაზღვრავს თავის ადგილს ორი მტრულად განწყობილი, ანტაგონისტურად დაპირისპირებული ბანაკის ბრძოლაში. ახალგაზრდა თოფუზ სირაბიდე თითქოს სულით და გულით მიემხრო ანდრო ბერტაძეს და აქტიურად მონაწილეობდა ახლის დამკვიდრებაში. მაგრამ მის შეგნებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ცრურწმენანი და ორივე ფეხით გაება მტრის მიერ დაგებულ მახეში. მისი დახმარებით შვინდაძემ და ხალხის სხვა მტრებმა შეძლეს დროებით მაინც თავიდან მოეშორებინათ მურად ოდილაძე, ხოლო შემდეგ შეეცადნენ იმავე მეთოდით განედევნათ.

ანდრო ბერტაძე, თუმცა ამჯერად პრძოლა წააგეს. ასე გახდა მტრის პრძა იარალი თოფუზ სირაბიძე.

როცა მტრის პროვოკაციას აჲყვა, თოფუზი სრულებით არ ფიქრობდა ასე შორს თუ შეტოპავედა და მხოლოდ ის აინტერესებდა ცხადეყო, რომ მარტო მას კი არ ეშინოდა ქახებისა და ავსულების. მაგრამ ანდროზე თავდასხმამ იგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ბოლშევიკებს მართლაც არაფრის არ ეშინიათ. დაჭრის შემდეგ თოფუზმა ცველაფერი გაიაზრა და მიხვდა, თუ რა მძიმე, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლირის არ იყო ეცოცხლა, რადგან ისე ვერ წაიყვანა საქმე, როგორც შეშვენოდა ახალგაზრდა მებრძოლს და თავი შეირცხვინა სოფლის წინაშე, თუმცა გლეხებიდან არავინ იცოდა, თუ თოფუზ სირაბიძე ქახად გამოწყობილი მონაწილეობდა ანდრო ბერტაძეზე თავდასხმაში და ხელი აღმართა მთელი სოფლის საყვარელი ადამიანის წინააღმდეგ.

თოფუზს შეეძლო სამარეში ჩატანა საიდუმლო, არავისთვის არ გაეჭილა, თუ რა ბინძურ საქმეში გაერია, მით უმეტეს, რომ ჭრილობა მოუვლელობით ძლიერ საშაში გახდა და სისხლი ეწამლებოდა. სწორედ იმ დროს, როდესაც სიკვდილი გარდუვალი ჩანდა, თოფუზს მსხნელად მოევლინა იგივე ანდრო ბერტაძე, რომელმაც რუსი ექიმების დახმარებით სიცოცხლე შეუნარჩუნა და საშუალება მისცა საკუთარი სისხლით გამოესყიდა დანაშაული მშობლიური ხალხის წინაშე. პატიმრობის შემდეგ თოფუზ სირაბიძე კვლავ ჩადგა ახალი ცხოვრების მშენებელთა რიგებში და მოწინავე ადამიანი გახდა.

მაგრამ თოფუზის მხატვრული სახე მარტო იმას როდი გვასწავლის, რომ ორი ბანაკის პრძოლისას მერყეობა დამღუპველია, არამედ გვიჩვენებს ანდრო ბერტაძის ხასიათის კიდევ ერთ ძვირფას თვისებას — არ აპატიოს არავის არავითარი დანაშაული, ყველგან და ყოველთვის იყოს უაღრესად პრინციპული, სამართლიანი. ბერტაძემ სიკვდილს გადაარჩინა თოფუზი, მაგრამ როგორც კი დამნაშავე გამომრთელდა, მაშინვე პასუხისმგებაში მისცა იგი. კომუნისტი ხელმძღვანელი მარტო დარწმუნების მეთოდს როდი უნდა მიმართავდეს, არამედ საჭიროების შემთხვევაში უნარი უნდა შესწევდეს გამოიყენოს იძულების, დასჯის მეთოდიც. დამნაშავე უნდა დაისაჭოს — ეს გაკვეთილია სხვებისათვის. კომუნისტი მშენებელი კოლექტივის ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებს და მუდამ პრინციპულია, ხოლო დამნაშავისაღმი — ულმობელი.

სწორედ ასეთმა პრინციპულობამ და სამართლიანობამ შეუქმნა. ანდრო ბერტაძეს ავტორიტეტი და მოუპოვა სოფლის სიყვარული, რაც განსაკუთრებით ცხადი გახდა, როგორც კი ბათუმში გამობარების გამო ბერტაძე დროებით მოშორდა წყავნარას. გლეხები ძლიერ შეაწუხა ანდროს გამგზავრებამ, რადგან გრძნობდნენ, რომ იგი დაკავშირებული იყო დურსუნ შეინდაბის ინტრიგებთან და კარგს არაფერს მოასწავებდა. მალე თემასჭოს თავმჯდომარემ ისევ იგრძნო თავი სოფლის ბატონ-პატრიონად, მის ქამარში კვლავ გამოჩნდა მათრახი, ხოლო წელზე — გრძელტარიანი მაუზერი. იგი უკვე ალარ ერიდებოდა ბერტაძის აშკარა გინებას, ათასგვარ ჭორს აფრცელებდა მის შესახებ

და ცდილობდა ბერტაძის ავტორიტეტის შელახვას სოფლის მოსახლეობაში. ამაოდ! ანდრო ბერტაძის თავდადებულმა შრომამ უქმად როდი ჩაიარა. სოფელი ის როდი იყო, რაც წინათ. გლეხები მხარს აღარ უჭერდნენ თემსაბჭოს თავმჯდომარეს და არც ძველებულ შიშს გრძნობლნენ მის წინაშე. როცა ხასია ზონარიძეს გამწყრალმა შვინდაძემ უსაყვედურა ძალიან აქებდი და გიყვარდა ანდრო ბერტაძეო, საკადრისი პასუხი მიიღო: „საქებს ქება უნდა, საყვარელს — შეყვარებაო.“ ბევრს ეცადა თემსაბჭოს თავმჯდომარე გადაებირებინა ხასია ზონარიძე, მაგრამ ამაოდ: „ცუდი არ ითქმის კეთილ აღამიანზე, — ამბობდა იგი ბერტაძის შესახებ, — ბევრი რამ გაგვიკეთა კარგი. ნეტავი ისეთ კაცს კიდევ გამოგვიგზავნიდნენ.“ მოხუცი ოსმან ვერულიძე კი დიდად აღამფოთა ცნობაშ, თითქოს ბერტაძე დაეპატიმრებინოთ და დაეხვრიტოთ კიდევაც. „წავალ, ჩემი ფეხით წავალ ბათუმში, — აყვირდა იგი, — და მთავრობაში წარვდგები. თუნდაც დამხვრიტონ, მაინც ვიტყვი, რომ ბერტაძე პატიოსანი და კეთილი კაცია, რომ მან ჩვენს სოფელში ბეღნიერება და იმედი შემოიტანა, რომ მან შიმშილისაგან იხსნა ჩემი ოჯახი და შვილები, რომ მან ბევრი რამ კარგი გაგვიკეთა და ჩვენს კეთილდღეობაზე ზრუნავს.“

ოსმანს მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოხუცმა ალი მშვიდობაძე, ახალგაზრდებმაც და მართლაც გასწიეს ბათუმისაკენ, მაგრამ მათ გზად შემოხვდათ ანდრო ბერტაძე. იგი სოფელს დაუბრუნდა გამარჯვებული — ამჟარად შვინდაძის ინტრიგებმა ვერ გაჭრა და ანდრომ კვლავ მთელი არსებით განახლა შეწყვეტილი ბრძოლა ახლის დამკვიდრებისათვის. წყავნარელთა გამოქმანაგება მან ალიქვა, როგორც მხურვალე სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების გამოხატულება უმთავრესად საბჭოთა ხელისუფლებისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, რომელთა წარმომაღენელიც იგი იყო სოფელში. ანდრო ბერტაძემ კარგად იცოდა, რომ იგი უყვარდათ იმდენად, რამდენადაც განუხრელად ახორციელებდა პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას. და მართლაც, წყავნარელები არ მოითხოვდნენ მაინცადამაინც ბერტაძე დაებრუნებინათ, მაგრამ მოითხოვდნენ აუცილებლად ისეთივე სპეტაკი და თავდადებული მუშაკი გაეგზავნათ, როგორიც ანდრო ბერტაძე იყო.

მაგრამ თვითონ ანდრომ ისურვა კვლავ დაბრუნებოდა წყავნარას, რათა დაემთავრებინა დაწყებული საქმე. მან არ ისარგებლა შემთხვევით „თავი დაეჭირა“ მივარდნილი სოფლისაგან და ქალაქს დაბრუნებოდა, რადგან ობივატელი როდი იყო, რომ სიძნელეებსა და ყოფაცხოვრებითს ნაკლოვანებებს გაქცევდა. „ადამიანი გველგან კარგად უნდა ცხოვრობდესო“, — ასწავლიდა იგი გლეხებს და თვითონ პირად მაგალითს აძლევდა, თუ როგორ უნდა ებრძოლათ ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. იგი მუშაობდა გატაცებით, მთელი არსებით. მგზნებარე პატრიოტული შრომა ავიწყებდა მას ყოველდღიური ყოფაცხოვრების ნაკლოვანებებს და სიხარულს პოულობდა ხალხის სასარგებლო საქმიანობაში. ანდრო ბერტაძე ერთი მათგანი იყო, ვისაც უნარი შესწევს ყოველგვარ ვითარებაში, უძნელეს პირობებშიც კი იმუშაოს; თავდადებული, საზეიმო განწყობილებით.

კომუნისტის, ახალი ცხოვრების მშენებლის ეს ძვირფასი თვისება საშუალებას აძლევდა ბერტაძეს ეშრომა და ეპროდოლა გულწრფელად, ღრმად ჩასწყდომოდა სოფლელთა გულისთქმას და პქონოდა მათთან უმჭიდროესი სულიერი კავშირი. ისევე, როგორც კომისარი ვორობილი („ამბავი ნამდვილი ადამიანისა“), იგი ფლობდა უნარს მოენახა თვითეული ადამიანის სულის „გასაღები“, ანუ, მწერლის სიტყვით რომ ვთქვათ, „იგი ყველასთან პოულობდა საერთო ენსა“. ამიტომ იყო, რომ მას დახმარებისათვის მიმართავდნენ ქალიც და კაციც, მოხუციც და ბავშვიც და, ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ სწორ რჩევას მიიღებდნენ და საკითხს სამართლიანად გადაწყვეტდნენ.

ანდრო ბერტაძემ ძლიერ კარგად იცოდა, რომ პარტიული მუშაობა — ეს უპირველეს ყოვლისა არის ადამიანებთან მუშაობა. იგი ცდილობს თვითეულ მათგანს მიუჩინოს ის ადგილი, სადაც ყველაზე მეტ სარგებლობას მოუტანს ხალხს და შეძლებს ამოწურავად გამოამეღავნოს პირადი თვისებები. პირადი უნარი, ამასთან ყველას ეხმარება მიცემული დავალების შესრულებაში, სისტემატურად ამოწმებს მათ და ამით აღწევს საერთო აღმავლობას. როცა მურადს დაავალა კოოპერატივს გასძლოლოდა, ბერტაძე ამით როდი დაქმაყოფილდა, არამედ ყოველმხრივ ხელი შეუწყო და შეუქმნა ნდობის გამართლების ყველა აუცილებელი პირობა. მეორე მხრივ, მურადსაც საშუალება მიეცა გამოეჩინა თავი, საუკეთესო პირადი თვისებები. დახმარება, კონტროლი და მკაცრი მოთხოვნილება ბერტაძის საქმიანობაში ერთმანეთს ერწყმოდა და უზრუნველყოფდა წინსვლისა და დაწინაურებას. როცა საჭირო იყო, ბერტაძე არ ერიდებოდა დასჯას, წყვინიებას და იაფი, უნიადაგო ავტორიტეტისათვის როდი ცდილობდა „ყველასთან კარგად ყოფილიყო“, არ გაემწვავებინა ურთიერთობა. ავტორიტეტსა და ხალხის სიყვარულს მუშაქს უქმნის არა დამპალი ლიბერალიზმი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პრიბულულობა, მიუდგომლობა, საკითხის სამართლიანი გადაწყვეტია. ტყუილად როდი ამბობს ხალხი: სიმართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინება: ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი ეპიზოდი. წყავნარელმა დაუთ ზონარიძემ სახლი აიშენა, მაგრამ კიბე არ გააკეთა და მის მაგივრად ძელს იყენებდა. ანდრო ჩაერია საქმეში და აიძულა იგი ძელი აელო და კიბე გაეკეთებინა. დაუთს მაშინ ეწყინა ეს, მაგრამ შემდეგ კმაყოფილი, მაღლიერი დარჩა და თავისი ეს კმაყოფილება ანდროსაც გაუზიარა: „ხომ გახსოვს?! ისე რომ არ მომქუცოდი, ახლაც უკიბოლი იქნებოდა ჩემი სახლით“ და ეს შემთხვევა თავისებურად, სახეობრივად განმარტა: „კაცს ხანდახან მათრახით უნდა, რომ მისი სასარგებლო საქმე გააკეთებინოთ.“ „მათრახს“ აქ, რა თქმა უნდა, გადატანით მნიშვნელობა აქვს და დასჯას, წყვინიებას, იძულებას გულისხმობს. მაშასადამე, ანდრო ბერტაძის საქმიანობის ძირითადი მეთოდია დარწმუნების მეთოდი, რომელიც კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს იძულების მეთოდსაც.

აღსანიშნავია ანდრო ბერტაძის კიდევ ერთი ძვირფასი თვისება. იგი ადამიანებს, ხალხს არასოდეს არ უმაღლავდა სიმართლეს. იგი კრისტალიკით სპეტაკი და მართალი იყო. მოვიგონოთ თუნდაც ქეცხერის „დაკარგვის“ ეპიზოდი. როცა ანდრომ ქეცხერის „დაკარგვის“ ნამდვილი გარემოება შეიტყო, მან როდი,

მიიღო რჩევა — არ გაემხილა ეს ამბავი, მოეტყუებინა ქევსერის შშობლები და ქმარი. არა. „კომუნისტები პირდაპირ მოქმედებენ. აშკარად ებრძევინ ყოველგვარ უსამართლობას. და თუ ასეა, ანდრომ რად უნდა აირჩიოს მიხვეულ-მოხვეული გზა? დას, ასე სჭობს“, — დაასკვნა ბერტაძემ და მეორე დღესვე ეს საკითხი ბოლშევიკური პირდაპირობით მოაგვარა. ასეთი პირდაპირობა, სიმართლე ანდრო ბერტაძეს მისაბაძ ადამიანად ხდიდა და უხვეჭა სახელს, დამსახურებულ ავტორიტეტს. გლეხები გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ კომუნისტი მუდამ მართალს ამბობს და ხალხის მისამხრობად არა-სოდეს მიმართავს სიცრუეს, ტყუილს. სიმართლე, თუნდაც მწარე იყოს იგი, ყველაზე უკეთესი მეგობარია ადამიანებთან მუშაობაში. ტუჩა დაშნიანი (კ. ლორთქიფანიძის „კოლხიდის ცისკარი“) სწორედ იმიტომ არ სარგებლობდა სოფლის სიყვარულით, რომ სიცრუე გაიხადა მუშაობის ერთ-ერთ მთავარ „მეთოდად.“ იგი გლეხებს კი არ ეუბნებოდა კრებაა და მოღითო, არამედ ატყუებდა — ფართალი რიგდებათ. ანდრო ბერტაძე კი ნამდვილი კომუნისტი იყო და კარგად იცოდა, რომ პირდაპირობა და გულმართლობა კომუნისტის ის ძეირფასი თვისებებია, რომლებიც ხელს უწყობენ მასებთან კავშირის განმტკიცებას, მათთან უხილავი სულიერი ძაფების გაბამას.

ომის გამო, რომ ანდრო ბერტაძემ სწორად მოაწყო პარტიული მუშაობა, შექმნა მტკიცე დასაყრდენი აქტივის სახით, დაარწმუნა გლეხობა საბჭოთა სელისუფლების ხალხურობაში, სოფელმა დღითიდლე წყო დაწინაურება. აღიზარდნენ მოწინავე ადამიანები, ისეთი, როგორც, მაგალითად, მურადი, ნაილე, ჯემალ ბორჩხაძე, შავირ მენაბდე და სხვები, რომლებსაც უკვე შეეძლოთ თვითონ გასძლოლოდნენ სოფელს.

განსაკუთრებით საინტერესოა გზა, რომელიც განვლეს მურადმა და ნაილემ. საბჭოთა სელისუფლება რომ არა, ისინი ვერასოდეს დააღწევდნენ თავს სილატაკესა და უციცობას. მათ არ ჰქონდათ წინსვლის, ნიჭისა და უნარის გამოყენების არავითარი ჰერსპექტივა. ახალმა ცხოვრებამ კი ისინი გარდაქმნა და მოწინავე ადამიანებად ჩამოაყალიბა. როცა მურადს კომპერაციული სავჭრო ჩაბარეს, მან ყველაფერი გაიაზრა, რაც მის ცხოვრებაში მოხდა, შეეცადა მიეგნო ამის მიზეზი და კიდევაც მიაგნო. იგი მიხვდა, რომ მარტოოდენ მისი დაუშრეტელი ენერგია ამისათვის საკმარისი არ იყო, საქმეს ვერ უშეველიდა. ამასთან ერთად აუცილებელი იყო სათანადო პირობებიც, რაც შესაძლებლობას მისცემდა მას ამომწურავად გამოეყენებინა ეს ენერგია. „საჭიროა, — ფიქრობდა იგი, — გზის პოვნა, მიგნება, თორემ, ენერგია მურადს თავიდანვე მოჰკარდებული ჰქონდა. რომ ანდრო არ გამოსჩენოდა გზის მაჩვენებლად, ხომ ვერ გამოიყენებდა იმ ენერგიას! დღესაც ისე გზააბნეული იქნებოდა.“ სწორედ ამან განაპირობა მურადის გამრჩვება და წინსვლა, სწორედ ამით გაუსწრო მურადმა ელგუჯას და მილიონობით გლეხს, რომლებიც კაპიტალის უღელქვეშ იტანჯებიან! ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ მურადი, ის მურადი, რომელმაც არ იცოდა რა მიზნებს ისახავდა კომუნისტური პარტია და როგორი იყო ჭეშმარიტი კომუნისტი, უკვე უდიდესი სიყვარულით ლაპარაკობს პარტიაზე და ოცნებობს იმ დღეზე, როცა თვითონაც კომუნისტი გაა-

დება. იგი მზად არის სიცოცხლეც კი გაქტიროს პარტიისათვის და ამას მთელი თავისი საქმიანობით ცხადყოფს. „პარტია, კომუნისტების პარტია! — ამბობს იგი უდიდესი სიყვარულით. — ნეტავ როდის გახდება... პარტიის წევრი? როდის იქნება, თამამად რომ დაჭდება პარტიულ კრებაზე და თავის აზრს გამოთქვამს“.

ასე ფიქრობს არა მარტო მურად ოღილაძე! რა იქნებოდა თუნდაც მისი დის ნაილეს ხვედრი? სილატაკე, უვიცობა, მონობა. საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტურმა პარტიამ კი მას შესაძლებლობა მისცეს ესწავლა, დაუფლებოდა სამედიცინო მეცნიერებას და გამხდარიყო ექიმი, მოწინავე ადამიანი მთელ წყავნარასა და აქარაში. საბჭოთა ხელისუფლება რომ არა, იგი ვერ აცდებოდა ცხოვრების იმ მძიმე ტვირთს, რომელსაც წყავნარას გაღმა — კაპიტალისტური თურქეთის მშრომელი ქალები ეწევიან. ოღონდ სასურველი იყო უფრო მრავალმხრივად ეჩვენებინა მწერალს ნაილეს საქმიანობა. მისი მდიდარი სულიერი სამყარო. მთელი თავისი ყურადღება ავტორმა გადაიტანა ბერტაძეზე და, თუმცა ამან შესაძლებლობა მისცა დაეხატა ახალი ცხოვრების მშენებლის, კომუნისტის დასამახსოვრებელი სახე, მაგრამ, სამაგიეროდ, რამდენადმე ფერ-მკრთალი გამოუვიდა სხვა სახეები. კერძოდ, მწერალმა მთელი სისრულით ვერ გვიჩვენა თვით ადამიანთა გარდაქმნის, სულიერი გადახალისებისა და აღორძინების პროცესი. ამის შესახებ იგი უფრო მოგვითხრობს, ვიდრე გვიჩვენებს მათი ცოცხალი შემოქმედებითი საქმიანობით.

გაცილებით უფრო სრულად გადმოგვცა მწერალმა ძველისა და დრომოქმულის მსხვრევისა და გაქრობის პროცესი. სოფლის ცხოვრებაში მომხდარ ძირეულ ძვრებს, ახალი ადამიანების გაჩენას, ბუნებრივია, შედეგად მოჰყვა შვინდაძისა და მისი დამქაშების სრული იზოლაცია. მათ დაპარაგეს ყოველ-გვარი გავლენა. თავისთავად ცხადია, შვინდაძე, ხოჯა მამული და სოფლის სხვა ნაძირალები ვერ შეურიგდებოდნენ ასეთ მარცხს, თავიანთი პოზიციების დაკარგვას და გადაწყვიტეს მოეწყოთ „აჯანყება“, ყველაფერი დაებრალებინათ ბერტაძისათვის, მოესპოთ იგი და ძველებურად ეპარპაშნათ სოფელში. ამ მიზნით ისინი დაუკავშირდნენ ბანდიტ ომერ-ოლლის, თურქეთის რეაქციულ წრეებს და „აჯანყების“ დროც დანიშნეს.

„აჯანყების“ სცენები საუკეთესოა რომანში. იგი ნათლად გვიჩვენებს და ერთგვარად აჯამებს კიდევაც სოფლის ცხოვრებაში მომხდარ უდიდეს ძვრებს, მტრის ვერაგული საქმის უნიადაგობასა და განწირულებას, მშრომელი გლეხობის, უპირველეს ყოვლისა კი ლარიბი გლეხობის, უსაზღვრო ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. „აჯანყების“ საცენებით კანონზომიერი განადგურების შემდეგ, ბუნებრივია, მოისპონ ხალხის მტრების ბუდეც და ხალხის მტრები იძულებული გახდნენ გაქცევით ეხსნათ თავი ხალხის შურისძიებისაგან. სოფელი ზეიმობდა გამარჯვებას, საბჭოთა ხელისუფლების განძტკიცებას.

აქ მთავრდება რომანის პირველი ნაწილი და არსებითად ნაწარმოებიც, რაღაც მეორე ნაწილი ძირითადად მიძღვნილია გზატკეცილის საზეიმო გახსნისაღმი და უფრო განვრცხობილი ეპილოგის შთაბეჭდილებას ტოვებს,

ამიტომ უფრო მართებული იქნებოდა მწერალს ამ ნაწილისათვის ეპილოგი ეწოდებინა და რამდენადმე შეეკუმშა იგი.

ასეთია პარმენ ლორიას რომანი „განთიადი ხევში“, მისი ღირსება, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ დამაჯერებლად, ცხოვრების სიმართლით გვიჩვენებს ძველის მსხვრევასა და ახლის დამკვიდრებას, აღამიანების ზრდას, გადახალისებას, დაწინაურებასა და წინსვლას, კომუნისტური პარტიის ხელშძლვანელ და წარმმართველ როლს ამ ღიად შემოქმედებითს პროცესში. ეს არის რომანი ახალ აღამიანებზე, რომლებიც ჩვენმა ეპოქამ წარმოშვა, ეს არის რომანი ახლის დამკვიდრებაზე, რამაც აღამიანებს საშუალება მისცა გამოეჩინათ პირადი ღირსება, საუკეთესო თვისებები, ვიწრო ბილიკებიდნ გაღასულიყვნენ ცხოვრების ფართო გზაზე. და მწერალი ამ ფაქტს სიმბოლურად ხაზს უსვამს იმით, რომ წყავნარაში მიმავალი ბერტაძე ძლივს მიიწევდა წინ ბილიკებით, ხოლო შემდეგ მანქანით ბრუნდება, მანქანით, რომელიც თავისუფლად მისრიალებს ფართო შარაგზაზე. წინათ წყავნარაში მიმავალ ბერტაძეს შემთხვევით დაემგზავრა გაუთვითცნობიერებელი „დელი“ მურადი და ახლა მანვე გამოაცილა იგი, ბერტაძე, უკვე კომუნიზმის შეგნებულმა მშენებელმა, ხოფლის მოწინავე აღამიანმა. ასეთია გზა, რომელიც გაიარა მილიონობით ახალგაზრდამ ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

## ღირი კულტურული თარიღები

\*\*\*

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაშ მოწოდებით მიმართა  
ყველა ხალხს 1955 წლის განმავლობაში აღნიშნონ მსოფლიო კულ-  
ტურის დიდ წარმომადგენლოთა — შილერის, მიცეკვიჩის, მონტეს-  
კიეს, ანდრესენის, სერვანტესის, უიტერის წლისთავები.

ქვემოთ ვბეჭდავთ წერილებს მსოფლიოს ლიტერატურის ამ  
უდიდეს წარმომადგენლოთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

### უკვლები წიგნი

350 წლის წინათ მაღრიდში ხუან დე ლა კვესტოს სტამბაში დაიბეჭდა. მიგელ დე სერვანტეს სავეტრას რომანი „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამინჩელი“, რომელიც კაცობრიობის ერთ-ერთი უსაყვარლესი წიგნი გახდა. ლატაკი ლამანჩელი იდალგოს თავგადასავალმა მთელი მსოფლიოს აღამიანთა ყურადღება მიიპყრო. წიგნს არნახული წარმატება ხვდა წილად. ესპანეთში ერთი წლის განმავლობაში იგი ხუთჯერ გამოიცა. ეს რომანი ყველა კულტურულ ენაზე ითარგმნა და 700-ჯერ გამოიცა. იგი გადაკეთებულია დრამად, ოპერად, ბალეტად. ხალხმა რომანი გამოცემის პირველი დღეებიდანვე შეიყვარა და ეს სიყვარული სულ უფრო ისრდება და ძლიერდება.

თავდაპირველად სერვანტესი თავისი რომანით განზრახული ჰქონდა ბოლო მოელო რაინდული რომანებით უსაზღვრო და ავადმყოფური გატაცებისათვის, რასაც ესპანეთში ჰქონდა აღგილი. როგორც ცნობილია, ესპანელები რამდენიმე საუკუნის მანძილზე თავგანწირული ებრძოლენ აფრიკიდან მოსულ მავრებს. ამ ბრძოლებმა ესპანელ ხალხში, განსაკუთრებით კი ესპანელ რაინდებში განავითარა მებრძოლი სული და თავგადასავლებისადმი მიღრეკილება. ახალი ქვეყნების აღმოჩენამ და მეზობელ სახელმწიფოებთან ბრძოლებმა ესპანეთში კვლავ გააცოცხლა მოხეტალე რაინდთა ცხოვრებისადმი სიყვარული. ახალგაზრდობა იმდენად უზომოდ იყო გატაცებული რაინდული რომანების კითხვით, რომ მთავრობამაც კი სცადა შებრძოლებოდა ასეთი წიგნების გავრცელებას, მაგრამ ამაოდ. ამის გაცე-

თება მხოლოდ სერვანტესმა შეძლო. მაგრამ რომანის წერასთან ერთად ავტორის თვალშინ თანდათანობით ფართოვდებოდა ბრძოლის ასპარეზი. გაიზარდა რომანისაღმი მტრულად განწყობილთა რიცხვი და ბოლოს იგი არა მარტო რაინდობის, არამედ მე-16 საუკუნის ესპანეთის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების წინააღმდეგ დაწერილი გენიალური სატირა გამოვიდა.

ალორძინების ეპოქის ჰუმანისტურ იდეებზე აღზრდილმა სერვანტესმა კარგად დაინახა, რომ მის სამშობლოს მარტო დრომოჭმული, დახასესბული ფეოდალიზმი კი არ აწვა ზურგზე მძიმე ტვირთად, არამედ ახალი ბურჟუაზიული საზოგადოებაც, რომელიც სავაჭრო კაპიტალის სახით მოევლინა ესპანეთს.

ესპანეთის იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერება მკაფრადა გამათრახებული „დონ კიხოტში“. რომანის მთავარი გმირი ლამანჩელი გუდამშეერი აზნაური ალონსო კიხანო რაინდული წიგნების კითხვამ გააგია, თავისი თავი შუა საუკუნეებში მცხოვრებ ადამიანად წარმოიდგინა და როცა ირგვლივ მიმოიხდა, უამრავი უკანონობა და უბედურება დაინახა. მან გადაწყვიტა ეს რკინის საუკუნე ოქროს საუკუნედ გადაეჭირა და დაითიცია, რომ სანამ ქვეყნად სიმართლეს არ აღადგენდა, ტანისამოსი არ გახეხადა, აბჯარი არ აეხსნა, სუფრაზე პურის გემო არ ენახა. გადაწყვიტა და კიდევაც შეუდგა შესრულებას. მისებრ გაძვალტყავებულ ცხენზე ამხედრდა და მოხეტიალე რაინდის ცხოვრებას მოჰკიდა ხელი.

იწყება უამრავი უჩვეულო თავგადასავალი. დონ კიხოტი არ ერიდება ცხარე ბრძოლებს, არაფრად აგდებს ფიზიკურ ტეივილებს, რაღაც დარწმუნებულია, რომ სამართლიანობას ემსახურება, იყის, რომ ეს ქვეყანა ბოროტებით არის ავსილი და არც ისე ადვილია ამ ბოროტების მოსპობა. მაგრამ იმედი აქვს, რომ წყვდიადის შემდეგ კვლავ განთიადს იხილავს. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად მისი პირველი მოგზაურობის მარცხით დამთავრებისა, დონ კიხოტი მაინც ვერ აიძულეს ახლო მეზობლებმა და ნათესავებმა შინ დარჩენილიყო. პირიქით, იგი სანჩი პანსასაც თან წაიყვანს საჭურველთ-მტვირთველად, რომელსაც არწმუნებს, რომ აღრე თუ გვიან დონ კიხოტი რომელიმე კუნძულს ხელში ჩაიგდებს და სანჩის გუბერნატორობას უბოძებს.

კვლავ უშედეგო ხეტიალი და დაუსრულებელი ცემა-ტყეპა და ასე გრძელდება ეს ამბავი მანამ, სანამ საბრალო გონებადაკარგული იდალვი ფიზიკურად მთლიანად არ დაუძლებება და სასიკვდილო სარეცელზე მყოფი არ გათავისუფლდება რაინდული წიგნების გავლენისაგან. იგი კვლავ უბრალო ღარიბ აზნაურად ალონსო კიხანოდ გადაიქცევა.

იდეალისტ დონ კიხოტს არ აინტერესებს ცხოვრების პრაქტიკული მხარე. იგი იმას კი არ ფიქრობს, რომ შეეგურს ამ ცხოვრებას, დავიდეს ცხოვრებამდე, პირიქით, მისი მიზანია ცხოვრება აიყვანოს თავის სიმაღლეზე. მას არ მოსწონს რეალური ცხოვრება და თავის ფანტასტიკურ სამყაროს აშენებს; სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ რეალურ სამყაროს შეტაკების დროს იგი მრავალ სისულელებს ჩადის, მაგრამ მაინც ბეღნიერად თვლის თავს, რაღგან პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას —

ებრძვის ბოროტებას ამ ქვეყნად. აშიტომაა, რომ არავითარი ფიზიკური წამება არ მოქმედებს მასზე, იგი არასდროს არ ღალატობს თავის პირვანდელ მიზანს.

დონ კიხოტი შორს დგას ბოროტებითა და ეგოისტობით აღვსილ სამყაროსაგან. მას არ სურს მასთან მიახლოვება და თავისი წმიდა იდეალების შებილწვა. მისი რწმენა ფოლადივით მტკიცეა და ოქროსავით სუფთა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მან ვერ გაძლო ჰერცოგის. სასახლეში. მას არ შეუძლია მუქთახორა გახდეს.

მეტად საინტერესო ფიგურაა რომანის მეორე გმირი სანჩიო პანსა. იგი მე-17 საუკუნის ესანქელი გლეხის ტიპიური წარმომადგენელია. მუდამ გაჭირვებაში მყოფი, იგი გადაწყვეტს ერთხელ მაიც დააღწიოს თავი სიღარიბეს. თუ დონ კიხოტი რაინდული წიგნების კითხვამ გახადა მეოცნებე, სანჩიო პანსა სიღარიბემ ასტულა დაეჭერებინა დონ კიხოტისაფვის და გუბერნატორბაზე ოცნებით დამტკბარიყო. თუ დონ კიხოტი ოქროს საუკუნის დამყარებაზე ფიქრობდა, თუ იგი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლით იყო გატაცებული, სანჩიო პანსას სრულიად არ აწუხებდა ამქვეყნიური ბოროტება, იგი გამდიდრების მანიით იყო შეპყრობილი და განა მარტო სანჩიო პანსა? ასეთი პანსები უამრავი იყო იმდროინდელ ესპანეთში.

თუ დონ კიხოტის იდეები თეორიული მსჯელობის შედეგია, სანჩიო იდეები პრაქტიკული ცხოვრებიდან გამომდინარეობს. საინტერესოდ შეარჩია ავტორმა ეს ორი გმირი. ისინი ავსებენ ერთმანენთის ნაკლს, ისინი ერთმანეთს მიუთითებენ. სანჩიო ცდილობს დონ კიხოტი ცხოვრების პრაქტიკულ საკითხებში გაარკვიოს, ხოლო დონ კიხოტი სანჩიოს ჰუმანისტურ იდეებს უქადაგებს და ეს პროპაგანდა ისე ძლიერია, რომ უხამსო, ეგოისტური გლეხი სანჩიო პანსა მალე საკუთარი თვალის ჩინივით შეიყვარებს თავის რაინდს, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, „მტრედის გული“ აქვს და ალარ შეუძლია მიატოვოს იგი, რაც არ უნდა დიდი სისულელე ჩაიდინოს.

დონ კიხოტის ჰუმანისტური იდეების გავლენით მოხდა სანჩიოს გონებრივი ევოლუცია. აღმიანი, რომელიც ამდენ ტანგვა-წამებას იტანდა გუბერნატორობისათვის, ბოლოს თვითონ მივიღა იმ დასკვნამდე, რომ ყველაფერი ეს სისულელეა, რომ სიმდიღრეს და თანამდებობას არავითარი სიამოვნება არ მოაქვს ადამიანისათვის. იგი ამაყად მიმართავს ჰერცოგს: „—არავისაგან არა მისესხებია რა და ჩემი გუბერნატორობიდან არაფერი სარგებლობა არ გამომილია.“

მართალი იყო სანჩიო პანსა. მას არავითარი სარგებლობა არ უნახავს გუბერნატორად ყოფნის დროს, რაღაც კარგად ახსოვდა დონ კიხოტის სიტყვები, რაც თავისუფლების შეუდარებელ ჰიმნს წარმოადგენს: — „იცი თუ არა ჩემო სანჩიო, რომ თავისუფლება ყველაზე უძვირფასესი სიკეთეა, რომელიც ბუნებამ მოჰმადლა ადამიანს? ვერაფერი შეეღრება თავისუფლებას, ვერც დედამიწის ქვესკნელში ჩაფლული განძეული, ან ზღვის უფსკრულში დამარხული საუნჯენი, ვერც დიდება, ვერც სხვა რამ. თავისუფლებაზე სანუკარი ბეღნიერება ამ ქვეყნად არ არსებობს. თავისუფლებისა და

სახელისათვის თამაბად შეიძლება თავეგანწირვა, რაღაც ნაძრახი სიცოცხლე და მონობა ყველაზე უდიდესი უძლურებაა და ბოროტებაა კაცისათვის“.

„დონ კიხოტის“ ავტორი ფეოდალური რუტინის, კლერიკალური ობ-სკურანტიზმის და ბურჟუაზიული გახრწნილების დაუძინებელი მტერია, „დონ კიხოტი“ ადამიანთა თავისუფლებასა და თანასწორობას უმღერის. ამიტომ შეინახა ეს ნაწარმოები ხალხმა თავის გულში, ამიტომ არის „დონ კიხოტი“ უკვდავი წიგნი.

### მონტესკიო

შარლ ლუი დე სეკონდა მონტესკიე ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, „რომელთაც საფრანგეთში ადამიანთა თავები გაანათლეს მოახლოებული რევოლუციისათვის, თვითონაც უკიდურეს რევოლუციონერებად გამოღიოდნენ. ისინი აჩავთარ გარეგან ავტორიტეტს არ ცნობდნენ, რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი — რელიგია, შეხედულება ბუნებაზე, საზოგადოება, სახელმწიფოებრივი, წყობილება, — ყოველივე ეს უაღრესად შეუბრალებელ კრიტიკას დაუკევედებარა. ყოველივე ამას თავისი აჩსებობა უნდა გაემართლებინა გონების სამსჯავროს წინაშე ან უარი ეთქვა თავის არსებობაზე“ (ენგელსი).

ძველ აჩისტოკრატიულ ოჯახში დაბადებულმა მონტესკიემ ბრწყინვალე განათლება მიიღო. მან შეისწავლა როგორც ანტიური, ისე მისი თანამედროვე ლიტერატურა, კულტურა, კანონები. იმდროინდელ საფრანგეთში დიდი ცვლილებები იწყებოდა. ლუდოვიკო მეთოთხმეტის მრისხანე აბსოლუტიზმი ამაღლ ცდილობდა შეეჩერებინა დრომოშემული ფეოდალიზმის ნგრევის პროცესი. გერცენის სიტყვებით რომ ვთქვათ, საღამოს ბინდში უკვე მოჩანდა მშვენიერი XVII საუკუნე. საძირკველშერყეული ფეოდალიზმი თავისი ძალების მობილიზაციას ახდენს, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ახლადჩასახულ, განვითარების პროცესში მყოფ ბურჟუაზიას. ფეოდალიზმის წინააღმდეგ ამბოხებული მესამე წოდების იდეოლოგიური ხელმძღვანელები იყვნენ განმანათლებლები, მათ შორის მონტესკიე.

მონტესკიე შორს იყო ვოლტერისა და განსაკუთრებით რუსოსა და დიდროს რადიკალიზმისაგან. იგი, ისე როგორც ყველა მარქსამდელი მოაზროვნე, საზოგადოების განვითარების საკითხებს იდეალისტურად განიხილავდა, მაგრამ მან თავისი ფილოსოფიური წიგნებით მაინც ბევრი რამ გააკეთა მომავალი რევოლუციებისათვის, ფრანგ ადამიანთა განათლებისათვის.

მონტესკიე ცნობილი გახდა თავისი წიგნით „სპარსული წერილები“, რომელიც ანონიმურად გამოსცა 1721 წელს. წიგნი სამი აზიელის წერილებისგან შედგება. ეს წერილები ასახვენ ევროპის სოციალურ-პოლიტიკურ ფითარებას, ევროპელთა ზენ-ჩვეულებებს, მწერალი ამ სამი აზიელის პირით აქტივებს მაშინდელი საფრანგეთის სახელმწიფო წყობილებას, კათოლიკურ ეჭლესისა, კერძოდ, პაპი კლიმენტი მეთოთხმეტის კურიას —

ნათელი გონიერის დაუძინებელ მტრებს, მუქთახორა, გულზვიად, ზენობრივად დაცემულ ფრანგ არისტოკრატებს, რომლებიც „ნახულობენ მეფეს, სატბრობენ მინისტრებთან, ჰყავთ წინაპრები და აქვთ ვალები და პენსია.“

მეფე ყველაფერზე მძიმე ტვირთია საზოგადოებისათვის. იგი თავისი სასახლის წევრებთან ერთად უამრავ სიმდიდრეს აგროვებს მაშინ, როცა მილიონობით ადამიანები უკიდურეს სიღარიბეში იხოცებიან. აღმფოთებული მონტესკიე ასე მიმართავს ტირან მეფეებს: „თქვენ არ ხართ ღირსი აღიღლი გეჭიროთ ამ ქვეყნატ, რაღაც თქვენში არ არის ადამიანობა“.

„სპარსული წერილების“ ავტორი წოდებრივი უთანასწორობის სასტიკი მტრია, იგი ქალაგებს ადამიანთა თანასწორობის იდეას. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა გარემოში დაიბადა ადამიანი, მთავარია ადამიანური ლირება და თვისებები.

ებრძოდა რა ფეოდალურ რუტინას, ქიშპობას და პარტიულარიზმს, შონტესკიე ცდილობდა შთანერება ადამიანთათვის ჰუმანისტური იდეები, უარეყო უხეში, ეგოისტური აზრები.

1748 წელს მონტესკიემ გამოსცა 20 წლის კვლევა-ძეგების „შედეგად და-წერილი ფილოსოფიური ტრაქტატი „კანონების სული“. მიუხედავად სერიოზული ნაკლიასა, ამ წიგნმა ბევრი რამ გააკეთა. მონტესკიე სხვა ფრანგ განმანათლებლებთან ერთად მივიღა იმ ჭეშმარიტ დაკავნამდე, რომ ისტორიის მამოძრავებელი ძალა ადამიანები არიან და არა ღმერთი. „კანონების სულში“ მონტესკიე პირდაპირ აცხადებს: „ყოველგვარი ძალა-უფლება\_ ღმერთისგან კი არ არის, არამედ ხალხისგან“. ამის გამო იყო, რომ ვატიკანშა ეს წიგნი „საშიშ წიგნად“ გამოაცხადა.

ჰუმანისტი მონტესკიე ადამიანის გონებას უსაზღვრო შესაძლებლობას ანიჭებდა. მისი აზრით, გონების საშუალებით ადამიანს შეეძლო შეექმნა ისეთი სახელმწიფო, საღაც ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნებოდა ცხოვრების პირობებით. მონტესკიე გადაჭრით ილაშქრებს დამპყრობლური ომების წინააღმდეგ. იგი სასტიკად ამათრახებს ყველა იმათ, ვინც შვიდობის-მოვარე ხალხების მტერია და დამპყრობლური ომებისათვის ემზადება. ბომბის გამოგონებამ ევროპის ყველა ხალხს თავისუფლება წაართვა, წერდა დიდი ჰუმანისტი. ამასთან დაკავშირებით იგი შიშს გამოიჟვამდა: ადამიანმა შეიძლება გამოიგონოს ისეთი რამ, რაც კაცობრიობის კულტურას მოსახუ-ბით დაემუქრებოდა. მაგრამ ჰუმანისტ მონტესკიეს ისიც სწამდა, რომ ხალხში არის ჯანსალი აზრი, რომ მშრომელი ხალხი არასოდეს არ მოითხოვს ომს, რომ იგი მშვიდობის მომხრეა.

„შენ ამბობ, გეშინია, არ გამოიგონო რაიმე უფრო სასტიკი, ვიდრე განადგურების ასალი საშუალება. არა! თუ კი გამოაშეარავდა ასეთი საბედის-წერო აღმოჩენა, ადამიანთა უფლებით იგი მალე იქნება აკრძალული და ხალხის ერთსულოვანი შეთანხმებით საბოლოიდ დასამარებული“. — ასე ხალხის ერთსულოვანი შეთანხმებით საბოლოიდ დასამარებული“. — ასე წერდა მონტესკიე ორი საუკუნის წინათ. ეს სიტყვები არ კარგავს მნიშვნელობას ჩვენს დროშიც, როდესაც მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ერთსულოვნად ირაზმებიან ატომური ომის წინააღმდეგ,

ახალი იმპერიალისტური ხოცაუ-ულეტის წინააღმდეგ, ეს სიტყვები ადამიანებს ერთხელ კიდევ მოაგონებს იმ დიდი ძალის შესახებ, რომელიც მათ გააჩინათ თავისუფლებისა, თანასწორობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

### ზრდის შილვი

150 წელი შესრულდა დიდი გერმანელი განმანათლებელი მწერლის ფრიდრიხ შილერის გარდაცვალებიდან. შილერის შემოქმედებაში აისახა მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის გერმანიის მეტად რთული ისტორიული ქბოქა.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გერმანია ჩამორჩენილი და დაქუცმაცებული ქვეყანა იყო. გერმანიის წვრილი სახელმწიფოების სათავეში იღვნენ ჰერცოგები, რომლებიც გამოირჩეოდნენ სისასტიკითა და მილიტარისტული სულისყველებით. საპერცოგოთა შორის განუწყვეტელმა ომმა გერმანია დაქვეითებამდე მიიყვანა. იმ სამარცხით ეპოქამ გერმანიაში იშვნენ მსოფლიო კულტურის ისეთი კორიფეები, როგორიცაა ლესინგი, გოეთე და შილერი.

ლესინგის, გოეთესა და შილერის შემოქმედება არ არის თავისუფალი შინაგანი წინააღმდეგობებისა და განსაზღვრულობისაგან, მაგრამ მათი შემოქმედების ძირითადი მიზანია ხალხის თვალით დანახული გერმანიის სერ-ბედის დახატვა.

შილერის პირველი დიდი ნაწარმოები „ყაჩალები“ დაწერილია ვიურტექნიკის ჰერცოგის თვითნებობისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ. მაგრამ დრამის გმირები იმდენად განზოგადებული სახეებია, რომ მათში იმდროინდელი გერმანიის ტიპიური სოციალურ-მორალური სახეები გვეხატება. „ყაჩალებში“ გერმანიის იმდროინდელი ცხოვრების ორი სოციალური მიმართულებაა შეჯახებული. ვერაგ ფრანც მოორში თავმოყრილია გერმანელი ფეოდალებისა და ჰერცოგების ტირანობა და მუხანათობა. კარლ მოორში კი განსახიერებულია „ქარიშხლისა და შეტევის“ ეპოქის მოწინავე ახალგაზრდობის შეურიგებელი პროტესტანტული სული. ახალგაზრდა კარლ მოორში შეუძლეკელი სახე, მისი პირდაპირობა და სიძნელეების წინაშე ქედმოუხრელობა ყოველთვის იზიდავდა და იზიდავს რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას.

კარლ მოორისათვის უცხოა პირადი კეთილდღეობისათვის ბრძოლა. იგი ცდილობს შური იძიოს მთელი ხალხის დამცირებისა და დამონებისათვის, ებრძვის მმართველ კლასებსა და სასულიერო პირებს.

საყურადღებოა „ყაჩალების“ მეორე გამოცემის ლათინური ეპიგრაფი „ტირანების წინააღმდეგ“. დრამაშ მართლაც შეასრულა ეს ისტორიული მისა. ყოველ შემდგომ დაბაზულ ისტორიულ ეპოქაში შილერის დრამა ახლებურად ყდერდა და ბრძოლებისაკენ. მოუწოდებდა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას.

„ყაჩალების“ დადგმას დიდი ტრადიცია აქვს საბჭოთა ხალხების თეატრალურ ხელოვნებაში. ჩვენში შილერის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს. წლების მანძილზე იღმებოდა „ყაჩალები“ ამ თეატრის სცენაზე და დიდი წარმატებითაც სარგებლობდა.

„ქარიშხლისა და შეტევის“ ეპოქის ყველაზე დიდი ნაწარმოებია დრამა „ვერაგობა და სიყვარული“. ამ ნაწარმოებს დიდად აფასებდა უნგელსი და მას „პირველ გერმანულ პოლიტიკურ დრამას“ უწოდებდა.

„ვერაგობა და სიყვარული“ გმირი ქალის ლუიზა მილერის ტრაგედია ძლიერ სიყვარულსა და წოდებრივ უუფლებობას შორის წინააღმდეგობაში, მდგომარეობს.

შილერმა დიდი ოსტატობით დახატა დრამაში ფეოდალური საზოგადოების ტიპიური წარმომადგენლები და მათი დამქაშები.

მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში შილერის შემოქმედებაში შესამჩნევი გარდატეხა მოხდა. ამ პერიოდის დრამებიდან აღსანიშნავია ტრილოგია „ვალენტინი“, „ორლეანელი ქალწული“, „მარიამ სტურტი“ და „ვილჰელმ ტელი“. აღნიშნულ დრამებში შილერი დაუბრუნდა „ქარიშხლისა და შეტევის“ ეპოქის შემოქმედებითს ტრადიციებს და ამავე დროს უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა თავისი შემოქმედების დემოკრატიზმი.

„ვალენტინის“, „ორლეანელი ქალწულის“, „მარიამ სტურტის“ და „ვილჰელმ ტელის“ მოქმედების ცენტრში ხალხი დგას. დრამატურგი მათ თანაუგრძნობს. შილერი მთელი პათოსით ადიდებს მასების რევოლუციურ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს. იგი დამპყრობლური ომებისა და ხალხთა ჩაგვრის სასტიკი წინააღმდეგია. „ორლეანელ ქალწულში“ შილერმა დაგვიხატანგი ხალხის ბრძოლა ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ. „ვილჰელმ ტელში“ დრამატურგი ასახავს შვეიცარიელი ხალხის ბრძოლას ავსტრიელ დამპყრობთა წინააღმდეგ, „ვალენტინის“ და „მარიამ სტურტში“ კი მან ამხილა სამშობლოს გამცემი ფეოდალები, რომლებიც პირადი ინტერესებისათვის სამშობლოს ყიდღნენ. მგზებარე პატრიოტიზმით გამსჭვალულ მწერალი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე გერმანიის გაერთიანებისა და თავისუფალი გერმანიის შექმნისათვის იბრძოდა, ამიტომა, რომ შილერის პატრიოტიზმს დღესაც დიდი აქტუალური მნიშვნელობა აქვს. მას დიდად აფასებენ თანამედროვე გერმანიის მოწინავე ადამიანები. შილერის გარდაცვალებიდან 150 წლისათვის აღსანიშნავად გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მას „ხალხის ჭეშმარიტი ტრიბუნი“ უწოდა.

## ადამ მიცევიჩი

ადამ მიცევიჩი (1798-1855) დაიბადა სუტორ ზაოსიეში, სამაზრო ქალაქ ნოვოგრუდკის ახლოს, თანამედროვე ბელორუსის სსრ ტერიტორიაზე. მიცევიჩის საშობლო მხარე შედიოდა მეფის რუსეთის მიერ დაპყრობილი აღმოსავლეთ პოლონეთის იმ ნაწილში, რომელსაც მაშინ ლიტვას უწოდებდნენ. ბავშვობისა და მოწაფეობის წლები მიცევიჩმა ქალაქ ნოვოგრუდკაში გაატარა. ნოვოგრუდკის მიდამოების ლამაზი ბუნება, ძველი ფეოდალური კაშკები და სახალხო დღვესასწაულები სამუდამოდ აღიძეს და ნიჭიერი ყმაწვილის გონებაში. აქ მიცევიჩი პირველად გაეცნ პოლონელი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურას და განმათავისუფლებელი ბრძოლის ტრადიციებს. მიცევიჩმა შეისწავლა ხალხური შემოქმედების ნიმუშები: ლეგნდები, სიმღერები და თქმულებანი, რომელთა მთავარი თემა იყო პოლონელი ხალხის ბრძოლა გერმანელ ტევტონთა ორდენის წინააღმდეგ. რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდა პოეტს ასაზრდოებდა პოლონელი ხალხის გმირული წარსული და მდიდარი პოლონელი ფოლკლორი.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიცევიჩი ვილნოს უნივერსიტეტში შევიდა.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის დროს მიცევიჩი გაეცნო გოეთეს, შილერის და ბაირონის შემოქმედებას. დიდი შთაპეჭდილება მოახდინა პოეტზე ზე ბაირონის „ჩაროლდმა“. ახალგაზრდა პოეტმა ბაირონის შემოქმედებაში ბევრი ისეთი მოტივი ნახა, რომელმაც დააკმაყოფილა პოეტის სულიერი მოთხოვნილება. მიცევიჩის პირველ რიგში მოსწონდა ბაირონის შემოქმედების რევოლუციური, პროტესტანტული სული. ამავე დროს ახალგაზრდა მიცევიჩმა არ იწამა ბაირონის „აღმოსავლური პოემების“ ინდივიდუალიზმი.

1821 წელს მიცევიჩი წერს ცნობილ ლექსს „რდა ახალგაზრდებისადმი“, რომელიც წლების მანძილზე პოლონელი ახალგაზრდობის განმათავისუფლებელი მოძრაობის მანიფესტად იყო აღიარებული და რევოლუციური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მათ:

ჭაბუკო ქმებო, აღვდგეთ სურთო  
ბრძოლა დავსახოთ ერთადერთ მხსნელად,  
ერთი მიზნისკენ სწრაფვით ავენთოთ,  
ბრძოლაში ვპოვოთ ძალა და შველა.

1822 წელს გამოცემულმა მიცევიჩის ლექსების პირველმა ტომმა მიიქცა მთავრობის ყურადღება. მეფის მოხელეებმა პოეტში დაინახეს ძლიერი და საშიში მოწინააღმდეგები.

მიცევიჩის კონსა პერიოდის შემოქმედება დამთავრდა იძულებითი გადასხლებით. უნივერსიტეტში გახსნეს ფილომატების წრის საქმე. ამ წრის ბევრი წევრი დაპატიმრეს, მიცევიჩი კი გადაიყვანეს პეტერბურგში განათლების სამინისტროს განკარგულებაში.

პეტერბურგში მიცევიჩი გაეცნო რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას, მაგრამ მალე, სამინისტროს განკარგულებით, იგი ოდესაში გაგზავნეს მასწავლებლად. იქ მას ადგილი დაკავებული დახვდა და გადასწყვიტა ყირიმში ემოგზაურა. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებითაა შექმნილი მისი ცნობილი ციკლები „ყირიმული სონეტები“ და „სატრფიალო სონეტები“.

ყირიმში მოგზაურობის შემდეგ იგი იწყებს მუშაობას მოსკოვში. აქ იგი დაუახლოვდა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას, გაეცნო პუშკინს. გენიალურ რუს პოეტთან შეკვედრამ დიდი გავლენა იქონია მასზე.

მიცევიჩმა მწვავედ განიცადა დეკაბრისტების დამარცხება. მისი პირველი რუსი მეგობრების რილევენისა და ბესტუევის დაპატიმრებამ კიდევ უფრო გააძლიერა პოეტის შემოქმედების მეამბოხური ხასიათი.

პუშკინთან მეგობრობა კიდევ უფრო გაძლიერდა 1826 წელს. მიცევიჩის პეტერბურგში მოგზაურობის დროს. აქ მიცევიჩი გაეცნო კრილოვს, უკკოსკის, გრიბოედოვს და დელვიგს. პეტერბურგში მიცევიჩი ჩავიდა ახალი პოემის „კონრად ვალენტინის“ დაბეჭდვის საკითხებთან დაკავშირებით. ეს პოემა ახალი ფურცელი იყო მიცევიჩის შემოქმედებაში. პოემა გამსჭვალულია მომავლის რწმენით. ეს ოპტიმისტური ხასიათი გამოხატულია მოხუცი პოლონელი პატრიოტის ჰალშანის სიტყვებში:

„...მღეროდეს ლიტვა, მღეროდეს ხალხი,—  
მტერი ბალებმაც რომ არ დაინდონ!  
და, მათ ზრდიდეს შურისძიება  
და ჩვენ სიკვდილი გვეპატიება!“

1829 წელს მიცევიჩმა მიიღო საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვა. იგი პირველად გერმანიას ეწვია. იქ მიცევიჩმა ინახულა ღონისული გოეთი, რომელსაც ძლიერ მოეწონა ახალგაზრდა პოეტის შემოქმედება და ამ მოწონების ნიშნად კალამი აჩუქა.

პოლონელი ხალხის განმთავისუფლებელი მოძრაობა და მის მომავალ ბეჭინიერებაზე ფიქრი ის ქვაკუთხედია, რომელზედაც შეიქმნა პოეტის მაღალმხატვრული პოეზია. მიცევიჩის რომანტიზმი აქტიური და რევოლუციურია: პოეტის რომანტიკული სტილის თავისებურება ისაა, რომ მისი შემოქმედება მიმართულია მომავლისაკენ. მას ჯერა, რომ ის პოტენციური ძალა, რომელიც მშრომელ ხალხს გააჩნია, ჯერ კიდევ განუვითარებელია, ხოლო მომავალში შეძლებს თავისუფლების მოპოვებას.

მიცევიჩისათვის ერველთვის უცხო იყო რეაქციული თეორია: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. მისი ესთეტიკის ქვაკუთხედია მორალური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეგნება.

თანამედროვე პროგრესული მკითხველი დიდად აფასებს მიცევიჩის მებრძოლ პოეზიას. განსაკუთრებით დიდი გულისყრით ეკიდებიან მას საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. დიდი ტრადიცია აქვს მიცევიჩის შემოქმედების პოპულარიზაციას საბჭოთა კავშირში. დიდი ხანია მიცევიჩის იცნობს ქართველი მკითხველი. ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში

მის ლექსებს თარგმნიდა ცნობილი ქართველი დრამატურგი და პოეტი გ. ერის-თავი. უკანასკნელ ხანებში ქართულად გმოიცა მიცევიჩის ლექსების კრებული.

დღიდა მიცევიჩის პოეზიის მნიშვნელობა თანამედროვე პოლონური ლიტერატურის განვითარების საქმეში. მიცევიჩის პოეზიამ კეთილისმყავილი გავლენა მოახდინა პოლონეთის თანამედროვე პოეტების სტაფის, ბრონევსკის, ივაშკევიჩის და სხვათა შემოქმედებაზე.

მიცევიჩის შემოქმედების რევოლუციურ ხასიათს, ხალხთა მასების ონტერესების დაცვას, რეაქციისა და უსამართლო ომების წინააღმდეგ ბრძოლას დღი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ეპოქაში. დღიდი პოლონელი პოეტის შემოქმედება ხელს უწყობს დემოკრატიული იდეების განმტკიცებას, თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას, მშვიდობის შენარჩუნებას.

## ა რ დ ე რ ს ე ნ ი

1805 წელს დაწიაში, ქ. ოდენსკში, ლარიბი მეფეებსაცმლის ოჯახში დაიბადა ბავშვთა გულის მესაიდუმლე, ცნობილი მეზღაპრე ჰანს ქრისტიან ანდერსენი. უკიდურესმა ეკონომიურმა სივიწროვემ მას საშუალება არ მისცა დროზე დაწყო სწავლა. ჰანსს მხოლოდ მოვინაზებით მიეცა შესაძლებლობა მოწყობილიყო კოპენჰაგენის გიმნაზიაში. ხალხში გაიზარდა მომავალი მწერალი, ხალხი იყო მისი მასწავლებელი. გულმოდგინედ უსმენდა იგი მოხუც მეზღაპრეებს და თანაც გატაცებით კითხულობდა ლაფონტენის იგავებასა და „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებს. კოპენჰაგენის უნივერსიტეტში სწავლის წლებში იგი გატაცებით კითხულობდა სკოტსა და ჰოფმანს, ჰაინრიხსა და გოეთეს.

ანდერსენმა წერა აღრე დაიწყო. მისი აღრინდელი პერიოდის ნაწარმოებში „ბნელი სურათები“, რომელიც გერმანიასა და შვეიცარიაში მოგზაურობის შედეგად დაიწერა, დახატულია გუსლარის მაღაროელთა მძიმე ცხოვრების შემაძრწუნებელი სურათები. ამ ნაწარმოების ყოველი სიტყვა გამთბარია აღმიანისაღმი ღრმა სიყვარულით, მშრომელი აღამიანისაღმი თანაგრძნობითა და კეთილშობილური პატივისცემით. დუხჭირი, უსიხარულო ცხოვრების სიმძიმე ავტორმა თვითონ გამოსცადა, ასეთი ცხოვრების სურათებს იგი ყოველ ნაბიჯზე ხედავდა როგორც თავის მშობლიურ დანიაში, ისე ევროპაში მოგზაურობის ღრმასაც. მაგრამ ხალხის წიაღში გაზრდილ მწერალს მუდამ თან ახლავს ხალხური სიბრძნე და ოპტიმიზმი. იგი თავისი რომანის „იმპროვიზატორის“ გმირის—ახალგაზრდა ანტონის პირით საქვეყნოდ აცხადებს: „ცხოვრება არ არის სიზმარი!“, „სიყვარულის ბედნიერება — სინამდვილე!“ ანტონიო თვით მწერალია, ცხოვრების მძიმე ხედრისგან დასჭილი, მაგრამ მაინც რეალური ცხოვრების სილამაზის მომღერალი.

მომდევნო წლებში დაწერილ რომანებში: „ო. ტ.“, „ვიოლინოს დამკვრელი“ და სხვ. ანდერსენი უფრო ნათლად გამოთქვამს თავის აზრს ადამიანთა უთანასწორობისა და უუფლებობის წინააღმდეგ.

ანდერსენმა დიდი სახელი მოიხვეჭა რომანებით, მაგრამ იგი განსაკუთრებით ცნობილი გახდა პროზაული ლექსების კრებულით „უჩინარი სურათები.“

1835 წელს ევროპის საზოგადოება პირველად გაეცნო ანდერსენის ზღაპრებს, რომლებშიც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა მწერლის უბადლო ნიჭი. ამ უჩეველო ზღაპრებსა და მის ავტორს ყველაზ ფართოდ გაულო კარები. ვინ არ კითხულობდა მას. დიდი და პატარა, მდიდარი და ლარიბი, განათლებული და გაუნათლებელი. ბალზაკი, დიკენსი, დიუმა, ჰიუგო, — ყველას, ყველას სურდა ენახა ადამიანი, რომელმაც ეს ზღაპრები შექმნა, განსაკუთრებით კი დიკენსი — ბავშვების ამ მეორე დიდ მოამაგეს. მართლაც ამაღლელვებელი იყო მათი შეხვედრა ლონდონში. ანდერსენმა ინგლისში კიდევ უფრო ნათლად იხილა ორი სამყარო. მან საკუთარი თვალით ნახა მათხოვრები, რომლებსაც მკერძო გაერული ჰქონდათ ქალალდები წარწერით — „შიმშილისგან ვკვდები! შემიბრალეთ!“ და იქვე ნებივრობდა გახრმაწილი ცხოვრების მორევში ჩაძირული ინგლისის არისტოკრატია.

ადამიანი, რომელიც მუდა მშრომელი ხალხის ბედნიერებაზე ფიქრობდა და მათი უბედურება აწუხებდა, ვერ შეეგუა ბურჟუაზიული საზოგადოების ასეთ მკვეთრ კონტრასტებს. იგი უარყოფს დედოფლის მიწვევას და მალე ტოვებს ინგლისს.

საზოგადოების გაბატონებული ზედაფენებისადმი სიძულვილი, მშრომელი, ჩაგრული ადამიანებისადმი სიყვარული ნათლად იგრძნობა ანდერსენის ყოველ ზღაპარში, რა შინაარსისაც არ უნდა იყოს იგი. მის ზღაპრებში ბედნიერად არის შერწყმული პოეტური უშუალობა, ლრმა სოციალური შინაარსი და ნათელი, მხიარული ჰუმრი. ავილოთ ფუნდაც „საძაგლი ჭუჭული“. აქ არიან უშნო, მეშჩანი იხვი, ჩურჩუტი ქათმები, თავხედი კატა, გაფხორილი ინდაური, რომელიც მეფედ იწოდება მხოლოდ იმიტომ, რომ დაბადებიდანვე დეზები გამოჰყოლია. და ყველანი, თითქოს პირი შეუქრავთო, აძგებენ გედის „უშნო ჭუჭულს“, რომელიც გერ კიდევ არ შემოსილა ბუმბლით. ისინი დასცინიან გედის შთამომავლობას, მის იხვად გადაქცევას მოითხოვენ. ამ ზღაპარს კითხულობს ბავშვი და ეცინება, კითხულობს მოზრდილი და ეცინება იმ ადამიანებზე, რომლებიც დაბადებიდანვე გამოყოლილი დეზებიანი ფუხებით იწონებენ თავს და ხშირად ამის გამო მეფედაც იწოდებიან. ავილოთ თუნდაც დიდგულა ლოკოკინა ზღაპრიდან „ბედნიერი ოჯახი“, რომელსაც თავი იმით მოაქვს, რომ კარგად მოხარშულ მის წინაპრებს თდესლაც და საღლაც ბატონები ვერცხლის ლამბაქებიდან მიირთმევდნენ. ლოკოკინა შეპნატრის ასეთ ბედს. შეუძლებელია ირონიული ლიმილის შეკავება, როდესაც კათხულობთ ფულით გატენილი, გონებაჩლუნგი უზრდელი ფაიფურის ლორის ამბავს, ლორისა, რომელიც განჭინიდან ამაყად გაღმიოჲურებს ყველაფერს. მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი. გაღმოვარდება და დაიმსხვრევა, მას სანაგენ ყუთში გადააგდებენ.

აქ ყველასათვის გასაგებად და ლაკონურად არის მოცემული ფულის მხვეჭელთა საბოლოო ბედი.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში შძიდართა და გაძვერათა სამსახურშია ცველაფერი, თვით ხელოვნება და მეცნიერებაც. ეს აზრი საუცხოოდა გამოხატული ზღაპარში „აჩრდილი.“ სწავლული ერთ დღეს იპოვის თავის გამდიდრებულ აჩრდილს. აჩრდილი მსახურად გაიძის სწავლულს. აჩრდილი დელფალს ცოლად შეირთავს და სწავლულს უბრავებს: როცა მე მზიან ამინდში აივანზე გამოვალ, შენ ჩემს ფეხებთან უნდა გაწვეო. ასეთია სწავლულთა ბედი კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, აღაშიანთა აღგილს აჩრდილები იჭერენ.

იშვიათად თუ ვინმეს დაუხატავს მეფის გონებრივი სიჩლუნგე, სასახლის არისტოკრატის პიროვნეობა და გაიძვერობა ისე ნათლად და მოსდენილად, როგორც ეს ანდერსენმა გააკეთა თავის ზღაპარში „მეფის ახალი ტანსაცმელი“. ყველა ხედავდა, რომ მეფე შიშველი იყო, მაგრამ ვერავინ ბედავდა ამის თქმას. მხოლოდ ბავშვმა თქვა ის, რის თქმაც ვერცერთმა კარისკაცმა ვერ გაბედა: „შიშველია მეფე! შიშველი!“

ანდერსენის ზღაპრების დადებითი გმირები ყოველთვის მშრომელი ადამიანებია. კეთილ ცეროლენას ეცოდება მოსუცი თავგვი. ამიტომ უერ მიუტოვებია ის. როცა ცეროლენა გაყინულ მერცხალს იპოვის, საკუთარი სითბოთი ათბობს, მთელი ზამთრის განმავლობაში მის სიცოცხლეზე ზრუნავს. შრომასა და ადამიანთა კეთილდღეობისათვის ზრუნვაში ხედავს ანდერსენი უმაღლეს მიზანს. ბევრი აწამეს სელი, მაგრამ იგი ამას არ დარღობს, რაღაც მისგან ფართალი დაამზადეს და გახარებულია იმით, რომ იგი ადამიანს ემსახურება. დაიხა, მაგრამ მაინც ბევრი რამ გააკეთა მან ადამიანების საკეთილდღეოდ, მისგან ახლა თეთრი ქალალდი დაამზადეს, შავი ასოებით რაღაცა დააბეჭდეს და იგი ადამიანების მუდმივი მოსამსახურე გახდა, განათლება შეაქვს ხალხში (ზღაპარი „სელი“).

ანდერსენის ზღაპრებში უშინაარსო, ფუჭი, მუქთახორული ცხოვრების გვერდით მიმზიდველად არის დახატული შრომისა და გონების სამყარო, სამუარო უბრალო ადამიანებისა. მათში ხედავს ანდერსენი ცხოვრების მთელ სიმშვერიერებს, მათს კეთილშობილებაში ჭკრეტდა იგი ნათელ მომავალს, ამიტომ ამბობდა გაბედულად: „მე მომავლის იმედი მაქეს“. ამ რწმენისათვის, ამ ნათელი ოპტიმიზმისათვის შეიყვარეს ანდერსენი მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებშა.

## უოლტ უიტშენი

მე-19 საუკუნის შუა წლების ამერიკულ ლიტერატურაში ცენტრალური ადგილი უჭირავს დემოკრატ პოეტს, ლექსის ორიგინალურ ოსტატს უოლტ უიტმენს (1819—1892). უიტმენი ლიტერატურაში შევიდა უმთავრესად როგორც ცნობილი ციკლის „ბალახის ფოთლების“ ავტორი. „ბალახის ფოთლების“ ციკლი ახალი ფურცელი იყო მსოფლიო პოეზიის საგანძურებლი. სწორედ ამიტომა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ გადაწყვიტა წელს ალენიშნა „ბალახის ფოთლების“ პირველი წიგნის გამოქვეყნების ასი წლისთავი.

„ბალახის ფოთლები“ მნიშვნელოვანია არა მარტო დემოკრატიული იღებათ, არამედ ლექსის იმ თავისებური ფორმითაც, რომელიც ზედმიწევნით უპასუხებდა ეპოქის სულიერ მოთხოვნილებებს. „ბალახის ფოთლების“ გამოქვეყნებით უიტმენმა შექმნა პოეტური ხელოვნების ახალი ეპოქა.

უ. უიტმენის თანამედროვე ლიტერატურათმოდნებაშ არ მიიღო „ბალახის ფოთლები“. ჩავაჭილი კრიტიკოსები ყბად იღებდნენ უიტმენის ლექსების ფორმას, მაგრამ ამ უარყოფას პოლიტიკური სარჩული ედო. უიტმენი დემოკრატი და პროგრესული პოეტი იყო, ამდენად, ცხადია, ამერიკის ჩავაჭილი კრიტიკას არ მოეწონებოდა უიტმენის გაბედული ლექსები. მსოფლიოს დემოკრატიულმა კრიტიკამ უიტმენში იმთავითვე დაინახა დიდი ხელოვანია და პროგრესული მოღვაწე. მისი პოეზია განსაკუთრებით ამერიკელმა მშრომელებმა შეიყვარეს. ამერიკის დაბალი ფენები მას ხალხის პოეტად თვლიდნენ და დღესაც თვლიან.

ამერიკის ჩავაჭილი უიტმენის მიერ უიტმენის პოეზის უარყოფა კარგად შენიშნა ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ბერნარდ შოუმ. მას უიტმენი კლასიკოსად მიაჩინდა და უკვირდა, რომ ამას მხოლოდ ამერიკელები ვერ ამჩნევდნენ. „განა შეიძლება ცაჟე მზე არ შენიშნო?“ — წერს ბ. შოუ.

თანამედროვე ამერიკელი ჩავაჭილი კრიტიკოსების ერთი ნაწილი ცდილობს უიტმენის შემოქმედებას დემოკრატიული და პროგრესული ტენდენციები მოაშოროს. ისინი გულმოდგინედ ებლაუჭებინ უიტმენის პოეზიის სუსტ მხარეებს ან კიდევ მისი პოეზიის მთავარ თემას — შრომასა და ტექნიკური ომავლობის დიდებას ამერიკულ „საქმიანობასთან“ აიგივებენ. მართლია, უიტმენი აღტაცებული იყო ტექნიკისა და პროგრესის დანერგვით; მაგრამ ყოველთვის ხალხის თვალსაზრისით უდგებოდა მათ.

„ბალახის ფოთლების“ კრებული შეღება რამდენიმე ციკლისაგან. მთელ ციკლს უიტმენმა წარუმძღვარა ე. წ. „მიძღვნები“, რომლებშიც გადმოცემულია უიტმენის შეხედულებანი ხელოვნებაზე და კერძოდ პოეზიაზე. იგი ესთეტიკის საფუძვლად ცხოვრების რეალურად ასახვას თვლის. ისევე, როგორც ძველი ბერძნები ღმერთებსა და მცხებს უმღეროდნენ, უიტმენს გადაწყვეტილი აქვს ამერიკის მშრომელ ხალხს უმღეროს. მისი აზრით, მშრომელი ხალხის შრომა და ბრძოლა უნდა გახდეს პოეზიის საგანი. მაშინ როდესაც ამერიკელი ჩავაჭილი როგორი რომანტიკოსი ედგარ პო მისტიციზმისა და სიკვდილის ფილოსოფიას ქადაგებდა, მისი უმცროსი თანამედროვე უიტმენი შრომასა და გმირობას შარავანდებით მოსავდა.

უიტმენმა დაარღვია მანამდე არსებული პოეტური კანონები და ლექსების ახალი ფორმა შექმნა. მის ლექსებს არ გააჩნია განსაზღვრული რიტმი და ზომა. ლექსის ფორმას ქმნის მახვილები და ცეზურები. მისი ლექსები ერთი შეხედვით პროზას მოგვაგონებს, მაგრამ ორიგინალში ისინი ხასიათდებიან შინაგანი მთლიანობით და პოეტური სახეების სრულყოფით.

უიტმენის „ბალახის ფოთლების“ ციკლის პირველ პოემას „სიმღერა თავისთავზე“ არ გააჩნია სიუჟეტი; ერთი შეხედვით იგი თეორიულ ფილოსოფიურ ეტიუდს მოგვაგონებს. სინამდვილეში კი მთელ პოემას აერთიანებს.

პოეტის ლირიკული მე. მისი აზრით, პოეტის მიერ აღქმული სამყარო იგივე კაცობრიობის მიერ აღქმული სამყაროა. საკუთარ მესა და კაცობრიობის გაიგივებით უიტმენი ხაზს უსვამს ადამიანების ბუნებრივ თანასწორობას.

„ბალახის ფოთლების“ ლექსების დიდი ნაწილი ზანგების ცხოვრებისადმი არის მიძღვნილი. პოეტი ლრმად განიცდის მონა ზანგების ღუბჭირ მდგომარეობას და ამავე დროს დიდი პოეტური აღმაფრენით ლაპარაკობს მათ სულიერ და ფიზიკურ სრულყოფილობაზე.

პოემაში „მაძიებელნი“, რომელიც „ბალახის ფოთლების“ ციკლში შედის, უიტმენი ხატავს ინდიელი ქალის სახეს. მაშინ, როდესაც ამერიკელი ბარბაროსები ინდიელებში პირუტყვებს ხედავდნენ, უიტმენი ლრმად განიცდის ინდიელი ქალის ბედს. პოეტი აღფრთვებულია ამ ქალის თავგანწირვით, გამბედაობით და სიცოცხლისადმი სიყვარულით.

უიტმენი არ გამოდის ბურუუაზიული ფილანტროპის როლში. მას ებრა-ლება და აზრი ადამიანი, ეხმარება კიდეც მას და ამავე დროს სჯერა, რომ მშრომელები სულიერად და ზნეობრივად მყვლეფელებზე მაღლა დგანან.

უიტმენს ხშირად ბრალს სდებენ ბუნების ძალებისადმი. უტილიტარისტულ მიდგომაში. იგი მართლაც მოუწოდებს ბუნების ძალები ჩადგნენ ადამიანის კეთილდღეობის სამსახურში. უიტმენის ეს „უტილიტარიზმი“ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარეობს. მას იმდენად უყვარს ბუნება, რამდენადც იგი თავის კალთას გადაშლის და მშრომელ ადამიანს შეიფარებს. ბუნების ძალებისადმი ასეთი მიღვომა მწერლის პუმანისტურ შეხედულებებზე ლაპარაკობს და არა უტილიტარისტულზე.

და თუმცა პოეტი დიდად აფასებს ბუნების ძალებს, მისი პოეზიის ცენტრში მაინც ცოცხალი ადამიანი დგას. „ბალახის ფოთლების“ ერთ-ერთ ლექსში ავტორი ქებათა-ქებას ასხამს ხელოვნებას, მრეწველობას, ბუნების დროთა ცვლას, მაგრამ ბოლოს დასძხენს, ბავშვი დაბადებული კაცისა და ქალისაგან კულა საგანზე ძვირფასიაო.

ადამიანის გარეშე მისოვის არათერს არა აქვს მნიშვნელობა. უიტმენისათვის ადამიანებს შორის არსებობს განსხვავება. მისი აზრით, მხოლოდ მშრომელ კაცს შეუძლია აღიქვას ზღვის სიღიადე, განთიადის სილამაზე, შეის სიტბო და სინათლე. შრომისა და მშრომელი ხალხის პოეტიზაცია „ბალახის ფოთლების“ ერთ-ერთი ცენტრალური თემაა.

„ბალახის ფოთლების“ ციკლის შემდეგ უიტმენმა არა ერთი კრებული შექმნა, რომელშიც იგი აგრძელებს პირველი ციკლის დემოკრატიულ იდეებს. უიტმენი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ამერიკის მშრომელი ხალხის ერთგული დამცველი იყო.

უიტმენის დემოკრატიული პოეზიის ტრადიციებმა დიდი გავლენა მოახდინა მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ამერიკის კრიტიკულ-რეალისტური მიმართულების მწერლთა შემოქმედებაზე. კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლები მარკ ტვენი, თეოდორ დრაიზერი და ჰერ ლონდონი უიტმენს თავიანთ მასწავლებლად თვლიდნენ;

უ. უიტმენის შემოქმედებას დიდად აფასებს თანამედროვე პრიოგრესული კაცობრიობა. პოეტის უშუალო გავლენას განიცდის ამერიკელი პოეტი მაკლ გოლდი და ცნობილი ჩილელი პოეტი პაბლო ნერუდა.

უ. უიტმენის შემოქმედებას დიდად აფასებდა საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი მაიაკოვსკი. უიტმენის შემოქმედებისადმი არა ერთი დისერტაცია და გამოკვლევაა მიძღვნილი საბჭოთა კავშირში. ამერიკელი პოეტის შემოქმედების თარგმნას ეწევა ბევრი საბჭოთა პოეტი. მათ შორის გამოიჩინება მხცოვანი პოეტის კორნეი ჩუკოვსკის თარგმანები, რომლებსაც დიდი ინტერესით ეცნობიან საბჭოთა მკითხველები.

ო. ფარეიშვილი და დ. ჩავლეშვილი

სერგო ვადაჭკონია

## სამი საბავშვო წიგნი

(ნ. მალაზონია — „ბავშვებს.“ გ. სალუქევაძე — „მშვიდობა უნდათ პატარებს,“ „თოვინების ნამბობი“).

ჩვენი საბავშვო ლიტერატურა, როგორც დიდი საბჭოთა ლიტერატურის „შემადგენელი ნაწილი, დღითი დღე მდიდრდება და მრავალფეროვანი ხდება. ბევრი ჩვენი სახელოვანი მწერალი ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო ლიტერატურის დარგში. პატარებისათვის წერა ადვილი საქმე არ არის. ამიტომ უთქვას ბელინსკის საბავშვო მწერლების მისამართით: „წერეთ, წერეთ ბავშვებისათვის, მაგრამ ისე, რომ თქვენი წიგნი უფროსმაც სიამოვნებით წაიკითხოს და, რომ წაიკითხავს, მსუბუქი ოცნებით გადაფრინდეს თავისი ყრმობის ნათელ წლებში“.

თუ კი ბავშვებისათვის დაწერილი ნაწარმოები დიდებსაც მსუბუქი ოცნებით გადააფრენს ყრმობის ნათელ წლებში, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ნამდვილად გაიტაცებს პატარებსაც. გაიტაცებს და ძალდაუტანებლად „შეაწავლის“, განაცდევინებს და იმგვარად შეათვისებინებს ცხოვრების რომელიმე სიბრძნეს, რომ იგი (ბავშვი) ესთეტიკურად დამტკბარი და შენაძენით კმაყოფილი დარჩება.

თავის თანამოხსენებაში საბავშვო ლიტერატურის შესახებ საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობაზე ბორის პოლევოი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ბავშვთათვის განკუთვნილი ლიტერატურა აუცილებლად ჰქონის მასწავლებელი უნდა იყოს, მაგრამ ეს ჰქონის სწავლება თვით ნაწარმოების სისხლსა და ხორცში უნდა იყოს გამჯდარი, უნდა შედიოდეს მის სახეთა სისტემაში, გამოხატული უნდა იყოს ლექსიკურ შემადგენლობაში, და ისე არ უნდა დაცურავდეს, როგორც ცხიმის წინწერები გამოუცდელი ან ზარმაცი დიასახლისის მიერ დამზადებულ წენიანში.“

საბავშვო ლიტერატურა მომავალი თაობის სულიერი ფორმირების მძლავრი იარაღია. ამიტომ ამ დარგში მომუშავე „სულის ინჟინერს“ საგანთა და მოვლენათა გამოსახვაში ნამდვილად მეტი სიზუსტე და სიფაქიზე მართებს. ცნობილია, რომ ბავშვებს არ უყვართ დარიგება-სენტენციები. მათ უყვართ, როდესაც დიდები მათებური ენით მსჯელობენ, მათებურად. ხუმრობენ, მათებურად მოქმედებენ. მხოლოდ ასეთ ადამიანს, მწერალი იქნება იგი თუ ჩვეულებრივი მოსახურე, სულითა და გულით ენდობიან ბავშვები.

ამ მოთხოვნებს კარგად ითვალისწინებენ ის ქართველი მწერლები, რომლებიც საბავშვო ლიტერატურაში მუშაობენ. მათ შორის უკანასკნელ დროს

ახალი საბავშვო წიგნები გამოსცეს პოეტებმა ნ. მალაზონიამ და გ. სალუქვაძემ. მათი ლექსები ნორჩ მკითხველთა წრეში პოპულარობით სარგებლობენ.

შეიძლება გადაუკარბებლად ითქვას, რომ ნ. მალაზონია და გ. სალუქვაძე იმ მწერალთა რიცხვს ეკუთვნიან, რომელთა წიგნებს გამოსვლისთანავე ეტანებიან ჩვენი მკითხველები, განსაკუთრებით ნორჩი მკითხველები, ახალგაზრდები.

ოცდათი ლექსი, ხუთი პოემა და სამი ზღაპარი ლექსად — ასეთი შედგენილობისაა ნ. მალაზონიას წიგნი „ბავშვებს“. თითქმის წიგნის ნახევარი უკავია ლექსებს, რომელთაგან ბევრი უკვე სასიმღეროდაა გადასული ბავშვებში. პირველი განყოფილება იხსნება მშვენიერი ლექსით „პატარინა ლუაზა“. ვისაც ეს ლექსი გულდასმით წაუკითხავს და მოუსმენიდ მისი წაკითხვა სორჩი დეკლამატორების მიერ, ადვილად დარწმუნდება, რომ მისი ავტორი პავშვის ფსიქოლოგის ცრდნასე დაყრდნობით, მარტივი სახით აყენებს რთულ საკითხს: სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდას ოჯახში უნდა ჰქონდეს მიზანმსწრაფი მიმართულება. პატარა ლუაზას ყველაფერს უკრძალავენ მშობლები, მაგრამ არაფერს კი არ ასწავლიან; არაფრით არ აინტერესებენ. ამიტომ გასაგებია საყვედური, რომელშიც ჩაქსოვილია ლექსის იდეა:

ადვილია თქმა და დაშლა:

„ნუ იზამ“ და „ნუ იზამ!“

ის მითხარით — რა ქნას ბავშვმა,

პატარინა ლუაზამ?

ლექსებში: „უფროსი ძმა“, „მესაზღვრე“, „წერილი მამას“, „პიონერთა სიმღერები“, — ასტატურადაა ჩაქსოვილი საბჭოთა პატრიოტიზმის იდეა. ამ პატარა ლექსებში მკაფიოდ იგრძნობა ბავშვის გულწრფელი სიყვარული ჩვენი დიადი სამშობლოსადმი, ლენინისა და სტალინისადმი, ჩვენი გმირი მებრძოლებისადმი. ეს სიყვარული ბავშვური პირდაპირობითა და ბუნებრივი გამოთქმებითაა გადმოცემული. ნორჩი პიონერების მარშიდან შთამაგონებლად მოისმის:

ჩვენ ლენინმა გვიანდერდა  
სწავლა, სწავლა, სწავლა, წინსვლა,  
გზას გვინათებს დიდი სიბრძნე  
ლენინის და სტალინისა.

მცირე ზომის ოთხ ტაეპში იშვიათად შეგვხდება ლენინ-სტალინის უკვდავი მოძღვრების სიდიადის ასე მარტივი ფორმით გამოხატვა.

სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა ყოფის გამომხატველია ლექსები: „მე საბავშვო ბაღში ვარ“, „წესიერი გოგონა“, „შვიდი წლის ვარ“, „ობოლი გოგონა“, „ჩემი დედა“, „ვისი ბრალია?“, „წიგნი“ და სხვ. ეს ლექსები ასწავლიან პატარებს, რომ საჭიროა ოჯახში მშობლებისათვის დახმარების გაწევა, უფროსების ჩემა-დარიგების შესრულება, თავაზიანობა, გულკეთილობა, სწავლაში ბეჭითობა, წიგნის სიყვარული. მაგრამ ამ სწავლებას

არა აქვს მშრალი დიდაქტიკის სასიათი. პატარა გოგონას დედა ავად ჰყავს. გოგონა თვითონ ალაგებს ოთასს, მიღის ექიმთან, წამალიც მოაქეს. ბავშვი წამლის შესახებ ამბობს: „წამოვილებ, დედას ვასმევ. თუ მწარეა — თვითონ დავლევ. მერე დედას ვეტვი ასე: — წამლად გერგოს, გენაცვალე!“ — ეს მშობლიური სიყვარულისა და ბავშვური მიამიტობის შესანიშნავი გამოხატვაა.

ლექსი „წიგნი“ პატარებს ულვივებს სიყვარულს შიგნისა და მწერლისადმი, სწავლისა და ცოდნისადმი.

რელიგიური ცრურწმენის უნიადაგობა და მისი საზიანო შედეგი საინტერესოდაა ნაჩერები ლექსში „ვისი ბრალია“. სკოლაში მიმავალ ჩიტოს წინ გადაურბინა კატამ. ჩიტომ გადაწყვიტა, დაეცადა, სანამ სხვა ვინმე გაივლიდა გადანარბენზე. ამასობაში გაისმა სკოლის ზარის ხმა. ბავშვმა დააგვიანა სკოლაში მისვლა. ამ ამბავმა ყველა შეაწუხა. ყველაზე უფრო კი თვითონ ჩიტო წუხდა. დედაზრი ჩაქსოვილია უკანასკნელ სტრიქონებში: „ჩიტოს რომ დააგვიანდა, კატის ბრალია მართლა?“

ლექსი „გაზაფხული“ არ წარმოადგენს გაზაფხულის ჩვეულებრივ აღწერას. ამ ლექსით მოსწავლეები ძალაუტანებლად ღებულობენ მეტად საჭირო ცოდნას ბუნების შესახებ. აქ წარმოადგენილია გაზაფხულის აღრეულ ყვავილთა და ზოგიერთ ფრინველთა სურათები და სახელწოდებანი. ქართულ ენაზე ძლიერ იშვიათია ისეთი წიგნები და ნაწარმოებები, რომლებშიაც ბუნების საგანთა და მოვლენათა შესახებ მეცნიერულად სწორი ცოდნა მხატვრულ-ესთეტიკური ფორმით იყოს გადმოცემული. მხოლოდ ირ. აბაშიძის საინტერესო წიგნი „შევისწავლოთ ყოველი ფრინველი და ცხოველი“ წარმოადგენს ამ მხრივ წასაბაძ მაგალითს. ნ. მალაზონიას ლექსი „გაზაფხული“ ამ მხრივ შეიძლება ჩაითვალოს ირ. აბაშიძის ლექსების ამ ციკლის გამოხმაურებად. ნ. მალაზონიას ლექსით ბავშვები ეცნობიან ის, გვირჩილას, ყაყაჩის, ვარდის, იადონისა და სსვათა გარევნობას, აგრეთვე ხსენებულ მცენარეთა სამკურნალო თვისიებებს. ეს ლექსი იმ მხრივაცა საინტერესო, რომ ინსცენირებულია და წარმოადგენს მშვენიერ მასალას საბავშვო დაღგმების რეპერტუარისათვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ანბანის მიხედვით გამართული სამოცდაექვსტაეპიანი ლექსი „ანბანს ვსწავლობთ“, რომელშიაც ყოველი ორი ტაეპი ერთდაიმავე ასოთი იწყება. ამ წყვილი ტაეპების უმეტესობა წარმოადგენს მახვილობრივ ანდაზა-სენტრენციას ან მშვენიერ ენისგასატებს. ასეთია მაგალითად:

ვერიკომ ძერას ვასძახა,  
ვარიკას ააცახცახა  
ან: ყვავმა წაიღო წიწილა,  
ყველა წიწილმა იწივლა... და ა. შ.

დასახელებული და, აგრეთვე, სხვა ლექსების მთავარი ლირსება იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი მათგანი თემატიკურად აქტუალური, და ორიგი-

ნალურია, ხოლო მათში შინაარსისა და ფორმის ჰარმონიას ქვენის გულდასმით დამუშავებული ლექსიკური მასალა. პოეტმა იცის, რომ მისი მკითხველისათვის ძნელი გასაგებია რთული ფიგურული გამოთქმები, აბსტრაქცია, სამაგიეროდ, ბავშვის კონკრეტულ აზროვნებას საცემით შეესაბამება კონტრასტების მხატვრული ხერხი, რომლითაც მთელ რიგ შემთხვევაში ნათლად წარმოსადგენი და დასამახსოვრებელი ხდება საგნები და მოვლენები.

ლექსის სასიამოვნო ყდერადობას ძლიერ უწყობს ხელს სასიმღერო რიტმი, ხშირი ალიტერაცია და განსაკუთრებული ზუსტი რითმები.

წიგნის მეორე განხოფილებაში მოთავსებული პოემა „გმირი ჯემალიკო“, როგორც სათაურილან ჩანს, ასახავს ბავშვის გმირობის ეპიზოდს, გვიჩვენებს ჯერაგი მტრების ზრახვების ჩაშლას, მათ მიერ მოგზავნილი დივერსანტების შეპყრობას ჯემალის გამბერაობისა და მოხერხების შედეგად.

„ეთერი და თინა“ ავებულია დიდაქტიკურ მოტივზე. იგი ასწავლის ბავშვებს, რომ საჭიროა ბეჭითი სწავლა; ზარმაცობა და ტყუილი სამარცხვინო და საზიანოა. ფინალში ვხედავთ ბავშვებს, რომლებიც უკვე გამოსწორებულან:

დედა ხარობს და მამიდაც  
სიხარულით ფრინავს:  
სულ ხუთებზე სწავლობს ბესოც,  
ეთერიც და თინაც.

„ყვავილებში“ ნაჩვენებია მთელი ხალხის, განსაკუთრებით ბავშვების მგზნებარე სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა მებრძოლებისადმი.

პოემა „შერიგდნენ“ კატისა და თაგვის დამეგობრების ამბავს გადმოგვცემს, მაგრამ მათი მეგობრობა იმით დამთავრდა, რომ კატამ თაგვს „თათა გამოსდო, მერე ბრჭყალებიც დასტაცა“.

„სტამბოლის გარეუბანში“ წარმოგვიდგენს ღარიბი თურქის ოჯახს. პატარა ჯემალისა და მისი მომაკვდავი დედის ტრაგიკული სურათი აძლიერებს ზიზღს ამერიკელი აგრესორებისადმი და ალვივებს თანაგრძნობას იმპერიალიზმის უღელქვეშ მგმინავი ჩაგრული ხალხისადმი.

ზღაპრები „ჭიაკოკონა“ და „თაგვი“ სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით ახლოა ზემოხსენებულ პოემებთან. „მძინარე მზეთუნახავი“ კი გადმოღებულია უუკოვსკიდან.

ამგვარად, ნ. მალაზონიას წიგნი „ბავშვებს“ მრავალფეროვანი და ბავშვებისათვის მეტად საინტერესოა.

რამდენიმე შენიშვნა. ნ. მალაზონიას კარგ ლექსებშიაც გვხვდება ნაკლებად ბუნებრივი ადგილები. პოეტს შეეძლო მათი გაღმოცემა ბავშვებისათვის უფრო ადვილად გასაგები ფორმით, უფრო ნათელი სახეებით. ეს ითქმის უმთავრესად პოემების შესახებ.

ვისაც უნახავს ტყით ღარიბი მთას ფერდობი, რომელიც ღვარებისაგან დაღარულია, ამასთან, ვისაც განვითარებული აქვს წარმოსახვისა და მხატვრულ სახეთა გაგების უნარი, იმას შეიძლება ნამდვილად მოეწონოს ეს მუტაფორული თქმა — „მთებზე ღვართა ნაკვალევი — ხარირემის რქებია“;

მაგრამ არა გვგონია, რომ ბაკუშებისათვის აღვიღი წარმოსადგენი იყოს ეს სახე („გმირი ჯემალიკ“, გვ. 43). კიდევ უფრო უხერხულად გვეჩვენება გამოთქმა: „მთის ფერდობზე ნისლი იდგა ირმის მონაწველი“ (იქვე, გვ. 46). აგრეთვე: „დაბლობში, ჭალის პირდაპირ, შარა მირბოლა მთამდი“ (გვ. 98) და ზოგი სხვ.

პოემების წაკითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ სიუჟეტის ბუნებრივ განვითარებას ხშირად არაფერს მატებენ და ზოგჯერ კიდეც აფერხებენ ცალკეული სიტუაციები, რომლებიც თავისთავად ლამაზ სურათებს ქმნიან. მარყალია, არ არის სავალდებულო, რომ კომპოზიციური ხაზი მხოლოდ აღმავლობის გზით ვითარდებოდეს, მაგრამ სიტუაციები მოქმედების გართულებას და დაძაბვას უნდა უწყობდნენ ხელს. პოეტი ამ პრინციპს ყოველთვის არ იცავს. პოემისათვის კი ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წიგნში მოთავსებულ ნაწარმოებთა კლასიფიკაციაც უანრების მიხედვით შეიძლება გადასინჯვას მოითხოვდეს. მაგალითად, რატომ უნდა ეწოდოს პოემა მოსრდილ ლექსს „ყვავილები“? ამ ნაწარმოების ფაბულა და სიუჟეტი, ჩვენ აზრით, პოემისათვის არ არის საკმარისი. მარტივი და მოკლე ამბავია: ქალაქში ჯარმა ჩაიარა. ხალხი ყვავილებით შეეგება. ლილიმაც მოინდომა ყვავილის წალება, მაგრამ მისი ოთახიდან „ყვავილები წაულიათ უფროს დას და დედას.“ იწყება ლილის მოლექარება. არა გვგონია, რომ მკითხველი ააღლელვოს ამ მომენტშა. გაზვიადებულად გვეჩვენება ლილის „განცდები“ იმის გამო, რომ თითქოს არ შეიძლება ჯართან უყვავილოდ მისვლა და ლილი რამდენჯერმე წასვლას დააპირებს, მივა კართან და რამდენჯერმე დაბრუნდება. ბოლოს დაინახავს ყვავილითა და ნაყოფით დახუნძულ ლიმონს, რომელიც ყუთით დგას კუთხეში. ლილი პატარაა. ქნელი ღასაჭერებელია, რომ მას ასე ადვილად გაექროლებინა ქუჩისააენ ეს ყუთი (ალბათ, ყუთში მიწაც იქნებოდა), აყვავებული და მსხმოიარე ლიმონით, რომელსაც

ზოგი მკვანე ნაყოფი აქვს,  
ზოგიც ისე მწიფე,  
რომ კალათი მოიტანე,  
მისდექი და კრიფე .

ეს არის და ეს.

მოცულობით უფრო დიდია პოემა „შერიგდნენ“. მასში აღწერილია თაგვისა და კატის დამეგობრება, რაც იმით დამთავრდა, რომ ერთ შშვენიერ დღეს „კატა მაძლარი მოვიდა, — თაგვი არ დაბრუნებულა“. სათაურიც თითქოს არ შეესაბამება შინაარსს. ლექსი კარგია, მაგრამ ამბავი მარტივია და გადატვირთულია ისეთი სიტუაციებით, რომლებიც დასამახსოვრებელი სახის შექმნას ნაკლებად უწყობენ ხელს. ამის გარდა, ეს ნაწარმოები ზღაპრების განყოფილებაში რომ მოთავსებულიყო, უფრო სწორი იქნებოდა, რადგანაც იგი თავიდან ბოლომდე ზღაპრულ ჰიპერბოლებზეა აგებული.

6. მალაზონიას არ უყვარს ერთფეროვანი სურათები, სახეთა გამეორება, მაგრამ ნაძვის ხისაღმი მიძღვნილი ორი ლექსიდან ერთში ასეთი სტრიქონებია:

ცივა, ცივა ახლა მთაში,  
ქარი დაქერის, თოვს და ყინავს,  
იქ რას გასძლებ ამ ზამთარში,  
როცა არვინ გითბობს ბინას.— მიმართავენ ბავშვები ნაძვის ხეს.

მეორე ლექსშიც ვკითხულობთ:

ზამთარ-ზაფხულ ტყეში იყავ,  
დათოვილი, დასეტყვილი,  
ჯერ არასდროს არ გქონია  
ალბათ ბინა ასე თბილი.

აქ სიახლე არ ჩანს.

თემისა და იდეის თვალსაზრისით ახალს არაფერს გვეუბნება ლექსი „ობო-ლი გოგონა“.

გაზვიადებულად წარმოგვიდგება „ყურშას შეცდომის“ ამბავი (გვ. 28). გოგონას უყიდეს სამი დედოფალა. ერთი სიღიღით მასზე უფროსი ყოფილა, მეორე უმცროსი. უმცროსი ეზოში დაუნახავს ყურშას და ყეფა დაუწყია; რადგან უპატრონოლ დარჩენილი ბავშვი გვინა. სათაურის მიხედვით, მთავარია ყურშას შეცდომა, მაგრამ მკითხველებისათვის უფრო საინტერესო ისაა, რა როლი შესარტოა ამ საქმეში მესამე დედოფალამ, რომელიც ყიდვის შემდეგ არსად აღარ ჩანს. არც პირველი ასრულებს რაიმე ფუნქციას, გარდა იმისა, რომ დიდი იყო. ასე — რომ, პირველი და მესამე დედოფალა რომ არ შეეგძინათ, მეორე, ე. ი. ერთი, სრულიად საქმარისი იქნებოდა ამ ამბისათვის.

\* \* \*

1953 წელს გამოქვეყნდა გ. სალუქვაძის საბავშვო ლექსების წიგნი „მშვიდობა უნდათ პატარებს“. ეს წიგნი სიხარულით მიიღო არამარტო ახალგაზრდობამ, მას სიამოვნებით კითხულობენ დიდებიც. გ. სალუქვაძის ლექსებში ჩამდევილად იგრძნობა პოეტური ინდივიდუალობა. ყურადღებას იპყრობს ენობრივ-მხატვრული დახვეწილობა, სხარტი და ბუნებრივი დიალოგები.

ლექსი „ჩვენი ფიცი“ გამტბარია ბავშვის ინტიმური გრძნობით. ამ ლექსის რამდენიმე სტრიქონში ოსტატურადაა გადმოცემული ის შემზარავი განცდა, რომელმაც 1953 წლის 5 მარტს შეიძყრო მსოფლიოს ყველა მშრომელი, დიდი და პატარა. ბავშვი გულიდან ამოხეთქილი გრძნობით ამბობს:

ის დღე მახსოვს,  
კარგად მახსოვს...  
აუცრემლდა დედას თვალი.  
ჩამიხუტა და ძლივს მითხრა:  
— ვეღარ ნახავ, შვილო, სტალინს.

მეორე ბავშვს („ნანა“) ხელში უჭირავს სურათი, რომელშიაც ჩანს ბავშვებში მდგომი გალიმებული სტალინი. ბავშვს

...უეცრივ გული დაწყდა და დაენანა,

რომ ამ სურათში ბავშვებს შორის არ არის ნანა.

კარგადაა მიგნებული და შესაბამისი ფორმითაა გადმოცემული ბავშვის განწყობილება.

ღაძაბული ინტერესით იყითხება შოზრდილი ლექსი „ნანა კრემლში“.

ნანამ ტირილით გაიღვიძა. მას სიზმარი უნახავს: თვითმფრინავით წაიყვანეს მოსკოვში და აჩვენეს ღიდი სტალინი. სტალინმა მას აჩუქა „დედა ენა“ და თვალხუჭია დედოფალა. გაღვიძებისას ეს ნივთები ვეღარ ნახა და ტირილი მორთო. ეს ამბავი უაღრესად ლაჟონიური სტილით და დამაჯერებლადაა აღბეჭდილი.

შრომის, ბეჭითობის, წესიერების ჩვევებს ნერგავს ბავშვებში ლექსეპი „პიანინოს ვუზივარ“, „როგორ არ დავტუქსოთ“, „გელოდება პირსაბანი“, „მძინარა“, „დარეგანი სკოლაში“, „პირველი გაკვეთილები“, „ჩემი საჩუქარო“ და სხვ.

აი, დედის დღეობისათვის ბავშვი ამზადებს საჩუქარს და ამბობს:

მეც მთელი დღე ვიბეჭითე,

კარგად ვუკრავ; ვმღერი ტკბილად,

ეს სტალინის ლექსი არის,

ამ სიმღერას ჰქვია „დილა“.

მართლაც, ყოველმხრივ ძვირფასია ეს საჩუქარი, ძლიერ ემოციურობას-ზან ერთად ლექსს ღრმა იდეურობა ახასიათებს, მაგრამ მაინც მთავარია ის, რომ მსუბუქად და გაუზვიადებლადაა ყველაფერი ნათქვამი.

გ. სალუქვაძის ლექსთა კრებულში ხშირად გვხვდება ისეთი ლექსი, რომ მასში წასაბაძი კი არა, დასაგმობი ამბებია გაღმოცემული. ამგვარი ლექსის შინაარსი ხშირად უფრო რეალურ და დასამახსოვრებელია, რადგანაც ცხოვრებიდანაა აღებული. წესიერი ბავშვების გვერდით ვხვდებით ზარმაცებს, უწესოებს. პოეტი ერთიმეორის საპირისპიროდ აყენებს \*მათ. ეს მართლაც კარგი ხერხია: აი, წესიერი გია დგას და იცინის იმიტომ, რომ პატარა ნელა:

უმიზეზოდ ჩხუბობს,

უმიზეზოდ ტირის:

— ამბობს:

„მე არ მინდა, გიაშ  
დაიბანოს პირი.“

ეცინება გიას:

აბა, შეხე ფისოს

არ აწუხებს არვის,

თვითონ იბანს პირსო.

როდესაც ვკითხულობთ ლექსს „ხვალ სკოლაში მივდივარ“, ჩვენც, ვისაც ოცეული წლების წინათ გვიოცნებია სკოლაში წასვლაზე, ბავშურა სიამით გვევსება გული — აქ ყველაფერი ისეა ნათქვამი, რომ აგალელვოს, გაგიტაცის, გაგასროს (გვ. 48). ასეთი ლექსების ციკლი თავდება იმ ლექსით, რომლის სახელითაა ცნობილი ეს კრებული. ბუნებრივია, რომ ეს ლექსი გამოიჩინება დიდი პოეტური უშუალობითა და ემოციური სიძლიერით. მეტად აქტუალური თემა საინტერესოდა გაღმოცემული (გვ. 62).

მართლაც, ომის გამჩალებელთა მიმართ უდიდესი ზიზღის, ჩვენი სიძლიერის, სიამაყისა და სიხარულის მძლავრი განცდა გულს შეაჩეროლებს, როცა ვიმეორებთ:

...და ფხიზლობს კრემლი, რომ მშვიდად  
გამოეღვიძოს პატარებს.

ლექსთა მეორე კრებულში, რომელიც 1954 წელს გამოვიდა, პოეტმა ძირითადად ერთი ციკლის ლექსები მოათვასა. ესაა — ლექსები თოჯინების შესახებ. თოჯინების შესახებ დაწერილი რამდენიმე კარგი ლექსი („გიუტი დედოფალა“, „ძილისგუდა თოჯინა“ და სხვ.) გ. სალუქვაძემ წინანდელ კრებულშიაც შეიტანა. „თოჯინების ნაამბობის“ შესავალს წარმოადგენს მშვენიერი ლექსი, რომელსაც „შესავალი“ ეწოდება და რომელიც თავდება ასეთი სტრიქონებით:

ყური მიგდეთ, მალხაზებო,  
მომისმინეთ მოთმინებით,  
მსურს გიამბოთ — თქვენს შესახებ  
რას ამბობენ თოჯინები.

მართლაც, ამ ლექსებში ამეტყველებულია სხვადასხვა სახის თოჯინა. პოეტი კარგად იცნობს ბავშვთა გონებრივი და გრძნობადი სამყაროს ყოველ კუთხეს, იცნობს მათი სიხარულისა და წყენის მიზეზებს და ამის მიხედვით აცოცხლებს და ალაპარაკებს სათამაშოებს.

გ. სალუქვაძისათვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობითა და გემოვნებითაა შესრულებული ამ კრებულის ლექსებიც. კონტრასტების სახით ნაჩვენებია ცოცხალი და არაცოცხალი არსებანი, მაგრამ ეს უკანასკნელი ყოველ-თვის გასულიერებულინი, აქტიური და მეტყველი არიან.

ჩვენი დროის ბავშვებს, მართლაც, ბევრი ისეთი სათამაშო აქვთ, რაზე-დაც ოცნება არ შეეძლოთ ძველი დროის ახალგაზრდებს. ლექსებში დახა-ტული ეს სათამაშოები იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ასახიერებენ სიცოცხლეს, სინამდვილეს. ამიტომ ამ ლექსებში ყველაფერი აგებულია იმიტაციაზე. სათამაშოები ბაძავენ ბავშვებს, ან სხვა სულიერ არსებებს.. ავტომატური ჩიტი მართლაც ჰგავს ნამდვილ ჩიტს, რომელიც ხშირად ჭდება ფანგარასთან და უცქერის ლითონის ჩიტს. მელია-თოჯინა თითქოს ბრაზობს, რომ მამალს მისი არ ეშინა; დედოფალები მსჯელობით ახსიათებენ თავი-ანთ პატრონ გოგონებს და ა. შ. ყველაფერი ეს ლამაზადაა მოფიქრებული და ნათქვამი.

— ღ. მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ აზრისა. და გრძნობის ბუნებრი. ურბა, ჩაც ჩაქსოვრლია გ. სალუქვაძის ლექსთა კრებულში — „მშვიდობა უნდათ პატარებს“ შედარებით ნაკლებად იგრძნობა წიგნში „თოჯინების ნამბობი“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი უნდა იყოს იმ მასალის თავისეუბურება, რომელიც აქ აღწერისა და გამოსახვის საგნად აულია პოეტს. ყოველ შემთხვევაში, არა გვაქვს საფუძველი, ვთქვათ, რომ ეს ლექსები დიდებისათვის ისევე საინტერესოა, როგორც პატარებისათვის შეიძლება იყოს.

უნდა შევნიშნოთ, პოეტები ნ. მალაზონია და გ. სალუქვაძე ძლიერ ცოტას წერენ სასკოლო ასაკის ბავშვებზე, პიონერებსა და კომკავშირელებზე. მათ აგრეთვე უნდა იზრუნონ და შექმნან საინტერესო ნაწარმოებები, რომლებშიც აისახება ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის მჩქეფარე ცხოვრება.

<b>အလောက်ရှင် ပုဂ္ဂနိုလာကျ</b>	<b>၃၃-</b>
မာစာ ၌ဖွံ့ဖြိုးတွေလဲ	3
<b>ဇူရိလွင် သာလွှာဆို</b>	
သူ သာလို့ မျှနတ် မြောက်လာ, လျော်စီ!	56
စုရာလိုင်း ပဲရလာဆို	57
ခုပျော်	58
<b>မာရိစာ မိဂုံးလာဆို</b>	
လျော်စိုင်း ကျော်	59
စုရာလိုင်း မျှော်လို ဝာတွေမီး	59
<b>ပုသိမ်နှင့် လျှောစာ</b>	
မြော်လွင်းလွှဲ အောင်းပျော်	61
<b>မာမွာလှ မြော်ဒေါ်မွာလှ</b>	
ဤရတေ, ဖုန်းမြှော်လွှေ စိုတွေ့လှ ဒာရလှ	68
မာရာလိုင်း	68
လျှော်ပျော်လို	69
<b>မာမိုး ဒာရားနိုင်</b>	
မာဆိုင်းလွှဲ	70
စာလာမိုး မထား!	71
* * *	71
<b>ဝဲလာ လျှော့သွာ</b>	
ဂဲ့ဝဲ လာလာရှိပါဝဲ	72
<b>ချိုံနိုး မြှော့သွာ</b>	
ပါးရိုးလွှဲ ပိုလှေ့တေ	82
ပာတွေမိုး	83
မိုင်ဇွဲရိုး ဖွားဒေါ်လွှဲ	84
<b>ငိုံစာ ဓားရိုင်</b>	
စံလာပာရို လာ, စိုင်းမွော်လွှေ	85
<b>ဒုက္ခရွာ စာလျှော်ဒွေး</b>	
မီး မိုး လာ မီး မီး ဂာရ့တာ.	90
ကုရိမာရွှေ့လှ	91
မိုင်ဇာရာ	92
<b>မိုင်းရွဲ ဂုဏ်ဂုဏ်ဆို</b>	
ကုရိပို ဂုဏ်ရှိပိုးလွှေ့ပို	93
<b>အုံရိုးလှ လျှော်ရွှေ့လှ</b>	
အုံလွှာစံရိုးလွှာ	105
မာနာလိုရှို	105
ဘိုမို လာလာဆို	107
<b>လော်သာ ဂေါ်လာဆို</b>	
မြော်လို့ရ စုဖွှေ့လို	108
စာတို့ပိုး ဂုဏ်ဆိုးလို	108
ဒါ့ဝိုင်း ဇာဂုဏ်	109
<b>နို့ကြော် တာလွှားသွာ</b>	
မြော်လွင်းပဲ ပြေား, စာမိုးလို ခိုမိုတာ	110
မိုးစား ဇာရိ	110
မြို့ဂို့ပိုး	111
<b>စားပိုး မြော်</b>	
ပုံပိုးဒေး နှော	112
ဗိုလိုပိုး နာတွေ့ရ ဘိုမို စုဖွှေ့လို	113
နှော်လွှဲ	113
<b>ပာရမိုး လျော်ရှင်</b>	
ပုံပိုးပိုး စာရိုးရှင်	114

<b>თრხან ქემალი</b>	83
პური, საპონი და სიყვარული (თარგმანი თურქულიდან- ნ. ჩიგავაძისა)	128
<b>ალბერტ გალცი</b>	
„თამაში“ (თარგმანი ვ. ჭანიშვილისა)	132
<b>ქემალ გაფელი</b>	
ბეშუმი, ჩემი ბეშუმი	138
მწყემსის ნათქვაში	138
ზღვაზე გნახე	139
<b>შოთა კომაზიძე</b>	
საქართველოს წერილი უკრაინისადმი	140
<b>შალვა შუბლაძე</b>	
ბულბული და ბელურა	141
საქართველო	141
<b>გიორგი სანადირაძე</b>	
პარტია, ხალხი, მამული!	143
უნის დარაჯი	143
ჩას ვიფიქრებდი	144
<b>რევაზ ჩხარტიშვილი</b>	
ჩემი ტრუიალი	145
* * *	146
ატმის ყვავილი	146
<b>ანდრია სომირიძე</b>	
შემოჩენილი	147
ტურა და მელა	150
<b>ალექსანდრე ჩხაიძე</b>	
მოწინავე გამოცდილების საგანძურო	152
<b>ელისო აბრამიშვილი</b>	
1905 წლის რევოლუციის მოტივები ქართულ პოეზიაში	169
<b>გუგული ბუხნიკაშვილი</b>	
ბათუმის თეატრი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში	179
<b>ალექსანდრე ჩავლეიშვილი</b>	
გმირული სახის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში	184
<b>შოთა ქურიძე</b>	
აომანი ახალ ადამიანებზე	202
<b>ოთარ ფარეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი</b>	
დიდი კულტურული თარიღები	219
<b>სერგო გადაქურია</b>	
სამი საბავშვო წიგნი	234

### რედაქტორი გ. სალუქვაძე

ს.ა.რ.ე.დ.ა.ქ.ც.ი.ო კოლეგია: ვ. კანდელაკი, პ. ლორია, ი. რურუა,  
ალ. ჩავლეიშვილი, ა. ტოტოჩივა, ფ. ხალვაში.

გადაეცა წარმოებას 1955 წლის 3 ივნისს, ხელმოწერილია დასაბეჭდად 18 აგვის-  
ტოს. ქაღალდის ზომა 70x108. 25 საბეჭდი, 14 საღრიცხვო-საგამომცემლო  
ფორმა. დაკვეთა № 3590. ემ 00021. ტირაჟი 2000.

საქართველოს, სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარპილიგრაფისმმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია.  
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).